ᲖᲠᲘᲖᲣᲚ ᲘᲐᲠᲐᲚᲝᲕᲘ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 1988

76.12(2Г)
о 25

ჟურნალისტი და მწერალი გრიგოლ იარალოვი დიდი ხანია მუშაობს ქართული პერიოდიკისა და წიგნთმცოდნეობის საკითხებზე. მის კალამს ეკუთვნის ამ თემატიკისადმი მიძღვნილი არაერთი სტატია და წიგნი, კერძოდ, ნაშრომები: „საგამომცემლო-პოლიგრაფიული ცნობარი", რომელიც ეკვე ორჯერ გამოვიდა (1956 და 1965), „წიგნის წარმოშობა და მისი განვითარების გზები" (1963), „ოქტომბერი და ბეჭდვითი სიტყვა" (1967), „ჟურნალისტის ცნობარი" (1975, ავტორიზებული თარგმანი), „წიგნი და მკითხველი" (1978), საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია — „კ. მარქსი და ფ. ენგელსი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ" (1984, თარგმანი), ა. მარკუსი — „საგამომცემლო საქმის ორგანიზაციისა და ეკონომიკის საფუძვლები" (1950, თარგმანი) და მრავალი სხვა.

წინამდებარე კრებულში მოთავსებული ნარკვევები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ავტორმა ხელახლა გადაამუშავა და შეავსო ახალმოპოვებული მასალებით. კრებული დაეხმარება მოსწავლე ახალგაზრდობას, პრაქტიკოს ჟურნალისტებს, რედაქტორ-გამომცემლებს, მწერლებსა და მეცნიერ-მუშაკებს.

რეკომენდებულია საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის მიერ

რეცენზენტი: ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი მ. ბაჩეჩილაძე

430600000 — 010
Я ——————— 139—88
М—602(08)—88

© გამომცემლობა „განათლება", 1988.

ვარსკვლავებს სძინავთ,
გრიგალსაც სძინავს,
მთებს სძინავთ.
მაგრამ არ სძინავს პრესას.

ვ. ტაბიძე

წინასიტყვაობა

ხალხთა დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში თანამებრძოლებთან საუბარში გამოუთქვამს ღრმააზროვანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერთი კარგი გაზეთი უდრის ათ ჟურნალს, ხოლო ერთი ჟურნალი — ას წიგნს.

ამ ორიოდე ბრძნული სიტყვით ზედმიწევნით ზუსტად არის გამოხატული პერიოდული გამოცემების უდიდესი პროპაგანდისტული, მასების მაორგანიზებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა და გაბათილებულია ადრე გავრცელებული უსაფუძვლო მტკიცება, თითქოს გაზეთი მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობდეს.

1876 წელს შესანიშნავი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი გაზეთ „დროებაში" (№ 24) წერდა: „ვინ არის ეს ახლანდელ ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოძღვრელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე? ეს არის სტამბა, ეს არის ბეჭდვა. უჟურნალოდ, უგაზეთოდ რიღას მაქნისი ვართ ახლა?"

არცთუ ისე შორეული წარსულის ეს გამაფრთხილებელი ხმები მოგვაგონებენ დღევანდელობას, პერიოდულ გამოცემათა განუზომლად გაზრდილ მასშტაბებსა და ქმედითობას. დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხანაში, ჩვენთვის ძვირფასია წარსულისა თუ აწმყოს დიდი და პატარა გაზეთისა და ჟურნალის, პერიოდული, ერთდროული და სპეციალური გამოცემის თითოეული ნომერი, ყოველი ფურცელი.

მათში ხომ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ თანამიმდევრულად არის აღწერილი ქვეყნის, ერის ისტორია, ეკონომიკა, კულტურა და მათი განვითარების გზები. სწორედ გაზეთი და ჟურნალია ფართო მასებისათვის მისაწვდომი საინტერესო ინფორმაციის წყაროები. მათ გარეშე არ იქმნება არც ერთი სამეცნიერო გამოკვლევა და ფუნდამენტური ნაშრომი. ჩვენი მეცნიერებისა და მწერლებისათვის ისინი წარმოადგენენ შთაგონების საგანძურსა და იმ საიმედო ლაბორატორიებს, სადაც მასალის აპრობაცია ხდებოდა.

„დროების“ რედაქტორი ს. მესხი გაზეთის მეათე წლისთავთან დაკავშირებით ამბობდა: „...რაც რამ ნიჭიერი, მოძრავი და ცოცხალი იყო ჩვენს საზოგადოებაში, ყველაფერმა და ყველამ თავის კვალი დაამჩნია ამ გაზეთში. ეს იყო თითქმის მთელი ჩვენი ლიტერატურის ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საზოგადოებასთან ბაასი, ეს იყო ერთადერთი ორგანო, რომლის საშუალებითაც მხოლოდ შეეძლო ეთქვა რამე ყველას, ვისაც რაიმე ჰქონდა სათქმელი, ვისაც თავის ჰაზრებისა და რწმენების გავრცელება და გაზიარება უნდოდა ჩვენში. გაზეთის უყურადღებოდ არ ჩაუვლია თითქმის არც ერთ ისეთ საგანს, რომელიც კი ამ დროის განმავლობაში აწუხებდა ანუ აინტერესებდა ჩვენს საზოგადოებას“[1].

ქართული პერიოდიკა უკვე არსებობის საუკუნე-ნახევარზე მეტს ითვლის. ამ ხნის მანძილზე მისთვის ბევრი უზრუნვიათ და მის შესახებ საკმაოდ უთქვამთ და დაუწერიათ ქართული კულტურის ისეთ დიდ მოამაგეებს, როგორიც იყვნენ პირველი ქართველი რედაქტორი ს. დოდაშვილი, ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი („შეერთებული შრომა ქართულის მწერლობისა“, ჟურნ. „კრებული“, 1872 წ.), დ. ჩუბინაშვილი, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, მ. ბროსე, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. კერსელიძე, პლ. იოსელიანი, კ. ლორთქიფანიძე, ანტ. ფურცელაძე, ალ. ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი და სხვ.

ჯერ კიდევ 1901 წელს გამოქვეყნდა გ. ყიფშიძის ბროშურა „Периодическая печать на Кавказе“. 1902 წელს ზ. ჭიჭინაძემ პირველმა შეადგინა და გამოსცა „ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალებისა“, რომელიც 1916 წელს გამოიცა ახალი სახელწოდებით — „ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია“. 1905 წელს ალ. ხახანაშვილმა ჟურნალ „მოამბეში“ (№ VIII) დაბეჭდა მიმოხილვა „ქართული ხელნაწერები ბრიტანეთის მუზეუმში“. მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს. 1916 წელს პეტროგრადშიც გამოვიდა „ქართული ბიბლიოგრაფია“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდა ჟურნალი „რევოლუციის მატიანე“. მასში ხშირად იბეჭდებოდა ძველი ბოლშევიკების მოგონებები ლეგალური და არალეგალური ნაბეჭდი და ხელნაწერი გამოცემების შესახებ (კერძოდ, იხ. 1923 წლის № 2, გვ. 5-18 და სხვ.).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პერიოდულ გამოცემათა გამ-

---

[1] „დროება“, 1876 წ., № 24.

რავლებასთან დაკავშირებით და ძველი გამოცემების ძიებ-აღრიცხვა-
სა და მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო
წიგნის პალატა, ბიბლიოგრაფიის საქმეს საერთო-სახელმწიფოებრივი
ხასიათი მიეცა და სამეცნიერო საწყისებზე იქნა დაფუძნებული. მალე
პალატამ დაიწყო გაზეთებისა და ჟურნალების მატიანეთა გამოცემა,
რომლებშიც ცალკეული ნომრების აღწერილობა იბეჭდება.

ამას მოჰყვა პირველი ქართული ფუნდამენტური ბიბლიოგრაფი-
ული ნაშრომების გამოცემა: 1925 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა
დ. კარიჭაშვილის „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრა-
ფიული მიმოხილვა", რომელიც 1929 წელს გადამუშავებული და გა-
ფართოებული სახით ჟურნალ „საბჭოთა მწერლობაშიც" დაიბეჭდა.
1947 წელს წიგნის პალატამ გამოსცა გ. ბაქრაძის უფრო სრული კრე-
ბული „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია" (1819—1945).

მართალია, ზემოაღნიშნულ ნაშრომებს ზოგიერთი უზუსტობა და
სხვა ნაკლი ახასიათებს, მაგრამ თითოეულმა მათგანმა გარკვეული
წვლილი შეიტანა ქართული ბიბლიოგრაფიათმცოდნეობისა და პე-
რიოდულ გამოცემათა ისტორიის საფუძვლების შემუშავებაში.

პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის დარგში დიდ მუშაო-
ბას ეწევიან აგრეთვე კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური სახელმ-
წიფო საჯარო ბიბლიოთეკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
მიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვ. კერძოდ, მეტად
საყურადღებოა კ. მარქსის სახელობის ბიბლიოთეკის მიერ 1940 და
1941 წლებში გამოცემული „ქართული ჟურნალებისა და კრებულე-
ბის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია" (ნაკვეთები I და II), გაზეთების
ანალიტიკური ბიბლიოგრაფია და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე ამ მი-
მართულებით უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საქმია-
ნობა, რომელმაც 1968—1974 წლებში ჟურნალისტიკის თეორიისა და
ისტორიის საკითხებზე შრომების სამი ტომი გამოსცა და არაერთ
უცნობი გამოცემა გააცოცხლა.

ქართული პერიოდიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიის შექმნისა-
თვის ნაყოფიერად მუშაობდნენ ცალკეული მეცნიერებიც. მაგალითად,
1941 წელს გამოვიდა პ. გუგუშვილის „ქართული ჟურნალისტიკა",
ტ. I, 1954 წელს — მ. გოცაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტო-
რია" (I), 1958 წელს — Г. Жваня. „Большевистская печать За-
кавказья накануне и в период первой Русской Революции";
1964 წელს — ი. ნატროშვილის „ნარკვევები ბოლშევიკური პრესის
ისტორიიდან", 1965 წელს — ზ. გეგეშიძის „საქართველოს ბოლშევი-
კური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები", 1967 წელს—ი. ბო-
ცვაძის „ქართული ჟურნალისტიკა", 1968 წელს — А. Абрамишви-

ли—«Грузинская периодика» Аннотированный каталог грузинской периодики (1819—1917), хранящейся в ГПБ им. М. Е. Салтыкова-Щедрина», 1970 წელს — ა. ვერულიას „საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან 1880—1921 წლებში“, 1972 წელს — А. М. Ментешашвили. „Большевистская пресса Закавказья в борьбе за создание Закавказской Федерации и Союза ССР (1921—1922 гг.)“, 1973 წელს — Д. Л. Ватейшвили. „Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века“; 1974 წელს — გრიგოლ აფრიდონიძის „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკური პრესა“ (1917—1921 წწ.); 1981 წელს — კრებული „ჟურნალისტიკის საკითხები“ (შრომები, 7—8), 1986 წელს — ალ. კალანდაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ (ტ. I—IV) და სხვ.

ყველა ჩამოთვლილი წიგნი თუ ბროშურა მდიდარ და საინტერესო მასალას შეიცავს ქართული პერიოდიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიისათვის. გარდა ამისა, ცალკეულ გამოცემებზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან და საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამდნენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები და მწერლები: კ. კეკელიძე, ა. შანიძე. დ. კლდიაშვილი, ს. ხუნდაძე, პ. ინგოროყვა, გ. ხაჭაპურიძე, გ ლეონიძე, ვ. თავზიშვილი, შ. რადიანი, შ. ჩხეტია, ნ. ბერძენიშვილი, ს. ხუციშვილი, ნ. ტატიშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ტ. კასრაძე, ამბ. გაჩეჩილაძე. დღეს ამ დარგში ნაყოფიერად მუშაობენ პროფესორები ნ. ტაბიძე. შ. გაგოშიძე, შ. გოზალიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ი. მჭედლიშვილი და მრავალი სხვა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მძიმე და შრომატევადი კვლევა-ძიებაა შესრულებული, დღემდე მაინც არა გვაქვს ქართული პერიოდული გამოცემების მწყობრი, სრულყოფილი ბიბლიოგრაფია, რომელიც საფუძველი გახდება ჟურნალისტიკის ისტორიისათვის და დაგვეხმარება ამა თუ იმ პერიოდის საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში.

საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ ნაპოვნი და აღრიცხული არ არის ყველაფერი, რაც კი ოდესმე ქართულ ენაზე დაბეჭდილა ან ხელნაწერის სახით შექმნილა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს თანაბრად ეხება წარსულსაც და აწმყოსაც. ამაში ბევრი ფაქტი გვარწმუნებს და მათ შორის წინამდებარე ნაშრომის მთავარი შინაარსიც. მაგალითად, 1971 წლის დეკემბერში სრულიად შემთხვევით თელავში მივაკვლიეთ დღემდე უცნობ მოსწავლეთა გაზეთს „ახალგაზრდა ქართველს“, რომელიც 1919 წელს გამოდიოდა (იხ. ნარკვევი „ალაზნის განთიადი“). ასევე „ქუთათურ ჩირაღდნებზე“ (იხ.) მუშაობისას წიგნის პალატაში აღმოვაჩინეთ 1934 წელს რუსულ ენა-

ზე გამოცემული რიონჰესის მშენებლობის სამმართველოს 130-გვერ-
დიანი „ბიულეტენი" (№ 1), რომელიც დასავლეთ საქართველოს ჰიდ-
რორესურსების შესახებ მეტად საყურადღებო მასალებს შეიცავს, მა-
გრამ იგი არც ერთ ბიბლიოგრაფიაში ნახსენები არ არის. 1973 წლის
15 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა დოც. ალ. კოკიას
ცნობა 1921 წლის 15 იანვარს ზუგდიდის სტამბაში დაბეჭდილ ახალ-
გაზრდულ გაზეთ „ავრორას" შესახებ. ესენი ხომ უკვე ჩვენი დროის
გამოცემებია!, და რამდენია მსგავსი შემთხვევა...

არსებული ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის სერიოზული ნაკ-
ლია ისიც, რომ მათში არადამაკმაყოფილებლად არის ასახული სამ-
მულო ომის პერიოდის სამხედრო და სამოქალაქო გამოცემები და
რატომღაც გვერდი აქვს ავლილი საქართველოში გამოსულ არაქარ-
თულ (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და სხვ.) ჟურნალ-გა-
ზეთებს, რომლებიც მუდამ ბევრი იყო. ეს გარემოება ხელს გვიშლის
სრული წარმოდგენა მივიღოთ რესპუბლიკის პერიოდიკაზე. ამასთან,
არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობარები უკვე მოძველდა და მთელი
45 წლის (სამამულო ომის შემდგომი პერიოდის) ხარვეზს ჰქმნიან.

რაც შეეხება ცალკეულ სამეცნიერო გამოკვლევებსა და ანალი-
ტიკურ ბიბლიოგრაფიებს, ისინი აგებულია ძირითადად ცენტრალურ
გამოცემებზე და არ მოიცავენ პერიფერიულ (მაგალითად, ქუთაისის,
ბათუმის, სოხუმის, ჭიათურის, გორის. სიღნაღის, ზუგდიდის, თელა-
ვისა და სხვ.) ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც, როგორც ამ წიგნიდა-
ნაც დავინახავთ, მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნით ქართული პერიო-
დიკის ისტორიაში.

წინამდებარე კრებულს სამეცნიერო მონოგრაფიის ან პრესის
ისტორიის პრეტენზია არა აქვს. მასში გაერთიანებული პოპულარული
ნარკვევები დაწერილი და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია უმ-
თავრესად ამა თუ იმ გაზეთის ან ჟურნალის საიუბილეო თარიღთან
დაკავშირებით, მაგრამ ყველა ცალკე შემთხვევაში მომენტით ვისარ-
გებლე და თემატიკა გავაფართოე — შევიტანე მოცემული პროფილის
დავიწყებული ან ნაკლებად ცნობილი გამოცემები და შეძლებისამებრ
გამოვასწორე შემჩნეული ხარვეზები (სახელწოდებები, თარიღები,
ნუმერაცია, ტირაჟები და სხვ.), ხოლო წიგნად შეკვრისას გადავამუ-
შავე და შევავსე ახლად მოპოვებული მონაცემებით. ამიტომ აქ წარ-
მოდგენილი ცნობები და დასკვნები მხოლოდ ცალკეული შტრიხები,
სარწმუნო მასალაა მომავალი ისტორიისათვის.

ვფიქრობ, ამ გზით შედგენილი კრებული სასარგებლო იქნება
ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის, რომელიც აგრერიგად სჭირ-
დება ყველას, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას.

ხმა იატაკქვეშეთიდან

„...ჩვენი კომუნისტური სიტყვა, რომელიც „დემოკრატიული საქართველოს“ იატაკქვეშეთიდან გაისმის, ყველას უჩვენებს ვის წინააღმდეგ და რისთვის ვიბრძვით... ამხანაგებო, იყავით გულისხმიერნი ჩვენი იატაკქვეშეთური ხმის მიმართ. მხოლოდ თქვენი ორგანიზებულობითა და პროლეტარული სოლიდარობით შეძლებს ჩვენი გაზეთი არსებობას“, — ნათქვამია 1920 წლის 6 თებერვალს გამოსულ რკპ(ბ) თბილისის კომიტეტის რუსულ არალეგალურ გაზეთ „კომუნისტის“ მოწინავე წერილში.

მენშევიკების ბატონობის მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დღეებში მრისხანედ გაისმოდა ბოლშევიკების ხმა იატაკქვეშეთიდან. იგი ღრმად სწვდებოდა ვერაგულად მოტყუებულ საქართველოს მშრომელთა გულში, ამცნობდა მათ, რომ შორს აღარ იყო სანუკვარი თავისუფლება და აღაგზნებდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტები, უმკაცრესი რეპრესიებისა და დევნის მიუხედავად, ცალკეულ ფურცლებსა და მოწოდებებს უშვებდნენ. მაგრამ რა შეედრებოდა პერიოდულ ორგანოს, რომლის მეშვეობითაც პარტია მუდმივი ძაფებით იქნებოდა დაკავშირებული მშრომელთა ფართო მასებთან და დროულად ეტყოდა მათ მართალ სიტყვას.

ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1920 წლის დამდეგიდან, როცა ერთდროულად ამოქმედდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის კუკიისა და თბილისის კომიტეტის, ჩუღურეთის და ავლაბრის არალეგალური სტამბები. ამ სტამბებში იბეჭდებოდა რუსული არალეგალური ბოლშევიკური გაზეთები: სამხარეო კომიტეტის ორგანო „კავკასიკაია პრავდა“ და თბილისის კომიტეტის ორგანო „კომუნისტი“.

იმ ავბედობის დღეებში ვინ იფიქრებდა, რომ საჭირო იყო ამ გაზეთების აღრიცხვა და შენახვა. ანდა რომ ეფიქრათ კიდეც, ეს ხომ სიცოცხლის რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. დღეს კი, როცა

თვალს ვავალებთ განვლილ გზას და ვაფასებთ ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიულ კანონზომიერებას, ვეძებთ მათ გაცრეცილ-გახუნებულ ფურცლებს, გვინდა თანამიმდევრულად ამოვიკითხოთ მგზნებარე სიტყვები და შევაჯამოთ მამათა საგმირო საქმეები, მაგრამ საღ არის! იმის შესაძლებლობაც კი არა გვაქვს, რომ ზუსტად დავადგინოთ, თუ რა პერიოდულობის იყო თითოეული მათგანი, როგორი ტირაჟი ჰქონდა, როდემდის გამოდიოდა და რამდენი ნომერი დაისტამბა.

რაღაც ბედნიერ შემთხვევას, თუ მადლიანი ადამიანის ხელს ალალბედზე, ალბათ, სიცოცხლის რისკით, გადაურჩენია და საბუზეუმო იშვიათობად შემოუნახავს მომავალი თაობებისათვის „კომუნისტის“ ოთხი ნომერი (1920 წლის 6 თებერვლის № 2, უთარიღო

ნახ. 1.

№ 4, 20 აპრილის № 5 და 1 მაისის № 6) და „კავკაზსკაია პრავდა!“ სამი ნომერი (26 თებერვლის № 2, 20 მარტის № 5 და 25 მარტის № 6). ეს ნუმერაცია მეტყველებს, რომ აღნიშნული გაზეთები ხუთდღიური იყო ან კვირაში ერთხელ გამოდიოდა; „კომუნისტის“ გამოსვლა უთუოდ 1920 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო, ხოლო „კავკაზსკაია პრავდასი“ — 20 თებერვლიდან. რა თქმა უნდა, შუალედური ნომრებიც გამოვიდოდა და შესაძლებელია შემდგომშიც იბეჭდებოდა.

„კომუნისტისა“ და „კავკაზსკაია პრავდას“ გარეგნული სახე რევოლუციური ბრძოლის სიმძაფრეზე მეტყველებს. მათი დამახასიათებელი თავისებურებანი — მცირე ფორმატი, ქაღალდისა და ბეჭდვის მდარე ხარისხი, ან სხვა ტექნიკური ნაკლი სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. ეს სწორედ გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა გამართლებულია რევოლუციური სიტუაციით და განზრახვა მიზანს აღწევდა. ამიტომ გვაოცებს და ვამაყობთ ძლიერი სულის თავგანწირული წინაპრებით, რომლებიც შექმნილ ვი-

თარებაში ასერხებდნენ თუნდაც ამგვარი გაზეთების გამოცემას და მშრომელთა დარაზმვას.

ესენი ნამდვილი მუშური გაზეთები იყო და ხალხის ცხოვრებას გამოხატავდნენ. „კომუნისტის" იმავე № 2-ში დაბეჭდილ კორესპონდენციაში „მბეჭდავებთან". ვინმე შვილიძე ასე აღწერს თვით მბეჭდავთა მდგომარეობას". მე მინდოდა ინფორმაცია მომეცა მბეჭდავთა კავშირის ცხოვრებიდან, მაგრამ ჩვენ ისეთი არაფერი გვაქვს, რომელიც ცოცხალ მუშათა ცხოვრებას მოგვაგონებდეს. ჩვენში მუშათა ცხოვრება ჩაკლულია, აღარ არის. მენშევიკებმა მოგვისპეს გაფიცვის უფლება, მასზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება — გვაპატიმრებენ. კავშირის გამგეობაც. რა თქმა უნდა, მენშევიკურია, იმიტომ კი არა, რომ ის მუშებმა აირჩიეს. არა. ყველა საერთო კრებაზე პოლიციური ზემოქმედება უზრუნველყოფს მათ უმრავლესობას. ასეთივეა მთელი პროფკავშირული მუშაობაც. მასა ცალკეა, გამგეობა — ცალკე. გამგეობა ახორციელებს ყოველივე იმას, რასაც მას ზემოდან უბრძანებენ. არც ერთი კრება არ იმართება ისე, რომ ვინმე არ დააპატიმრონ. ამის შედეგად მუშათა მასები მოწყვეტილნი არიან კავშირისაგან და მხოლოდ მექანიკურად და დაპატიმრების შიშით ემორჩილებიან გამგეობის დადგენილებებს. ამგვარი მუშაობით გამოირჩევიან ფენომენი-აკრობატები დობორჯგინიძე, ენიაძე, თამაზაშვილი და სხვ. ეს თბილ კომპანია მოკალათდა სასახლეში და თავს ბნელ საქმეს აკეთებს: ხსნიან მუშებს და მეპატრონეებს შესაჭმელად ხელში უგდებენ. მათი ინიციატივით კოლექტიური ხელშეკრულებიდან ამოღებულია პუნქტი სამუშაოდან დათხოვნის დროს სამი თვის ხელფასის მიცემის შესახებ. ეს თურმე „მრეწველობის განვითარებისათვისაა" საჭირო. თქვენ სელი ჭამეთ, ეუბნება მეპატრონე მუშებს, „დაე მუცელი გაგებეროთო".

მაგრამ გვიფრთხილდით. მუქთახორებო, თქვენი კავშირის და მენშევიკებისა ჩვენ არ გვეშინია: გვიფრთხილდით. მენშევიკებო, პროლეტარიატს თქვენზე უფრო ძლიერები დაუმხია. თქვენც დავაშხობთ!

ჩვენ მოვდივართ!..."

უფრო მეტიც. თურმე წარმატება ისეთი დიდი იყო, რომ მუშებმა ქართული გაზეთის გამოცემაც მოითხოვეს. თბილისის კომიტეტმა გაითვალისწინა ამ მოთხოვნის სამართლიანობა და გადაწყვიტა „კომუნისტის" გამოცემა ქართულადაც. ამისათვის ბოლშევიკ-პოლიგრაფისტს გ. თარხანოვს დაევალა სპეციალური სტამბის მოწყობა. მან ეს დავალება წარმატებით შეასრულა და 1920 წლის 18 აპრილს, ავლა-

ბარში, სტუჩკოვის ქ. № 30-ში (ამჟამად ჩეხოვის, 24) გამართულ ახალ არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა ქართული „კომუნისტი“ № 1

ეს გაზეთიც, ცხადია, მცირე ფორმატისა იყო და ორ გვერდს შეიცავდა, მაგრამ მუშები მას სიხარულით შეხვდნენ. მოწინავე სტატია „უდიდესი გამარჯვება“ მიძღვნილი იყო საბჭოთა რუსეთის წარმატებებისადმი სამოქალაქო ომის ფრონტებზე და გამოთქმული იყო რწმენა, რომ რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატი სასწაულებს მოახდენდა უსისხლო ფრონტზეც, გარდაქმნიდა და აყვავებდა მთელ ქვეყანას და საუკეთესო მომავალს მოუპოვებდა ტანჯულ კაცობრიობას.

სტატიაში „მენშევიკების „ნეიტრალიტეტი“ მხილებულია წ. ჟორდანიას მთავრობის ორპოფობა და თვალთმაქცობა, რომელმაც დამარცხებულ თეთრგვარდიელებს თავშესაფარი მისცა საქართველოს მიწა-წყალზე. აი რატომ არის, დასძენს გაზეთი, რომ „...მენშე-



КОММУНИСТ

ნახ. 2.

ვიკებს თვით მუშები უცქერიან როგორც ჯალათებს, ანდა მუშათა კლასზე გაბატონებულებს, რომელთა წინაშე არავის ხმის ამოღება არ შეუძლია, და თუ ვინმე სიტყვას დასძრავს, გასამართლებული იქნება როგორც რესპუბლიკის მტერი“.

20 აპრილს, როცა ქართული „კომუნისტის“ № 2 დასაბეჭდად მომზადებული იყო პროვოკატორისაგან გაცემულ სტამბას თავს დაესხნენ კედიას საგანგებო რაზმელები, დაარბიეს, ანაწყობი წაიღეს და იქ მომუშავენი დააპატიმრეს. მაგრამ მალე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის „ტექნიკურმა კოლეგიამ“ (ტექკოლი), რომელსაც ბ. ძნელაძე ხელმძღვანელობდა, იმავე ავლაბარში, შემახის ქ. № 21-ში, მბეჭდავი მუშის ბინაზე მოაწყო ახალი არალეგალური სტამბა, სადაც რუსული „კომუნისტის“ საპირველმაისო № 6 დაიბეჭდა. საგუ-

ლისხმოა, რომ სათაურის შრიფტი არ ჰქონდათ, მაგრამ იგი რევოლუციურად განწყობილი მუშების დახმარებით საიდუმლოდ ააწყეს გაზეთ „სლოვოს“ ლეგალურ სტამბაში და გარმონში ჩამალული გადიტანეს ბეჭდვის ადგილზე.

ნომრის მოწინავე სტატია „გაუმარჯოს საბჭოთა ბაქოს“, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ეხებოდა, დანარჩენი მასალა კი მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისისადმი იყო მიძღვნილი.

სრული კრახის წინაშე მყოფი მენშევიკები იძულებული გახდნენ 1920 წლის 7 მაისს სამშვიდობო ხელშეკრულება დაედოთ საბჭოთა რუსეთთან. ამასთან დაკავშირებით მოხდა ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაცია. 20 მაისს არჩეულმა საქართველოს კპ(ბ) დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა შეიძინა ყოფილ დიდი ვანქის ქუჩაზე მდებარე კერძო სტამბა „ეკონომია“ და დაიწყო თავისი საგამომცემლო საქმიანობა. 1920 წლის 3 ივნისს ამ სტამბაში დაიბეჭდა საქართველოს კპ(ბ) ც კ-ისა და თბილისის კომიტეტის პირველი ყოველდღიური ლეგალური გაზეთის — დღევანდელი „კომუნისტის“ პირველი ნომერი.

ამ სტამბას და საერთოდ პარტიის საგამომცემლო საქმიანობას ძველთაგანვე განაგებდა ცნობილი ბოლშევიკი-რევოლუციონერი, ლიტერატორი და პოლიგრაფისტი ს. თოდრია, გაზეთის ფაქტიური რედაქტორები კი იყვნენ მ. ორახელაშვილი და ფ. მახარაძე.

თითქოს გაჩნდა მუშაობის პირობები, მაგრამ ივნისში გამართულმა მენშევიკების ყრილობამ დაადგინა არ შეენელებინათ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა, და პირველი იერიში ისევ პრესაზე მიიტანეს. 13 ივნისს „კომუნისტის“ მე-10 ნომერში სხვა მამხილებელ მასალებთან ერთად დაიბეჭდა ვინმე ობოლას ლექსი-პაროდია „მუშებს“, რომელიც ასე იწყებოდა:

მუშავ, რას ფიქრობ, რამ დაგაღონა?
მითხარ, ვიზე ხარ ეგრე მწყრალადა?
იქნებ მას ნაღვლობ, ძველ მეგობრებმა
მტრებთან ბრძოლაში რომ გიღალატა?

შენ დაანგრიე, მათ აღადგინეს
ისევ ბატონი, ისევ მონობა...
ნუ დაივიწყებ, კარგად შეიგნე,
რომ მეგობარი ჭირში იცნობა...

მეტი მხნეობა! გაბედულად წინ!
ნუ დაგეტყობა, ძმავ დაღლილობა,
გასწი, გაკაფე გზა ეკლიანი,
ნუ შეგაშინებს მცირე ჭრილობა...

მენშევიკებმა ამ ლექსში თავიანთი სახე დაინახეს. 14 ივნისს, დილაადრიანად, საგანგებო რაზმის აგენტები თავს დაესხნენ რედაქციას და გაზეთი აკრძალეს. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ „კომუნისტის" რედაქციის სადგომი თავისებურ ხაფანგად იყო გადაქცეული; ახლანდელ კიროვის ქუჩაზე მოთავსებულ საგანგებო რაზმის შტაბის ფანჯრის ფარდებს უკან დამალული ჯაშუშები დღენიადაგ უთვალთვალებდნენ კიროვისა და მახარაძის ქუჩების კუთხის შენობაში მოთავსებულ რედაქციაში შემსველელ-გამომსველელებს და შემდეგ აპატიმრებდნენ.

ბოლშევიკებმა წინასწარ იცოდნენ მენშევიკების ეს „კაიკაცობა" და ჯერ კიდევ მაისის დამლევს ქალაქებისა და მაზრების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირზე გადაწყვიტეს, რომ ლეგალიზაციის მიუხედავად შეენარჩუნებინათ არალეგალური სტამბები. ამის შედეგად, კუკიის სტამბაში მუშაობა შეწყდა, მაგრამ მისი არსებობა კონსპირაციულად დაცული იყო და საჭირო შემთხვევაში თავის საქმეს აკეთებდა.

18 ივნისს „კომუნისტის" ნაცვლად გამოვიდა „საქართველოს კომუნისტი", ხოლო 1 ივლისს — ისევ რუსული „კომუნისტი". ამ ნახევრად არალეგალურ პირობებში 17 ივლისს „კომუნისტის" რედაქცია მეორედ დაარბიეს და სტამბაც დალუქეს. საჭირო გახდა რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის ს. მ. კიროვის ენერგიული ჩარევა და კატეგორიული მოთხოვნა, რომ მენშევიკურ მთავრობას საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის გაზეთის გამოცემის უფლება აღედგინა. ამის შედეგად 25 ივლისს გამოვიდა „ახალი კომუნისტი". რა თქმა უნდა, ესენი სამივე ერთი და იგივე გაზეთი იყო, მხოლოდ მათ ფორმალურად უცვლიდნენ სახელწოდებას. ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა მისი დათარიღება ქართული არალეგალური „კომუნისტის" პირველი ნომრის გამოსვლის დღით — 1920 წლის 18 აპრილით.

მენშევიკური მთავრობის მოქმედება მის კარგ ცხოვრებაზე რადი მეტყველებდა. ნ. ჟორდანია ერთ-ერთ გამოსვლაში იძულებული იყო ეღიარებინა „საქართველო კატასტროფისაკენ მიდისო". მართლაც, ოფიციალური მონაცემებით 1913 წელთან შედარებით 1920 წლის დამლევისათვის „მენშევიკურ სამოთხეში" ცხოვრება 3133-ჯერ გაძვირდა. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, მშრომელებს აწვებოდა მძიმე ტვირთად. „ახალი კომუნისტის" ერთ-ერთ ნომერში ნათქვამია: „მუშები შიმშილით იხოცებიან, მათ ლუკმა პური ენატრებათ და ტანსაცმელზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია: მთელი მუშები ჩამოტყავებულები დადიან".

მშრომელთა მოთმინების ფიალა ივსებოდა და ბოლშევიკების მეთაურობით ირაზმებოდნენ. მთავრობა კი გამოსავალს ვერ პოულობდა და უფრო მეტად აძლიერებდა რეპრესიებს. 17 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მესამედ დახურეს „ახალი კომუნისტი" და „კომუნისტ გრუზიი". რედაქცია და სტამბა დალუქეს. მალე მათ მიაყოლეს სომხური ბოლშევიკური გაზეთი „კარმირ ალტ-ღიც" („წითელი ვარსკვლავი").

მაგრამ უკვე გვიან იყო. საქართველოს მშრომელთა ინტერესების გამყიდველებს ვერც ანტანტის სახელმწიფოთა ხიშტებმა უშველეს. აჯანყებულმა ხალხმა, XI წითელი არმიის დახმარებით, დაამხო მენშევიკური მთავრობა და 1921 წლის 25 თებერვალს გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალა თბილისში.

იატაკქვეშეთში გახმაურებული და მძიმე რევოლუციურ ბრძოლებში გამობრძმედილი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა მზიანეთზე გამოვიდა და მთელი ძალით ამეტყველდა. მარტის პირველი რიცხვებიდან რეგულარულად იწყო გამოსვლა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს რევკომის (1922 წლის № 54-დან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) ყოველდღიურმა ორგანომ გაზეთმა „კომუნისტმა".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და საბჭოური ცხოვრების პირველ დღეებში „კომუნისტის" დროებითი რედაქტორები იყვნენ დიმიტრი ჯორბენაძე (№№ 1—48), ა. ქურიძე[1] (№№ 49—72) და ლ. სუხიშვილი (№№ 73—121), მისი ფაქტიური რედაქტორები მ. ორახელაშვილი და ფ. მახარაძე კი კონსპირაციის მიზნით გაზეთს ხელს არ აწერდნენ. შემდგომშიც გაზეთს დიდხანს რედაქტორობდნენ ნ. კიკნაძე და სხვ. მაგრამ მას მაინც სარედაქციო კოლეგია ეწერა.

„კომუნისტს" წლების მანძილზე ჰქონდა თავისი დამატებები: 1923—1925 წლებში სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „ჩირაღდანი", 1925—1926 წლებში — ორკვირეული სურათებიანი ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა"; 1929—1931 წლებში — „საქართველოს მუშგლეხკორი", 1929—1934 წლებში — ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „დროშა", 1940 წელს — ჟურნალი „მუშ-სოფლკორთა დასახმარებლად" და სხვ.

გარდა ამისა, „კომუნისტმა" დაიწყო ე. ნინოშვილის თხზულებათა ბეჭდვა, გამოსცა აგრეთვე „თომას მანიდან ლენინამდე", „როგორ არის აგებული რ. კ. პარტია" და მთელი რიგი სხვა საყურადღებო წიგნები.

---

1 კომუნისტი პოეტი სანდრო ეული.

ამჟამად კი, როცა ყოველი დღე საბჭოთა ადამიანებისათვის ბედნიერი მზის ამოსვლითა და გაზეთების შრიალით იწყება, უკვე სამოცდა შვიდ წელიწადს გადაცილებული ქართული პრესის ფლაგმანი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ორგანო, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი „კომუნისტი" ყოველდღიურად 600 ათასზე მეტ ოჯახსა და წარმოება-დაწესებულებაში შეაღებს ხოლმე კარს და კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს ამცნობს მსოფლიოს ამბებს, ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს ახალ გამარჯვებებსა და დიდი ლენინის პარტიის მორიგ მიზანდასახულობებს.

ჩვენმა სასიქადულო პოეტმა გიორგი ლეონიძემ „კომუნისტს" უწოდა „რიჟრაჟის მგზავრი", „სინათლის მატარებელი", „აღერებული გმირული ძალა" და, ბოლოს, ენებიანად მიაძახა:

> მიყვარს ქუჩებში შენი ფურცლების
> მერცხლებთან ერთად განავარდება...

ახლა რამდენი თანამოძმე უმშვენებს მას გვერდს!
დაე მარად იმრავლონ...

საქართველოს რევკომის ბეჭდვითი ორგანოები

1921 წლის 16 თებერვალს, მენშევიკური მთავრობის დასამხობად ამხედრებულ საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის, საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით. მისი პირველი სახელმწიფოებრივი დოკუმენტი იყო იმავე დღეს რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილი მიმართვა თხოვნით საქართველოს მშრომელებისათვის დახმარების შესახებ. ამის შედეგი იყო, რომ XI წითელი არმია „დემოკრატიული რესპუბლიკის“ საზღვრებისაკენ გამოეშურა.

18 თებერვალს კი ცალკე ფურცლად გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის მოწოდება „მუშების, გლეხების, ჯარისკაცების, ყველა მშრომელისადმი კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის დამხობის შესახებ. ხოლო 25 თებერვალს, მას შემდეგ, რაც ს. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს უდეპეშა: „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“, მ. ორახელაშვილის ხელმოწერით ქართულ და რუსულ ენებზე გამოვიდა „დეკრეტი № 1 საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტისა ამნისტიის შესახებ“.

26 თებერვალს, დილით, თბილისელებმა წაიკითხეს საბჭოთა ხელისუფლების პირველი ოფიციალური ორგანო „საქართველოს დრ. რევკომის ბიულეტენი“ (მცირე ფორმატის 2 გვ., ქართულ-რუსული). ნომერი იწყებოდა ლოზუნგებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს“, „გაუმარჯოს წითელ ლაშქარს“. იქვე დაბეჭდილი იყო რევკომის მიმართვა „მოქალაქეთა საყურადღებოდ“, რომელიც იუწყებოდა: „დროებითი რევოლუციური კომიტეტი საყოველთაო საყურადღებოდ აცხადებს, რომ ყველა დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი ვალდებულნი არიან დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და შეასრულონ პირნათლად დავალებანი, დაიცვან წესრიგი...“ და სხვ

ცნობილია ამ ბიულეტენის მხოლოდ 4 ნომერი. დღეს ისინი ბიბ-ლიოგრაფიული იშვიათობაა და მხოლოდ საგანგებო ფონდებშია და-ცული.

26 თებერვალსვე გამოვიდა რევკომის საინფორმაციო ორგანო, „გრუკავროსტას" (რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კავკასიის ბიუროს განყოფილება საქართველოში) ყოველდღიური კედლის გაზეთი „კავ-კაზსკაია კომუნა" (იბეჭდებოდა ცალ გვერდზე). მის 27 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია მრავალფეროვანი ინფორმაცია: „ფრონტზე", „მდგომარეობა თბილისში", „მენშევიკური მთავრობის გაქცევა", „მუშები და ინტელიგენცია ჩვენთანაა", „სახალხო გვარდიელები უბ-რძოლველად უკან იხევენ", „აჯანყება სამხრეთ ოსეთში", „მამისონ-ის უღელტეხილზე", „ქარხნები მუშაობას განაგრძობენ" და სხვ.

„კავკაზსკაია კომუნამ" 17 მაისამდე იარსება. იგი ძირითადად ოპერატიულ ინფორმაციას აქვეყნებდა. მაგალითად, 12 მარტის (№ 14) ცნობაში ნათქვამია, რომ „11 მარტს აჯანყებულებმა და წითელი არ-მიის ნაწილებმა დაიკავეს ქ. ქუთაისი, ყვირილა (ზესტაფონი), აბას-თუმანი და სადგ. სვირი"; 14 მარტს (№ 15) — ახალსენაკი, რკინიგზის სადგური შორაპანი, ჭალადიდი, სადგ. ფარცხანაყანევი და სხვ.

„კავკაზსკაია კომუნა" ბაქოშიც გამოდიოდა. მის 16 მარტის № 71-ში დაბეჭდილია კავკასიის ფრონტის შტაბის ცნობა, რომ 14 მარტს აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოში ქ. ფოთი დაიკავეს.

1 მარტიდან გამოსვლა იწყო საქართველოს რევკომის ორგანომ გაზეთმა „კავკაზსკაია პრავდამ". მის პირველ ნომერში ნათქვამია, რომ „გორში მოხდა აჯანყება და შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კო-მიტეტი. XI არმიის სარდალი თბილისიდან პირდაპირი ხაზით დაუკავ-შირდა გორის რევკომს". მეორე ნომრიდან ეს გაზეთი გახდა საქარო-ველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ რევ-კომის ერთობლივი ორგანო და „პრავდა გრუზიის" სახელწოდებით გამოდიოდა. მისი თემატიკა უფრო მრავალფეროვანი იყო და საომა-რი მოქმედების მდგომარეობის გარდა მოიცავდა ახალგაზრდა საბჭო-თა რესპუბლიკის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს.

„პრავდა გრუზიის" 8 მარტის № 6-ში დაბეჭდილია ბაქოს საბჭოს და ბაქოს მუშათა ორგანიზაციების გაერთიანებული საზეიმო სხდომის დეკლარაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გამო, რომელშიც აზერბაიჯანელი მშრომელები ყოველმხრივ მხარდა-ჭერასა და დახმარებას აღუთქვამდნენ მენშევიკების უღლისაგან განთა-ვისუფლებულ მოძმე ქართველ ხალხს.

ამ გაზეთის მერვე ნომერში გამოქვეყნებულ ოპერატიულ ცნო-ბაში ნათქვამია, რომ 8 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს

ქ. ახალციხე და სადგური მარელისი. 13 მარტს მასში დაიბეჭდა „საქართველოს რევკომის მიმართვა თბილისიდან გაქცეული მენშევიკური მთავრობისადმი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ". განსაკუთრებით საყურადღებოა 18 მარტის ნომერი, რომელშიც მოთავსებულია საქართველოს რევკომსა და ყოფილ მენშევიკურ მთავრობას შორის 16 მარტს პირდაპირი ხაზით წარმოებული მოლაპარაკების სრული ტექსტი. მ. ორახელაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მოლაპარაკება ეხებოდა თურქეთის განზრახვას ხელში ჩაეგდო ბათუმი და მისი ოლქი. იქვეა მაშინ ჯერ კიდევ სოფელ საგარეჯოს მშრომელთა 13 მარტის მიტინგის რეზოლუცია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გამო.

19 მარტის ნომერში კი ვკითხულობთ „გრუზკავროსტას" 18 მარტის ცნობას, რომ მენშევიკურმა მთავრობამ კაპიტულაცია მოახდინა და იტალიის გემით, რომელსაც საფრანგეთის ნალმოსანი იცავდა, კონსტანტინოპოლში გაიქცა. მათ გაიტაცეს ქართველი ხალხის განძეულობა[1], რომლის იმედითაც ხუთი წლის ხელფასს ჰპირდებოდნენ ყველას, ვინც კი გაჰყვებოდა. მაგრამ ავაზაკი გვარდიელებისა და მაღალი წოდების ოფიცრებიდანაც კი სულ რაღაც 50-მდე კაცი გაბრიყვდა. ბათუმში ათასამდე პოლიტიკური პატიმარი განთავისუფლდა და მათ 17 მარტს ღამით შექმნეს აჭარის რევოლუციური კომიტეტი ციხიდან ახალგამოსულ ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით.

23 მარტს „პრავდა გრუზიიმ" დაბეჭდა სამხრეთ ოსეთის რევკომის მისალმების დეპეშა ვ. ი. ლენინისადმი სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო. 25 მარტს კი — ქ. ხაშურის მშრომელთა 22 მარტის მიტინგის რეზოლუცია. გაზეთმა 1922 წლის 31 დეკემბრამდე იარსება და შემდეგ „ზარია ვოსტოკამ" შეცვალა.

„კომუნისტიც" 1922 წლის № 54-მდე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა და საქართველოს რევკომის ორგანო იყო.

გარდა ამისა, 1921—1922 წლებში, საბჭოების პირველ ყრილობამდე, გამოდიოდა კრებულები: „საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლუციური კომიტეტი. დადგენილებები, დეკრეტები, ბრძანებები" (1922 წლის 22 მარტამდე სხვადასხვა მოცულობის 20 ნომერი გამოვიდა); „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციური კომიტეტისა" (გამოსულია 5 ნომერი, სულ ერთო პაგინაციით 109 გვერდი).

საქართველოს რევკომის მთელი რიგი დეკრეტები, დადგენილე-

---

1 ლაპარაკია განძეულობაზე, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გადაარჩინა და სამშობლოში ჩამოიტანა.

ბები, ბრძანებები და განკარგულებები ცალკე ფურცლების სახითაც გამოდიოდა ან „შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებებში“ იბეჭდებოდა.

თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები ჰქონდათ აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ასსრ რევკომებსაც. 1921 წლის 18 მარტიდან 1922 წლის თებერვლამდე გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი „უწყებანი ს. კ. ბ. ბათუმის საოლქო კომიტეტის და რევკომისა“ (შემდგომში გაზეთები „ბრძოლა“, „ფუხარა“, „საბჭოთა აჭარისტანი“ და ამჟამად „საბჭოთა აჭარა“). ხოლო აფხაზეთის რევკომისა და აფხაზეთის რკპ(ბ) ბიუროს ყოველდღიური გაზეთი „გოლოს ტრუდოვოი აბხაზიი“ 1921 წლის 22 თებერვლიდან ჯერ სოჭში გამოდიოდა, შემდეგ კი სოხუმში. 1924 წლის 9 ოქტომბრიდან მას „ტრუდოვაია აბხაზია“ ეწოდებოდა, 1926 წლის 12 დეკემბრიდან — „სოვეტსკაია აბხაზია“.

არსებობის 50 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო გაზეთები „სოვეტსკაია აფხაზია“ და „საბჭოთა აჭარა“ — საპატიო ნიშნის ორდენით.

მეგრძოლი კომკავშირული

ახალგაზრდობის ცხოვრებაში მუდამ თვალსაჩინო როლს ასრულებდა პრესა. თავიანთი პატარა მებრძოლი ორგანოების გარშემო თავს იყრიდნენ მოწინავე ჭაბუკები და ქალიშვილები და მათი ფურცლებიდან, როგორც სახალხო ტრიბუნიდან, მგზნებარედ ქადაგებდნენ მშრომელთა განთავისუფლების იდეებს, ირაზმებოდნენ ორგანიზაციულად.

ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკების პარტია მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა როგორც ახალგაზრდობის მოძრაობას, ისე მისივ ბეჭდვითი ორგანოების სწორ რევოლუციურ, მარქსისტულ მიმართულებას. ამას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა რევოლუციური აღმავლობის პერიოდში.

როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მენშევიკებმა საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და იმპერიალიზმის ბანაკში გადაბარგდნენ, საჭირო გახდა რევოლუციის ძალთა გადაჯგუფება და კომუნისტური ახალგაზრდობის მტკიცე ორგანიზაციების შექმნა ანტიხალხური წყობილების დასამხობად. თავდაპირველად ასეთი ორგანიზაციები იქმნებოდა ცალკეულ ქალაქებსა და სოფლებში. შემდეგ ისინი ერთიანდებოდნენ მაზრის მასშტაბით და პარტიის ხელმძღვანელობით გაბედულად უპირისპირდებოდნენ „ახალგაზრდა მარქსისტებსა“ და სხვა ნაციონალისტურ ორგანიზაციებს.

ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს კომკავშირული პრესის ჩასახვაც. მისი საწყისი ფორმები იყო არალეგალური სასკოლო ხელნაწერი ჟურნალები და კედლის გაზეთები, ნაბეჭდი ფურცლები, პროკლამაციები, მოწოდებები და ლოზუნგები. უსახსრობისა და სასტიკი დევნის პირობებში ახალგაზრდა ენთუზიასტები ჩინებულად ახერხებდნენ მათ გამოსაცემად კერძო და სახელმწიფო სტამბებში შეღწევას და პარტიის დავალებების შესრულებას.

საამისოდ ხელსაყრელი პირობები გაუჩნდა ქუთაისელ ახალგაზრდობას მას შემდეგ, რაც 1917 წელს ბოლშევიკების ქუთაისის კომი-

ტეტთან შეიქმნა გამომცემლობა, რომელიც უშვებდა არალეგალურ ფურცლებს, ბროშურებსა და ბიულეტენებს. იქვე გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა „ლამპარი“ ამ ლიტერატურის გასავრცელებლად დასავლეთ საქართველოში. ამან განაპირობა კომუნისტური ახალგაზრდობის „სპარტაკის“ ორგანიზაციის ქუთაისის კომიტეტის თვალსაჩინო წარმატება, რომელმაც 1917 წელს, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციური ქარტეხილის დღეებში შეძლო ყოველკვირეული არალეგალური ქართული გაზეთის „მესამე ინტერნაციონალის“ გამოცემა.

ეს იყო საქართველოს კომკავშირის პირველი ბეჭდვითი ორგანო. საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი ისტორიის პირველი ნარკვევების ავტორი გაიოზ დევდარიანი ამ გაზეთის შესახებ შემდეგს წერდა: „მესამე ინტერნაციონალის“ პირველი ნომერი 1917 წლის 12 ნოემბერს გამოვიდა (საუცხოო და სავსებით ბოლშევიკური კვირეული ჟურნალი). № 1 შინაარსი ეხებოდა ოქტომბრის რევოლუციას. № 2 (19 ნოემბერი): „ზავი ახლოვდება“, „ჯალათებს“ (კონტრრევოლუციურ მოძრაობაზე რუსეთში), „კლასობრივი ბრძოლა რუსეთის რევოლუციაში“, „საქმე და მხოლოდ საქმე“ (სახკომსაბჭოს ღონისძიებებზე სმოლნში), „რა გააკეთეს ბოლშევიკებმა ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ?“ და სხვ... საერთოდ, ეს ჟურნალი ოქტომბრის რევოლუციის გამოხმაურება იყო; იგი უმოწყალოდ ამათრახებდა არა მარტო აშკარა მტრებს, არამედ ამ უდიდესი გადატრიალების დეზერტირებსაც — ზინოვიევს, კამენევსა და სხვებს, თანაც მოუწოდებდა მშრომელებს მიებაძათ თავიანთი რუსი ძმების მაგალითისათვის“[1].

„მესამე ინტერნაციონალი“ იბეჭდებოდა მცირე ფორმატის ქაღალდის 4 გვერდზე. ცნობილია მისი 6 ნომერი. მენშევიკურმა მთავრობამ ძირშივე ჩაკლა რევოლუციური ახალგაზრდობის ეს მედგარი ხმა. მაგრამ მის ორგანიზატორებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და 1918 წლის 29 დეკემბერს მათ გამოუშვეს ქუთაისის ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია „სპარტაკის“ ახალი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. სათაურის ქვეშ მას ეწერა: „მესამე ინტერნაციონალის გაგრძელება“. ზემოთ კი: „რუსეთის კომუნისტური პარტია“. ახალგაზრდა კომუნისტების ქუთაისის ორგანიზაციის „სპარტაკის“ ორგანო“. სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო: „ჩვენ დავძლიეთ მრავალი დაბრკოლება და, აი, ამ გაზეთით, „ახალგაზრდა კომუნისტით“, საძირკველი ჩაუყარეთ მშრომელი ახალგაზრდობის ორგანოს, — ორგანოს, რომელიც დარაჯი და გამომხატველი იქნება ახალგაზრდა მუშების, მუშა ქალების და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის ინტერესებისა“.

---

[1] გ. დევდარიანი. „ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან“. თბილისი, სახელგამი, 1927.

„ახალგაზრდა კომუნისტიც“ მეხუთე ნომერზე დახურეს. მაგრამ მან „დიდი როლი შეასრულა, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკებს იმ დროს ამიერკავკასიაში სხვა გაზეთი და ჟურნალი არ მოეპოვებოდათ“ (გ. დევდარიანი, იქვე).

„ახალგაზრდა კომუნისტის“ დამაარსებლები და მისი უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ბარნაბ ადამიძე, დავით კაჭარავა, თამარ გაბარაშვილი და სხვ. გადარჩენილია ამ გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი (№ 1), რომელიც ადრე საქართველოს რევოლუციის მუზეუმში იყო, ახლა კი საქართველოს კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაშია დაცული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1920 წლის დასაწყისში პარტიის სამხარეო კომიტეტის დავალებით კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიერ საგამომცემლო საქმის ორგანიზაციისათვის კომკავშირელთა სპეციალური ჯგუფის შექმნას, რომელიც ისტორიაში „ტექნიკური კოლეგიის“ („ტექკოლის“) სახელწოდებით არის ცნობილი. მას უშუალოდ ბორის ძნელაძე ხელმძღვანელობდა. ეს ჯგუფი, პარტიული გამომცემლობის უქონლობის გამო, ბოლშევიკურ ლიტერატურას უაღრესად კონსპირაციულ პირობებში, თვით მენშევიკურ სტამბებში, მათივე შრიფტითა და მათ ქაღალდზე ბეჭდავდა. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდნენ ლეგალურ სტამბებში მომუშავე რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა მუშები. ცნობილია, რომ „ტექკოლმა“ საკუთარი ძალებით ავლაბარში არალეგალური სტამბა მოაწყო, სადაც 1920 წლის 1 მაისს რუსულ გაზეთ „კომუნისტის“ მე-6 ნომერი დაიბეჭდა.

დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელება. ამ საქმისათვის იქმნებოდა კომკავშირელთა სპეციალური „მფრინავი რაზმები“, რომლებიც არალეგალურ გამოცემებს მასობრივად ავრცელებდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, თეატრებსა და სხვა სანახაობით დაწესებულებებში, კინოგზის სადგურებსა და მატარებლებში, ყაზარმებში, სკოლებში, დაწესებულებებსა და ხალხის თავშეყრის სხვა ადგილებში. რაზმელები მოხერხებულად აკრავდნენ პროკლამაციებს მთავრობის დაწესებულებათა შესასვლელებთან. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ზოგჯერ მინისტრებსაც კი აღმოაჩნდებოდათ ჯიბეში კომკავშირელების მიერ შეუმჩნეველად ჩადებული მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლები.

1920 წლის 7 მაისს, საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოხდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაცია. 30 მაისსა და 1 ივნისს თბილისში თავი მოიყარეს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და გააფორმეს საქართველოს კომკავშირის შექმნა. ამ თათ-

ბირზე არჩეულმა დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად გამოიყენა ლეგალიზაციის პერიოდი და მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ყოველ ნაბიჯზე არღვევდა ხელშეკრულების პირობებს, ივნისში განახორციელეს კომკავშირელთა საერთო აღრიცხვა და გამოუშვეს ახალი ბეჭდვითი ორგანო „მოლოდი პროლეტარი", რომელიც მანამდე გამოსულ კომკავშირულ გაზეთებს შორის ყველაზე დიდი და შინაარსიანი იყო.

მაგრამ მოჩვენებითი ლეგალიზაცია მალე დამთავრდა. 1920 წლის აგვისტოში კედია-ჯუღელის საგანგებო რაზმელებმა გარეკეს საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა და მისი ხელმძღვანელები დააპატიმრეს. კომკავშირი იძულებული გახდა, კომუნისტურ პარტიასთან ერთად, კვლავ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო და დაეწყო მზადება მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშისათვის.

მთავრობის რეპრესიების პასუხად 1920 წლის 25 აგვისტოს ქუთაისში გამოვიდა „ახალგაზრდა კომუნისტის" ცალგვერდიანი საგანგებო დამატება „საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცლების" სახელწოდებით. მისი რედაქტორი ვ. იმედაძე იყო. ამ პატარა ფურცლიდან მრისხანედ გაისმა საქართველოს ახალგაზრდობის პროტესტის ხმა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ გამარჯვებაში საქართველოს კომკავშირმა და მისმა მებრძოლმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

დადგა ახალი ცხოვრების ხანა. პირველი დღეებიდანვე დაიწყო კომკავშირული ჟურნალ-გაზეთების ფართო ქსელის შექმნა. ამ მიზნით ცენტრალურ კომიტეტში დაარსდა საგამომცემლო განყოფილება, რომლის ირგვლივ თავი მოიყარეს რევოლუციურ ბრძოლებში გამობრძმედილმა ახალგაზრდა ჟურნალისტებმა. ამ განყოფილებაში აიდგა ფეხი პირველმა ქართველმა კომკავშირელმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა (მირცხულავამ). აქვე მუშაობდნენ ვ. კუპრაძე. მ. ცქვიტინიძე, ვ. მიქაძე და სხვ.

ამ განყოფილების ძალებით 1921 წლის 26 ივნისს გამოვიდა „უწყებები საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა" № 1, დიდი საწიგნე ფორმატის 16 გვ.). 13 აგვისტოს მას მოჰყვა ახალგაზრდა მუშებისა და გლეხებისათვის გამოცემული საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთდროული სააგიტაციო-მასობრივი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" (№ 1, 2 გვ., 2 ათასი ცალი, რედაქტორი კ. ორაგველიძე), რომლის ერთადერთი ეგზემპლარი უკანასკნელ

დრომდე მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში იყო.

დეკემბრიდან კი გამოსვლა იწყო საქართველოს კომკავშირის პირველმა პერიოდულმა ნაბეჭდმა ჟურნალმა „მომავალმა". ეს იყო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ორგანო. რომელიც აშუქებდა მარქსისტული ფილოსოფიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს. ჟურნალმა ამ სახელწოდებით 1924 წლის იანვრამდე იარსება და გამოვიდა 20 ნომერი, თითოეული 60—120 გვერდი. იმავე წლიდან „მომავალი" შეცვალა ჟურნალმა „ახალგაზრდა ლენინელმა". საქართველოს კომკავშირის VII ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ეს ჟურნალი ითვლებოდა პროლეტარული პოეზიის, ახალი კულტურის, ახალი ყოფაქცევის მქადაგებლად. მასში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი აგრეთვე პარტიის ისტორიისა და ახალი ლიტერატურის თეორიის საკითხებს (გამოვიდა ექვსი ნომერი, „მომავლის" ნუმერაციის გაგრძელებით).

ახალგაზრდობის მუდმივი გაზეთის საჭიროება დღითიდღე აშკარა ხდებოდა. მაგრამ პირველ ხანებში საამისო მატერიალური ბაზა არ მოიპოვებოდა. მხოლოდ 1922 წლის აპრილიდან იწყო გამოსვლა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორკვირეულმა გაზეთმა „სპარტაკმა". მე-12 ნომრიდან ეს კვირაში ერთხელ გამოდიოდა და თბილისის კომიტეტის ორგანოც გახდა. 1923 წელს „სპარტაკი" რუსულადაც გამოდიოდა (აღრიცხულია მისი 15 ნომერი). საშუალო ტირაჟი 2500—3000 შეადგენდა. მალე რუსული „სპარტაკი" შეცვალა ექვსდღიურმა გაზეთმა „იუნოშევსკაია პრავდამ" (1925 წელს კვირაში ორჯერ გამოდიოდა, ტირაჟი 7800 ცალი). 1923 წელს გამოვიდა აგრეთვე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანოს „კრასნი მოლოდეჟის" 5 ნომერი (ტირაჟი 2 ათასი ცალი). იყო ყოველკვირეული რუსული გაზეთი „კრასნი სტუდენტიც" (1924 წელს 4 ნომერი დაიბეჭდა).

ამ წლებში კომკავშირს პერიოდულად სპეციალური გვერდები ეთმობოდა რესპუბლიკურ და სამაზრო გაზეთებში (სადაც ისინი გამოდიოდა). მაგალითად, ქუთაისის გაზეთ „მუშა და გლეხს" ჰქონდა დამატება „წითელი ახალგაზრდობის ფურცელი" — საქართველოს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომკავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო. „მუშა და გლეხის" 1922 წლის № 45-ში ახალგაზრდობის ფურცელს № 32 უზის. 1924 წელს კი ქუთაისის „წითელი ახალგაზრდობის ფურცელი" უკვე დამოუკიდებლად გამოდიოდა ჯერ ორ კვირაში ერთხელ, შემდეგ კი ყოველკვირეულად. სამწუხაროდ ამ

საინტერესო გამოცემის ნომრები ბიბლიოთეკებში დაცული არ არის და შესაძლებლობა არა გვაქვს დავადგინოთ როდემდის იარსება გაზეთმა და რამდენი ნომერი გამოვიდა.

1924 წელს ამავე სახელწოდების დამატება ჰქონდა სიღნაღის სამაზრო გაზეთ „სიმართლესაც". იგი საქ. ახ. კომ. კავ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტის ორგანო იყო. 30 მარტამდე 15 ნომერი გამოვიდა. მსგავსი ცალკეული გვერდები გვხვდება აფხაზეთისა და აჭარის გაზეთებშიც. ხოლო იქ, სადაც ადგილობრივი გაზეთი არ არსებობდა, დღესასწაულებსა და მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით ერთდროულ გაზეთებსა და ფურცლებს უშვებდნენ. მაგალითად, 1922 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის გორის სამაზრო კომიტეტმა გამოსცა გაზეთი „ახალგაზრდა მუშა" (№ 1, 4 გვ., ტირაჟი 1300 ცალი).

ამგვარ გაზეთებსა და ფურცლებში შუქდებოდა კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობა, ახალგაზრდობის ცხოვრება, მიმდინარე კამპანიები, ახალი ცხოვრების დამკვიდრების წარმატებები და სიძნელეები, სოფლად კლასობრივი ბრძოლის მიმდინარეობა და მასში ახალგაზრდობის მონაწილეობა კომკავშირის მეთაურობით, ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის კავშირის განმტკიცება და სხვ.

გაზეთებმა „სპარტაკმა" და „იუნოშესკაია პრავდამ" იარსებეს 1925 წლის დეკემბრამდე. 8 დეკემბრიდან ქართული „სპარტაკი" შეცვალა საქართველოს ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანომ გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა", ხოლო „იუნოშესკაია პრავდა" — „მოლოდოი რაბოჩიმ" (გამომცემლები იგივენი იყვნენ).

ნახ. 3.

„ახალგაზრდა კომუნისტი" 1925—1926 წლებში ყოველდღიური იყო, 1927—1928 წლებში კვირაში ორჯერ, ხოლო 1929 წელს კვირაში სამჯერ გამოდიოდა. 1930 წლიდან ისევ ყოველდღიური გახდა. სამამულო ომის დროს — 1942—1944 წლებში არ გამოდიოდა, განახლდა 1945 წლიდან. დაარსების დღიდან მოყოლებული მისი ტირაჟი, ფორ-

ბატი და გვერდების რაოდენობა იცვლებოდა სახსრებისა და ტექნიკურ საშუალებათა შესაბამისად. სამამულო ომამდე მისი მაქსიმალური ტირაჟი 60—70 ათასს არ აღემატებოდა. ამჟამად კი საქართველოს ახალგაზრდობის საყვარელი გაზეთი ერთდროულად 250 ათასამდე ცალი იბეჭდება, მას ხალისით კითხულობენ ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენლები.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" ქართული საბჭოთა პერიოდიკის ისტორიაში მეტეორივით შემოიჭრა და ღრმა კვალი გაავლო. რამდენი საინტერესო ინიციატივა, თაოსნობა, ცხოვრებისეული საკითხების ახლებურად დაყენება და გადაწყვეტაა დაკავშირებული „ახკომის" სახელთან. მის ფურცლებზე ახალგაზრდობის აღზრდისა და ყოფა-ცხოვრების საკითხები მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ენისა და ლიტერატურის, მეცნიერებისა და კულტურის, ესთეტიკის, ეთიკისა და მორალის, ზნეობისა და ყოფაქცევის აქტუალურ პრობლემებთან. რამდენ მეცნიერს, ხელოვანს, წარმოების ნოვატორსა თუ სოფლის მშრომელს ამოსდგომია იგი მხარში და დიდი ცხოვრების გზა დაულოცია!

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ახალგაზრდა კომუნისტის" დიდი დამსახურება ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და კრიტიკის განვითარებაში. ჩვენი სახელოვანი პოეტი ალიო მირცხულავა იგონებდა, რომ ჯერ კიდევ 1922 წელს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ჟურნალ „მომავლის" რედაქციასთან ჩამოყალიბდა კომკავშირელ მწერალთა წრე. ამის ინიციატორი იყო გაიოზ დევდარიანი. შემდეგ ეს ტრადიცია გადავიდა გაზეთ „სპარტაკის" რედაქციაში და ახალი ძალით აღორძინდა „ახალგაზრდა კომუნისტის" განახლების პირველი დღეებიდანვე. ამ წრეში აღიზარდნენ XX საუკუნის ქართული პოეზიის, პროზისა და ლიტერატურული კრიტიკის საუკეთესო წარმომადგენლები: ა. მირცხულავა, შ. რადიანი, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, ს. წვერავა, ბ. ჩხეიძე, ა. გომიაშვილი, კ. ბობოხიძე, ე. ზედგინიძე, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, გ. ლომიძე, გ. ჯიბლაძე, გ. შატბერაშვილი, გ. კაჭახიძე, ა. ადამია, ლ. ჭიჭინაძე და სხვ.

გაზ. „სპარტაკსა" და „ახალგაზრდა კომუნისტს" ხშირად ეწერა სარედაქციო კოლეგია, მაგრამ სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ კ. ორაგველიძე, გ. ძიგრაშვილი, ვ. კუპრაძე, შ. ანდღულაძე, ა. მახათაძე, დ. ვოლსკი, ვ. მიქაძე, კ. ჩარკვიანი, ე. ენუქიძე, ვ. დეკანაძე, შ. მთვრალაშვილი, მ. ცქვიტინიძე, დ. მჭედლიშვილი, ა. მირცხულავა, გ. ფირცხალავა, შ. გაგოშიძე, მ. კაკაბაძე, გ. გელაშვილი, ჯ. ნინუა, ა. სანებლიძე, რ. ბალანჩივაძე და სხვ. ამჟამად „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორია პ. ნაცვლიშვილი.

ნახ. 4. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისა და გამომცემლობის თანამშრომლები გაზეთის მეათასე ნომრის იუბილეს პერიოდში (1931 წ.). (სხედან მარცხნიდან: ვ. დეკაძე (პ/მგ. მდივანი), ვ. მიქაძე (რედაქტორის მოადგილე), დ. ვოლსკი (ყოფ. რედაქტორი), დოვლათბეგოვი (გამომცემლობის გამგე), ალ. მგელაძე (ახალი რედაქტორი); დგანან — ე. მიქაძე (ექსპედიციის მუშაკი), ნ. აგიაშვილი (რედ. მდივანი), დ. ბენაშვილი (განყ. გამგე), ა. ადამია (ლიტმუშაკი), ს. ომარაშვილი (კორესპონდენტი), გრ. იარლოვი (განყ. გამგე), ე. ასტვაცატუროვი (განყ. გამგე), მ. ვიშემირსკი (არაპერიოდული გამოცემების სექტორის გამგე), დ. მაისურაძე (გამომც. ბუღალტერი) და ექსპედიციის მუშაკები.

ვიანაიდან გაზ. „სპარტაკს“ მხოლოდ სახელწოდება შეეცვალა, ანარკვევის გამოქვეყნების შემდეგ გადაწყდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ არსებობა დათარიღებულიყო არა 1925 წლის 8 დეკემბრიდან, არამედ 1921 წლის 13 აგვისტოდან. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1972 წლის 29 ნოემბერს, „მოლოდიოჟ გრუზიისთან“ ერთობლივად, სახელმოდ აღინიშნა „ახალგაზრდა კომუნისტის“ არსებობის 50 წლისთავი და ორივე გაზეთი. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, ხოლო 1982 წელს, 60 წლისთავზე — „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

„მოლოდიო რაბოჩი“ 1926 წელს საქართველოს აღკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო იყო და სამ დღეში ერთხელ

გამოდიოდა 9 ათასი ცალის რაოდენობით. 1928—1929 წლებში მას „მოლოდიო ლენინეცი“ ერქვა (ყოველკვირეული, ტირაჟი 14—17 ათასი ცალი). 1930 წელს კი საკ. ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანო გახდა და ისევ „მოლოდიო რაბოჩი“ ეწოდა (იბეჭდებოდა 10—50 ათასი ცალი და როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში ვრცელდებოდა). ასე იყო 1936 წლის 12 აგვისტომდე — ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებამდე, როცა მის ნაცვლად გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო „მოლოდიო სტალინეცი“ (1942—1944 წლებში, ისევე როგორც „ახალგაზრდა კომუნისტი“, არ გამოდიოდა, განახლდა 1945 წლის 17 სექტემბრიდან). ამჟამად — „მოლოდიოჟ გრუზიი“. მათი პერიოდულობა იცვლებოდა ყოველდღიურიდან სამდღიურამდე. ასევე ცვალებადი იყო ტირაჟი და გვერდების რაოდენობა. დღეს „მოლოდიოჟ გრუზიი“ ერთდროულად 40 ათასი ცალი იბეჭდება.

სხვადასხვა დროს რუსული „სპარტაკის“, „იუნოშესკაია პრავდას“, „მოლოდიო რაბოჩის“, „მოლოდიო ლენინეცის“, „მოლოდიო სტალინეცისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორები იყვნენ ვ. კუპრაძე, ი. გოლუბევი, მ. ჩაუსკი, პ. ორეხოვი, ა. ვოლფენზონი, გ. სემიონოვი, ბ. შატბეროვი, გ. ლებანიძე, მ. კაკაბაძე, ბ. კოკოშვილი, ო. ქინქლაძე, გ. ბედინეიშვილი, ა. სანებლიძე, ო. ლორთქიფანიძე, ვ. ანასტასიადი. ამჟამად გაზ. „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორია დ. წულაძე.

ბავშვთა კომუნისტური აღზრდა მუდამ იყო კომკავშირის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. ახალი სულიერი საზრდოთი მათ უზრუნველსაყოფად 1924 წელს გამოვიდა ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური და თბილისის ბიუროების ორკვირეული ორგანო „ახალგაზრდა პიონერი“. მას განაგებდა მწერლებისა და პედაგოგებისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია. აღრიცხულია მისი მხოლოდ სამი ნომერი, თითოეული 4—8 გვერდი. 1924—1926 წლებში გამოდიოდა აგრეთვე განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საბავშვო ჟურნალი „წითელი სხივი“. მისი გამომცემელი „სახელგამი“ იყო. დაიბეჭდა 23 ნომერი.

ამ ორგანოებმა ნიადაგი მოამზადეს ბავშვთა მუდმივი პერიოდული გამოცემების დაარსებისათვის. და, აი, 1925 წელს გამოდის ბკკ-ს ცენტრალური და თბილისის ბიუროების ყოველკვირეული გაზეთები: ქართული „ნორჩი პიონერი“ (მცირე ფორმატის 2 გვ., ტირაჟი 4000 ცალი) და რუსული „იუნი პიონერი“ (ტირაჟი 7—9 ათასი ცალი). მათ

იარსებეს 1926 წლამდე. აღრიცხულია ქართულის 58 და რუსულის 28 ნომერი.

1925 წელს გამოდიოდა ახალგაზრდობის ორი ჟურნალიც: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განსახკომის ყოველთვიური სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ორგანო „საზღვარზე" (განკუთვნილი იყო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, უშვებდა „სახელგამი", გამოსულია სამი ნაკვეთი, საერთო პაგინაციით 232 გვერდი), და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო „აქტივისტი" (ემსახურებოდა კომკავშირის ხელმძღვანელ კადრებს, გამოსულია 5 ნომერი, თითოეული 48 გვერდი).

1926 წლიდან „ნორჩი პიონერის" ნაცვლად გამოდიოდა ჟურნალი „პიონერი" (თავდაპირველად იყო განსახკომის სოციალური აღზრდის მთავარი სამმართველოს და ბკო-ს ცენტრალური ბიუროს ორკვირეული, ხოლო 1933 წლიდან — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განსახკომის ყოველთვიური ორგანო). სამამულო ომამდე რეგულარულად გამოდიოდა 24 გვერდი, 13—28 ათასი ცალი. 1942—1944 წლებში შეწყდა. განახლდა 1945 წლიდან და სადღეისოდ რესპუბლიკაში ერთ-ერთი მასობრივი ჟურნალია — მისი ტირაჟი 120 ათასს აღემატება. სხვადასხვა დროს „პიონერის" რედაქტორები იყვნენ შ. რადიანი, ვ. ლუარსამიძე, ა. სულავა, ი. აბაშიძე, ელ. აგლაძე, თ. გელიაშვილი, ი. დულარიძე, გ. კაჭახიძე, ლ. ჭიჭინაძე, რ. მარგიანი, მ. მაჭავარიანი, ამჟამად — ბ. შელია.

სამამულო ომამდე ქართული „პიონერის" პარალელურად გამოდიოდა აგრეთვე სომხური საბავშვო ჟურნალი „კარმირ წილერი" და აზერბაიჯანული — „ენი-კიუვე".

გამოიკვეთა ახალგაზრდობის საერთო პოლიტიკური ჟურნალის სახეც. 1927 წლიდან გამოსვლას იწყებს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების ყოველთვიური პოლიტიკური ორგანო „ახალგაზრდა ბოლშევიკი". 1933—1934 წლების სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია: „ჟურნალი არკვევს სოციალიზმის მშენებლობისა და განსაკუთრებით კულტურული რევოლუციის პრაქტიკულ საკითხებს ლენინური თეორიის თვალსაზრისით; აქვეყნებს მსოფლიო მუშათა კლასის, კერძოდ, ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის მდიდარ მასალას; დახმარებას უწევს კომკავშირის მასას პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობის, გამოცდილების, დირექტივების და სახელმძღვანელო განმარტებანი მიწოდებით..."

„ახალგაზრდა ბოლშევიკს" ჰყავდა სარედაქციო კოლეგია. რედაქტორად ითვლებოდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რედკოლეგიის წევრებად — ცენტრალუ-

რა კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორები და სხვ. ფაქტიურად ჟურნალს განაგებდა პასუხისმგებელი მდივანი. ამ პერიოდში მე მეკავა ეს თანამდებობა და კარგად მახსოვს, რომ „ახალგაზრდა ბოლშევიკის“ ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მას არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, არამედ საზღვარგარეთაც იწერდნენ; ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1935 წელს ხელისმოწერა იმპერიალისტური იაპონიის მიერ ოკუპირებული მანჯურიის დედაქალაქიდან — ხარბინიდანაც მივიღეთ, სადაც თურმე რაიონი ავლაბარიც ყოფილა. როგორც გამოირკვა, რუსეთ-მანჯურიის საკონცესიო რკინიგზაზე საბჭოთა მოქალაქეებს შორის ქართველებიც ყოფილან და ისინი კითხულობდნენ ჩვენს ჟურნალს.

1935 წლიდან „ახალგაზრდა ბოლშევიკს“ ქვესათაურად ეწერა: „საქ. ალკკ ცკ-ისა და თბილისის კომიტეტის ორგანო. კომკავშირის აქტივის სახელმძღვანელო ჟურნალი“. 1941 წლამდე იგი რეგულარულად გამოდიოდა 3—9 ათასი ცალი საშუალო ტირაჟით. თითოეული ნომერი 64 გვერდს შეიცავდა. ჟურნალი თავის გარშემო იკრებდა კომკავშირის თეორიულ ძალებს. სამამულო ომის წლებში შეწყდა მისი გამოცემა და შემდგომ აღარ განახლებულა.

1927—1928 წლებში გამოდიოდა აგრეთვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მიწსახკომის ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი „სოფლის მეურნეობა“. ცნობილია მისი 7 ნომერი. აშუქებდა საკოლმეურნეო მშენებლობის აქტუალურ საკითხებს და მასში ახალგაზრდობის მონაწილეობას.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ, როდესაც დაიწყო პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენა, შესაძლებელი გახდა ახალგაზრდობისა და საბავშვო პერიოდიკის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება. ამას მოითხოვდა კულტურული რევოლუციის დაჩქარების ინტერესები. ამის შედეგად დაიბადა ბკ-ს ცენტრალური ბიუროს და განსახკომის სოც. აღზრდის მთავარი სამმართველოს ჟურნალი „ოქტომბრელი“, მცირეწლოვანი ბავშვებისათვის (სკოლამდელთათვის). მ-ს ქვესათაურში აღნიშნული იყო, რომ იგი გამოდიოდა 1904—1927 წლების საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ ნაცვლად. 1936 წლიდან „ოქტომბრელი“ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განსახკომის ყოველთვიური ჟურნალი გახდა. სამამულო ომამდე რეგულარულად გამოდიოდა 10—18 ათასი ცალი საშუალო ტირაჟით. 1942—1944 წლებში შეწყდა მისი გამოცემა და განახლდა 1945 წლიდან. ამჟამად მას „დილა“ ეწოდება და ქართულ ჟურნალებს შორის ყველაზე მა-

სობრივია — იბეჭდება ერთდროულად 150 ათას ცალამდე. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ბ. ჭაჭიაშვილი, ლ. ჭიჭინაძე, რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი, ჯ. ჩარკვიანი, მ. მაჭავარიანი. ამჟამად ჟურნალ „დილას" მთავარი რედაქტორია ე. ნიჟარაძე.

30-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1931 წელს საქართველოს ბკო-ს ცენტრალური და თბილისის ბიუროების ხუთდღიური ორგანოს გაზეთ „ნორჩი ლენინელის" გამოსვლა. 1936 წლიდან იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო გახდა. სამამულო ომის წინ რეგულარულად გამოდიოდა. 1942—1944 წლებში, სხვა გამოცემებთან ერთად, „ნორჩი ლენინელის" გამოცემაც შეწყდა და 1945 წელს განახლდა. 1937 წელს გაზეთის საერთო ნომერაციაში დაშვებულ იქნა შეცდომა — № 347-ის ნაცვლად ეწერა № 251 და 1972 წლამდე ასე გრძელდებოდა. ამ ნარკვევის გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ ეს ნაკლი გამოსწორდა.

სხვადასხვა დროს „ნორჩი ლენინელის" რედაქტორები იყვნენ ა. გველესიანი, ლ. წერეთელი, მ. თომაძე, თ. გელიაშვილი, გ. ფირცხალავა, ელ. აგლაძე და სხვ. დაარსების პირველი წლებიდან ამ გაზეთში მუშაობს და აგერ თითქმის ნახევარი საუკუნეა მისი უცვლელი რედაქტორია ი. ცერცვაძე.

დღეს ჩვენი ბავშვების საყვარელი გაზეთი „ნორჩი ლენინელი" რესპუბლიკის ერთ-ერთი მასობრივი გაზეთია და მისი ერთჯერადი ტირაჟი 400 ათას ცალს აღემატება.

აღსანიშნავია, რომ ქართული საბავშვო პერიოდიკის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ამაგდარ მწერლებს ნ. ნაკაშიძეს, მ. ჯანს, ი. სიხარულიძეს, ა. ღვინიაშვილს, დ. დეკანოზიშვილს, კ. გოგიაშვილსა და სხვ., რომლებიც წლების მანძილზე რედაქციებში მუშაობის გარდა რეგულარულად თანამშრომლობდნენ მათში.

ზემოაღნიშნული რესპუბლიკური ორგანოების გარდა, იყო საოლქო და საქალაქო კომკავშირული გაზეთებიც. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ჭიათურაში გამოდიოდა გაზეთი „ახალგაზრდა მაღაროელი", რომლის გამოცემის ინიციატორი და პირველი რედაქტორი იყო საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ძველი მოღვაწე ა. მახათაძე (უცნობია როდემდის იარსება და რამდენი ნომერი გამოვიდა). 1932—1941 წლებში გამოდიოდა საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის (1937 წლის 9 მარტიდან ოლქკომისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის) ექვსდღიური გაზეთი „ახალგაზრდა ლენინელი" (მცირე ფორმატის 4 გვ., ტირაჟი 3 ათასი ცალი). აღრიცხულია 443 ნომერი. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ კ. ლომაძე, ვ. სანიკიძე,

ა. ხახუტაშვილი. საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების ორკვირეული გაზეთი „აფხაზეთის კომკავშირელი" კი 1934—1941 წლებში გამოდიოდა. 1934—1939 წლებში ის მხოლოდ რუსული იყო, შემდეგ ქართულ-რუსული. იბეჭდებოდა მცირე ფორმატის ქაღალდის 4 გვერდზე, გამოსულია 521 ნომერი. მისი რედაქტორი იყო ა. ბაღათურია. საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ექვსდღიური გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი" მხოლოდ 1934—1935 წლებში გამოდიოდა (4 გვ., 3 ათასი). ცნობილია მისი მხოლოდ 10 ნომერი. რედაქტორად ითვლებოდა საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. ჩხეიძე.

ადგილებზე იყო მრავალტირაჟიანი კომკავშირული გაზეთებიც. მაგალითად, 1934—1935 წლებში თელავის პედაგოგიური ტექნიკუმის ალკკ კომიტეტი პროფკომთან ერთად უშვებდა ყოველკვირეულ 4-გვერდიან გაზეთ „წითელ პედაგოგს". ცნობილია მისი 7 ნომერი, ტირაჟი — 300 ცალი.

გამოდიოდა დარგობრივი გაზეთები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებთან ერთად კომკავშირსაც ეკუთვნოდა. მაგალითად, წლების შანძილზე არსებობდა ფიზკულტურის კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალები „ფიზკულტურელი", „ფიზკულტურა და თავდაცვა" და სხვ. „რადიო-გაზეთი" (1935 წელი, № 1, 4 გვ.) და „რადიო-პროგრამები" (1935—1936 და 1940—1941 წლები) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემების კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რადიოს ხელშემწყობი კომისიის ორგანოები იყო. დეკადური 2—4-გვერდიანი გაზეთის სახით „პროგრამები" 57 ნომერი გამოვიდა (თითოეული 250—500 ცალი), 1936 წელს კი 16—32 გვერდიანი ბროშურების სახით გამოდიოდა ნომრის აღუნიშნავად. გამოცემა ქართულ-რუსული იყო.

კომკავშირის რესპუბლიკური ორგანოების გამსვლელი რედაქციების გამოცემებიდან შეიძლება დავასახელოთ: „კომკავშირი კოლექტივიზაციის ფრონტზე" (სიღნაღი, 1930 წლის იანვარ-თებერვალი, გამოვიდა 5 ნომერი, თითოეული 4 გვ., ტირაჟი 1000 ცალი) — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" კახეთის ოლქში მომუშავე ბრიგადისა და საქართველოს ალკკ კახეთის საოლქო კომიტეტის გამოცემა; „კოლხოზნიე რებიატა" და „პიონერსკაია პრავდა" საქართველოში (ქუთაისი, 1932 წლის 17 აპრილიდან 15 მაისამდე გამოვიდა 7 ნომერი, თითოეული 2 გვ., ტირაჟი 2600 ცალი) — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდღიური საბავშვო გაზეთი, რომელსაც უშვებდა საქართველოში მყოფი საბავშვო ჟურნალ „კოლხოზნიე რებიატას" და გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" გაერთიანებული გამსვ-

ლელი რედაქცია საქართველოს ალკკ ქუთაისის სამაზრო კომიტეტთან ერთად; „ახალგაზრდა კომუნისტი“ (1934 წელი, №№ 1—3, თვითეული 4 გვ., ტირაჟი 1000 ცალი) — გამსვლელი რედაქციის ერთიდროული ნომრები სიღნაღისა და თელავის რაიონებში: „ახალგაზრდა კომუნისტი“ (თბილისი, 1939 წლის 18 ოქტომბერი, № 1, 2 გვ.) — გამსვლელი რედაქციის გამოცემა: „ახალგაზრდა კომუნისტი“ (წითელწყარო, 1939 წლის 4—19 ნოემბერი, №№ 1—4 თითოეული 4 გვ.) — გამსვლელი რედაქციის გაზეთები შირაქის ნავთობის მრეწველობის სარეწებზე: „ახალგაზრდა კომუნისტი“ (ფოთი, 1940 წლის 3—24 ნოემბერი, №№ 1—7, თითოეული 4 გვ., პ/მგებ. რედ. ვ. ჯავახიშვილი) — გამსვლელი რედაქციის გაზეთი; „ნორჩი ლენინელი“ (თბილისი, 1940 წლის 27 ივნისი, № 1, 2 გვ., პ/მგებ. რედ. ელ. აგლაძე) — გამსვლელი რედაქციის გაზეთი.

ერთდროული კომკავშირული გაზეთებიდან აღსანიშნავია: „ახალგაზრდა კომუნისტი“ (ფოთი, 1921 წლის 18 ივნისი, № 1, 2 გვ.) — საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომიტეტის ერთდღიური გაზეთი; „წითელი მეზღვაური“ (თბილისი, 1922 წელი, № 1, 1300 ცალი, ქართულ-სომხურ-რუსული) — საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის მე-4 რაიონის მბეჭდავთა იაჩეიკის გამოცემა წითელი ფლოტის კვირეულთან დაკავშირებით; „კომინტერნის დროშის ქვეშ“ (თბილისი, 1924 წლის 28 ოქტომბერი, № 1, 50 გვ.) — ერთდროული გამოცემა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა სრულიად საქართველოს ყრილობის წლისთავისათვის; „ნორჩ ლენინელებს“ (1924 წლის 28 აგვისტო, № 1, 2 გვ.) — ერთდროული გამოცემა ნორჩ ლენინელთა თბილისის პირველი კონფერენციისათვის; „წითელი ვარსკვლავი“ (1924 წელი, № 3) — საქართველოს ალკკ ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ერთდროული საიუბილეო გამოცემა სამაზრო კონფერენციისათვის; „ა. ს. დ. XV МІОД“ (ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე). ინტერნაციონალური კავშირი (თბილისი, 1929 წლის 1 სექტემბერი, № 5, 4 გვ., 1300 ცალი, ქართულ-რუსული) — ალკკ ქალაქის რაიონის კომკავშ. ორგ. და მბეჭდავთა უჯრედის ერთდროული გაზეთი; „იერიში“. „Штурм“ (თბილისი, 1929 წლის 17 აგვისტო, № 1, 4 გვ, ქართულ-რუსული) — სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის ბიუროკოლექტივის ერთდროული გაზეთი: „ტფილისის მუშკოოპის კომკავშირის პატაკი საქართველოს ალკკ მე-10 ყრილობას“ (1930 წლის დეკემბერი, № 1, 4 გვ.) — ერთდროული გაზეთი; „ლენრაიონი საქართველოს ალკკ X ყრილობას“ (1930 წლის 29 დეკემბერი, № 1, 4 გვ., ქართულ-რუსული) — საქართველოს ალკკ ლენინის სახ. რაიკომის ერთდროული გაზეთი: „ნორჩი დამკვრელი“ (თბილისი, 1931 წლის 31 დეკემბერი. № 1, 2 გვ., 1000 ცალი, ქარ-

თულ-სომხურ-რუსული) — სტალინის სახ. რაიკომის ბკო-ს ერთდროული გაზეთი; „ნორჩი ლენინელი“ (თბილისი, 1931 წელი, № 1, 2 გვ., 1000 ცალი) — საქართველოს ბკო-ს ცენტრალური ბიუროს ერთდროული გაზეთი; „კულტესტაფეტა“ (1931 წლის 17 აპრილი, № 1, 2 გვ.) — საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კულტესტაფეტის შტაბის ორგანო; „ახალგაზრდა ლენინელი“ (ქუთაისი, 1931 წლის 26 ივლისი, № 1, 4 გვ.) — საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ერთდროული გაზეთი, მიძღვნილი მე-5 პლენუმისადმი; „ბიულეტენი“ (თბილისი, 1932 წლის 16 მარტი, № 1, 2 გვ., ქართულ-რუსული) — საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახ. რაიკომის ერთდროული გამოცემა, მიძღვნილი კომკავშირული ბილეთების გამოცვლისადმი; „საკავშრო მანდატებისათვის“ (თბილისი, 1932 წლის 1 აპრილი, № 1, 4 გვ., 1500 ცალი) — პედინსტიტუტის ალკკ ბიუროკოლექტივის ერთდროული გაზეთი; „კომკავშირული კადრებისათვის ბრძოლაში“ (თბილისი, 1932 წელი, № 1, 4 გვ.) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის ბიუროკოლექტივის ერთდროული გაზეთი; „დამკვრელი კომკავშირელი“ (თბილისი, 1932 წლის ივნისი, № 1, 4 გვ., ქართულ-რუსული) — საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახ. რაიკომის ერთდროული გაზეთი; „15 წელი“ (თბილისი, 1932 წლის 25 ოქტომბერი, № 1, 4 გვ., 1000 ცალი, ქართულ-რუსული) — საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის სპეციალური გაზეთი, მიძღვნილი საქართველოს კომკავშირის მე-15 წლისთავისადმი; „ტექნიკის დაუფლებისათვის“ (თბილისი, 1933 წლის 7 ნოემბერი, № 1, 4 გვ., 1000 ცალი, ქართულ-რუსული) — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ერთდროული გამოცემა ოქტომბრის რევოლუციის მე-17 წლისთავთან დაკავშირებით; „შეტევა“ (თბილისი, 1933 წელი, № 1, 2 გვ., 6000 ცალი) — „სახელგამის“ კომკავშირის უჯრედის ერთდროული დასურათებული გაზეთი, მიძღვნილი კომკავშირის მე-15 წლისთავისადმი; „ლენინური ტემპით“ (თელავი, 1933 წლის მარტი, №№ 1 და 2, თითოეული 4 გვ.) — საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის ერთდროული გაზეთი, მიძღვნილი კომკავშირის ძირეული ორგანიზაციების საანგარშო-საგადარჩევო კამპანიისადმი; „გაუმარჯოს ახალგაზრდობის XV საერთაშორისო დღეს“ (თბილისი, 1934 წლის 1 სექტემბერი, № 1, 4 გვ.) — საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის ერთდროული გაზეთი; „იერიში“ (თბილისი, 1934 წლის 31 მარტი, № 1, 4 გვ.) — სტალინის სახ. სას.-სამ. უმაღლესი სკოლის მსუბუქი კავალერიის შტაბის ერთდროული გაზეთი; „პიონერთა ბიულეტენი“ (აბაშა, 1934 წლის 17 აპრილი, № 1, 4 გვ.) — სამანქანო-სატრაქტორო სადგურის

პოლიტგანყოფილებისა და ბკო-ს ბიუროს ერთდროული გაზეთი: „ახალგაზრდა კომუნისტი“ (თბილისი, 1935 წლის ივლისი,№№ 1 და 2, თითოეული 2 გვ., დასურათებული) — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტთან“ არსებული რესპუბლიკური კომისიის ბიულეტენი, მიძღვნილი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მესამე საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისადმი: „ახალგაზრდა თვითშემოქმედი“ (ზუგდიდი, 1935 წლის 10 აპრილი, № 1, 4 გვ., 1000 ცალი, დასურათებული) — საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის ერთდროული გაზეთი: „ახალგაზრდა ლენინელი“ ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში“ (ბათუმი, 1936 წლის იანვარი, №№ 1—7) — საქართველოს ალკკ ჩაქარის საოლქო კომიტეტის ერთდროული გაზეთები: „ბრძოლის დროშა“ (ჩოხატაური, 1936 წლის 4 იანვარი, № 1, 2 გვ., 2 ათასი ცალი) — საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიკომის ერთდროული გაზეთი და სხვ.

ეს მიმოხილვა, ცხადია, სრული არ არის, მით უმეტეს, რომ ომისშემდგომი პერიოდის ერთდროულ გამოცემებს არ მოიცავს (თუმცა ასეთები შედარებით იშვიათად გვხვდებოდა), მაგრამ სავსებით საკმარისია იმ დიდი და ნაყოფიერი საქმიანობის წარმოსადგენად, რასაც საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები ეწეოდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ამ გაზეთებისა და ჟურნალების სასახელოდ ისიც საკმარისია, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, ჟურნალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მათ ფურცლებზეა აღზრდილი.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ კახეთში

(ჟურნალისტის მოგონება)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე კომკავშირული ბეჭდვითი ორგანოები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზდისა და ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ახალგაზრდა კომუნისტის“ როლი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის ახალგაზრდობის მობილიზაციის საქმეში.

ეს ფრონტი საერთოდ ძალზე რთული და წინააღმდეგობრივი იყო. ამიტომ შევეხებით მის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ უბანს — კახეთს.

კახეთის გლეხობის ძირითადი მასა, უწინარეს ყოვლისა, სოფლის ახალგაზრდობა კომკავშირის მეთაურობით მხურვალედ გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. დაარსდა საწარმოო კოოპერატივები („სოფლის კავშირი“, „წარმოკავშირი“) და საკრედიტო ამხანაგობები, რომელთაც ფართო მოხმარების საქონელთან ერთად სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სასუქი შეჰქონდათ სოფლად და კონტრაქტაციის წესით თესლსა და კრედიტებს აძლევდნენ თავიანთ წევრებს.

ეს იყო ჩვენს პირობებში ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელების პირველი ნაბიჯები. მალე ამ ბაზაზე ჩამოყალიბდა ჯგუფური ამხანაგობები და დაიწყო მიწის კოლექტიური დამუშავება. სიძნელეები, რა თქმა უნდა, დიდი იყო, მაგრამ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია — ორ-სამ წელიწადში მარტივი ტიპის კოლექტივები მომრავლდნენ, მომძლავრდნენ, საინტერესო და მიმზიდველი გახდნენ ღარიბი გლეხობისა და ყოფილი მოჯამაგირეებისათვის, გამსხვილება იწყეს. ჯერ კიდევ ოციანი წლების მეორე ნახევარში რესპუბლიკის

ფარგლებს გასცილდა ს. ორჯონიკიძის სახელობის ქედის კომუნის სახელი, რომელსაც საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი კობა ჩიხელი თავკაცობდა. ფართო რეზონანსი ჰქონდათ აგრეთვე ველისცხის კომუნას, ქისტაურის, ყვარლის, გურჯაანის, ქვემო მაჩხაანის, არბოშიკის, ბოდბისხევის, კარდანახის, ანაგის, საქობოს, ნუკრიანისა და სხვა სოფლების არტელებს.

მაგრამ ძველი იოლად როდი თმობდა პოზიციებს. ახალი ცხოვრების ჩანასახებთან ერთად მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლა. ეს პროცესი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ყოფილ სიღნაღის მაზრაში, რომელიც ახლანდელ გურჯაანის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, სიღნაღის რაიონებსა და ნაწილობრივ საგარეჯოს და ყვარლის რაიონების ტერიტორიას აერთიანებდა. თავისუფლებისმოყვარე ქართველობა ბატონყმობას ჩვეული არ იყო, მაგრამ კულაკური ფენა აქ მრავალრიცხოვანი და საკმაოდ გავლენიანი აღმოჩნდა. სოფლის ბოროტლები და ჩარჩ-ვაჭრები აშკარად თუ ფარულად ხელს უშლიდნენ სოციალისტური საწყისების დანერგვას, კონტრრევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ მათ წინააღმდეგ, პროვოკაციულ ჭორებს ავრცელებდნენ „საერთო საბნისა“ და „საერთო ცოლების“ შესახებ და გარდამავალი პერიოდის სიძნელეებს საბჭოთა წყობილების მანკიერებად ასაღებდნენ.

გარდა ამისა, ისინი მოქრთამვითა და დაშინებით იბირებდნენ მერყეულ საშუალო გლეხობას და სოფლის ჩამორჩენილ ელემენტებს, აშინებდნენ, ავიწროებდნენ და სდევნიდნენ მათგან განდგომილ ღარიბებსა და მოჯამაგირეებს, მავნებლობდნენ, ცეცხლს უჩენდნენ კოლექტივების ქონებას და აზიანებდნენ მათ ტექნიკას, ტყვიებით უმასპინძლდებოდნენ აქტივისტებს.

ბევრი შესანიშნავი კომუნისტი, კომკავშირელი და საკოლმეურნეო მოძრაობის ენთუზიასტი გახდა კულაკური ტერორის მსხვერპლი. მაგრამ ისტორიის ჩარხის უკან შეტრიალება უკვე აღარ შეიძლებოდა. სახალხო საქმისათვის დაღუპულთა ადგილს ახალი იდეური კადრები იკავებდნენ და უფრო მეტი შემართებით უტევდნენ მტერს — რაზმავდნენ ღარიბებსა და მოჯამაგირეებს, თვალს უხელდნენ საშუალო გლეხობას, ათავისუფლებდნენ მათ კულაკური გავლენისაგან და საერთო ძალით გამოჰყავდათ სოფელი სოციალიზმის დიდ გზაზე.

რაკი გარედან მავნებლობამ და ინდივიდუალურმა ტერორმა ვერ გაუმართლა იმედი, მტერმა შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა — ვინც უფრო გაიძვერა და მლიქვნელი იყო კოლექტივებში შეძვრომა, თბილ ადგილებზე მოკალათება და მათი შიგნიდან დასუსტება სცადა, ხოლო თავზეხელაღებულებმა იარაღი აისხეს და ტყეს მიაშურეს. გაჩნდნენ კულაკურ-კონტრრევოლუციური ბანდები, რომლებიც შფოთსა და

არეულობას იწვევდნენ, იტაცებდნენ განსაზოგადოებულ პირუტყვს, სურსათს. საშიში გახდა ოდესღაც მშვიდობიანი კახეთის გზები და ხალხმრავალი მხიარული ბაზრობები.

ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ვანო კრაწაშვილის ბანდები ალაზანგაღმა ჭიაურის ტყესა და ქვემო შირაქში, მოლაშვილის და თამაზაშვილისა — უზუნდარასა და უკანა მხარში ბოდბის კალოებზე, რამანა და ჯაფარა — შუამთასა და ყვარლის გზებზე, ქურდი ვანო — გოდაქანსა და ანაგის ხეობაში, საცერა — ფანიანში და ვინ მოსთვლის რამდენი ავაზაკი თარეშობდა და ყაჩაღურად ძარცვავდა ფოსტას, ტრანსპორტს, მგზავრებს.

1922 წელს უზუნდარაზე — გედიქის ხევში ერთ-ერთი შეტაკების დროს ბანდიტებმა ვერაგულად დახოცეს ახალგაზრდა კომუნარები ლ. ბეჟაშვილი, გ. გიგოლაშვილი, ვ. გომელაური, ი. მესტიაშვილი და დ. ტუხაშვილი, რომელთა საძმო საფლავი სიღნაღის ცენტრალურ ბაღშია. მას შემდეგ დიდმა დრომ განლო, მაგრამ დღემდე წარუშლელია ჩემში ბავშვობის შთაბეჭდილება მაზრის მშრომელთა მრისხანე სამგლოვიარო მიტინგისა, რომელზეც კომკავშირელებმა ფიცი დასდეს შური ეძიათ მტერზე.

1923 წელს კი ბანდიტებმა შეიპყრეს და წამებით მოკლეს სოფ. ბოდბის პარტუჯრედის მდივანი გ. ჩუთლაშვილი. კომუნისტებსა და კომკავშირელებზე თავდასხმები მოხდა აგრეთვე გურჯაანში, ველისციხეში, ვარდისუბანში, ლაგოდეხში, ბოდბისხევში, ჯუგაანში, ვეჯინში, საქობოში, ჭოტორში, ასანურსა და სხვა სოფლებში.

ამას მოჰყვა 1924 წლის მეწშევიკური გამოსვლები. აჯანყების ორგანიზატორებს ამგვარი ბანდებისა და კულაკობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. პარტიის მოწოდების პასუხად კომუნისტებსა და კომკავშირელებს მხარში ამოუდგა მაზრის მთელი მშრომელი მოსახლეობა და გამოსვლები ძირშივე იქნა ჩახშობილი, ხოლო ბანდები — ლიკვიდირებული. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა იმხანად სიღნაღის მაზრის საგანგებო კომისიის უფროსის პოსტზე მყოფმა უშიშარმა ჩეკისტმა გოგია დევდარიანმა.

80-იანი წლების ახალგაზრდობას შეიძლება არც კი გაეგონოს სიტყვები „ჩონი", „მარქაფი" და სხვ., მაგრამ მაშინ ისინი საკმაოდ პოპულარული იყო და პარტიის ადგილობრივ საბრძოლო ერთეულებს შეადგენდნენ. მამებსა და უფროს ძმებთან ერთად მათში გაერთიანებული იყვნენ მაღალი იდეური შეგნებისა და მებრძოლი სულის, ბედნიერი მომავლის მტკიცე რწმენის მქონე პირტიტველი ჭაბუკები, რომლებიც არა მარტო მძიმე შრომით აგებდნენ სოციალიზმის საძირკველს, არამედ შაშხანითა და წიგნით ხელში, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს. მთელს კახეთ-

ში ცნობილი იყო მიხო ციციშვილის რაზმი, რომელიც თავზარსა სცემდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, მის უმრავლესობას კომკავშირელები შეადგენდნენ.

მომხდარმა ამბებმა, ცხადია, ერთგვარად შეაფერხეს კოლექტივიზაციის ტემპი, მაგრამ მალე იგი გაათკეცებული ენერგიითა და მეტი გამოცდილებით წარიმართა. ამას ხელს უწყობდა ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცება და მუშათა კლასის პრაქტიკული დახმარება გლეხობისადმი შეფობისა და შაბათობების სახით. მასობრივი კოლექტივიზაციის წლებში თბილისის წარმოება-დაწესებულებების პარტიულ-კომკავშირული მუშაკების, ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების მრავალათასიანი არმია დაიძრა საქართველოს სოფლებისაკენ. ისინი აქტიურად ჩაებნენ საკოლმეურნეო მოძრაობაში და უაღრესად დიდი როლი შეასრულეს მისი მექანიზაციის ბაზის — სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შექმნაში.

დღეს რუსთაველის პროსპექტზე ხშირად დაინახავთ დინჯად მიმავალ ახოვან ჭაღარა კაცს — შალვა სიმონიშვილს. იგი ყოფილი არსენალის მუშა, ერთ-ერთი „ხუთათასიანელია", რომელიც იმ სამხსოვრო დროს სხვებთან ერთად კახეთში მოხვდა როგორც მუშათა კლასის წარგზავნილი — იყო იქ კომკავშირულ სამუშაოზე და შემდეგ პარტიულ-სამეურნეო მუშაკის გრძელი გზა განვლო.

კოლექტივიზაციისადმი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის მიახლოებისა და გაძლიერების მიზნით 1928 წელს სიღნაღისა და თელავის მაზრები გაერთიანდა და შეიქმნა კახეთის ოლქი ცენტრით გურჯაანში. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ძალები შეემატა კომკავშირსაც. მას სათავეში ჩაუდგნენ საოლქო კომიტეტის მდივანი, ძველი კომკავშირელი ალიოშა წიფურია და სხვა გამოცდილი მუშაკები.

„ახალგაზრდა კომუნისტს" კახეთში მუდამ საკმაოდ ძლიერი ახკორთა ბირთვი ჰყავდა: ა. კოკილაშვილი (არკო) თელავში, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ს. სააკოვი (აკიელი), ამ სტრიქონების ავტორი და ბევრი სხვა სიღნაღში, რომლებიც კარგად აშუქებდნენ მის ფურცლებზე ბობოქარი მხარის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას. მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პროცესში ძველი კოლექტივების გამოცდილების შესწავლა-განზოგადებასა და გავრცელებაში მათ დასახმარებლად რედაქციამ 1928 წელს კახეთში მიავლინა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა დიდი ჯგუფი. ისინი ადგილობრივ კომკავშირულ მუშაკებსა და ახკორებთან ერთად დიდხანს ეცნობოდნენ ქედის კომუნას და სხვა მოწინავე არტელებს. ამის შედეგად პოეტმა ფრიდონ ნაროუშვილმა ქართულ ლიტერატურაში პირველმა დაწერა ლექსების ციკლი საკოლმეურნეო ცხოვრება-

დან, ხოლო კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა თავისი „ახალი გლეხები“.

1929 წლის დამლევს „ახალგაზრდა კომუნისტი“ წერდა „კახეთი კოლექტივიზაციის წინა ხაზიაო“ და ფართოდ აშუქებდა კომკავშირის ინიციატივით განხორციელებულ მნიშვნელოვან წამოწყებებს. ოქტომბერში იქ ჩატარდა მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე და მოეწყო რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, რომლებშიც ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო და წარმატებით აჩვენა არტელების მიღწევები. ამ ღონისძიებებს დაესწრნენ სხვა ოლქებისა და მაზრების წარმომადგენლებიც, აგრეთვე თბილისელი მოსწავლეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. 8 ნოემბერს მოეწყო ოლქის ახალგაზრდობის გრანდიოზული შაბათობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი სახელოსნოების დასახმარებლად. შაბათობაში მონაწილეობისათვის თბილისიდან ჩამოვიდა საწარმოთა ასობით კომკავშირელი საკუთარი ინსტრუმენტითა და სათადარიგო ნაწილებით. 9 ნოემბერს კი ასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა იმუშავა ალაზნის არხის მშენებლობაზე და სატრაქტორო კოლონის შესაძენად 5 ათასი მანეთი გამოიმუშავეს.

დეკემბერში გაიმართა „მსუბუქი კავალერიის“ რაიონული შეკრებები და კოლმეურნეობებში გაერთიანებული ახალგაზრდობის კონფერენციები, რომელთა მსჯელობის მთავარი საგანი იყო „საქართველოს კომკავშირის მესამე კონფერენციის დადგენილებათა რეალიზაცია კოლმეურნეობათა მშენებლობაში კომკავშირის და უპარტიო ახალგაზრდობის ჩაბმის და მდგომარეობის შესახებ“. ამ ფორუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „კოლექტივიზაციის ტემპის ზრდასთან ერთად ძლიერდებოდა კულაკობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“, რასაც ხშირად ხელს უწყობდა მემარჯვენეთა ანტიპარტიული პრაქტიკა კოლექტივების მოწყობისა და გაძღოლის საქმეში.

დელეგატები მკაცრად აკრიტიკებდნენ ბიუროკრატიზმისა და კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების ფაქტებს. ასახელებდნენ საკრედიტო ამხანაგობებსა და მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც თესლს არ აძლევდნენ ახალ კოლმეურნეობებს იმ დროს, როცა მათ ხორბალი ნავებში ულპებოდათ. ამის შედეგად ზოგან მოხნული მიწები დაუთესავი დარჩა. იყო ამის საწინააღმდეგო შემთხვევებიც: რამდენიმე ჯგუფურმა ამხანაგობამ მანქანების უქონლობის გამო მიწები ვერ მოხნა და მომზადებული თესლი გამოუყენებელი დარჩა. ამ დროს კი სოფ. ბოდბეში სასოფლო-სამეურნეო მანქანები ღია ცის ქვეშ ეყარა და ავდრისაგან ჟანგდებოდა, ხოლო სოფ. ასანურში არტელის მანქანებით კულაკების მიწებს ხნავდნენ.

ზოგიერთ სოფელში კოლმეურნეობაში არ იღებდნენ ახალგაზრ-

დებს, რომელთაც მიწა არ ჰქონდათ. ხშირი იყო შემთხვევა, როცა კოლმეურნეობებში მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ ქალებსაც: „კოლექტივში ქალმა რა უნდა გააკეთოსო". ამ დროს კი კულაკები და ინდივიდუალურად დაბეგრილები, რომელთაც 40—60 ძროხა და 300—400 სული ცხვარი ჰყავდათ, მოკალათებული იყვნენ არტელებში და ინტრიგის ქსელს აბამდნენ კომკავშირელებისა და ღარიბების ჩამოსაცილებლად.

ყველა ეს საკითხი გაზეთის ფურცლებიდან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გადადიოდა და საქმის ადგილზე შესასწავლად და მოსაგვარებლად ხელმძღვანელ მუშაკებს გზავნიდნენ. იქ მათ ბევრი ნაკლი გამოავლინეს, რომელთაც „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებზე ჰპოვეს გამოხატულება.

კონფერენციების მონაწილენი და „კავალერისტები" მტკიცედ მოითხოვდნენ ცრუ კოლექტივების დაშლას, მხილებული ნაკლის გამოსწორებას და მრავალდარგოვანი გამსხვილებული არტელების შექმნას. აი რა დაადგინა სილნაღის რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდობის კონფერენციამ:

„1. თანახმად ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა თითოეულ კომკავშირის უჯრედთან ჩამოყალიბდეს კოლმეურნეობა.

2. რაიონის მასშტაბით არც ერთი კომკავშირელი არ უნდა დარჩეს კოლმეურნეობის გარეშე.

3. სავალდებულოდ იქნეს ცნობილი, რათა კოლმეურნეობის თითოეულ წევრ-კომკავშირელმა კოლექტივში ჩაბას 2—3 უპარტიო ახალგაზრდა.

4. ცრუ კოლექტივების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გათვალისწინებულ იქნეს კოლექტივების წევრთა სოციალური სიწმინდე.

5. სასწრაფოდ გაჩაღდეს კოლექტივებს შორის სოცშეჯიბრება (მაგ. საგაზაფხულო თესვის დროს და სხვ.).

6. ყურადღება მიექცეს კოლექტივების ქონების მოვლას („ახალგაზრდა კომუნისტი", 1930 წლის 5 მარტი).

ანალოგიური იყო თელავის, გურჯაანისა და სხვა რაიონების კონფერენციების მუშაობის შინაარსიც. შემდეგ გაიმართა საოლქო კონფერენცია, რომელმაც მოწოდებით მიმართა კომკავშირულ ორგანიზაციებს „აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლაში". საოლქო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ბუჯიაშვილი და ცენტრალური კომიტეტის წევრი გ. აბესაძე. შემდეგ მათ ა. წიფურიასთან ერთად დაადგინეს ოლქის ზოგიერთი მოწინავე კოლმეურნეობა და სილნაღში კომკავშირის აქტივის კრებას დაესწრნენ.

კახეთის კოლმეურნე ახალგაზრდობის მოთხოვნათა სისწორე ღ- დროულობა მალე დადასტურდა. 1929 წლის 23 დეკემბერს საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ". ამ დადგენილებაში პარტიის მრავალ პასუხსაგებ დავალებათა შორის იყო მომენტის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი: „არც ერთი კომკავშირელი კოლმეურნეობის გარეშე!".

კომკავშირის წინაშე დასახული ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანის შესასრულებლად საკმარისი აღარ იყო ახკორთა ოპერატიული მასალების ბეჭდვა და პერიოდულად ბრიგადების გაგზავნა. იმისათვის, რომ გაზეთი მოვლენების შუაგულში ყოფილიყო და შეესრულებინა ახალგაზრდობის ავანგარდის დიდი მისია, „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციამ საქართველოს ალკკ კახეთის საოლქო კომიტეტთან შეთანხმებით შექმნა გამსვლელი რედაქცია. მასში შედიოდნენ რედაქციის წარმომადგენელი პოეტი ა. ადამია, ადგილობრივი კომკავშირული მუშაკები ი. ფეიქრიშვილი, მ. მჭედლიშვილი, ამ სტრქონების ავტორი, ახკორი ს. აკიელი და სიღნაღის სტამბის მუშები ა. დავითაშვილი, გ. ბაღდასაროვი და ი. ყაჯრიშვილი.

ნახ. 5.

გამსვლელმა რედაქციამ ბინა დაიდო სიღნაღში; გარდა იქ არსებული კარგი პოლიგრაფიული ბაზისა, ამას ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ იმხანად სიღნაღის პარტრაიკომის მდივანი იყო ძველი კომკავშირელი და ყოფილი სტამბის მუშა გიორგი (ჟორა) მირიანაშვილი, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობდა კომკავშირის საქმიანობას. ოპერატიული მასალის მისაღებად კი ოლქის დიდ სოფლებში კომკავშირის უჯრედებთან ახკორთა რაზმები შეიქმნა.

ყველაფერი კარგად მოეწყო. 1930 წლის 7 თებერვალს გამოვიდა გამსვლელი რედაქციის გაზეთის „კომკავშირი კოლექტივიზაციის ფრონტზე“ პირველი ნომერი („ახალგაზრდა კომუნისტის“ ფორმატის 4 გვ., ტირაჟი 1.500 ცალი). მას ჰქონდა ანშლაგი: „ეახელთ მოლიან კოლექტივიზაციაზე! კომკავშირი მოწინავე რიგებში!“ რაზმი № 1 იუწყებოდა, რომ „სოფ. კარდანახი 1400 კომლითა და 5900 მცხოვრებით ერთ კოლექტივად გაერთიანდა. კულაკები გაძევებული არიან სოფლიდან“. რაზმი № 2-ის ცნობით წნორის თემში გლეხობა ხალხით შედიოდა კოლმეურნეობებში. 250 კომკავშირელიდან 100 უკვე არტელის წევრი გახდა. სოფ. საქობოში კულაკების ზეგავლენით ზოგიერთმა კომკავშირელმა გასახლების ნაცვლად მათი კოლექტივში მიღება მოითხოვა. რაზმი № 3-ის ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ გამსვლელი რედაქციის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფ. ბოდბის კოლექტივიზაციაში და მათი წინადადებით უზარმაზარ კოლმეურნეობას „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელი მიეკუთვნა. შემდგომში ამ კოლმეურნეობას რამდენჯერმე შეეცვალის სახელწოდება და დღეს მ. კალინინის სახელს ატარებს.

პირველ ხანებში ხელმძღვანელობა სუსტი იყო, განსაკუთრებით იგრძნობოდა კულტურული ძალების სიმცირე. ამ კამპანიის დროს ბოდბელმა კულაკებმა ულიანოვკელ სექტანტებთან ერთად რამდენჯერმე სცადეს კორესპონდენტებზე თავდასხმა.

გაზეთი თვალსაჩინოდ ასახავდა ოლქში შექმნილ ვითარებას. ყურადღებას ამახვილებდა, რომ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭირო იყო ზრუნვა კოლექტივების განმტკიცებისათვის. მოუწოდებდა კომკავშირულ ორგანიზაციებს შეფობა აეღოთ და უზრუნველეყოთ ისინი სამეურნეო ხელმძღვანელებით, საანგარიშო დარგის კადრებითა და კულტმუშაკებით. რედაქცია ავალებდა რაზმებს გამოერკვიათ როგორ მიმდინარეობდა ახალგაზრდობის პოლიტსწავლება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ადგილობრივი ძალებით მოეწყოთ კოლმეურნეთა კულტმომსახურება: საღამო-წარმოდგენები, ჟურნალ-გაზეთების ხმამაღლა კითხვა, გამოეშვათ კედლის გაზეთები და სხვ.

მეოთხე გვერდზე თვალსაჩინო შრიფტით დაბეჭდილი იყო იმ დროს ყველასათვის საინტერესო ცნობა: „ვინაიდან დღეს ანგარიშწარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის, სიღნაღის სტამბის კომკავშირელებმა შექმნეს სპეციალური ბრიგადა და დაკვრითი წესით ამზადებენ დავთრებს, ორდერებს, ტაბელებს, ქვითრებს, შტამპებსა და ბეჭდებს“.

გაზეთი გამოდიოდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ხარჯზე და უფასოდ ვრცელდებოდა. საჭირო

ქაღალდი, კამპანიასთან დაკავშირებული ლიტერატურა, ლოზუნგები და პლაკატები თბილისიდან მოდიოდა.

გამსვლელი რედაქცია გაზეთის გამოშვების გარდა აწყობდა დისპუტებს, მოხსენებებსა და საუბრებს პარტიის პოლიტიკის, პროლეტარული მწერლობისა და ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. დიდძალი ხალხი დაესწრო 1930 წლის 3 მარტს სიღნაღის ათწლედის დარბაზში გამართულ ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა გმირების ლიტერატურულ გასამართლებას.

ამ საქმეს არავინ წარმართავდა და ისინი კითხულობდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ამიტომ იგრძნობოდა მავნე, პორნოგრაფიული ლიტერატურის გავლენა, რასაც მტრული ძალები ავრცელებდნენ. ამაში დაგვარწმუნა ლაგოდეხის მოსწავლე ახალგაზრდობის ჯგუფის „რწყილი და ჭიანჭველას" საქმემ, რომელიც პარტიის სამაზრო კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ დ. ლაგაზიძემ შეისწავლა, და სხვა ავადმყოფურმა მოვლენებმა (ეკლესიაში ნათლობა, რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა, სხვადასხვა მეშჩანური ჩვევები). კომკავშირულმა გაზეთმა ყურადღება გაამახვილა ამ მიმართებით და გამსვლელი რედაქციის ინიციატივით სიღნაღში, თელავსა და ლაგოდეხში ჩამოყალიბდა პროლეტარული მწერლების ნაწარმოებთა მკითხველი ახალგაზრდობის ლიტერატურული წრეები.

„ახალგაზრდა კომუნისტის" ანალოგიურად, გაზეთი „კომკავშირი კოლექტივიზაციის ფრონტზე" ყურადღებას ამახვილებდა მთლიანად კოლექტივიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებების გამოსწორებასა და კლასობრივი სიფხიზლის გამახვილების საკითხებზე.

1930 წლის გაზაფხულზე, პირველი ბოლშევიკური თესვის კამპანიის დროს, კულაკებმა კვლავ თავი წამოყვეს. უკანა მხარის სოფლებიდან მათ შიკრიკები აფრინეს ივრის პირას — უდაბნოში ზამთრის სადგომებში მყოფ მწყემსებთან პროვოკაციული ცნობით: „გვიშველეთ, ცოლშვილს გვიხოცავენო". სოფლის ამბებს მოწყვეტილმა ჭაბუკებმა იარაღი აისხეს, ცხენებს მოასხდნენ და ბულაყებზე (ქვემო ნუკრიანში) გაჩნდნენ. იქ განუსჯელად დახოცეს სოფ. ჭოტორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. ნადირაშვილი, კომკავშირის უჯრედის მდივანი გ. კრაწაშვილი და ულიანოვკელ კოლმეურნეთა ნაცადი ხელმძღვანელი, ძველი ბოლშევიკი ი. ბელიკოვი. შინ რომ მივიდნენ, ყველაფერი რიგზე დახვდათ, მაგრამ სინანული და დამნაშავის ძებნა უკვე გვიან იყო და ცხვარში დაბრუნების ნაცვლად ტყეს შეაფარეს თავი.

კულაკების პროვოკაციებისა და თავხედობის მოთმენა მეტი აღარ შეიძლებოდა. გლეხობა მოითხოვდა მტრის ალაგმვას და მშვიდობია-

ნი შრომის პირობების შექმნას. გადაწყდა განკულაკების დაჩქარება. მაგრამ მათი ახალ საცხოვრებელ ადგილზე გამგზავრების დროს დაშვებულ იქნა ახალი შეცდომა, რასაც ახალი გართულება და მსხვერპლი მოჰყვა.

საქმე ის არის, რომ სიჩქარეში სოფლებიდან გაყვანილი კულაკები თავიანთი ოჯახებითა და ავლადიდებით თავმოყრილ იქნენ ბოდბისხევის ბოლოს, წნორის რკინიგზის სადგურის მახლობლად. მათ იქ ღამით პირი შეკრეს, თხრილების, ბორცვების, ურმებისა და ქვა-ღორღისაგან წრიული თავდაცვა მოაწყეს და როდესაც დილით გამცილებლებმა გზის გაგრძელება სთხოვეს, კატეგორიული უარი განაცხადეს და სოფლებში დაბრუნება მოითხოვეს; ათობით კაცი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა წივილ-კივილით, მუქარითა და ლანძღვა-გინებით, ცულებისა და ხანჯლების ტრიალით, ქვებითა და კეტებით მიესივნენ კომუნარებს. სასწრაფოდ შემთხვევის ადგილზე გაჩნდა საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე დ. აფციაური და მათი დაშოშმინება სცადა. მაგრამ ერთი მოზრდილი ქვა მასაც მოხვდა მხარში. შემდეგ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. ბაქრაძემ მიიღო გაძალიანებულთა „დელეგატები", დიდხანს ესაუბრა და დამორჩილება სთხოვა. მაინც არაფერმა გასჭრა. ვიდრე კვლავ სისხლი არ დაიღვარა და მოთავენი — კულაკები ძმები ლელაშვილები, ტარიელაშვილები და სხვები იზოლირებული არ იქნენ.

ამ საკალალო ოპერაციაში მონაწილეობა მივიღეთ ახალგაზრდა ჟურნალისტებმაც. იმ ღამეს ოლქის დიდ სოფლებში გაიმართა აქტივის კრებები და დამსწრეთ განემარტათ მომხდარი ამბების არსი. სოფ. ვაქირსა და მაშნაარში კლუბად გადაკეთებულ სამების ეკლესიაში გამართულ კრებას მე და კომუნისტი ს. ლოლაშვილი ვესწრებოდით. კრების შემდეგ ვიწრო ორღობეში მტრის ხელით სიბნელეში ქურდულად ნასროლი ქვისაგან თავში მიღებული ჭრილობის კვალი დღესაც მაგონებს ხოლმე იმ დღეებს.

კრებების გამოსმაურება ფართოდ აისახა „ახალგაზრდა კომუნისტისა" და მისი გამსვლელი რედაქციის გაზეთის ფურცლებზე. ჩვენ კვლავ და კვლავ მოუწოდებდნენ კომკავშირელებს გაეძლიერებინათ სიფხიზლე და ყოველი ღონისძიებით განემტკიცებინათ კოლექტივიზაციის ფრონტი, დაუღალავად ებრძოლათ დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის და ღირსეულად შეხვედროდნენ საქართველოს კომკავშირის მეათე ყრილობას.

ყრილობისათვის მზადებამ ახალი აღმავლობა გამოიწვია. კომკავშირის ორგანიზაციები გადიდებულ ვალდებულებებს იღებდნენ. სიღნაღის რაიკომმა იკისრა ისე წარემართა საქმე, რომ ყრილობის გახსნის დღისათვის არც ერთი მეურნე კომკავშირელი არ დარჩენილიყო კოლ-

მეურნეობის გარეშე. კომკავშირელთა ძალებით მოეხნათ 120 ჰექტარი მიწა და ქვრივ-ობლებსა და წითელარმიელთა ოჯახებს დახმარე-

ნახ. ზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" გამსვლელი რედაქცია კახეთში. სხედან (მარცხნიდან) — ქ. სიღნაღის სტამბის ასოთამწყობი — მეტრანპაჟე გ. ბაღდასაროვი, საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის კულტროპი გ. იოანლოვი, სიღნაღის რაიკომის საქმეთა მმართველი მ. მჭედლიშვილი. წინ — რაიკომის ბიუროს წევრი ი. ფეიქრიშვილი; დგანან — „ახალგაზრდა კომუნისტის" წარმომადგენელი პოეტი ა. ადამია, ახალგაზრდა ს. საკოვი (აკიეევი), ასოთამწყობები: ი. ყაჯრიშვილი და ა. დავითაშვილი.

ბოდნენ ხვნა-თესვაში. მოეწამლათ და ტრიეიერი გაეტარებინათ 8 ათასი ფუთი სათესლე ხორბალი და ტრაქტორის შესაძენად 4500 მანეთი შეეგროვებინათ.

ტრაქტორის შესაძენ ფონდში ფულის შეტანა პირველი შემთხვევა არ იყო. ახალგაზრდობამ მალე საწადელს მიაღწია — შეიძინეს პირველი საბჭოთა ტრაქტორი „ხოლტი". ვისაც უკანასკნელ წლებში რკინიგზის საღგურ მელაანიდან სიღნაღში მიმავალ გზატეეცილზე გაუვლია, უთუოდ შეამჩნევდა ხელმარჯვნივ გზისპირას რკინის ხარაჩოებზე შედგმულ, ახლა უკვე ამ სამუზეუმო ტრაქტორს. იმ ავბედობის ჟამს მასზე თქვა პოეტმა ფ. ნაროუშვილმა: „ხოლტი ეწევა აგიტაციასო..."

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი კომკავშირის უჯრედების საწარმოო პრინციპით — კოლმეურნეობებში შექმნის შესახებ. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კო-

მიტეტის 1930 წლის 13 მარტის დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების ორკვირეულში მონაწილეობისათვის სოფლად გაიგზავნა მოსწავლეთა 6 კულტკოლონა, რომელთაც მაღარო — ბოდბე — მაჩხაანის ზონაში 10 დღეს იმუშავეს: ჩაატარეს საუბრები, გამართეს საღამო-წარმოდგენები და გამოუშვეს კედლის გაზეთები.

საყურადღებო იყო გურჯაანის რაიონის კომკავშირელთა წინასაყრილობო ვალდებულებებიც. მათ გადაწყვიტეს სოფ. გურჯაანში ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბება. ველისკენის კომუნაში 10 კომკავშირელი შევიდა, ხოლო კომუნის კომკავშირის უჯრედმა 5 ყოფილი მოჯამაგირე და 5 ღარიბი გლეხი მიიღო თავის ორგანებში. მუშათა კოოპერატივთან დაარსდა მეათე ყრილობის სახელობის კომკავშირის უჯრედი, რომელშიც 35 წევრი ირიცხებოდა. ოკინიგზის დეპოს კომკავშირელთა მოთხოვნით ერთ-ერთ საარმენტო ორთქლმავალს საქართველოს კომკავშირის მეათე ყრილობის სახელი მიეკუთვნა, დაჩქარდა მისი შეკეთება და შეიქმნა კომკავშირული ეკიპაჟი, რომელმაც ყრილობის დელეგატები კახეთიდან თბილისში ჩამოიყვანა.

გამსვლელი რედაქციის გაზეთის „კომკავშირი კოლექტივიზაციის ფრონტზე" სპეციალური ნომერი მიეძღვნა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებების გამოსწორების საკითხებს. მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული ისინი, ვინც კოლექტივიზაციის დროს „ტემპებითა" და „პროცენტებით" იყო გატაცებული და განუსჯელად, ხელაღებით ყველას აერთიანებდა კოლმეურნეობებში, ხოლო როცა შეცდომების გამოსწორების საკითხი დაისვა, ასეთივე „გულმოდგინებითა და ენთუზიაზმით" შლიდა უკვე არსებულ კოლმეურნეობებს და ზოგან კომკავშირელებსაც კი ერეკებოდა იქიდან.

ასეთი ფაქტები თითქმის ყველგან იყო. განსაკუთრებით ბევრი ითქვა მათზე გურჯაანის რაიონის კომკავშირის უჯრედების მდივნების თათბირზე. კულაკების გავლენაში მოქცეული ოპორტუნისტები გაირიცხნენ კომკავშირიდან.

გაზეთი „კომკავშირი კოლექტივიზაციის ფრონტზე" სულ ხუთიოდე ნომერი გამოვიდა, რომელთაგან ორი ნომრის მეტი შემონახული არ არის. 1930 წლის მარტიდან იგი შეცვალა სიღნაღის რაიონის საერთო საკოლმეურნეო გაზეთმა „კოლექტივიზაციის ფრონტზე".[1] მიუხედავად ამისა, გამსვლელი რედაქციის გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტთან" ერთად დიდი როლი შეასრულა კახეთის ახალგაზრდობის ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კომკავშირული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში.

[1] დაწვრილებით იხ. ნარკვევი „ტრადიცია გზად და ხიდად"...

„სოფლის ცხოვრების“ წინამორბედები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთს „სოფლის ცხოვრებას“ 1972 წელს არსებობის 50 წლისთავი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაზეთი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. საიუბილეო თარიღი აღინიშ-



ნახ. 7.

ნა 24 აპრილს, საზეიმო დღეებში დაიწერა ეს ნარკვევიც „სოფლის ცხოვრების“ წინამორბედებზე.

„გუთნის დედა“. ქართულ პერიოდიკას საუკუნენახევრის ისტორია აქვს. ამ წლების მანძილზე არსებული სხვადასხვა პროფილის ჟურნალ-გაზეთები ზოგადად აშუქებდნენ ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის საკითხებს. პირველი ნაბეჭდი სპეციალური სა სოფლო-სამეურნეო ორგანო კი 1861 წლის მიწურულში გამოვიდა.

ეს იყო ივანე კერესელიძის პირველი ქართული სალიტერატურო ნაბეჭდი ჟურნალის „ცისკრის“ ორკვირეული დამატება „გუთნის დედა“. მისი პირველი ნომერი 1861 წლის 15 დეკემბერს დაიბეჭდა. იგი შეიცავდა 30×23 სმ ფორმატის 8 გვერდს, დაკაბადონებულს 2 სვეტად.

მაშასადამე, პირველი ქართული აგრონომიული გაზეთი-ჟურნალი დღევანდელი „სოფლის ცხოვრების“ გვერდის მეოთხედი ზომის იყო და მთლიანად დაახლოებით მის ორ გვერდს შეესაბამებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ამდენ მრავალფეროვან მასალას ვერ იტევდა და ტექნიკურადაც პრიმიტიულად იყო გაფორმებული.

„გუთნის დედამ“ თითქმის 15 წელიწადს — 1876 წლის 15 სექტემბრამდე იარსება. აღრიცხულია მისი 267 ნომერი (1871—1872 წლების ნომრების გამოკლებით, რომელთა შესახებ ცნობები არ მოიპოვება). ამასთან ზოგიერთ წლებში გაზეთის პერიოდულობა საგრძნობლად ირღვეოდა. მაგალითად, 1866-1867 წლებში გათვალისწინებულ 24 ნომრის ნაცვლად გამოსულია მხოლოდ 16 ნომერი, 1869 წელს — 12, 1870 წელს — 19, 1872 წელს — 20 და 1876 წელს — 17 ნომერი. 1868—1870 წლებში ფორმატიც უფრო შემცირებული ჰქონდა (24×15 სმ). ზოგჯერ ის 4,8 და 12-გვერდიანი, ხოლო 1874 წელს ორგვერდიანი გამოდიოდა.

როგორც პირველი ცდა, ჯერ კიდევ საბოლოოდ გამოკვეთილი არ იყო „გუთნის დედის“ პროფილი და ხშირად იცვლებოდა მისი ქვესათაურებიც: 1862 წლის № 2-დან მას ეწოდებოდა „მამულის პატრონობისა ფურცელი, „ცისკარზედ დამატება“, 1863 წლიდან — „მამულის პატრონობისა და ვაჭრობის გაზეთი“; 1873 წლიდან — „სამეურნეო გაზეთი“ (იგულისხმებოდა სოფლის მეურნეობა) და ა. შ.

ასევე ხშირად იცვლებოდნენ მისი რედაქტორები და გამომცემლები: 1861—1872 წლებში „გუთნის დედის“ რედაქტორი იყო მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და გამომცემელი ივანე კერესელიძე, 1873 წელს — აგრონომი ა. ვართანოვი და ანტონ ფურცელაძე, ხოლო 1873 წლიდან გაზეთის დახურვამდე — მხოლოდ ა. ფურცელაძე. გამომცემელი კი გაზეთს ორი ჰყავდა: 1861—1872 წლებში — ჟურნალი „ცისკარი“ და 1873 წლიდან — კავკასიის სოფ-

ლის მეურნეობის საზოგადოება. ეს ქვესათაური გაზეთს რუსულად ეწერა.

„გუთნის დედა“ გამოდიოდა თბილისში და იბეჭდებოდა: 1861—1870 წლებში — ი. კერესელიძის სტამბაში, 1871—1876 წლებში — ე. ხელაძის სტამბაში. სამწუხაროდ, უცნობია გაზეთის ტირაჟი. ამიტომ შესაძლებლობა არა გვაქვს წარმოვიდგინოთ მისი გავრცელების მასშტაბი და შევადაროთ იგი დღევანდელი „სოფლის ცხოვრების“ ერთჯერად ეგზემპლართა თითქმის ნახევარმილიონიან რაოდენობას.

„გუთნის დედის“ შინაარსის გაცნობა ნათელ წარმოდგენას იძლევა მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე. გაზეთში რეგულარულად იბეჭდებოდა სახელმძღვანელო აგრონომიული სტატიები, სპეციალისტთა რჩევა-დარიგება, ინსტრუქციები ცალკეული კულტურების (უმთავრესად მევენახეობა-მებაღეობის) მოვლა-პატრონობის შესახებ და სხვ.

ზემოაღნიშნულ მოღვაწეთა გარდა, „გუთნის დედის“ უახლოესი თანამშრომლები იყვნენ თ. ს. გურგენიძე, კ. მამაცაშვილი, ა. ნათაშვილი, ნ. პაული, ივ. სერებრიაკოვი, ივ. სულხანიშვილი, ალ. შანშიაშვილი და სხვ.

ბევრი სიძნელის მიუხედავად, „გუთნის დედამ“ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულ სასოფლო-სამეურნეო პერიოდიკას და ღრმა კვალი დატოვა. მისი მაგალითით მალე აღმოცენდა მეორე, უფრო პრიფილირებული „სასოფლო გაზეთი“.

მხოლოდ დასანანია, რომ დღემდე მიკვლეული, აღრიცხული და დაცული არ არის „გუთნის დედის“ ყველა გამოსული ნომერი.

„სასოფლო გაზეთი“. ჯერ კიდევ „გუთნის დედის“ არსებობის დროს, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით, 1868 წლის 19 თებერვლიდან თბილისში გამოსვლას იწყებს ახალი ყოველკვირეული (1871 წლიდან ორკვირეული) სასოფლო-სამეურნეო ორგანო „სასოფლო გაზეთი“. ერთდროულად ორი სამეურნეო გაზეთის არსებობა დიდი მოვლენა იყო ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაში.

„სასოფლო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: 1868 წლიდან 1869 წლის № 7-მდე და 1869 წლის № 19-დან 1873 წლის № 14-მდე გიორგი წერეთელი; 1869 წლის № 8-დან № 18-მდე—სერგო მესხი; 1874—1880 წლებში — პეტრე უმიკაშვილი. სხვადასხვა დროს გაზეთი იბეჭდებოდა ს. მელიქიშვილისა და კომპ., დუბელინის (გ. წერეთლისა და კომპ.), ა. ენფანჯიანის, ი. კერესელიძისა და ე. ხელაძის სტამბებში.

„სასოფლო გაზეთმა“ ზუსტად 12 წელიწადს — 1880 წლის 26 თებერვლამდე იარსება. აღრიცხულია მისი 239 ნომერი. თავისი მოწო-

დებით გაზეთი პოპულარული სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური ორგანო იყო, მაგრამ მის ფურცლებზე უშუალო მაპროფილებელ მასალებთან ერთად იბეჭდებოდა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის სტატიები, სოფლის ცხოვრების ამსახველი მხატვრული ნარკვევები, ყოფითი ქრონიკა და სხვ. დამახასიათებელია, რომ „სასოფლო გაზეთში" მასალების ნაწილი რუსულად ქვეყნდებოდა.

„სასოფლო გაზეთის" შინაარსი, სრული კომპლექტების უქონლობის გამო, საკმაო ხარვეზებით აღწერილია დ. კარიჭაშვილის „ქართულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში", რომელიც პირველად 1925 წელს გამოქვეყნდა და შემდეგ (1929 წელს), ჟურნალ „ქართულ მწერლობაშიც" დაიბეჭდა.

გარდა ამისა, თვით გაზეთის პერიოდულობაც ხშირად ირღვეოდა. მაგალითად, გამოცემის პირველ — 1868 წელს 42 ნომერი გამოვიდა, 1873 და 1875 წლებში—შესაბამისად 14-14 ნომერი, ხოლო 1878 წლის იანვარ-თებერვალში — 4 და 1879 წლის იანვარ-აპრილში — 6 ნომერი.

ცხადია, ყოველივე ეს აიხსნებოდა კერძო საქველმოქმედო ინიციატივაზე დაფუძნებულ მატერიალურ-ტექნიკური სიძნელეებით, რასაც „სასოფლო გაზეთის" რედაქტორ-გამომცემლები განიცდიდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „სასოფლო გაზეთი" თავისი დროის კვალობაზე მცირე ფორმატის (32×26 სმ) იყო და 8-გვერდიანი გამოდიოდა. ამიტომ მას ზოგი გაზეთს უწოდებდა, ზოგიც ჟურნალს. ამ გაუგებრობის გამო, მისი გარკვეული სათაურის მიუხედავად, იგი სრულიად უმართებულოდ ბიბლიოგრაფირებულია 1940 წელს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში" (ნაკვ. I, გვ. 280).

„ცისკარი". „სასოფლო გაზეთის" შემდეგ მსგავსი დარგობრივი ორგანო კარგა ხანს აღარ ყოფილა. მხოლოდ 1886 წლის 16 დეკემბერს გამოვიდა მესამე სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „ცისკარი". მისი რედაქტორ-გამომცემელი ისევ ამაგდარი ივანე კერესელიძე იყო.

„ცისკარი" გამოდიოდა კვირაში ორჯერ — ხუთშაბათობით და კვირაობით. პირველ გაზეთს ნომერი არ უზის, დაბეჭდილია „სანიმუშო ნომრის" ქვესათაურით, 4-გვერდიანია. ფორმატიც შედარებით მოზრდილი (46—31 სმ) აქვს. 1887 წელს მხოლოდ სამ თვეს (21 მარტამდე) იარსება. ახლა უკვე 32×24 სმ ფორმატის ქაღალდზე 8 გვერდი იბეჭდებოდა და სულ 23 ნომერი გამოვიდა. 22-ე ნომრამდე „კავკაზსკოე ობოზრენიეს" (ნ. ი. ფრენკელის) სტამბაშია დაბეჭდილი, ხოლო უკანასკნელი № 23 — გ. ჩარკვიანის სტამბაში.

„ცისკარი" იყო პროგრესული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი, რომელშიც იბეჭდებოდა პოპულარული წერილები მევენახეობის, მეცხო-

ველეობის, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა აქტუალურ საკითხებზე. გარდა ამისა, მასში ქვეყნდებოდა ბელეტრისტული ნაწარმოებები, ლექსები, მოთხრობები, ხალხური ზღაპრები, სიმღერები, ახალი ამბების ქრონიკა და სხვ.

გაზეთში რეგულარულად თანამშრომლობდნენ ქართული ჟურნალისტიკის მეორე თაობის საუკეთესო წარმომადგენლები: რ. ჯაჯანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ი. დავითაშვილი, ვასილ ბარნოვი, ელისცხელი და წინამძღვაროვი (წინამძღვრიშვილი), ნიკო პიონიძე, ცახელი (პარმენ თვალჭრელიძე), თ. ნინიკაშვილი, ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე), პ. ყიფიანი და სხვ.

„ცისკრის" უკანასკნელ — № 23-ში, პირველ გვერდზე დაბეჭდილია განცხადება, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ „გამოცემა შეწყდა რედაქციის სურვილით" (ალბათ უსახსრობის გამო).

შემდგომში (1888 წლიდან) „ცისკრის" ნაცვლად გამოდიოდა გაზეთი „მეურნე".

ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „მეურნე" 1888—1894 წლებში თბილისში გამოდიოდა. ეს იყო 31—23 სმ ფორმატის 8-გვერდიანი კვირეული (დასაწყისში გამოდიოდა ხუთშაბათობით, შემდეგ — პარასკევობით, ზოგჯერ კი კვირაობით ან ორშაბათობით) ორგანო. მისი რედაქტორ-გამომცემელი ვასილ სულხანიშვილი იყო.

1895 წლიდან „მეურნე" ქუთაისში იქნა გადატანილი, სადაც თვეში ერთხელ ან სხვა პერიოდულობით, სხვადასხვა ფორმატის, 4, 8, 32-გვერდიან რვეულებად შეკრული გამოდიოდა და უკვე ჟურნალი ეწოდებოდა. 1895—1898 წლებში, ქუთაისში, ამ პირველ ქართულ ნაბეჭდ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალს ილია ჭყონია[1] რედაქტორობდა.

გაზეთი-ჟურნალი „მეურნე" თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე იბეჭდებოდა გ. ჩარკვიანის, ე. ხელაძის, მ. შარაშიძის, ნ. გამრეკელის, ზედგინიძე-ფერაძის, ი. ხელაძისა და თვით „მეურნის" (ი. ჭყონიას) სტამბებში. ამის მიხედვით სავსებით გასაგებია, თუ რა დიდ მატერიალურ სიძნელეებსა და ცენზურის დევნას განიცდიდნენ მისი რედაქტორ-გამომცემლები.

ასეთი ხშირი ადგილგადანაცვლების გამო ზუსტად ვერ იცავდნენ ვერც გაზეთისა და ვერც ჟურნალის პერიოდულობას. მათი ნომრების რაოდენობა წლების მიხედვით საგრძნობლად განსხვავდებოდა. მაგალითად, 1888 წელს გაზეთი „მეურნე" 50 ნომერი გამოვიდა, 1891 წელს კი მხოლოდ 22 ნომერი. ასევე ჟურნალი „მეურნე" 1896 წელს 37 ნომერი გამოვიდა, 1897 წელს კი — 17 ნომერი.

---

1 იხ. „ქუთათური ჩირაღდნები".

„მეურნეში“ გამოქვეყნებული მასალა მოიცავდა იმდროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს. მასში აქტიურად თანამშრომლობდნენ აგრონომები და აგროტექნიკოსები, ექიმები და ვეტერინარები, მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები, სხვა დარგების სპეციალისტები და მეცნიერები.

ბიბლიოთეკებში დაცული კომპლექტების შედარებითი სისრულისა და სხვა წყაროების საფუძველზე „მეურნის“ შინაარსი კარგად არის აღწერილი „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ (ნაკვ. III, 1941 წ.).

„გლეხი“. „მეურნის“ დახურვის შემდეგ რვა წელიწადს არ ყოფილა სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ორგანო. ასე დამთავრდა მეცხრამეტე საუკუნე. მეოცე საუკუნის დასაწყისშიც მხოლოდ 1906 წლის 22 ივნისს გამოვიდა თბილისში ყოველკვირეული სახალხო გაზეთი „გლეხი“, უფრო სწორად, მისი ქვესათაურის მიუხედავად, ეს იყო მცირე საგაზეთო ფორმატის (28×21 სმ) 16-გვერდიანი ჟურნალი.

ამ ახალი გამოცემის ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად ითვლებოდა მ. ადამაშვილი — შემდგომში ჩვენი დიდი მწერალი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი, ფაქტიური რედაქტორი კი იყო ლიტერატორი და გამომცემელი სამსონ ფირცხალავა. „გლეხი“ იბეჭდებოდა მ. დ. კიკნაძის (ცნობილი ბოლშევიკი-ჟურნალისტის ნიკო კიკნაძის ძმის) სტამბა „იდეალში“.

სამწუხაროდ, „გლეხი“ უდღეური აღმოჩნდა. მან მხოლოდ 3 ივლისამდე იარსება და 7 ნომერი გამოვიდა.

გაზეთის დახურვის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ რედაქციაში მოიკალათეს სოციალ-ფედერალისტებმა. მათ ააცდინეს გამოცემა თავის უშუალო დანიშნულებას — გლეხთა საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლას. ისინი ამ გაზეთს უმთავრესად თავიანთი ხალხოსნური იდეების პროპაგანდისათვის იყენებდნენ, რისთვისაც თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით იგი დაიხურა.

ამის თაობაზე „გლეხის“ რედაქტორს მ. ადამაშვილს გაზეთ „შრომის“ 1906 წლის 8 ივლისის № 76-ში სპეციალური წერილი გამოუქვეყნებია. შემდგომში „გლეხის“ ნაცვლად გაზეთი „მიწა“ გამოდიოდა. ამ სახელწოდების გამოცემა სხვადასხვა დროს სამი იყო:

1. 1906 წლის 7 სექტემბრიდან თბილისში გამოსვლა იწყო ყოველკვირეულმა საგლეხო გაზეთმა „მიწამ“ (29×20 სმ, 16 გვ.), რომლის რედაქტორ-გამომცემლად გრ. ტატიშვილი ითვლებოდა, ფაქტიური რედაქტორი კი სამსონ ფირცხალავა იყო. გაზეთი იმავე მ. დ. კიკნაძის სტამბა „იდეალში“ იბეჭდებოდა.

ეს გამოცემაც „გლეხის“ მსგავსად სოციალ-ფედერალისტთა გავ-

ლენას განიცდიდა. „მიწის“ ფურცლებზე ისინი ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ რუსი ხალხოსნების ცნობილი საზოგადოების „ზემლია ი ვოლიას“ საპროგრამო ლოზუნგებით.

პირველ წელს „მიწის“ 16 ნომერი გამოვიდა. 1907 წლის 26 მაისის № 19-ის შემდეგ რედაქციამ დროებით შეწყვიტა გაზეთის გამოცემა „იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილებზე აგენტურის საქმიანობა მოწესრიგებული არ იყო“, ესე იგი გავრცელების საქმე მოიკოჭლებდა.

1908 წლის 1 იანვრიდან გაზეთის გამოცემა განახლდა, მაგრამ 13 იანვარს მეორე ნომრის შემდეგ საბოლოოდ დაიხურა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფედერალისტთა ფუქსავატურ პოლიტიკას აყოლილი გაზეთი ჯეროვანი ავტორიტეტით ვერ სარგებლობდა გლეხობაში და მეფის ცენზურასთან განუწყვეტელმა დავამ და ფინანსურმა სიძნელეებმა „მიწის“ გამომცემლებს საბოლოოდ ხელი ააღებინეს წამოწყებაზე.

2. რევოლუციური აღმავლობის დღეებში შექმნილმა კავკასიის გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა სცადა თავისი ბეჭდვითი ორგანოს შექმნა და წარსულის მაგალითისამებრ მას სოფლის მოსახლეობის ყველაზე მტკივნეული საკითხის სიმბოლური სახელი „მიწა“ უწოდა.

1917 წლის ივნისში ასე გამოვიდა ყოველკვირეულ საგლეხო გაზეთ „მიწის“ პირველი ნომერი. ეს იყო იმ დროისათვის საკმაოდ მოზრდილი (42×32 სმ) 4-გვერდიანი გაზეთი. მას რამდენიმე დამაიმედებელი ქვესათაური ჰქონდა: „საგლეხო გაზეთი. გამოდის დროებით კვირაში ერთხელ. „გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის გამოცემა“; „გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის რედაქცია“; „რედაქტორი — საორგანიზაციო კომიტეტი“ და სხვ.

ეს გაზეთი სტამბა „ქართლში“ იბეჭდებოდა. მაგრამ პირველი ნომრის შემდეგ აღარ გამოსულა.

3. უკანასკნელად „მიწის“ სახელწოდებით გაზეთი გამოვიდა მენშევიკების ბატონობის დროს, 1920 წლის 2 ნოემბერს. ახლა იგი მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის ყოველდღიური (1921 წლის დასაწყისში ყოველკვირეული) ორგანო იყო და გასაგებია ვის ინტერესებს ემსახურებოდა.

ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე). ეს ის ვეშაპელი გახლავთ, რომელიც 1924—1926 წლებში ემიგრაციაში ყოფნისას პარიზსა და ბერლინში უშვებდა ორკვირეულ ქართულ გაზეთ „ახალ საქართველოს“ და მოითხოვდა, რომ ქართველი ემიგრანტები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა მშენებლობაში.

ამჯერად გაზეთმა „მიწამ“ 1921 წლის 30 იანვრამდე იარსება და 45 ნომერი გამოვიდა. ყველა ისინი 4-გვერდიანი იყო და ნორმალური საგაზეთო ფორმატი ჰქონდათ. ყოველდღიურად გამოსული ნომრები დაბეჭდილია მდარე ხარისხის ყვითელ ქაღალდზე, 1921 წლის (ცვირეული) 5 ნომერი კი — თეთრ ქაღალდზე.

ადრე ჩვენ ვწერდით, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში — 1868—1880 წლებში თბილისში გამოდიოდა „სასოფლო გაზეთი“. მაგრამ ამ სახელწოდების ორი გაზეთი 1912—1920 წლებშიც იყო:

1. 1912—1918 წლებში თბილისის ჟურნალ „მოსავლის“[1] პარალელურად ქუთაისში გამოდიოდა ყოველკვირეული სამეურნეო, საოჯახო ორგანო „სასოფლო გაზეთი“. მისი პირველი ნომერი (30×20 სმ., 16 გვ.) 1912 წლის 25 ნოემბერს გამოვიდა. ეს იყო პოპულარული აგრონომიული გამოცემა, რომელიც საინტერესოდ და საქმიანად აშუქებდა სოფლის ცხოვრებას.

ქუთაისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ პ. გ. წულუკიძე და ალ. დ. შარაშიძე. მის ნომრებს აფორმებდა ცნობილი მხატვარი-გრაფიკოსი ოსკარ შმერლინგი. გაზეთი სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა „ძმობის“, ივ. კილაძისა და ა. ი. კილაძეს სტამბებში.

ამ გამოცემისათვის ყველაზე ნაყოფიერი იყო პირველი მსოფლიო ომის წინა 1913 წელი, როცა 47 ნომერი გამოვიდა. ამ წლის 25 დეკემბრის № 53-ს (საერთო პაგინაციით) დართული აქვს წლიური საძიებელი. სხვა წლებში „სასოფლო გაზეთის“ პერიოდულობა ირღვეოდა (უმთავრესად ომის გამო) და საშუალოდ ორკვირეულის ფარგლებში იბეჭდებოდა. უკანასკნელ (1918) წელს კი მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა.

ქუთაისის „სასოფლო გაზეთის“ არსებობაზე დიდ გავლენას ახდენდა არა მარტო იმპერიალისტური ომით გამოწვეული არეულობა და სამეურნეო ნგრევა, არამედ საჭირო სახსრების უქონლობაც. მაშინ ხომ ტირაჟები ძალზე მცირე იყო და, რაც არ უნდა ძვირი ყოფილიყო გამოცემა, არა თუ მოგებაზე, არამედ თვითთანაზღაურებაზეც კი არ შეიძლებოდა ფიქრი. მით უმეტეს, რომ ომის დროს ქაღალდი ძნელი საშოვნელი იყო და ძვირი ღირდა. ასეთ კერძო გამოცემებს კი მთავრობა არ ეხმარებოდა, საქველმოქმედო შეწირულებანი თანდათანობით მცირდებოდა და შემოსავალი გაზრდილ საწარმოო ხარჯებსაც ვეღარ ანაზღაურებდა.

ამის გამო, როგორც იმავე ქუთაისის გაზეთი „შრომა“ 1914 წლის 11 აგვისტოს № 24-ში იუწყებოდა, „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა

---

1 იხ. „ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები“.

1914 წლის 4 აგვისტოდან 1915 წლის 7 მარტამდე დროებით შეჩერებული იყო, 1918 წლის დასაწყისში კი საბოლოოდ დაიხურა.

2. 1910 წლის 7 მარტს თბილისში მეორედ გამოვიდა ყოველკვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო ორგანო „სასოფლო გაზეთი“.

ახლა ის უკვე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო იყო. მის ფურცლებზე პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ზოგადი ხასიათის სტატიების გარდა იბეჭდებოდა პოპულარული წერილები და ინფორმაცია სოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურების აგროლონისძიებათა შესახებ.

ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ნ. კაიშაური. იბეჭდებოდა სტამბა „ხელოვნებაში“. გაზეთს ნორმალური ფორმატი ჰქონდა და გამოდიოდა 4-გვერდიანი. იარსება ივნისამდე და მხოლოდ 12 ნომერი გამოვიდა.

„სოფლის მუშა“. 1917 და 1920 წლებში ამ სახელწოდების ორი გაზეთი გამოდიოდა თბილისში:

1. 1917 წლის 16 აგვისტოს გამოვიდა ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი-ჟურნალი „სოფლის მუშა“. ეს იყო ჩვეულებრივი 30×22 სმ ფორმატის 16-გვერდიანი ორგანო, რომელიც კვირაობით გამოდიოდა.

„სოფლის მუშის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო იოსებ გიორგის ძე იმერლიშვილი, რომელიც ჟურნალისტიკაში ს. პართენაშვილის ფსევდონიმით არის ცნობილი.

გამოცემამ ფეხი ვერ მოიკიდა. იარსება 22 ოქტომბრამდე და 14 ნომერი გამოვიდა. მისი პირველი 6 ნომერი დაბეჭდილია ვ. რუხაძ-ს სტამბაში, დანარჩენი ნომრები — სტამბა „სორაპანში“.

2. როგორღაც ნიშანდობლივად, 1920 წლის იმავე 16 აგვისტოდან განახლდა „სოფლის მუშის“ გამოცემა (დიდი ფორმატის 4 გვ.), მაგრამ ახლა ის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო იყო.

გაზეთს განაგებდა და მისი რედაქტორი იყო ცნობილი მკურნალი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელი. მასში სისტემატურად იბეჭდებოდა გომართელის „საუბარი სოფლის მუშებთან“ და სხვა საინტერესო ცნობები. ეს გარემოება დიდ პოპულარობას ანიჭებდა გამოცემას.

გომართელის გაზეთმა 1920 წლის 22 ნოემბრამდე იარსება და 15 ნომერი გამოვიდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროვინციული გაზეთებიც, მაგალითად, სიღნაღის სამაზრო გაზეთი „ხმა, კახეთისა“ (გამოდიოდა 1912—1917 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი კოტე ტყავაძე), გორის „ქართლი“ (გამოდიოდა 1912—1913 წლებში, რედაქტორ-გამომცემლები ი. თ. ცინცაძე და მ. ი. ციციშვილი) და სხვა. ისინი ძირითადად სოფლის ცხოვრებას და სამეურნეო საკითხებს აშუქებდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ასე ძნელად იკაფავდა გზას სასოფლო-სამეურნეო პერიოდიკა. მხოლოდ 1921 წლის 3 აპრილს გამოსული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური სასოფლო და საკოოპერაციო გაზეთის „მიწის მუშის“ პირველი ნომრიდან იწყება მისი ყოველმხრივი და სწრაფი ზრდა-განვითარება.

ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები

ქართულ სასოფლო-სამეურნეო პერიოდიკას უკვე საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მას სათავე დაედო 1861 წლის 15 დეკემბერს გამოსულ გაზეთ „გუთნის დედის“ პირველი ნომრით.

საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, გარკვეული პროფილის (ტიპის) ძიების პროცესში, სასოფლო-სამეურნეო გამოცემების ფორმატი (30×23, 24×15 სმ), გვერდების რაოდენობა (4, 6, 8, 16) და პერიოდულობა (კვირეული, ორკვირეული) გაზეთებისა და ჟურნალებისათვის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტთა შორის შუალედური იყო. ამიტომ მათ ზოგი გაზეთს უწოდებდა, ზოგი ჟურნალს. ასეთი აღრევის შედეგად 1906—1910 წლებში თბილისის 16-გვერდიან, 29×20 სმ ფორმატის სასოფლო-სამეურნეო ორგანოს „მიწას“ „ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი“ ერქვა, ხოლო 1912—1918 წლებში ქუთაისის „სასოფლო გაზეთს“, ასეთი მკაფიო სათაურის მიუხედავად, ქვესათაურში „ყოველკვირეული სამეურნეო-საოჯახო ჟურნალი“ ეწოდებოდა, თუმცა მისი ტექნიკური მონაცემები დიდი არეფრით განსხვავდებოდა „მიწის“ მონაცემებისაგან.

მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის შექმნის ცდები უფრო ადრეც გვხვდება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1895 წელს თბილისიდან ქუთაისში გადაიტანეს ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „მეურნე“ და იგი იქ 1898 წლამდე ამავე სახელწოდების ჟურნალის სახით გამოდიოდა.

სინამდვილეში რევოლუციამდელი ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი კი იყო ორკვირეული „მოსავალი“ (28×18 სმ., 16, 24 გვ.), რომელიც 1909—1917 წლებში თბილისში გამოდიოდა. მისი დამაარსებელი ვ. ი. რცხილაძე 1909—1913 წლებში რედაქტორ-გამომცემლად ითვლებოდა, შემდეგ კი მხოლოდ რედაქტორად.

„მოსავალი“ 1914 წლამდე რეგულარულად წელიწადში 24 ნომერი გამოდიოდა (ცალკეული ნომრები 16 და გაერთიანებული — 24 გვერდი). პირველი მსოფლიო ომის წლებში ჟურნალის პერიოდულო-

ბა დაირღვა და ზოგჯერ თვეში ერთხელაც ვეღარ გამოდიოდა, ხოლო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საბოლოოდ დაიხურა.

საინტერესო ფაქტია, რომ „მოსავლის“ 1910 წლის უკანასკნელ, გაერთიანებულ 23—24-ე ნომერს დართული აქვს განვლილი ორი წლის ნომრების საძიებელი — გამოქვეყნებული მასალების სათაურების სია ნომრების, გვერდებისა და ავტორების აღნიშვნით, რაც მის მესვეურთა მაღალ საგამომცემლო კულტურაზე მეტყველებს.

„მოსავალი“ შინაარსიანი, პროგრესული ჟურნალი იყო. მისი მასალები საქართველოს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მოიცავდა. ჟურნალს ჰქონდა ფართო პროგრამა და კვალიფიციური ავტორების მიზიდვით ცდილობდა მარტივი აგრონომიული ცოდნა გავრცელებინა გლეხობაში. და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ „მოსავალი“ არ განიცდიდა სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა ზეგავლენას, რადგან მისი გამომცემლები იყვნენ: დაარსების დღიდან „კავკასიის საიმპერიო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, ხოლო 1916 წლიდან — „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და კოოპერაციული საზოგადოება“.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებშიც იყო სასოფლო-სამეურნეო ჟურნალების გამოცემის ცალკეული ცდები. უმთავრესად ცნობილი მეცნიერების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეებისა და სპეციალისტების ინიციატივით. 1917 წლის 16 აგვისტოდან 22 ოქტომბრამდე რედაქტორ-გამომცემელი იოსებ გიორგის ძე იმერლიშვილი (ფსევდონიმი ს. პართენაშვილი) უშვებდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ „სოფლის მუშას“ (30×22 სმ., 16 გვ.). მაგრამ მეთოთხმეტე ნომერზე დაიხურა.

1919 წლის დამლევს ცნობილმა მეღვინე-აგრონომმა კოტე ბერეკაშვილმა დაიწყო ყოველთვიური ჟურნალის „მეევნახეობა და მეღვინეობის“ გამოცემა. მაგრამ ვერც მან გაუძლო დიდხანს ავბედობის წლების ტექნიკურ-ეკონომიკურ და ფინანსურ სიძნელეებს, იარსება 1920 წლის 20 აპრილამდე და მხოლოდ 4 ნომერი გამოვიდა (თითოეული 16 გვერდი).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უკანასკნელი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი იყო „საქართველოს მეღვინე-მეევნახეთა ყრილობების საბჭოს“ ორკვირეული ორგანო „ვაზი და ღვინო“, რომელიც თბილისში გამოდიოდა 1920 წლის 15 დეკემბრამდე. ცნობილია მისი 11 ნომერი (თითოეული 16 გვერდი). ჟურნალს განაგებდა სარედაქციო კოლეგია გამოჩენილ სპეციალისტთა შემადგენ-

ლობით. მასში იბეჭდებოდა პოპულარული სამეცნიერო სტატიები და სპეციალური ინფორმაცია ადგილებიდან.

როგორც ვხედავთ, ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში მთავრობის სასოფლო-სამეურნეო გამოცემები არ არსებობდა, მმართველი წრეები არავითარ დაბმარებას არ უწევდნენ კერძო და საქველმოქმედო შეწირულებათა საწყისებზე შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ-გაზეთებს, ხოლო შავრაზმული ცენზურა ძირშივე ახშობდა ყოველგვარ პროგრესულ წამოწყებას. ამიტომ ისინი ვერ უძლებდნენ სიძნელეებს და მალე იხურებოდნენ.

ქართული სასოფლო-სამეურნეო პერიოდიკის, ისევე როგორც მთლიანად ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ყოველმხრივი სწრაფი განვითარების ხანა დაიწყო მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვლიდან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით გამოწვეული უდიდესი ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნიკური სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს სსრ მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან ჩამოყალიბდა საგამომცემლო ქვეგანყოფილება, რომელიც უაღრესად რთულ პირობებში უშვებდა ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს, ინსტრუქციებს, პლაკატებსა და სხვადასხვა სააგიტაციო ფურცლებს. მათ შორის იყო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანო, საბჭოთა პერიოდის პირველი ქართული ორკვირეული სახალხო ჟურნალი „სოფლის მეურნეობა“ (რედაქტორი ი. ზ. ანდრონიკაშვილი).

ცნობილია „სოფლის მეურნეობის“ 6 ნომერი (თითოეული 32 გვერდი). № 1 გამოვიდა 1921 წლის ივნისში, № 6 (უკანასკნელი) — ოქტომბერში. მათში დაბეჭდილია მთავრობის დადგენილებები სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე, პოპულარული აგრონომიული სტატიები და სხვ.

ამ მიმართულებით შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ის, რომ 1921 წლის 3 აპრილს დაარსებულ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურ სასოფლო და საკოოპერაციო გაზეთს „მიწის მუშას“ 1923 წლის 305-ე ნომრიდან საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცეკავშირის ყოველკვირეული სასოფლო და კოოპერაციული ჟურნალი ეწოდებოდა. ამ სახით მან იარსება 1924 წლის 6 აპრილამდე და 14 ნომერი გამოვიდა (თითოეული დიდი საჟურნალე ფორმატის 8—16 გვერდი).

1925 წლიდან გაზეთ „მიწის მუშის“ ნაცვლად გამოსვლა იწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეულმა გაზეთმა „ახალმა სოფელმა“. ამიერიდან მის გამომცემლობას დაეკისრა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალების გამოცემაც

პირველი ასეთი ორგანო იყო ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და პოპულარული სამეცნიერო-საგლეხო ჟურნალი „ახალი სოფელი", რომელიც 1925—1926 და 1928 წლებში გამოდიოდა. პირველ წელს იგი 3 ნომერი გამოვიდა, 1926 წელს — ერთი და 1928 წელს — 11 ნომერი (თითოეული 32—48 გვერდი). 1925—1926 წლებში ჟურნალ „ახალ სოფელს" სარედაქციო კოლეგია განაგებდა, 1928 წელს კი მისი რედაქტორი აგრონომი ნ. აღნიაშვილი იყო.

გაზეთ „ახალი სოფლის" გამომცემლობა 1925—1930 წლებში უშვებდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიურ ჟურნალს „სოფლის კომუნისტს", რომელიც ფართოდ აშუქებდა იმ პერიოდისათვის უდიდესი მნიშვნელობის სოფლად მუშაობის საკითხებს: სასოფლო საბჭოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობა, განსაზოგადოებული მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, მიწათმოქმედებისა და განათლების ორგანოების გადაუდებელი ამოცანები, სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადება და სხვ.

„სოფლის კომუნისტი" 1925 წელს 7 ნომერი გამოვიდა, 1926—1929 წლებში რეგულარულად 12—12 ნომერი გამოდიოდა, ხოლო 1930 წელს მეორე ნომერზე დაიხურა. ჟურნალის მოცულობა საშუალოდ დიდი საწიგნე ფორმატის 24—80 გვერდს შეადგენდა. მას სარედაქციო კოლეგია განაგებდა.

გაზეთ „ახალ სოფელს" 1926—1927 წლებში ჰქონდა ყოველთვიური ფასიანი დამატება — სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „შოლტი", რომელიც დიდ როლს ასრულებდა სოფლად კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაუნდობლად შოლტავდა სოფლის ბობოლებს — კულაკებსა და მღვდელ-ვაჭრებს. „შოლტი" 1926 წელს 7 და 1927 წელს — 12 ნომერი გამოვიდა (თითოეული 12 გვერდი). ჟურნალს განაგებდა სარედაქციო კოლეგია გაზეთ „ახალი სოფლის" რედაქტორების გ. მუშიშვილისა და პ. საყვარელიძის მეთაურობით. „შოლტის" სალიტერატურო ნაწილს პოეტი ი. მოსაშვილი ხელმძღვანელობდა. მასში აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი იუმორისტები ფარსადანი, (ს. ფაშალიშვილი), აღლარ-აღლარსანი (ა. მაღულარია) და სხვ.

1927—1928 წლებში „ახალი სოფლის" გამომცემლობა უშვებდა აგრეთვე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიურ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალს „სოფლის მეურნეობა". მისი პ/მგებ. რედაქტორი იყო ალ. გეგეჭკორი. ამ ჟურნალს დიდხანს არ უარსებია, 1927 წელს გამოვიდა 6, ხოლო 1928 წელს — მხოლოდ ერთი (მე-7) ნომერი. მისი ძირითადი თემატიკა იყო ახალგაზრდობის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გადამწყვეტ — 1930 წლიდან ჟურნალ „სოფლის კომუნისტის“ ნაცვლად გამოდიოდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და მასობრივი კამპანიების განყოფილების ყოველთვიური ორგანო „აგიტატორი“. ჟურნალში იბეჭდებოდა სახელმძღვანელო სტატიები მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, კლასობრივი ბრძოლისა და სხვა საკითხებზე. აღრიცხულია „აგიტატორის“ 11 ნომერი, თითოეული 48 გვერდი.

გარდა ამისა, მთლიანი კოლექტივიზაციის წლებში „სახელგამი“ უშვებდა საქართველოს კოლმეურნეთცენტრის სერიულ ბიულეტენს, „საკოლმეურნეო კითხვა“. გამოვიდა 7 სერია, თითოეული 36—48 გვერდი.

1932—1933 წლებში გამოდიოდა აგრეთვე საქართველოს სსრ მიწსახკომის, კოლმეურნეთცენტრისა და „სამტრესტის“ ყოველთვიური ჟურნალი „სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია“. ამ გამოცემის დანიშნულება სათაურის მიხედვით გასაგებია, მაგრამ მის გარეკანზე ვკითხულობთ: ჟურნალის ამოცანაა „იბრძოლოს იმისათვის, რომ სამეცნიერო-საგამოკვლევო საქმიანობა ემორჩილებოდეს კონკრეტულ სამეურნეო გეგმების შესრულებას“. აი ჯერ კიდევ საიდან მოდის პარტიის მოთხოვნა მეცნიერებისა და წარმოების კავშირის შესახებ.

ჟურნალი „სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია“ 20 ნომერი გამოვიდა (თითოეული 40—50 გვერდი) და მათ დიდი როლი შეასრულეს მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცებაში.

1933—1935 წლებში იყო ასეთი გამოცემაც: „საქართველოს სსრ მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო ბიულეტენი“ (ქართულ-რუსული). მასში ქვეყნდებოდა საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობების, მიწსახკომის დადგენილებები, ინსტრუქციები და განკარგულებები. გამოსულია 24 ნომერი, თითოეული 32—96 გვერდი, ტირაჟი 700—1000 ცალი.

რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება „სამტრესტი“ ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა გამოცემაში. 1934—1935 წლებში კი მან სცადა საკუთარი ორგანოს შექმნა. ეს იყო ყოველთვიური ჟურნალი „საბჭოთა მეურნეობა“. მისი გამოცემა დავალებული ჰქონდა „საქპარტგამომცემლობას“.

ჟურნალ „საბჭოთა მეურნეობის“ რედაქტორი იყო „სამტრესტის“ მმართველი, ძველი ბოლშევიკი სევა კუხალეიშვილი, ხოლო გამოცემის ინიციატორი და მთავარი მზრუნველი — კ. ბერეკაშვილი. ჟურნალის შინაარსი საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი

და უმნიშვნელოვანესი დარგის — მევენახეობა-მეღვინეობის გარდა, მოიცავდა მემინდვრეობას, მეცხოველეობას, მებაღეობას და სხვ. მასში თანამშრომლობდნენ ამ დარგების თვალსაჩინო სპეციალისტები და მეცნიერები: ი. ანდრონიკაშვილი, კ. მოდებაძე, ვალ. კანდელაკი, შ. გულისაშვილი, გრ. ვ. ჭოჭუა, თ. მეგრელიშვილი, დ. მდივანი, სვ. ხუნდაძე და სხვ.

„საბჭოთა მეურნეობა" სულ 11 ნომერი გამოვიდა, თითოეული 32—36 გვერდი, ტირაჟი 2—3 ათასი ცალი.

ამის შემდეგ, სამამულო ომის დამთავრებამდე, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი აღარ ყოფილა. ამ პერიოდში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების თანაბრად, სოფლის მეურნეობასაც ემსახურებოდა საქართველოს სსრ ეკონომიკური საბჭოს ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ჟურნალი „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", რომელმაც 10 წელიწადს (1931—1941) იარსება და ქართულ საბჭოთა პერიოდიკაში დიდი კვალი დატოვა. ეს ჟურნალი დიდი მოცულობის იყო და თავისუფლად იტევდა ფუნდამენტურ მიმოხილვებსა და გამოკვლევებს. მიმდინარე საკითხებს კი რესპუბლიკური და რაიონული გაზეთები აშუქებდნენ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობის" სარედაქციო კოლეგიაში სპეციალისტებთან ერთად შედიოდნენ ისეთი ავტორიტეტული მოღვაწეები, როგორიც იყვნენ მალაქია ტოროშელიძე, კარლო ორაგველიძე და სხვ.

სამამულო ომის წლებში, როგორც წესი, თითქმის ყველა დარგობრივი გამოცემა დაიხურა. ეს სავსებით გასაგები იყო იმ საშინელი ნგრევისა და სისხლისღვრის პირობებში, რომელმაც თითქმის ოთხ წელიწადს გასტანა და მთელი საბჭოთა ხალხის, ქვეყნის ეკონომიკური და საწარმოო ძალების უკიდურესი დაძაბვა მოითხოვა. მხოლოდ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ დაიწყო ქართული პერიოდიკის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო გამოცემების, აღდგენა და სწრაფი განვითარება.

1951 წლის თებერვლიდან გამოსვლას იწყებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროების ყოველთვიური მეცნიერულ-საწარმოო ჟურნალი „სოციალისტური სოფელი". მისი რედაქტორი იყო ბ. ა. იაკობაშვილი. ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ მეცნიერები და სოფლის მეურნეობის ცნობილი სპეციალისტები: ნ. ხომიზურაშვილი, გ. ბადრიშვილი, ნ. მელითაური, ი. ხოხლოვი, ლ. დეკაბრელევიჩი, ა. მენაღარიშვილი, მ. საბაშვილი, ი. ლომოური, ნ. იაშვილი, ი. ჯაში, ვ. მეტრეველი, ნ. ფირანიშვილი და სხვ.

ჟურნალმა ამ სახელწოდებით 1953 წლის ივლისამდე იარსება და 30 ნომერი გამოვიდა (თითოეული 64 გვერდი, ტირაჟი 6 ათასი ცალი).

იმავე წლის აგვისტოდან კი „სოციალისტური სოფლის“ ნაცვლად გამოდიოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალი „საქართველოს კოლმეურნე“ (რედაქტორი ე. მახათაძე).

„საქართველოს კოლმეურნის“ პირველ ნომერს სავსებით კანონიერად (მემკვიდრეობით) „გამოცემის მე-3 წელი“ აწერია და „სოციალისტური სოფლის“ ნუმერაციის გაგრძელებით № 1 (31) უზის. სამწუხაროდ შემდგომში გამოცემის წელი კი შენარჩუნებული აქვს, მაგრამ საერთო ნუმერაცია დაკარგულია.

„საქართველოს კოლმეურნე“ 1960 წლის აპრილამდე რეგულარულად გამოდიოდა (წელიწადში 12 ნომერი, თითოეული 48—64 გვერდი, ტირაჟი 7 ათასი ცალი). მისი გამოცემა შეჩერდა იმასთან დაკავშირებით, რომ 1960 წლის მაისიდან გამოსვლა იწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურმა გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“. იმ დროს ორი მონათესავე ორგანოს ერთდროულად არსებობის შესაძლებლობა არ იყო.

მხოლოდ 1967 წლის იანვრიდან განახლდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ გამოცემა (წლების მანძილზე მისი მთავარი რედაქტორი იყო გ. ჩაგელიშვილი, ამჟამად მ. დავითაშვილი).

ჩვენი აზრით, ამ ჟურნალს ქვესათაურად არასწორად ეწერა „გამოცემის მეექვსე წელი“. საქმე ის არის, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ მიწსახკომსა თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუდამ ჰქონდა თავისი პერიოდული ორგანო ამა თუ იმ ტიპის ჟურნალის სახით და მათ შორის პირველი იყო 1921 წლის „სოფლის მეურნე“. და თუ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით ფერხდებოდა მათი გამოცემა, ან სახელწოდება ეცვლებოდა, ეს არ იძლევა საფუძველს, რომ მათ დავუკარგოთ საერთო პერიოდულობა, მით უმეტეს, რომ თანამიმდევრულად გასდევთ საერთო შინაარსი და თემატიკაც ერთნაირი აქვთ.

ამიტომ, ვიდრე გვიან არ იყო, შესაბამისად უნდა გასწორებულიყო ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ გამოცემის წლის დათარიღება მაინც, რაკი საერთო ნუმერაციის აღდგენას აღარაფერი ეშველება[1].

---

1 1972 წლის აპრილში ამ ნარკვევის გამოქვეყნების შემდეგ ეს ხარვეზი გამოსწორდა და 1972 წლის № 6-დან ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობას“ აწერია: „ჟურნალი გამოდის 1921 წლის ივნისიდან“.

დასასრულ, გვინდა დავძინოთ, რომ ეს მიმოხილვა სრული და ამომწურავი არ არის, რადგან აქ არ შევიტანეთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო შრომები და ერთდროული კრებულები (მაგალითად, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჟურნალი „საქართველოს სუბტროპიკული კულტურები", რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია სისტემატურად გამოდის, და სხვ.), რომლებიც ერთგვარად ავსებენ ხარვეზებს, რომლებიც წარმოიშვება ხოლმე ამა თუ იმ ჟურნალის გამოცემის შეჩერება-შეწყვეტის დროს.

ჭუთათური ჩირაღდნები

საქართველოს მეორე კულტურული და სამრეწველო ცენტრის, ქუთაისის პერიოდიკა თავიდანვე მთელი დასავლეთ საქართველოს ცხოვრებას ასახავდა და ვრცელდებოდა მის ფარგლებს გარეთაც. მათი დამაარსებლები, გამომცემლები, რედაქტორები და ავტორები იყვნენ მთელს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, კომპოზიტორები, რომელთა სახელებით ჩვენი ხალხი მუდამ ამაყობდა და, რომლებიც ხშირად დიდი მსხვერპლის ფასად თავდადებით უძღვებოდნენ ამ საშვილიშვილო საქმეს. მათი თაოსნობით ქუთაისში ისახებოდა ბევრი საინტერესო ლიტერატურული თუ სხვა მიმდინარეობა, რომლებიც გამოხატულებას პოვებდნენ პრესის ფურცლებზე და შემდეგ მისი მეშვეობით საქართველოს სხვა კუთხეებში ვრცელდებოდა.

ქუთაისის ამ დიდი საგამომცემლო მნიშვნელობის აღსანიშნავად ეს ნარკვევი მე ფიგურალურად დავასათაურე. ჩირაღდანი ხომ მუდამ კულტურისა და განათლების სიმბოლო — უქრობი ლამპარი იყო!

1.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაბეჭდი პროდუქციის პირველსახე წიგნი იყო. ამ ისტორიულ კანონზომიერებას ვერც ქუთაისი ასცდა. პირველი ნაბეჭდი წიგნი აქ 1800 წელს გამოვიდა. ეს იყო „დავითნი", რომელიც იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დავალებით ცნობილმა მესტამბე — გ. პაიჭაძემ საგანგებოდ მოწყობილ სტამბაში დაბეჭდა.

პერიოდული გამოცემებიდან კი პირველი ქართული ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „შრომა" საკმაო მოგვიანებით — მხოლოდ 1881 წლის 2 სექტემბერს გამოვიდა. ეს გაზეთი ითვლებოდა დასავლეთ საქართველოს პროგრესული ახალგაზრდობის ორგანოდ და ეროვნული განთავისუფლების იდეებს ქადაგებდა.

„შრომის“ რედაქტორი იყო დიმიტრი დადიანი, გამომცემელი — დ. ნაზარიშვილი. იბეჭდებოდა პ. წულუკიძის სტამბაში. გაზეთმა იარსება 1883 წლამდე და 90 ნომერი გამოვიდა. იგი დაიხურა მთავრობის მიერ შექმნილი აუტანელი პირობების გამო.

ამის შესახებ დ. კლდიაშვილი წერდა: „რაც ერთ დროს ცნობილი, ქუთაისში გამომავალი „შრომა“ დაიხურა, მას შემდეგ ქუთაისს არ ღირსებია თავისი გაზეთი. „შრომა“ ძალათი იყო ხრიკიანი გზით მოსპობილი: გააუქმეს მისი ცენზურა ქუთაისში; გაზეთი უნდა გატარებულიყო უსათუოდ თბილისის ცენზურაში. თბილისელი ცენზორირისაგან ამოშლილ ადგილების შევსება ყოვლად მოუხერხებელი ხდებოდა; გაზეთი წესიერად ვეღარ გამოდიოდა: ხან დაგვიანებით, ხან ნაკუწ-ნაკუწად; გაზეთის გამოცემა ყოვლად აუტანელ მძიმე პირობებში მოექცა, რის გამო იძულებული იყვნენ სრულიად შეეჩერებინათ იგი. „მთავრობას იგი არ აუკრძალავს, არ მოუსპია; იგი თავისი ნებით შეჩერდა — მთავრობას უმანკოდ გამოჰყავდა თავი“[1].

გაზეთ „შრომის“ შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ცნობილი ისტორიკოსი-მკვლევარი დ. კარიჭაშვილი თავის „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში“[2].

„შრომის“ შუალედურ 1882 წელს, ცარიზმის მკაცრი თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში, ქუთაისელმა მოსწავლეებმა გიორგი ლასხიშვილის რედაქტორობით გამოუშვეს არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „სტვირი“. მისი უახლოესი მონაწილენი იყვნენ ნიკო მარი, მიხ. ხელთუფლიშვილი, ერ. აბაშიძე და კ. ჭანტურია.

პირველი ნაბეჭდი ჟურნალი კი იყო ყოველთვიური სალიტერატურო კრებული „ქართული ბიბლიოთეკა“, რომელიც 1883 წელს გამოვიდა. ჟურნალს რედაქტორობდა და მისი გამომცემელი იყო ეკატერინე ლორთქიფანიძისა და იბეჭდებოდა პ. წულუკიძის სტამბაში. დაისტამბა 12 ნომერი (თითოეული 100—130 გვერდი). ორიგინალური ნაწარმოებებიდან გამოქვეყნებულია ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები და ბაქარ ქართველის (დ. ყიფიანის) პოემა „ქალი“. არაქართველი ავტორებიდან დაბეჭდილია ევგ. ტურის, ვ. ჰიუგოს, ჰ. სენკევიჩის, მოლიერის, პირსის, გრუნვილ-მურიეს, ბერნარდისა და სხვ. ცალკეული ნაწარმოებები. მათი მთარგმნელები იყვნენ ელენე ლორთქიფანიძისა, ანასტასია თუმანიშვილისა, ანა მესხი, ანასტასია ბაქრაძისა და სხვა ქართველი განმანათლებელი ქალები. „ქართული ბიბლიოთეკის“, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, უფრო სრული ნომრები ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

---

1 დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი. ჩემი ცხოვრების გზაზე (1925 წ.). სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961, გვ. 220—221.

2 ჟურნალი „საბჭოთა მწერლობა“, 1929 წლის № 6—7.

1889—1891 წლებში ქუთაისში გამოვიდა სალიტერატურო კრებულის „ცდა“ სამი წიგნი: პირველი (206 გვერდი) გამოსცა ალ. გარსევანიშვილმა, მეორე (214 გვერდი) და მესამე (286 გვერდი) — ქართული მწერლობის მოყვარულთა ჯგუფმა. პირველ წიგნში (დაბეჭდილია პ. წულუკიძის სტამბაში) გამოქვეყნებულია ალ. გარსევანიშვილის „მეფე ერეკლე II როგორც მხედართმთავარი“, თავისუფალი სვანის (ნიჟარაძის) „სვანები ბარში“, დ. კარიჭაშვილის „ქორწინება“ (სოციოლოგიური მიმოხილვა), ლუი მირამონის „და-ძმა“ (მოთხრობა) — პ. ყ-ის (ყიფიანის) თარგმანი ფრანგულიდან, „პესტალოცის ცხოვრება“ (თომა მთავრელიშვილის თარგმანი), პოლიევქტ კვიცარიძის „ქართული ალექსანდრიანი“ (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა); მეორეში: ჰომეროსის „ილიადა“ (თარგმნა მ. ფაზელმა — მ. გურიელ მა), გ. წერეთლის რომანი „პირველი ნაბიჯი“, სილოვანის (ს. ხუნდაძის) ლექსი, მ. ფაზელის ლექსი, სილოვანის „მეზობელი“ (სურათი სოფლის ცხოვრებიდან), ხალხური ლექსი (ჩაუწერია ს. დათეშიძეს), შექსპირის „მეფე ციმბელინი“ (სიმ. ყიფიანის თარგმანი); მესამეში: გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ (გაგრძელება), სილოვანის ახალი ლექსი, დ. კარიჭაშვილის „მეფე როსტომი“ (სტატია), დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარიას) „ბავშვი და დედა“ (ლეგენდა), გრ. ვოლსკის ლექსი, ე. შპილმანის „დონ-პედრო კასტილიელი“ (ისტორიული მოთხრობა, ეფ. კლდიაშვილის თარგმანი), ს. ხ.-ის (ს. ხუნდაძის) ხალხური ლექსი, ნარის (ნოე ჟორდანიას) „სკოლა და ცხოვრება“ და სხვ.

აი როგორი ბუმბერაზული ლიტერატურული ძალები იყრიდნენ თავს ქუთაისში და განა შეიძლებოდა ამ უძველეს კულტურულ ქალაქს არ ჰქონოდა თავისი ჟურნალ-გაზეთები?!

1895 წელს საინტერესო ამბავი მოხდა — თბილისიდან იქ გადაიტანეს პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი — ჟურნალი „მეურნე“. ქუთაისში მას ჟურნალი დაარქვეს და სხვადასხვა პერიოდულობით გამოდიოდა. მისი რედაქტორ-გამომცემელი გახდა ცნობილი ჟურნალისტი ილია ჭყონია. ჟურნალში თანამშრომლობდნენ აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, მეფუტკრეები, მეაბრეშუმეები, მაგრამ მისი მესვეურები ზოგჯერ მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვასაც არ ერიდებოდნენ. ამ გამოცემამ ოთხ წელიწადს იარსება და გამოვიდა: 1895 წელს 32 ნომერი, 1896 წელს — 37, 1897 წელს — 17 და 1898 წელს — მხოლოდ 9 ნომერი (თითოეული 8 გვერდი). ქუთაისში უკვე მომრავლდა სტამბები და ეს ჟურნალი ზედგინიძე-ფერაძისა და კილაძე-ხელაძის სტამბებში იბეჭდებოდა.

1897—1900 წლებში თბილისსა და ქუთაისში შერეულად გამოდიოდა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“. მისი რედაქტორ-გამომცემელი თვით დიდი მგოსანი იყო.

მასში აკაკის ქმნილებებს გარდა იბეჭდებოდა სხვა ავტორების ახალი ნაწარმოებები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები — თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები, საისტორიო, ეთნოგრაფიული და კრიტიკული ხასიათის სტატიები. კერძოდ, ქუთაისში გამოვიდა 1899 წლის №№ 1—11 და 1900 წლის №№ 2—4, სხვადასხვა მოცულობით, ეს კრებული დ. ღამბაშიძის სტამბაში იბეჭდებოდა.

ამის შემდეგ თითქმის ხუთი წლის მანძილზე — რუსეთის პირველ რევოლუციამდე ქუთაისს თავისი ლეგალური პერიოდული გამოცემა არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში აქ 5 ლეგალური სტამბა და 2 ლითოგრაფია არსებობდა.

სამაგიეროდ გააძლიერა საგამომცემლო საქმიანობა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა და უშვებდა ფურცლებსა და პროკლამაციებს, რომლებსაც ლეგალურ და არალეგალურ სტამბებში ბეჭდავდნენ. ქუთაისში პირველი არალეგალური სტამბა გამართეს ა. ჯაფარიძემ და ბ. ბიბინეიშვილმა. იგი ამოქმედდა 1903 წელს საფიჩხიაზე (ამჟამად თომაშვილის, 16). 1904 წელს ქუთაისის გარეუბანში, ვ. გოგოლაძის სახლში (ახლა თავისუფლების, 41) მ. ცხაკაიას და ალ. წულუკიძის თაოსნობით მოეწყო ახალი არალეგალური სტამბა, სადაც დაიბეჭდა მგზნებარე მოწოდება „მოსწავლე ახალგაზრდობისადმი!". აშკარად იგრძნობოდა რევოლუციის მოახლოება.

1905 წლის რევოლუციის დღეებში არალეგალური სტამბა მოქმედებდა ძველი ლაგერის ქუჩაზეც. სწორედ იქ დაიბეჭდა ცნობილი მოწოდებები: „ლომგულო ამხანაგებო!". ეს იყო 24 იანვარს საყოველთაო გაფიცვის დაწყების წინ. მას მოჰყვა 30 იანვრის მოწოდება „ამხანაგებო!", რომელიც გაფიცვის შეწყვეტისადმი იყო მიძღვნილი. ხოლო 22 თებერვალს გავრცელდა ამავე სახელწოდების მეორე მოწოდება, რომელიც რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან იყო დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ არ დარჩენილა ამ პერიოდში არც ერთი სოციალური მოვლენა, რომელსაც იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი პროკლამაციით ან ფურცლით არ გამოხმაურებოდეს და სათავეში არ ჩასდგომოდეს ხალხის მოქმედებას.

1905 წელს გამოვიდა რსდმპ ქუთაისის კომიტეტის გაზეთი, რომლის პირველ ნომერს ეწოდებოდა „გაფიცვა" (დაბეჭდილია რედაქტორის აღუნიშნავად). შემდეგ კი „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი". 1906 წლის 1 იანვრის ნომრის ჩათვლით სულ 12 ნომერი დაიბეჭდა. მისი რედაქტორი გ. ლორთქიფანიძე იყო. გაზეთში თანამშრომლობდნენ ივ. გომართელი, ა. რ., ალ. კოხრეიძე, ილია ბახტაძე, ლადო ბზვანელი (ნაცვლიშვილი), მთაშაველი, ბელზებელი(იასონ ნიკოლეიშვილი) და სხვ.

რევოლუციამ უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. პრესაც მრავალ-ფეროვანი და მგზნებარე გახდა. 1906 წლის 9 ივლისს გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი „შიკრიკი" (რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. რუხაძე). მეცხრე ნომრის შემდეგ ამ გაზეთის ნაცვლად გაჩნდა ყოველკვირეული გაზეთი „ნაპერწკალი" (რედაქტორ-გამომცემელი ვლ. ი. ხელაძე), მაგრამ ორი ნომრის (თითოეული 14 გვერდი) შემდეგ 17 სექტემბერს ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით ისიც დაიხურა. ამ პერიოდში გამოვიდა ანარქისტულ გაზეთ „ძალას" ერთი ნომერიც (16 გვერდი). მისი რედაქტორ-გამომცემელი სიმონ ჯორბენაძე იყო.

1906 წელს ქუთაისში ერთდროულად ორი არალეგალური სტამბა მოქმედებდა — ბ. ბიბინეიშვილის ბინაზე და გორაზე მიტოვებულ სახლში. სადაც ბოლშევიკები თავიანთ გამოცემებს ბეჭდავდნენ (უმთავრესად ისევ ფურცლებს, მოწოდებებს, პროკლამაციებსა და პატარ-პატარა ბროშურებს).

1907 წელს დაარსდა ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების ყოველკვირეული გაზეთი „გრდემლი" (რედაქტორ-გამომცემელი ალ. პ. ჩილაევი). მასში აქტიურად თანამშრომლობდნენ: ურო (ექ. ვას. წერეთელი), ს. ჯორბენაძე, ინ-რე-ჟანი, გურულ-მეგრელი და სხვ. სამი ნომრის შემდეგ მის ნაცვლად გამოდიოდა გაზეთი „ალი".

ცოტა უფრო მეტხანს იარსება სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველკვირეულმა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთმა „ცისკარმა" (გამოვიდა 11 ნომერი, თითოეული 16 გვერდი). მისი ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი იყო. ალ. კოხრეიძე. თანამშრომლობდნენ: ივ. გომართელი, გრ. ნასარიძე, ორბელი (ვარლამ ბურჯანაძე), ბელზებელი და სხვ. 1907 წლის 4 დეკემბერს თბილისის გაზეთი „ისარი" იუწყებოდა: „ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა ქუთათური ჟურნალი „ცისკარი", რედაქტორი დაჯარიმებულ იქნა 500 მანეთით".

გარდა ამისა, გამოვიდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტ მასწავლებელთა არალეგალური გაზეთი „კავშირი". ცნობილია მისი სამი ნომერი (№ 3, 8 გვერდი), რომლებიც დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკებში). მას მოჰყვა კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის არალეგალური მარქსისტული ჟურნალი „შკოლნაია ჟიზნ" (რუსული, № 1, 1908 წლის 26 იანვარი). მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო უფროსკლასელი ბოლშევიკი ილია მამულია. ჟურნალი დაბეჭდილია გიმნაზიის საავადმყოფოს სარდაფში მოწყობილ არალეგალურ სტამბაში. იქვე იბეჭდებოდა ფურცლები და პროკლამაციები. მზადდებოდა ჟურნალის მეორე ნომერიც, მაგრამ გიმნაზიის ადმინის-

ტრაციამ გაიგო და ჯგუფის ხელმძღვანელი დასაჯა. სტამბა შემთხვევით გადარჩა, რადგან ის დროულად გადასცეს ქუთაისის კომიტეტს.

რეაქციის წლებში გააქტიურდა სოციალ-ფედერალისტთა საგამომცემლო საქმიანობა. 1908 წლის იანვარში გამოვიდა მათი ყოველკვირეული გაზეთი „ფარი" (რედაქტორ-გამომცემელი კ. ბაქრაძე), რომელიც ძირითადად ეროვნულ საკითხებს აშუქებდა. ხუთი ნომრის შემდეგ თებერვალში „ფარი" შეცვალა იმავე მოცულობის (16 გვერდი), პროგრამისა და თანამშრომელთა შემადგენლობის გაზეთმა „შრომამ" (რედაქტორი დ. ს. მესხი). გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ: გრ. გველესიანი, სილოვანი, ჯიბილა (რაფიელ ჯიბლაძე) და სხვ. ახალ გაზეთს ქვესათაურად ეწერა: „გაზეთ „ფარის" ნაცვლად ხელისმოწ. წერებს ამა წლის 11 თებერვლიდან ეგზავნებათ გაზ. „შრომა". ამით ერთგვარად აღსდგა ქუთაისის პირველი გაზეთის სახელწოდება ოდნავ შეცვლილი შინაარსით. მაგრამ „შრომაც" დღემოკლე აღმოჩნდა და მარტის დამლევს 8 ნომრის შემდეგ დაიხურა.

შედარებით დიდხანს გამოდიოდა ქართველი სამღვდელოების მიერ დაარსებული ყოველკვირეული 16-გვერდიანი გაზეთი „შინაური ამბები" (1908—1915 წწ.). მას რედაქტორობდა სიმონ მჭედლიძე, გამომცემელი კი იოსებ ლეჟავა იყო. გაზეთი აშუქებდა ძირითადად ზოგადსარწმუნოებრივ და ადგილობრივი ეკლესიის საკითხებს.

1909 წლის 1 ივლისს გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ვარსკვლავი" (რედაქტორ-გამომცემელი ს. ჯინჭველაშვილი). იგი ნოემბერში დაიხურა, მაგრამ 1910 წელს განახლდა და კვირაში ორჯერ გამოდიოდა. 1909 წელს 18 ნომერი დაიბეჭდა, 1910 წელს — 16 ნომერი. 1909 წელს „ვარსკვლავის" დახურვის წინ (6 სექტემბრიდან) გამოდიოდა იმავე მიმართულების ყოველკვირეული გაზეთი „ფონი". პირველ წელს გამოვიდა 17, ხოლო 1910 წელს — 23 ნომერი. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ „ფონი" მამხილებელი შინაარსის გამო ჯერ დროებით შეაჩერა, შემდეგ კი საბოლოოდ აკრძალა, მისი რედაქტორ-გამომცემელი გრ. გიორგაძე სამი თვით დააპატიმრა.

გარდა ამისა, 1910 წელს ქუთაისში გამოვიდა სხვადასხვა სახელწოდებისა და შინაარსის ექვსი ლიტერატურულ-იუმორისტული ჟურნალი — ალმანახი თებერვალში გ. მელაძემ გამოსცა კერძო კრებული „შკოლა და ცხოვრება"; 31 ოქტომბერს ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებით ილ. ბახტაძემ გამოუშვა 8-გვერდიანი იუმორისტული კვირეული „თავს ვეძებთ"; 14 ნოემბერს მანვე გამოსცა ახალი ლიტერატურული ალმანახი „ქუთაისის საქმიანობა". მასში დაბეჭდილია ა. პ. ჩეხოვის ფელეტონი, ილ. ბახტაძის სტატია „ლ. ნ. ტოლსტოი", ქართველი პოეტების რამდენიმე ლექსი და სატირული მიმო-

ხილვა; 28 ნოემბერს ზ. გოგუაძემ გამოსცა იუმორისტული ალმანახი „თავი“ და ამით დამთავრდა ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებული ორომტრიალი. ხოლო 12 დეკემბერს გამოვიდა მაქსიმ კვერნაძის 8-გვერდიანი სურათებიანი საპოლიტიკო და სალიტერატურო ალმანახი „შუქი“, მელიტონ ქუთათელაძემ კი სტამბა „ძმობაში“ დაბეჭდა კარიკატურებიან იუმორისტულ კვირეულ „ჭინკის“ სამი ნომერი.

1911 წლის თებერვალში ან. ხელაძემ გამოსცა 16-გვერდიანი ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახი „კოლხიდა“, 25 მარტიდან კი გამოსვლა იწყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების (მისი პროგრამა დაბეჭდილია პირველ ნომერში) იმავე სახელწოდების ყოველდღიურმა გაზეთმა. მისი რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: 1911—1912 წლებში — ცნობილი მწერალი და მთარგმნელი არისტო ჭუმბაძე, 1912—1913 წლებში — მ. ჯაფარიძე. გაზეთ „კოლხიდაში“ თანამშრომლობდნენ: კიტა აბაშიძე, გრ. გველესიანი, ს. ხუნდაძე, დ. უზნაძე, ჯაფარ-ფაშა (ალ. ჯაფარიძე), ა. წერეთელი, ნ. ლორთქიფანიძე, დ. მეგრელი, ნ. ჩხიკვაძე და სხვ. ცენზურამ რამდენჯერმე შეაჩერა „კოლხიდის“ გამოცემა. საერთოდ კი, 1911 წელს 224 ნომერი გამოვიდა, 1912 წელს — 152 და 1913 წელს — 42 ნომერი. უკანასკნელი ნომერი 1 მაისს გავრცელდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქუთაისის ყველაზე დღეგრძელი და მრავალფეროვანი გამოცემა იყო პირველი ქართული სპეციალური საკოოპერაციო ჟურნალი „კოოპერაცია“ (გამოდიოდა 1911—1919 და შემდეგ 1923—1924 წლებში). მისი პერიოდულობა ხშირად იცვლებოდა: 1911 წელს ყოველკვირეული იყო, 1912 წელს — ორკვირეული, შემდგომ წლებში კი თითო-ოროლა ნომერი გამოდიოდა. 1923 წელს „კოოპერაცია“ თბილისში იქნა განახლებული და ყოველთვიური გახდა. „კოოპერაციას“ ჰქონდა სხვადასხვა ქვესათაური: „ყოველკვირეული სახალხო ჟურნალი“ — 1911 წლის №№ 1—17; „ორკვირეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი“— 1912 წლის № 23 (6); „საქართველოს კოოპერაციული ბიუროს სპეციალური ორგანო, გამოდის თვეში ერთხელ იასონ გაბილაიას რედაქტორობით“ — 1913 წლის № 24; „კოოპერაციული და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი“ — 1914 წლის №№ 25—26 და 1915 წლის №№ 27—31; „ყოველკვირეული სახალხო-კოოპერაციული და საზოგადოებრივ-ეკონომიური გაზეთი“ — 1914 წლის №№ 1—5; „ყოველკვირეული სახალხო გამოცემა“ — 1915 წლის № 32; „სპეციალური გამოცემა“ — 1915 წლის № 35; „ორკვირეული ჟურნალი“ — 1916 წლის №№ 2—3 და 1917 წლის №№ 1—2. მოცულობაც სხვადასხვა ჰქონდა — 4-დან 16 გვერდამდე (საშუალოდ 30× 21 სმ ფორმატის).

ყოველივე ეს, ცხადია, კარგი ცხოვრებისა და ცენზურის კეთილსინდისიერების მომასწავებელი არ უნდა ყოფილიყო.

ერთხანს „კოოპერაციის“ გამომცემელი გ. ნარაკიძე იყო. ჟურნალი სხვადასხვა სტამბაში იბეჭდებოდა. მასში ქვეყნდებოდა პოპულარული სტატიები კოოპერაციული მოძრაობისა და საქართველოში კოოპერატივების დაარსების შესახებ (წესდებები, ანგარიშები, ოქმები და სხვ.). ჟურნალის პროგრამა შეიცავდა შემდეგ განყოფილებებს: 1) მოწინავე წერილები კოოპერაციულ-ეკონომიურ საკითხებზე; 2) სტატიები მუნიციპალიზაციის შესახებ; 3) კოოპერაციული ცხოვრების კორესპონდენციები და მიმოხილვა ილუსტრაციებით; 4) ცნობილი კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიები პორტრეტებით; 5) მიმდინარე ცხოვრება; 6) სტატიები ჯანმრთელობის დაცვაზე; ნარევი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოოპერაციის პრაქტიკულ საკითხებს. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწეები“.

თარგმნილი მასალიდან „კოოპერაციაში“ დაბეჭდილია ლ. ტოლსტოის, ვ. ლევიცკის, პ. პ. მიგულინის, ა. კაუფმანის, მ. სოლოვიოვის, ვ. ა. პოსეს, პროფ. ა. მიკლაშევსკის, პროფ. ნ. კაბლუკოვის, ლ. ლუცატის, ა. იზგოევის, პროფ. ვ. გ. ბაჟაევის, მ. ს. ერმოლაევის, დავიდ რიკარდოს, შარლ ჟიდისა და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები.

„კოოპერაციას“ ჰქონია „სურათებიანი დამატება“, რომელიც ეტყობა აგრეთვე არარეგულარულად გამოდიოდა და საკუთარი ნუმერაცია არ ჰქონია. როგორც ა. აბრამიშვილი იუწყება, „დამატებანი“ 1919 წლის №№ 18 და 23 და 1914 წლის № 5 (4—5) დაცულია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს და უძველეს წიგნთსაცავში — ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

„კოოპერაცია“ უშვებდა სერიულ დამატებებსაც: „საკოოპერაციო ბროშურები“ (გამოსულია მხოლოდ ერთი ნომერი) და „საკოოპერაციო ბიბლიოთეკა“ (აღრიცხულია „ქართული წიგნის“ პირველ ტომში). გარდა ამისა, „კოოპერაციას“ გამოუცია პოლიტიკური ეკონომიისა და კოოპერაციის საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნი და ბროშურა.

1911 წელს ქუთაისში გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული ეიმართულების ყოველდღიური გაზეთი „მნათობი“ (რედაქტორ-გამომცემელი რაჟდენ პ. ვაჭრიძე). ამ ორგანომ 85-ე ნომრამდე იარსება. ამ წელს გამოსულია აგრეთვე 8-გვერდიანი ერთდროული ლიტერატურულ-იუმორისტული ალმანახები: „საახალწლო მილოცვები“ (გამომცემელი მ. კვერნაძე), „ნემსი“ და „სადგისი“ (გამომცემელი დ. პეშტმანჯიანცი).

1912 წელი სარეკორდო იყო ძველი ქუთაისის საგამომცემლო საქმიანობაში. თბილისში მხოლოდ 13 პერიოდული გამოცემა ეყო აღრიცხული. ქუთაისში კი აღმოჩნდა 18—5 გაზეთი და 13 ჟურნალი თუ ალმანახი.

ამ გამოცემებიდან აღსანიშნავია, უწინარეს ყოვლისა, სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი „ცხოვრება" (რედაქტორ-გამომცემელი ბ. ა. ჯულაყიძე). გამოვიდა 33 ნომერი. მასში დაბეჭდილია მ. გორკის მოთხრობები. 13 მარტს დაიხურა ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით. გაზეთი დაჯარიმებულ იქნა 500 მანეთით, ხოლო მისი რედაქტორი დააპატიმრეს. მაგრამ 1 ივლისს გამოვიდა იმავე მიმართულების გაზეთი „ჩვენი ცხოვრება" (რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე). ვერც მან იბოგინა დიდხანს და 22 ივლისს მე-19 ნომრის შემდეგ დაიხურა. ნიშანდობლივია, რომ მას სათაურში სიტყვა „ჩვენი" წვრილი შრიფტით ჰქონდა აწყობილი. ამის შედეგ 21 აგვისტოს გამოვიდა ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ლილა" (რედაქტორ-გამომცემელი ილარიონ რუხაძე). მან უკვე ორ წელიწადს იარსება და დაიბეჭდა: 1912 წელს 20 და 1913 წელს — 39 ნომერი. 1912 წლის 15 სექტემბრიდან 1913 წლის 4 მარტამდე „ლილა" დროებით შეჩერებული იყო და მის ნაცვლად იმავე თანამშრომელთა შემადგენლობით გამოდიოდა გაზეთი „მერცხალი". 1913 წლის 24 აპრილიდან „ლილა" საბოლოოდ დაიხურა.

სამ წელიწადს იარსება ნაციონალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიურმა გაზეთმა „იმერეთმა" (1912—1915), რომელიც „კოლხიდის" ნაცვლად და მისივე პროგრამით გამოვიდა. „იმერეთის" ოფიციალური რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: გრ. ერმ. ჭელიძე (1912—1913 წლებში, 1914 წლის №№ 1—86-ის დროს და 1915 წელს) და ბეს. ჯაიანი (1914 წლის №№ 87—150 დროს). 1914 წლიდან „იმერეთის" ფაქტიური რედაქტორი გახდა მიხ. შევარდნაძე. რედკოლეგიაში შედიოდნენ ვასილ წერეთელი და ალ. ჯაფარიძე. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ: ნ. ლორთქიფანიძე, ურო (ვას. წერეთელი), ისარი, დია ჩიანელი, გრიგ. გველესიანი, კანდე, სიმ. ქვარიანი, აკ. პაპავა, ვ. კაკაბაძე, ილ. გოგია, ტ. ჯაფარიძე, დე-ზი და სხვ. პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით 22 აგვისტოდან „იმერეთი" უშვებდა ლილა-საღამოს დამატებას — „დეპეშებს" ქართულ და რუსულ ენებზე (კედელზე გასაკვრელ ცალ გვერდზე ნაბეჭდ ფურცლებს). ქუთაისის საგუბერნიო სასამართლო პალატის მითითებით „იმერეთის" გამოცემა რამდენჯერმე შეჩერდა დროებით, ხოლო 1915 წლის 4 აგვისტოდან საბოლოოდ აიკრძალა.

ამ წლის მეხუთე გაზეთი იყო რადიკალ-დემოკრატიული პარტიის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ორგანო „მერცხალი“ (1912—1913). გაზეთის ცნობით მისი რედაქტორ-გამომცემელი კ. ბაბუნაშვილი პროფესიით ფერმწერი ყოფილა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ფაქტიური რედაქტორები მაშინ დევნის შიშით ხშირად ფიქტიური პირების ზურგს უკან იყვნენ ამოფარებული. „მერცხალიც“ უშვებდა თავის დამატებას — „დეპეშებს“. 1913 წლის 30 ნოემბრიდან „მერცხლის“ ნაცვლად გაზეთი „სიტყვა“ გამოდიოდა.

1912—1918 წლებში „სასოფლო გაზეთის“ სახელწოდებით გამოდიოდა სამეურნეო-საოჯახო ჟურნალი (რედაქტორ-გამომცემლები პ. გ. წულუკიძე და ალ. შარაშიძე). მის შესახებ დაწვრილებით მოთხრობილია ნარკვევში „ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები“. გარდა ამისა, „კოოპერაციის“ პარალელურად მისივე პროგრამით გამოდიოდა საკოოპერაციო, საზოგადოებრივ-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი „შრომის კავშირი“ (რედაქტორი იასონ გაბილაია, გამომცემელი — ქუთაისის სამომხმარებლო საზოგადოება „პროგრესი“). პირველ წელს დეკადური იყო, შემდეგ — ორკვირეული. მასში იბეჭდებოდა პოპულარული სტატიები სამომხმარებლო და საკრედიტო კოოპერაციის შესახებ. თარგმანებიდან გამოქვეყნებულია პროფ. ვ. ი. ჟელეზნოვის სტატია და პ. ბლინოვსკის ლექსები. დაიხურა ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით.

დიდი თეატრალური ტრადიციების ქუთაისს ჰქონდა თავისი ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი „თეატრი“. მისი გამომცემელი იყო ცნობილი ტრაგიკოსი ალ. იმედაშვილი. ჟურნალის თავფურცელზე კალენდარული თარიღის ნაცვლად ვკითხულობთ: „1912—1913 წლის სეზონი“. „თეატრი“ გამოვიდა სულ ორი ნომერი (თითოეული 8 გვერდი), რომლებშიც დაბეჭდილია რეცენზიები ადგილობრივ თეატრალურ დადგმებზე, ხელოვნების ქრონიკა და სხვ. თარგმანებიდან გამოქვეყნებულია მ. ლიბერმანის ერთმოქმედებიანი პიესა. „თეატრის“ გაგრძელება იყო ყოველკვირეული სათეატრო-სალიტერატურო ჟურნალი „სცენა“, რომელსაც ცნობილი თეატრალები ვასო ურუშაძე (№ 1) და გ. იშხნელი (№ 2) უშვებდნენ. რატომღაც დროის მიხედვით № 2 უფრო ადრეა გამოსული, ვიდრე № 1. ამ ჟურნალის შინაარსი ბევრი არაფრით განსხვავდებოდა მისი წინამორბედის „თეატრის“ შინაარსისაგან. კერძოდ, თარგმანებიდან დაბეჭდილია მ. გორკის, მ. ლიბერმანის, ანდერსენის, აბელის (ლ. მ. ვასილევსკის) ცალკეული ნაწარმოებები.

სათეატრო-სალიტერატურო ჟურნალი „ჩვენი თეატრი“ გამოდიოდა „თეატრამდე“ და მის შემდეგაც. 1912 წელს მას ყოველკვირეული სურათებიანი ალმანახი ეწოდებოდა (გამომცემელი მ. შარაშიძე). 1913 წელს — ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი (რედაქტორ-

გამომცემელი მ. ქორიძე). გამოსულია სულ 7 ნომერი, თითოეული 8-გვერდიანი. შინაარსით თითქმის არ განსხვავდებოდა „თეატრისა“ და „სცენისაგან“. თარგმანებიდან დაბეჭდილია ნაწყვეტები ანრი ბორდოს, ანრი სმოლდოვსკის, სოფოკლეს და სხვა ავტორების პიესებიდან. „ჩვენი თეატრის“ გამოცემაც ადგილობრივმა ხელისუფლებმა აკრძალეს.

სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველკვირეული საპოლიტიკო-სატირული ჟურნალი „არჩევანი“ (1912 წელი) შეიქმნა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით. მისი გამომცემელი იყო მ. კვერნაძე, შინაარსი — პოლემიკა არჩევნების თაობაზე. გამოვიდა 8 ნომერი (თითოეული 8—16 გვერდი). მის სექტემბრის ნომრებს აწერია „ჩვენი არჩევანი“, ოქტომბრისას — „დეპუტატის არჩევანი“, შემდეგ კი — „ახალი არჩევანი“ და „წარსული არჩევანი“.

გამოცემულია ერთდროული ალმანახებიც. 1. „დასაწყისი“ — სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო, გამომცემელი ო. ხუსკივაძე; 2. „გაზაფხული“ — საგაზეთო წერილების კრებული. გამოვიდა დროებით შეჩერებულ გაზეთ „კოლხიდის“ ნაცვლად. თარიღი არ აწერია, დადგენილია ბიბლიოთეკებში მიღების დროის მიხედვით. მოთავსებულია ს. ხუნდაძის, მ. უზნაძის, აკ. პაპავას, ჯ. ჯორჯიკიას, ს. ჩიხლაძისა და სხვ. სტატიები. ამ გამოცემას ახასიათებს რამდენიმე უცნაურობა: ყოველი წინადადების პირველი სიტყვის პირველი ასო აწყობილია შავი შრიფტით; თავფურცელს მსხვილი შრიფტით აწერია „ქრისტე აღსდგა!“; იქვე მიწერილია: „ეს გამოცემა ურიგდება გაზ. „კოლხიდის“ ხელისმომწერებს; 3. „მაშხალა“ — ფრონტისპისს (თანათავფურცელს) აწერია: „საოჯახო ალმანახი“, გამოვა დროგამოშვებით სხვადასხვა სახელწოდებით“. მისი გამომცემელი იყო თეატრმცოდნე სერგო გერსამია. გამოცემის წელიწადი დადგენილია შინაარსისა და ბიბლიოთეკებში მიღების თარიღის მიხედვით; 4. „ჯოჯოხეთის მაშხალა“ — გამოსულია „მაშხალის“ შემდეგ. ბოლო გვერდზე რედაქცია იუწყებოდა, რომ შემდგომი ნომერი გამოვიდოდა „სააქაოს მაშხალის“ სახელწოდებით, მაგრამ უცნობია ასეთი ნომერი გამოვიდა თუ არა; 5. „შიკრიკი“ — სოციალ-დემოკრატიული მიმართულების კრებული. გამოცემულია მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით. მისი გამომცემელია ვლადიმერ მიქელაძე; 6. „ანკესი“ — სატირულ-იუმორისტული ალმანახი კარიკატურებით. ესეც სერგო გერსამიას გამოუცია.

2.

პირველი მსოფლიო ომის წინა — 1913 წელიც ქუთაისისათვის მდიდარი იყო ახალი გამოცემებით. 25 აპრილს გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „თანამედროვე ქვეყანა" (რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჯანელიძე). მისი 38 ნომერია ცნობილი. ერთ-ერთ მათგანში დაბეჭდილია მ. გორკის მოთხრობა „გარეუბანი ტოლმაჩიხა" (თარგმანი ვ. მაღალაშვილისა). ხანმოკლე არსებობის მანძილზე მთავრობამ ეს გაზეთი ორჯერ შეაჩერა დროებით (2 მაისიდან 1 ივლისამდე და 1 აგვისტოდან 23 სექტემბრამდე). ამ შუალედურ პერიოდებში და 29 სექტემბრიდან საბოლოოდ დახურვის შემდეგ მის ნაცვლად გამოდიოდა გაზეთი „სიმართლის ხმა". ეს უკანასკნელიც ორჯერ (15 მაისიდან 1 სექტემბრამდე და 23 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე) შეჩერებულ იქნა და განახლდა 1914 წლის 1 იანვრიდან. მაგრამ 48 ნომრის შემდეგ, ესე იგი 28 თებერვალს საბოლოოდ დაიხურა.

მხოლოდ ერთ თვეს (აგვისტოში) იარსება და 24 ნომერი გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „განთიადი" (რედაქტორ-გამომცემელი ი. თარგამაძე). უფრო ცოტა ხანს — 1-დან 20 დეკემბრამდე გამოდიოდა „მერცხლის" შემდეგ დაარსებული გაზეთი „სიტყვა" (რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბდალაძე) — დაბეჭდილია 17 ნომერი. ამ შემთხვევაში იმარჯვა ნაციონალ-დემოკრატების ყოველდღიურმა გაზეთმა „ერმა" (რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე), რომელიც „იმერეთის" დროებით შეჩერების დროს გამოდიოდა და 1913 წლის 1 ნოემბრიდან 1914 წლის 13 თებერვლამდე იარსება — გამოვიდა 82 ნომერი. „ერის" უახლოესი თანამშრომლები იყვნენ გრ. გველესიანი, სერგო გერსამია, შ. ვარდიძე, თ. ხუსკივაძე და სხვ. 1914 წლის 10 ივლისს გაზეთი „იმერეთი" იუწყებოდა: „8 ივლისს ოლქის სასამართლომ გაზ. „ერის" ყოფილ რედაქტორს (ამჟამად გაზ. „შრომის" რედაქტორს) — გ. ბრეგაძეს 3 კვირით დატუსაღება მიუსაჯა". „ერის" შემდეგ „ჩვენი ერი" გამოდიოდა.

1913 წლის იანვარში გამოვიდა 8-გვერდიანი კარიკატურებიანი იუმორისტული ალმანახები: „ახალწლის დილა" (ზესათაურად წვრილი შრიფტით აწერია „ლილა") და „გალილავება". ორივეს გამომცემელი იოსებ ქავჟარაძე იყო. „გალილავების" პირველ გვერდზე წერია: „ვაცხადებთ ყველას გასაგონად, რომ ჩვენს რედაქციას საერთო არაფერი აქვს „მერცხლის" რედაქციასთან, არც „იმერეთისა", გარდა გამარჯობა-გაგიმარჯოსი".

იანვარ-მარტში გამოვიდა 2 ნომერი 16-გვერდიანი ალმანახი

„დუმა“ (გამომცემელი ს. ხვიჩია). მათში დაბეჭდილია მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომაზე წაკითხული მეფის მთავრობის დეკლარაცია და ფრაქციათა ლიდერების სიტყვები. თებერვალში კი 4-გვერდიანი იუმორისტული ჟურნალი „გზა“ (გამომცემელი პ. მელაძე).

მაის-ივნისში გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „ოქროს ვერძი“ (რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი). ცნობილია მისი ხუთი ნომერი. მათში გაშუქებულია ლიტერატურის, ხელოვნებისა და კრიტიკის საკითხები. თანამშრომლობდნენ ალ. აბაშელი, ლ. ქიაჩელი და სხვა მწერლები. თარგმანებიდან დაბეჭდილია ჰაინრიხ ჰაინეს, იგორ სევერიანინის, ვ. ჰიუგოს, ლ. ანდრეევის, რაბინდრანათ თაგორის, ვ. დე-ლილ-ადანის ცალკეული ნაწარმოებები. ჟურნალი დახურულია ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით.

გამოსულია აგრეთვე სახვთისმეტყველო-ფილოსოფიური, საპოლიტიკო და სალიტერატურო კრებული „განთიადი“ (რედაქტორი მღვდელი სვ. მჭედლიძე. 274 გვერდი). თეოლოგიური სტატიების გარდა დაბეჭდილია ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან და სოფრომ მგალობლიშვილისა და რ. საჯავახოელის მხატვრული ნაწარმოებები. თარგმანებიდან აღსანიშნავია პროფ. ფ. შაფის, იოან ლუკიანოვის, ფილოსოფიის დოქტორ ე. დენერტის, ი. ნ. პოტაპენკოს და სხვ. სტატიები.

ამ პერიოდში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან მხოლოდ ქუთაისის ჯგუფი ახერხებდა პროკლამაციებისა და ფურცლების ბეჭდვას ლეგალურ და არალეგალურ სტამბებში. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა მათ სტამბის პატრონი ი. კილაძე, რომლის მუშების უმრავლესობა რევოლუციურად იყო განწყობილი. მათ დაბეჭდეს საპირველმაისო მოწოდება რსდმპ ქუთაისის რაიონული კომიტეტის სახელით. შემდეგ ქუთაისელ ბოლშევიკთა ჯგუფმა გამოსცა პროკლამაცია „ამხანაგებო!“ ყველაფერი ეს ვრცელდებოდა როგორც თვით ქუთაისში, ისე თბილისში, ჭიათურასა და ფოთში.

ქუთაისელ ბოლშევიკებთან დაკავშირებული იყო მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. 1913 წელს ამ ორგანიზაციამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რომანოვების სამეფო გვარეულობის 300 წლისთავის „ზეიმთან“ დაკავშირებით, შეადგინა საპროტესტო პროკლამაცია „ამხანაგო მოსწავლეებო“! და ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდა სახელდახელოდ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში.

1914 წელს ქუთაისის პრესის დამახასიათებელი თავისებურება იყო ის, რომ გამოცემათა რაოდენობის მხრივ შენარჩუნებულ იქნა წინა წლის მაღალი დონე — ძირითადად ახალ-ახალი გაზეთების ხარჯზე. სამაგიეროდ თითქმის გაქრა ერთდროული ალმანახები და კრებუ-

ლები, რომლებიც აგრერიგად უყვარდათ ქუთაისელ კალმოსნებს და წინა ორ-სამ წელიწადში საკმაოდ გამოდიოდა. ეს, რა თქმა უნდა, ახალდაწყებული ომის თავისებური შედეგი იყო.

ახლად გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „აზრი" (რედაქ-ტორ-გამომცემელი ალექსანდრა ცერცვაძისა), რომელიც 94-ე ნომრის შემდეგ (11 ივლისიდან) მთავრობის განკარგულებით დაიხურა. მის ნა-ცვლად გამოსვლა იწყო ჯერ „ახალმა აზრმა" (რედაქტორ-გამომცემე-ლი კ. კეკელიძე), შემდეგ კი—„ჩვენმა აზრმა" (რედაქტორ-გამომცემე-ლი ლ. ცაგარელი). სამივე ერთი და იგივე გაზეთი იყო, მხოლოდ მთავ-რობისათვის თვალის ასახვევად სახელწოდებას უცვლიდნენ. „აზრის" საბოლოოდ აკრძალვამდე, მისი დროებით შეჩერების დროს, 11—13 ივლისს გამოვიდა 3 ნომერი გაზეთი „ტალღა" (რედაქტორ-გამომცემე-ლი ვ. ცერცვაძე). გარდა ამისა, რამდენჯერმე მოახდინეს „აზრის" ცალკეული ნომრების კონფისკაცია და ალექსანდრა ცერცვაძისა სა-მართალში მისცეს, 10 ივლისიდან კი ერთ თვეს დაპატიმრებული იყო. „ახალი აზრი" 6 ნომერი გამოვიდა და მასაც თავისი წინამორბედის ბედი ეწია — 18 ივლისს მე-6 ნომერს კონფისკაცია უქნეს, ხოლო რე-დაქტორს საგუბერნიო სასამართლომ 3 თვის პატიმრობა მიუსაჯა.

18 ივლისს „ახალი აზრის" რედაქციის გაჩხრეკის დროს დაუპა-ტიმრებიათ შემთხვევით იქ მყოფი რამდენიმე კაცი, მათ შორის ცნო-ბილი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი.

„ჩვენი აზრი" არსებობდა 22-დან 30 ივლისამდე და 8 ნომერი გა-მოვიდა. სათაურში სიტყვა „ჩვენი" წვრილი შრიფტით არის აწყობი-ლი. „ჩვენი აზრის" დახურვის შემდეგ მომდევნო წელს გაზეთი „ახა-ლი ქვალი" გამოდიოდა.

16 მარტიდან 15 მაისამდე გამოდიოდა ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი ერი" (რედაქტორ-გა-მომცემელი სერგო გერსამია). აღრიცხულია მისი 45 ნომერი. ამ გაზე-თის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ძველი მეთვალყურე, თომა პუსა და სხვ. „ჩვენი ერი" პოლემიკას აწარმოებდა „იმერეთთან", „აზრ-სა " და სხვა ორგანოებთან. მთავრობამ რამდენჯერმე მოახდინა „ჩვე-ნი ერის" ცალკეული ნომრების კონფისკაცია, ბოლოს ის აკრძალა და გერსამია 10 დღით დააპატიმრეს.

მესამედ იქნა აღდგენილი ქუთაისის პირველი გაზეთის „შრომის" სახელწოდება. ამჯერად იგი გამოდიოდა 1914—1915 და 1917 წლებში, როგორც ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა ყოველკვირეული ორგანო. მისი ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი იყო გ. ი. ბრე-გაძე, ფაქტიური რედაქტორი — ლეო შენგელია, რედკოლეგიის წევ-რები — ივ. გობეჩია და ი. ნუცუბიძე. გაზეთში თანამშრომლობდნენ:

მ. ბასილაია, მ. ფაჩუაშვილი, გ. მეფარიშვილი, ა. კაკაბაძე, ვ. კაპანაძე და სხვ. გაზეთი გამოვიდა: 1914 წელს 43, 1915 წელს — 34 და 1917 წელს — 29 ნომერი. ბოლო წლის თითოეულ ნომერს სათაურის მარჯვენა მხარეს აქვს ლოზუნგი: „ბრძოლაში მოიპოვებ შენს თავისუფლებას", და მარცხენა მხარეს — „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია". 1914 წელს ეს გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე უშვებდა დილა-საღამოს დამატებას — „დეპეშები. ევროპის ომი".

გაზეთ „იმერეთის" დროებით შეჩერების დროს 1914 წლის 28 სექტემბრიდან 21 დეკემბრამდე მისი პროგრამითა და თანამშრომელთა შემადგენლობით გამოდიოდა ნაციონალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ახალი ივერია" (რედაქტორ-გამომცემელი გ. დარახველიძე).

1914 წლის ერთადერთი ჟურნალი იყო რუსეთში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა სამხატვრო და სამეცნიერო კრებული „ცხოვრება და მეცნიერება" (რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია, გამომცემელი — ქუთაისის წიგნის მაღაზიის ამხანაგობა). მასში თანამშრომლობდნენ: ვას. ეგნატაშვილი, სიმ. ავალიანი, სიმ. ყიფშიძე, ს. ასლანიშვილი, პ. ქავთარაძე და სხვ. ცნობილია მხოლოდ ერთი ნომერი.

გამანადგურებელმა ომმა წარუშლელი დაღი დაასვა პრესას. 1915 წელს მწიგნობარ და მაღალმკითხველ ქუთაისში, წინა წლებიდან გადმოსული ზოგიერთი გამოცემის გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ახლად დაარსებული ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო". გამოდიოდა „იმერეთისა" და „ახალი ივერიის" შემდეგ მათივე პროგრამითა და თანამშრომელთა შემადგენლობით. ამ შემთხვევაში რედაქციის აპარატი ძალზე მტკიცე და შემჭიდროვებული იყო. მას სათავეში ედგა რედაქტორ-გამომცემელი იაკობ ცინცაძე, რომელიც ქართულ ჟურნალისტიკასა და ლიტერატურაში ია ეკალაძის ფსევდონიმით არის ცნობილი. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს „სამშობლოს" რედაქტორები იყვნენ: ნ. ლორთქიფანიძე (1917 წლის №№ 520—582) და ვას. წერეთელი (№ 583-დან გაზეთის დახურვამდე). 1916 წლის № 293-დან გაზეთის გამომცემელი გახდა ამხანაგობა „სამშობლო". აღრიცხულია ამ გაზეთის 587 ნომერი. მას ჰქონდა აგრეთვე თავისი 4-გვერდიანი კვირეული სურათებიანი დამატება „სამშობლო", რომელსაც უშუალოდ ი. თ. ცინცაძე რედაქტორობდა. ეს დამატება გამოსულია 1915 წელს 28 და 1916 წელს — 42 ნომერი. დამატებაში ადგილობრივი მწერლების ახალ ნაწარმოებთა გარდა დაბეჭდილია მ. გორკის, ვლ. დოროშევიჩის, კნუტ ჰამსუნისა და ა. კუპრინის ნაწარმოებთა თარგმანები.

შემდეგია სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატური გაზეთი „მეგობარი" (1915—

1916). მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო დ. ი. შარაშენიძე. გაზეთში თანამშრომლობდნენ: გრ. გველესიანი, იპ. ამ. (კიტა აბაშიძე), გ. ჭუმბურიძე, დ. უზნაძე და სხვ. გამოსულია 121 ნომერი. მთავრობის განკარგულებით დახურვის შემდეგ „მეგობარი" შეცვალა გაზეთმა „ჩვენმა მეგობარმა".

აღსანიშნავია აგრეთვე „ჩვენი აზრის" ნაცვლად გამოსული ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ახალი კვალი" (1915—1916), რომელიც 1916 წელს ყოველდღიური გახდა (რედაქტორ-გამომცემელი სევერიან ბახტაძე). „ახალი კვალი" 1915 წლის 20 ივლისის მე-12 ნომრის შემდეგ მთავრობამ აკრძალა. განახლდა 1916 წლის 7 მარტს, მაგრამ, ალბათ, „ცუდი ციფრის" გამო № 13 ნაცვლად ისევ № 12 აწერია. თბილისის გაზეთ „სახალხო ფურცლის" ცნობით, „ახალი კვალი" 37 ნომრის შემდეგ უსახსრობის გამო საბოლოოდ დაიხურა.

1916 წ. 18 აგვისტოს პირველად გამოვიდა ყოველდღიური რუსულ-ქართული გაზეთი „კუტაისსკი ლისტოკი" (რედაქტორ-გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე). ეს იყო მცირე ფორმატის 4-გვერდიანი იაფფასიანი სარეკლამო გამოცემა. 26 აგვისტოს მე-9 ნომერზე დაიხურა. მისი უცნაურობა ის იყო, რომ ამ ორენოვან გაზეთს რედაქტორი მხოლოდ რუსულად აწერდა ხელს. „კუტაისსკი ლისტოკის" ერთადერთი ეგზემპლარი (№ 3) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაშია დაცული.

ამ წლის ორი ჟურნალიდან პირველი იყო ნაციონალ-დემოკრატების 32-გვერდიანი ორკვირეული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ორგანო „განთიადი" (რედაქტორ-გამომცემელი სიმონ მჭედლიძე, № 5-დან — რომანოზ ფანცხავა (ფსევდონიმი — ხომელელი), შემდეგ ისევ მჭედლიძე). მეჩვიდმეტე ნომრის შემდეგ, 15 ნოემბრიდან მის ნაცვლად, რ. ფანცხავას რედაქტორობით გამოდიოდა პოპულარული ლიტერატურული ჟურნალი „ცხოვრება" (1915—1917). მასში იბეჭდებოდა საისტორიო-სალიტერატურო და ბიბლიოგრაფიული ხასიათის მასალა. სტატიები ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ. „ცხოვრებაში" თანამშრომლობდნენ: რ. ფანცხავა, გ. ებრალიძე, მელანია (ნ. გ. ნათიძე), ი. ბახტაძე, მ. რაჭველი, ვ. ემუხვარი, დ. თურდოსპირელი (პოეტ გ. ქუჩიშვილის ძმა, მწერალი და პედაგოგი დ. ჩხეიძე), ხ. ვარდოშვილი, (ნიკოლაიშვილი), მიმქრალი (ლიდა მეგრელიძე), გ. ქიქოძე და სხვ. გამოსულია: 1915 წელს 3, 1916 წელს — 18 და 1917 წელს — 4 ნომერი (თითოეული 24 გვერდი). 1917 წლის 1 მარტიდან იგი გამოდიოდა „თავისუფლების" სახელწოდებით.

გამოსულია ორი ლიტერატურულ-იუმორისტული ალმანახიც: სა-

ახალწლო „ქუთაისი" (გამომცემელი ხ. ძიძიგური, 8 გვერდი) და „ჩვენი მომავალი" (რედაქტორ-გამომცემელი დ. ნ. ღოღობერიძე).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა — 1916 წელს ქუთაისს მხოლოდ ერთი ყოველდღიური გაზეთი შეემატა. ეს იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანო „ჩვენი მეგობარი", რომელიც გაზეთ „მეგობრის" ნაცვლად იმავე მოცულობითა და თანამშრომელთა შემადგენლობით გამოდიოდა (რედაქტორ-გამომცემელი ი. ლ. მახვილაძე). გამოსულია 457 ნომერი. 1916 წლის 118—245 ნომერები უფრო მცირე ფორმატის ქაღალდზეა დაბეჭდილი.

ამ წლის ჟურნალებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ყოველთვიური სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ორგანო „სკოლა და ოჯახი" (რედაქტორი ვ. ქ. ნაცვლიშვილი — იბეჭდებოდა ლადო ბზვანელის ფსევდონიმით, გამომცემელი — დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირი). გამოსულია 6 ნომერი, თითოეული 16 გვერდი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ უმთავრესად სახალხო მასწავლებლები ლ. ბოცვაძე, ვ. კელენჯერიძე, დ. თომაშვილი (ოყოროშიძე), ნარ-ქანი (ნიკო ქამუშაძე), პ. ჭანიშვილი, სიმ. წეველი (ს. გაჩეჩილაძე), ილ. სიხარულიძე და სხვ.

არანაკლები რეზონანსი ჰქონდა ქუთაისელ სიმბოლისტთა ორგანოს „ცისფერი ყანწები" (რედაქტორი პაოლო იაშვილი). ჟურნალის სულისჩამდგმელები იყვნენ კოლაუ ნადირაძე, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეები, ვალ. გაფრინდაშვილი, ს. ცირეკიძე და სხვ. გამოვიდა ორი ნომერი უთარიღოდ და უნომროდ. ორიგინალური ნაწარმოებების გარდა დაბეჭდილია კ. ბალმონტის ლექსების ორი ფაქსიმილე. ჟურნალის თავფურცელი გაუფორმებია მხატვარ ლადო გუდიაშვილს.

გარდა ამისა, იყო ორი ალმანახიც: „ახალი ცისკარი" — ქუთაისელი ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა 16-გვერდიანი კრებული (რედაქტორ-გამომცემელი ლადო მაჭავარიანი, ავტორები — გ. ტაბიძე, ნ. ასათიანი, მ. ანაშვილი და სხვ.) და გაზეთ „შრომის" თანამშრომელთა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული „სხივი" (176 გვერდი).

რევოლუციური 1917 წელი იმით დაიწყო, რომ გამოვიდა ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" (რედაქტორ-გამომცემელი გრ. ურატაძე). ეს გაზეთი მალე რსდმპ ქუთაისის კომიტეტის ორგანო გახდა. იარსება სამ წელიწადს და გამოვიდა: 1917 წელს 223, 1918 წელს — 260 და 1919 წელს — 93 ნომერი. მას მოჰყვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ჩვენი ქვეყანა" (რედაქტორ-გამომცემელი დ. ბ. კვირკველია, თანარედაქტორები — ვასილ წერეთელი და კონსტანტინე ჭანტურია). გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ გ. ვეშაპელი (გრიგოლ ვეშაპიძე), ია ეკალაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ექი-

მი დ. ნაზაროვი, სამს. ყიფიანი, ალ. თოხაძე, ი. დოლიძე და სხვ. გამოდიოდა როგორც გაზეთ „სამშობლოს“ გაგრძელება. იარსება სამ წელიწადს და გამოვიდა: 1917 წელს 208, 1918 წელს — 162 და 1919 წელს — 247 ნომერი.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს ჰქონდა ყოველდღიური (1920 წლიდან ყოველკვირეული) გაზეთი „ხალხის მეგობარი“ (რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია, გამომცემელი — ქუთაისის საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები). იარსება ხუთ წელიწადს და გამოვიდა: 1917—1919 წლებში 421, 1920 წელს — 29 და 1921 წელს — 1 იანვრის ერთადერთი ნომერი. ამ გაზეთის 1919 წლის ნომრები ძალზე ცუდი ხარისხის ყვითელ ქაღალდზეა დაბეჭდილი.

ქუთაისში ამ ტიპის სხვა გაზეთიც იყო — „სოციალ-ისტ-რევოლუციონერი“. მასაც სარედაქციო კოლეგია განაგებდა ლეო შენგელიას, ი. ნუცუბიძისა და ივ. გობეჩიას შემადგენლობით, ხოლო უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ვ. კაპანაძე, მ. ფაჩუაშვილი, ვ. კაკაბაძე და სხვ. ორი წლის განმავლობაში 45 ნომერი გამოვიდა.

1917 წელს გამოვიდა კომუნისტური ახალგაზრდობის „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტის ყოველკვირეული არალეგალური გაზეთი „მესამე ინტერნაციონალი“ (დაწვრილებით იხ. ნარკვევი „მებრძოლი კომკავშირული“).

ქუთაისის ქალთა კლუბს ჰქონდა ყოველკვირეული საპოლიტიკო. სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ (რედაქტორი კატო მიქელაძე). ეს გაზეთი მოითხოვდა ქალთა სრულ ემანსიპაციას და საქართველოს თავისუფლებას, მისი ტერიტორიის ავტონომიას.

გამოდიოდა აგრეთვე ლიბერალური მიმართულების ორკვირეული პოპულარული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „თავისუფლება“ (რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ სპ. ფანცხავა). იგი ჟურნალ „ცხოვრების“ გაგრძელება იყო. გამოვიდა 10 ნომერი, თითოეული 24—32 გვერდი.

ქუთაისელ ჟურნალისტებს არც ამ ქარიშხლიან დღეებში უღალატნიათ თავიანთი მხიარული ზნეობისათვის და გამოუშვეს 4-გვერდიანი კიკნა საოჯახო ალმანახი „არჩევან-არადანი“. მისი გამომცემელი იყო ინკოგნიტო — ვინმე შიკი.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ოპორტუნისტული ნიღაბი და საქართველო ვერაგულად მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს. მოკლე დროში რა არ მოხდა აქ. ეგრეთწოდებულმა „დემოკრატიულმა რესპუბლიკამ“ არა თუ არაფრით არ გააუმჯობესა მუშათა კლასისა და მშრომე-

ლი გლეხობის მდგომარეობა, არამედ, პირიქით, ცეცხლითა და მახვილით აშობდა მათ ყოველგვარ გამოსვლას, ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების ხიშტებით სდევნიდა და კრძალავდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და პრესას.

„მენშევიკურ სამოთხეში" გაჩნდა ქაოსი, ანარქია, უპერსპექტივობა. მომრავლდნენ ნაციონალისტური პარტიები, ასოციაციები, ჯგუფები და ყველას თავისი ტრიბუნა — ბეკდვითი ორგანო ჰქონდა. სწრაფად მწიფდებოდა პოლიტიკური კრიზისი, იატაკქვეშეთი ბობოქრობდა და ემზადებოდა გადამწყვეტი შეტევისათვის. ასე იყო ქუთაისშიც.

წინა წლებიდან გადმოსული ჟურნალ-გაზეთების გარდა, 1918 წლის 8 მარტს ქუთაისში გამოვიდა რსდმპ (ბოლშევიკების) დასავლეთ ამიერკავკასიის ორგანიზაციების ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი ბრძოლა". იგი გამოდიოდა 8 თებერვალს მენშევიკების მიერ თბილისში დახურული ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლის" ნაცვლად. მის სათაურში სიტყვა „ჩვენი" წვრილი შრიფტით იყო აწყობილი. კონსპირაციის მიზნით ამ გაზეთის მეტწილი წერილები ხელმოუწერლადაა დაბეჭდილი. რვა ნომრის შემდეგ — 16 მარტიდან მენშევიკებმა იგი აკრძალეს.

მაშინ ბოლშევიკები ისევ არალეგალურ სტამბებსა და გამოცემებს მიეძალნენ. 1918 წელს ქუთაისში არალეგალური ბოლშევიკური სტამბები არსებობდა მ. მეძმარიაშვილის სახლში (ბალახვანის ქუჩაზე), მ. ცაგარეიშვილის ბინაზე (რუბანის, 6, ამჟამად ერისთავის, 27), შემდეგ გაბაშვილის გორაზე (ამჟამად გორკის ქუჩა) ბოლშევიკი მუშის ივანე ასათიანის სახლში. 8 აპრილს აქ დაიბეჭდა რკპ(ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის ორგანიზაციების არალეგალური გაზეთი „მუშის ბრძოლა", რომელიც კედელზე გასაკრავად ცალ გვერდზე იყო დაბეჭდილი. ცნობილია ამ გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი. მას აშკარად ეტყობა, თუ რა მძიმე პირობებშია გამოცემული, მაგრამ მგზნებარე ბოლშევიკური სიტყვა ყოველგვარი სახით აღწევდა მიზანს, ღრმად სწვდებოდა მშრომელთა გულში და თავისუფლებისათვის საბრძოლველად აღაგზნებდა მათ.

გარდა „მუშის ბრძოლისა", ამ სტამბებში დაიბეჭდა ბევრი ფურცელი. მოწოდება, მათ შორის ცნობილი პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!"

29 დეკემბერს აქვე გამოვიდა ქუთაისის ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაცია „სპარტაკის" ახალი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" (იხ. ნარკვევი „მებრძოლი კომკავშირული").

1918 წელს ქუთაისში იყო ასეთი გამოცემაც — „ხმა ებრაელისა" (ებრაული ეროვნული აზრის ორკვირეული ორგანო). მას უშვებ-

და ქუთაისის სიონისტთა სახალხო ფრაქცია „ცეკირე ციონის“. გამოცემას სარედაქციო კოლეგია განაგებდა. მასში აქტიურად თანამშრომლობდნენ: რაბინი დ. ბააზოვი, შ. ჰალეგი, მ. თავდიდიშვილი და სხვ. გამოვიდა მხოლოდ ორი ნომერი, თვითეული 16 გვერდი.

20 მარტიდან გაზეთ „სოციალისტ-რევოლუციონერის“ ნაცვლად გამოსვლა იწყო ყოველდღიურმა გაზეთმა „რევოლუციურმა ნოთაბ�d“. იარსება 7 ივლისამდე და 23 ნომერი დაიბეჭდა. მას ჰქონდა აგრეთვე ლიტერატურული დამატება „ლიგეია“.

ამ წლის ახალი ჟურნალი იყო 16-გვერდიანი სამხატვრო-სალიტერატურო კრებული „აისი“ (რედაქტორი ლადო მაჭავარიანი). პირველი ნომერი 1918 წლის 1 თებერვალს გამოვიდა. მასში დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. ცვარიანის, რ. გვეტაძის, შ. კარმელის და სხვათა ლექსები და მოთხრობები.

გარდა ამისა, ცნობილია ერთდროული გამოცემები: ქუთაისის მესამე ტექნიკუმის მოწაფეთა ჯგუფის 16-გვერდიანი „წინსვლის ემბლემა“ და გაზეთი „ჯარის კაცი“.

1919—1920 წლებში ქუთაისის პერიოდიკა, ისევე როგორც მთელი კულტურული ცხოვრება, მეტად უღიმღამო იყო. 1919 წლის მარტში გამოვიდა ხელოვნების ყოველთვიური ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“ (№ 1, 68 გვერდი). მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ი. ასლანიშვილი. ჟურნალში დაბეჭდილია ა. ფაღავას, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, ლ. მაჭავარიანისა და სხვათა სტატიები თეატრისა და მუსიკის საკითხებზე. მარტო ქართული მუსიკის ავტორიფეების სახელები საკმარისი იყო ჟურნალის დიდი პოპულარობისათვის.

ნოემბერში ამ ჟურნალის № 2 გამოვიდა „ხელოვნების“ სახელწოდებით (32 გვერდი). 1921 წლის იანვარში გამოსულ № 3-ში (32 გვერდი) მოთავსებულია ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების გამოფენის მასალები, სტატიები ცნობილ მსახიობებზე და ლექსები.

1919 წლის ძირითადი გამოცემა იყო ყოველკვირეული (1921 წლის დასაწყისში ყოველდღიური) გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“. მისი ნომრები ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება და დადგენილი არ არის, როდის რამდენი ნომერი გამოვიდა. გამოსულია აგრეთვე გიორგი ჭუბაბრიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ერთდროული ორგვერდიანი გაზეთი „ხალხის მეგობარი“ (საგანგებო გამოცემა).

1920 წელმა საბოლოოდ ცხადყო მენშევიკების ბატონობის დამღუპველი შედეგები ქართული კულტურის, კერძოდ, პრესისათვის. ამ სავალალო წელს გამოვიდა მხოლოდ თითო ნომერი: „შევარდენი“ — ქუთაისის ნაციონალისტური სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდე-

ნის“ საბჭოს ორგანო (პასუხისმგებელი რედაქტორი ს. ასლანიშვილი, 32 გვერდი); ახალგაზრდა ხელოვანთა და მწერალთა ჯგუფის ორკვირეული სალიტერატურო გაზეთი „ქუთაისი“ (ოთხგვერდიანი). მასში დაბეჭდილია ა. გაბესკირიას, ს. ჩიქოვანისა და სხვა პოეტების ლექსები, ბი, მინიატურები, პატარ-პატარა სტატიები; სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ჩვენი მომავალი“ (8-გვერდიანი) შეიცავს ძირითადად ლექსებს. მისი რედაქტორი დ. ღოღობერიძე რატომღაც ხელს რუსულად აწერდა.

ასეთი ვითარება ერთგვარად ხელსაყრელი აღმოჩნდა ბოლშევიკური გამოცემებისათვის. ქუთაისის სტამბები დაუტვირთავი დარჩა და მათი მეპატრონეები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ რას ბეჭდავდნენ და ვის დაკვეთას ასრულებდნენ. აი რას სწერდა ამის თაობაზე მამია ორახელაშვილი 1920 წლის 18 აგვისტოს მოსკოვში მყოფ. მ. ცხაკაიას:

„ც. კ-ს ჰქონდა დიდი ხნის წინანდელი დადგენილება საგამომცემლო მუშაობის გაძლიერების შესახებ. შექმნილი იყო საგამომცემლო კომისიაც. მაგრამ ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ქაღალდზედაც კი არ იყო აღნიშნული. მე აღარ შევაწუხე ეს კომისია და საკუთარი თაოსნობით დავიწყე ცოტა რამის გაკეთება. ქუთაისში საგამომცემლი საქმის სიიაფის, გულმოდგინე მუშაობის ზოგიერთი ტრადიციებისა და ფულის საქმეში პედანტურობის გამო, გამომცემლობა „წითელი ვარსკვლავი“ იქ გადავიტანეთ და უკვე გამოვეცით სხვადასხვა სახელწოდების ბროშურა...“[1]

ამ გამომცემლობამ მოკლე დროში ქუთაისში ნ. ფერაძისა და ამხანაგობის სტამბაში ქართულ ენაზე დაბეჭდა: კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.“, კ. მარქსის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—1871 წწ.“, ვ. ი. ლენინის „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში“, „პროგრამა რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა)“ და „ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები)?“, მ. კასპიელის (მამია ორახელაშვილის) „ინტერნაციონალი და ომის საკითხი“ და „ვინ სტყუის?“, ნ. გეტორის (მამია ორახელაშვილის) „რით აიხსნება რუსეთში სოციალისტური რევოლუციის ადვილად გამარჯვება? II. ევროპიელ-ამერიკელი და რუსი მუშა“.

„წითელ ვარსკვლავს“ სხვა წამოწყებებიც ჰქონდა, მაგრამ მენშევიკური მთავრობის პირობებში მათ არ ეწერათ განხორციელება.

---

1 ზ. გ ე გ ე შ ი ძ ე. „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965, გვ. 275.

როგორც ვხედავთ, 1921 წლამდე — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც ბრწყინავდნენ ქუთათური ჩირაღდნები, მაგრამ თანა-ბრად როდი ანათებდნენ. ამის შემდეგ იწყება მდიდარი, სტაბილური და სისხლჭარბი საბჭოთა პერიოდი.

3.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა, ბოლშე-ვიკების მეთაურობით და სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ცეცხლში გახვეული ოქტომბრის რევოლუციის პირმშო რუსეთის ახალ-გაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისაგან წარმოგზავნილი მაშველი XI წი-თელი არმიის დახმარებით, დაამხეს საძულველი მენშევიკური მთავ-რობა და მრავალტანჯულ დედაქალაქ თბილისში გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალეს.

მაგრამ სანუკვარი თავისუფლება ყველგან ერთდროულად არ მო-პოვებულა. თბილისიდან გაქცეულმა ნ. ჟორდანიას მთავრობის მე-სვეურებმა თავიანთი გადარჩენილი შეიარაღებული ძალებით, გატა-ცებული სახალხო დოვლათითა და ანტანტის სახელმწიფოთა ემისრე-ბის თანხლებით ქუთაისს მიაშურეს. რაღაც სასწაულის მოლოდინში ისინი იქ ნაქურდალ განძეულობაზე უფრო მეტს ზრუნავდნენ, ვიდრე ქვეყნის ბედზე, დაკარგული ძალაუფლების დაბრუნებასა და გაკოტ-რებული პრესტიჟის აღდგენაზე.

ამის გამო დასავლეთ საქართველოს შესანიშნავ კულტურულ და შემოქმედებით ცენტრში, სავარდო და სამაისო ქუთაისში მარტის დამ-ლევამდე სრული ანარქია სუფევდა და „სახალხო გვარდიელთა“ თავ-აწყვეტილი თარეში მძვინვარებდა. ჩაკვდა ხალხის თავდადებული შვი-ლების მეცადინეობით გაჩაღებული მჩქეფარე ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრება, დიდი ტრადიციების მქონე საგამომცემლო საქმიანობა.

ახალი წლის განვლილი სამი თვის ჰანძილზე შემთხვევით თუ გა-მოჩნდებოდა რომელიმე უფეროული ოფიციოზი, რომელიც შავრაზმე-ული მუქარის კორიანტელს აყენებდა და არაფრით არ გავდა ჩვეულ მადლიან ქუთათურ სულიერ საზრდოს. იანვარში ქუთაისის ხელოვან მწერალთა წრის წევრებმა რის ვაივაგლახით მოახერხეს ერთდროულ-სალიტერატურო გაზეთის „არმაზის“ გამოცემა. მასში დაბეჭდილია ნ. ლორთქიფანიძის, პონტელის (ილ. ჩიქოვანის), სილოვანის (ს. ხუ-დაძის), დ. თომაშვილის (დომენტი ოყროშიძის) და იმ დროს სხვა ქუ-თაისელ წამყვან მწერალთა ნაწარმოებები.

შემდეგ ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა დიდი ხნით ადრე აწყობილი და დაბეჭდილი სალიტერატურო „კრებული“

(№ 1, 336 გვერდი). მისი გამომცემელი იყო ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირი. კრებულში გამოქვეყნებულია ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „სოფლის ამბავი“, აგრეთვე ი. ფანცხავას, სილ. ხურდაძისა და სხვა მწერლების ახალი ნაწარმოებები.

მენშევიკების ბატონობის ამ უკანასკნელ დღეებში ქუთაისში გამოდიოდა მხოლოდ ერთი ყოველდღიური გაზეთი „ერი“ — საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ორგანო. მისი მთავარი რედაქტორი იყო კ. კაპანელი (კონსტანტინე ჭანტურია). ამ უდღეურმა გაზეთმაც 6 თებერვლამდე იარსება და 16 ნომერი გამოვიდა.

მხოლოდ 1921 წლის 3 აპრილს, მას შემდეგ რაც აჯანყებულმა ქუთაისელებმა და ახალი ქართული რაზმებით შეესებულმა წითელი ჯარების ნაწილებმა ერთობლივი ძალით გაანადგურეს მენშევიკების საბოლოოდ დემორალიზებული ლეგიონები და ლტოლვილი „მთავრობა“ უცხოეთში გასახიზნად ბაოუმისაკენ გაიქცა, ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე ახალმა პრესამაც მხრები გამართა და გამოვიდა დღევანდელი „ქუთაისის“ წინამორბედი — საქ. კპ(ბ) ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტისა და საგუბერნიო რევკომის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „მუშა და გლეხი“.

ამასთან დაკავშირებით ქუთაისელმა ჟურნალისტებმა 1971 წელს ორი საიუბილეო თარიღი აღნიშნეს: პირველი გაზეთის — „შრომის“ 90 და გაზეთ „ქუთაისის“ 50 წლისთავი, რისთვისაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი დაიმსახურეს. ასათ პროფესიულ სიამაყეს აძლიერებდა იმის მაღალი შეგნება და სიხარული, რომ ეს თარიღები დაემთხვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ზეიმის დღეებს.

„მუშა და გლეხის“ პირველ ნომერს სათაურის გასწვრივ აწერია: „გაზეთი გამოდის კვირაში ორჯელ“. მაგრამ მეტწილად კვირაში ერთხელ გამოდიოდა. დროდადრო მისი მეოთხე გვერდი ეთმობოდა „წითელი ახალგაზრდობის ფურცელს“ (იხ. ნარკვევი „მებრძოლი კომკავშირული“). ზოგჯერ ამ ფურცლის ნაწილი ეკავა განყოფილებას „წითელი ლაშქრული“ (1922 წლის № 37-ში არის ამ განყოფილების № 10) — მე-3 ქართულ მსროლელ ლეგიონთან არსებულ საქართველოს კომპარტიის ბიუროკოლექტივის ორგანოს.

გაზეთი „მუშა და გლეხი“ 1921 წლის 8 მაისის № 11-დან გახდა საქ. კპ(ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევკომის, ხოლო 1923 წლიდან — სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო აღმასკომის ორგანო. გაზეთს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია (თუმცა ბევრ ნომერს არც ასეთი აღნიშვნა აქვს), რომელსაც სათავეში ედგა მისი

პირველი რედაქტორი, ცნობილი რევოლუციონერი, ნიჭიერი პუბლიცისტი და კრიტიკოსი ვალია ბახტაძე. „მუშა და გლეხის“ ახალგაზრდობის ფურცელს კი განაგებდა ძველი კომკავშირელი გერვასი ძიგრაშვილი, შემდგომში თბილისში გამომავალი კომკავშირული გაზეთების „სპარტაკისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ერთ-ერთი პირველი რედაქტორთაგანი.

„მუშა და გლეხის“ სახელწოდებით გაზეთმა იარსება 1924 წლამდე და გამოვიდა: 1921 წელს 67, 1922 წელს — 49. 1923 წელს — 53 ნომერი. მისი საშუალო ტირაჟი შეადგენდა 400-დან 3 ათას ცალამდე. იბეჭდებოდა დასავლეთ საქართველოს პირველ საბჭოთა სტამბაში — „წითელი ვარსკვლავი“.

გაზეთ „მუშა და გლეხის“ არამყარი პერიოდულობა და შედარებით მცირე ტირაჟი აიხსნებოდა, ცხადია, უმთავრესად მემკვიდრეობად მიღებული დანგრეული ეკონომიკის პირობებითა და ტექნიკური სიძნელეებით. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ხომ რეაქციის ჯურღმულებიდან ის-ის იყო გამოვიდა მოქმედების ფართო ასპარეზზე. მას თან გამოჰყვა რევოლუციური მგზნებარება და მებრძოლი სული, მაგრამ მთელი ძალით ასამეტყველებლად საჭირო იყო მუშაობის გარდაქმნა ახალი ვითარების შესაბამისად, კადრების მომზადება და მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეს იდეოლოგიური ფრონტის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი უბნისადმი. უწინარეს ყოვლისა, განხორციელდა პატარ-პატარა კერძო სტამბების, საგამომცემლო მასალებისა და საშუალებების ნაციონალიზაცია. მოკლე დროში „წითელი ვარსკვლავის გვერდით ამოქმედდნენ ქუთაისის საქალაქო საბჭოს და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სტამბები.

ამიერიდან საგამომცემლო პრაქტიკიდან გამოირიცხა კერძო მესაქმეობა და პერიოდული გამოცემები მთლიანად პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობას დაექვემდებარა. პარტიის საუკეთესო ძალები გაიგზავნა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში სამუშაოდ, დაწესდა მტკიცე პარტიული და საბჭოთა კონტროლი საგამომცემლო საქმიანობისადმი და დაისახა ღონისძიებანი მისი გეგმაზომიერი განვითარებისათვის.

საერთო პარტიულ-პოლიტიკური ორგანოების გვერდით გაჩნდნენ საუწყებო და ძირეული დარგობრივი გამოცემები, რომელთაც სპეციფიკური საკითხების კომპეტენტურად გაშუქებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასა და ახალი ადამიანის აღზრდაში. ამდენად, ჩვენი შემ-

დგომი მიმოხილვაც ამ პრინციპზე იქნება აგებული. პირველ რიგში, ქრონოლოგიის მიუხედავად, განვიხილავთ საერთო პარტიულ-პოლიტიკურ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობას, როლსა და ადგილს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

როგორც ცნობილია, 1924 წელი თავისებურად განსაკუთრებული იყო საქართველოსთვის. ამის შესაბამისად, „მუშა და გლეხის" ნაცვლად გამოვიდა საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და მეორე ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური მუშურ-გლეხური გაზეთი „წითელი ვარსკვლავი". მისი პირველი ნომერი დაემთხვა 7 ნოემბერს და მასალები მიძღვნილია ძირითადად ოქტომბრის რევოლუციის მეშვიდე წლისთავისადმი. ასეთი ორგანოს საჭიროება ორ წელიწადს გაგრძელდა და გამოვიდა 225 ნომერი (ერთჯერადი ტირაჟი 3500 ცალი). „წითელ ვარსკვლავს" ჰქონდა ორკვირეული უფასო დამატება ჟურნალი „წითელი ცოცხი" (8 გვერდიანი). 1925 წლის 1 მარტიდან 4 აგვისტომდე ამ ჟურნალის 11 ნომერი გამოვიდა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა საბჭოჭა ხელისუფლების შინაურ და გარეშე მტრებს, ყველა იმათ, ვინც ცდილობდა ხელი შეეშალა ახალი, სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრება-განვითარებისათვის. ქუთაისელებს ხომ იუმორის ნიჭი არასოდეს ჰკლებიათ და ჟურნალი ვერ აუდიოდა მოზღვავებული მასალის ბეჭდვას.

ამ პერიოდში უკვე დამოუკიდებლად გამოდიოდა საქართველოს ალკკ ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორკვირეული (1924 წლის მაისიდან ყოველკვირეული) გაზეთი „წითელი ახალგაზრდობის ფურცელი" (იხ. ნარკვევი „მებრძოლი კომკავშირული").

ამის შემდეგ ერთგვარი გარეგნული ვაკუუმი გაჩნდა. საქმე ის არის, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში მიმდინარეობდა რესპუბლიკის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და საწარმოო დარაიონება, ამიტომ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებსა და ძირეულ პრესას შორის შუალედური გამოცემები არ არსებობდა. ამის შესაბამისად 1926—1929 წლებში არც ქუთაისს გააჩნდა თავისი სამაზრო, საოლქო ან საქალაქო გაზეთი. მაგრამ როგორც კი დამთავრდა ეს პროცესი, 1929 წლის 3 ნოემბერს გამოვიდა საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის ერთდროული გაზეთი „კომუნა" (№ 1, 3 ათასი ცალი). ეს სპეციალური ნომერი მოსავლის აღებისა და კოლექტივიზაციის დღისადმი იყო მიძღვნილი.

მალე ჩვენი ქვეყანა შეუდგა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას. სოფლად მიმდინარეობდა წვრილი გლეხური მეურნეობების კოლექტივიზაციის

რთული პროცესი. პარტიას სჭირდებოდა მასებთან კავშირის ქმედითი ორგანოები და 1930 წლის 3 თებერვალს გამოდის საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს და პროფსაბჭოს ყოველკვირეული ორგანო „ლენინის გზით". ეს გაზეთი შედარებით მცირე ფორმატის იყო, მაგრამ იბეჭდებოდა 4—6 გვერდი და ტირაჟიც უკვე 6 ათასამდე აღწევდა. მისი დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ ბევრი სხვადასხვა განცხადება იბეჭდებოდა და რატომღაც რედაქტორის ან სარედაქციო კოლეგიის ხელმოწერა არ ჰქონდა.

1931 წლის ერთ-ერთ ნომერში გაზეთი „ლენინის გზით" იუწყებოდა, რომ 26 ოქტომბერს ქუთაისის პარტაქტივის კრებაზე ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა საქართველოში მყოფმა გერმანიის კომპარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ერნსტ ტელმანის თანამებრძოლმა, ცნობილმა ანტიფაშისტმა მაქს ჰელცმა.

ამ სახელწოდებით გაზეთი 1932 წლის 13 აგვისტომდე 213 ნომერი გამოვიდა. 1930 წლის 30 ოქტომბერს გაზეთს „ლენინის გზით" გამოუშვია ერთდროული დამატება „ვსტეხთ განგაშს!" (№ 1, 4 გვერდი, ქართულ-რუსული), რომლის დევიზია: „რიონჰესის მშენებლობა ვადაზე უნდა დამთავრდეს!". მისივე დამატებაა 1931 წლის 21 დეკემბრის იუმორისტული ჟურნალი „კრაზანა" (№ 1, 16 გვერდი). ჟურნალზე აღნიშნული არ არის გამოცემის წელიწადი (დადგენილია ბიბლიოთეკებში მიღების თარიღის მიხედვით), რედაქტორი, სტამბა და ქალაქი. მასში დაბეჭდილია ანტ. შერეკილის, ფარსადანის (ს. ფაშალიშვილის) და სხვა ცნობილი იუმორისტ-სატირიკოსების სტატიები და ფელეტონები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1931 წლის 26 ივლისს გამოვიდა აგრეთვე საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ერთდროული გაზეთი „ახალგაზრდა ლენინელი".

1932 წელს ქუთაისის ძირითად გაზეთს სახელწოდება შეეცვალა და 14 აგვისტოდან გამოსვლა იწყო საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს და პროფსაბჭოს ყოველდღიურმა ორგანომ „მუშა და კოლმეურნემ". 16 აგვისტოს № 215-დან მისი პ/მგ. რედაქტორი იყო ივ. ძაძამიძე. გაზეთი იბეჭდებოდა შერეული ფორმატის ქაღალდის 2 ან 4 გვერდზე. ერთხანს მისი გამოცემა შეჩერდა. ზოგიერთ ნომერს რედაქტორის ხელმოწერა არა აქვს.

კარგად მახსოვს ეს დღეები. 1933 წლის ზაფხულში საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის გაზეთის მუშაობის გასაძლიერებლად თბილისიდან პრესის მუშაკთა ჯგუფი (ნ. ცხაკაია, პ. შელეგია, ნ. აგიაშვილი და სხვ.) იქნა მივლინებული. გასაგზავნთა სიაში მეც ვიყავი. ხალისით ვემზადებოდი წასასვლელად. ქუთაისის ლიტერატუ-

რული ცხოვრება მაინტერესებდა ჯერ კიდევ 1931 წლის მარტში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ბრიგადის შემადგენლობაში რიონჰესის კომკავშირის მესამე კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის დღეებიდან. მაგრამ მაშინ არც თბილისში იყო მაინცდამაინც კადრების დიდი სიჭარბე და ბოლო მომენტში დამტოვეს ახალშექმნილ „საქპარტგამომცემლობაში“ პოლიტრედაქტორად.

1933 წლის 2 აგვისტოს № 176-დან გაზეთ „მუშა და კოლმეურნის“ პ/მგ. რედაქტორი ნიკოლოზ ცხაკაია გახდა. 1 სექტემბრიდან გაზეთი დიდი ფორმატის ქაღალდზე იბეჭდებოდა და ტირაჟიც გაიზარდა. მის 17 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია საკდესის სამწუხარო ცნობა, რომ ახლო წარსულში ქუთაისელთა საპატიო სტუმარი და მეგობარი გერმანელი კომუნისტი მაქს ჰელცი მდინარე ოკაზე ნავით სეირნობისას ქალაქ გორკის მახლობლად ტრაგიკულად დაიღუპა. რაც გორც ცნობილია, ჰიტლერის ფაშისტური რეჟიმისაგან დევნილმა ჰელცმა სოციალიზმის სამშობლოში ჰპოვა თავშესაფარი. აქ იგი დიდ ანტიფაშისტურ მუშაობას ეწეოდა გერმანელ ემიგრანტთა შორის და დაუნდობლად ამხელდა ფაშიზმს, მის დამღუპველ შედეგებს კაცობრიობის მომავლისათვის.

1933 წლის 29 სექტემბერს გამოვიდა საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის კულტპროპგანყოფილების და პარტკაბინეტის ერთდროული გაზეთი „პარტსწავლების ბოლშევიკური ხარისხისათვის“ (№ 1, 4 გვერდი, 3 ათასი ცალი). მასში დაბეჭდილი მასალები ეხებოდა 1933 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის საკითხებს.

„მუშა და კოლმეურნის“ სახელწოდებით გაზეთმა სამ წელიწადს იარსება და 671 ნომერი გამოვიდა. 1934 წლის 24 აგვისტოს № 195 (610)-დან მის ნაცვლად გამოდიოდა გაზეთი „სტალინელი“. აღსანიშნავია, რომ კადრებით განმტკიცება მას მალე დაეტყო და 1935 წელს სრული 300 ნომერი, ესე იგი ყოველდღიურზე მეტი ნომრები გამოვიდა (სამწუხაროდ, მის 1935 წლის 12 ოქტომბრის ნომერს შეცდომით ისევ წინა დღის № 235 აწერია) 20 ათასი ცალი ერთჯერადი ტირაჟით. მომდევნო წლებშიც ის რეგულარულად გამოდიოდა და 16 ათასი ცალი მტკიცე ტირაჟი ჰქონდა.

ეს იყო ქუთაისის ინდუსტრიული გიგანტების რიონჰესის, საკონსერვო ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, აბრეშუმის კომბინატის, ბარიტგუმბრინის სარეწებისა და სხვა დიდი ობიექტების მშენებლობა-აშენებების წლები და გაზეთს მართლაც ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი.

1934 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა აგრეთვე რიონჰესის მშენებლობის სამმართველოს „ბიულეტენი“, № 1. იგი შეიცავს დიდი სა-

წიგნე ფორმატის 130 გვერდს, აქვს ათამდე ჩანართი — ჩასაკეცი სქემა, მისი ტირაჟია 1000 ცალი, ფასი 5 მან. გამოცემის მთავარი შინაარსია მდინარე რიონის ჰიდროტექნიკური მნიშვნელობა და მისი ენერგიის გამოყენების პერსპექტივები. ბიულეტენის რედაქტორია ინჟინერი დ. ზ. ხერხეულიძე, მდივანი — კ. ს. ბოკერია. სტატიების ავტორები არიან ცნობილი ენერგეტიკოსი-ინჟინრები, რიონჰესის დაპროექტებლები და მშენებლები ვ. გ. ჯიქია, ნ. ნ. ანტოშინი, კ. ს. ერისთავი, ვ. ს. ზაკომორდინი და პ. პ. წულუკიძე. დაბეჭდილია გაზეთ „მუშა და კოლმეურნის" სტამბაში.

მაგრამ ეს საინტერესო გამოცემა დღემდე არსებულ არც ერთ ბიბლიოგრაფიულ ცნობარში აღწერილი არ არის. მე მას სრულიად შემთხვევით წავაწყდი 1971 წლის 13 აპრილს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში მუშაობისას, როცა საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოიტანა როგორც ზედმეტი ეგზემპლარი. „ბიულეტენის" ნომერი და გაფორმება გვაფიქრებინებს, რომ მას უთუოდ ექნებოდა გაგრძელება და, რა თქმა უნდა, ქართული ვარიანტიც. პალატის ფონდებში ასეთი არ აღმოჩნდა. საჭიროა მათი ძებნა სხვაგან, უფრო სწორად, ქუთაისში, და სათანადოდ აღრიცხვა.

1935 წლის 12 მაისის № 107-მდე გაზეთ „სტალინელის" პ/მგ. რედაქტორი ისევ ნ. ცხაკაია იყო, შემდეგ კი კ. შეროზია და პ. შელეგი; სხვადასხვა დროს როგორც რედაქტორის მოადგილეები და მისი მოვალეობის დროებით შემსრულებლები გაზეთს ხელს აწერდნენ შ. მთვრალაშვილი, გ. რუხაძე და გ. ჯიბლაძე, 1936 წლის 3 სექტემბრის № 201-დან 14 ოქტომბრის № 234-მდე კი — სარედაქციო კოლეგია.

1938 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „სტალინელს" ეწოდებოდა „ინდუსტრიული ქუთაისი" და ჯერ საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს, ხოლო 1940 წლის თებერვლის № 23-დან — საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომის ორგანო იყო. ომამდელ ომის დაწყებამდე რეგულარულად გამოდიოდა დიდი ფორმატის ქაღალდის 4 გვერდზე და ტირაჟიც მტკიცე (16 ათასი ცალი) ჰქონდა. 1942 წლის 1 იანვრიდან სამდღიური გახდა და მოყვითალო ფერის მდარე ხარისხის ქაღალდზე იბეჭდებოდა. 1 ივნისიდან კი 1943 წლის დამლევამდე ისევ ყოველდღიური გახდა და იმავე ქაღალდის დიდი ფორმატის 2 ან 4 გვერდზე გამოდიოდა. ომის კვალობაზე ტირაჟიც იცვლებოდა. თუმცა ქუთაისში მკითხველს რა დალევდა და ხომრების რაოდენობა არ შემცირებულა. დამახასიათებელია, რომ ომისწინა 1939 წელს გამოვიდა 299, ხოლო 1940 წელს — 304 ნო-

მერი, ომის წლებში — 1941 წელს აღრიცხულია 311, 1942 წელს — 315, 1943 წელს — 264, 1944 წელს — 257 და 1945 წელს — 257 ნომერი.

1938 წლის 29 მაისის № 121-დან 1939 წლის 20 მაისის № 113-მდე — „ინდუსტრიული ქუთაისის" პ/მგ. რედაქტორი იყო გრ. მსხილაძე, 1939 წლის 2 ივლისის № 149-დან 1941 6 აპრილის № 81-მდე — გ. ჯიბლაძე, 1941 წლის 12 ივნისის № 136-დან 1943 წლის 14 ნოემბრის № 232-მდე და 1944 წლის 25 ივნისის № 124-დან 1945 წლის 30 დეკემბრის № 257-მდე — შ. ქურიძე. ამ დროისათვის 1921 წლის 3 აპრილიდან მოყოლებული სულ 4539 ნომერი იყო გამოსული.

ამავე პერიოდში, როგორც რედაქტორის მოვალეობის დროებით აღმასრულებლები და მოადგილეები გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისს" ხელს აწერდნენ აგრეთვე ვ. ლალიაშვილი და გ. ყურაშვილი.

30-იანი წლების დამდეგიდან ქუთაისის პერიოდიკაში აქტიურად თანამშრომლობდნენ ჟურნალისტები ელიოზ ხუციშვილი, გენო ქელბაქიანი, შალვა შავგულიძე, პეტრე ბახტურიძე, დ. ცვარიანი, რაჟდენ გაბეჩავა, ს. და მ. ფხაკაძეები, მ. ალავიძე, რ. ბეროძე. შ. კოხოძე, პოეტი ლ. ასათიანი. მწერალი მ. ასათიანი, ივანე ბუხაიძე და სხვ.

1940 წელს გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის" გამსვლელმა რედაქციამ სპეციალური ნომერი (№ 1, 4 გვ., 300 ცალი. პ/მგ. რედაქტორი გ. ჯიბლაძე) გამოუშვა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით. 1941 წელსაც გამოვიდა ასეთი გაზეთის ორი ნომერი (7 თებერვალს № 1 (2) და 1 ივნისს — № 2 (3), ისევ წითელ არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით (თითოეული 4 გვ., ტირაჟი 300 ცალი, პ/მგ. რედაქტორი გ. ჯიბლაძე). ამავე გაზეთის გამსვლელმა რედაქციამ 7 და 16 ნოემბერს 2-გვერდიანი სააგიტაციო ფურცლები გამოუშვა (პ/მგ. რედაქტორი შ. ქურიძე).

1939 წლიდან საქალაქო გაზეთს გვერდში ამოუდგა საქართველოს კპ(ბ) ქუთაისის რაიკომისა და რაიაღმასკომის ექვსდღიური ორგანო-გაზეთი „სიმართლე". 1939—1941 წლებში მისი პ/მგ. რედაქტორი იყო ეგ. გვასალია, 1942 წლის 1 თებერვლიდან — შ. ჯავახაძე. რაიონულმა გაზეთმა 1944 წლამდე იარსება და 299 ნომერი გამოვიდა. მისი ტირაჟი საშუალოდ 2 ათას ცალს უდრიდა. 1941 წლის 17 აპრილს გაზეთ „სიმართლის" გამსვლელმა რედაქციამაც გამოუშვა 2-გვერდიანი სპეციალური ნომერი წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლე

საქართველოს კპ ქუთაისის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო

«СИМАРТЛЕ»—орган Кутаисского Райкома КП Грузии и Райсовета Депутатов Трудящихся

№ 130 (1340) ოთხშაბათი, 11 ნოემბერი, 1936 წელს 15 კ.

ნახ. 8.

4.

როგორც ზემოთაც დავინახეთ, ლიტერატურულ და თეატრალურ ქუთაისს მუდამ ჰქონდა თავისი ტრიბუნა. 1922 წელს საერთო პარტიულ-პოლიტიკური ორგანოს „მუშა და გლეხის" გარდა გამოდიოდა ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველთვიური ჟურნალი „უქიმერიონი" (8-გვერდიანი). ეს იყო მხატვრული მწერლობის ქუთაისის კავშირის ორგანო. გამოვიდა 6 ნომერი, რომლებშიც დაბეჭდილია „კოლექტივის" წევრების ჯ. ჯორჯიკიას, შაჰრუხ ჩარკვიანის, ივლიტა ჯორჯაძის, ვ. გაბესკირიას და დ. თომაშვილის ნაწარმოებები. გარდა ამისა, 7 მაისს გამოვიდა იმავე კავშირის ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე" (№ 1, 4 გვერდი). 1921 წლის 7 მაისს ბათუმში გამოსული პოეზიის დღისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთის შემდეგ ეს მეორე შემთხვევა იყო და აქედან გავრცელდა მთელს საქართველოში პოეზიის დღის აღნიშვნის ტრადიცია.

თითქმის იგივე განმეორდა 1923 წელსაც. გამოვიდა ქუთაისის მხატვრული მწერლობის კავშირის სალიტერატურო ჟურნალი „კოლხეთი" (№ 1, 64 გვერდი). მასში დაბეჭდილია ტ. გრანელის, სიმ. ყიფიანის, ალ. კვირიკაძის, ხარიტ. ვარდოშვილის, ს. ხუნდაძის, ნ. ლ-ს (ნ. ლორთქიფანიძის) და სხვა მწერლების ლექსები და პროზაული ნაწარმოებები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ქუთაისის მწერლობაში ჩაისახა ახალი მიმდინარეობა და მან მალე თავისი სიტყვა თქვა. 1924 წელს პროლეტარული მწერლობის კავშირმა გამოსცა თავისი ყოველთვიური ჟურნალი „დინამიტი" (№ 1, 40 გვერდი). ამ კრებულის სახელწოდება ნათლად მეტყველებს მის შინაარსზე. ამ გე-

ზის განვითარება იყო 1925 წლის მაისში გამოსული პროლეტარულ მწერალთა ახალი ფრონტის პერიოდული ჟურნალი „ოქტომბრის ზვირთი“ (№ 1, 32 გვერდი). სარედაქციო კოლეგია მკითხველებს ჰპირდებოდა, რომ ეს ჟურნალი ყოველთვიურად გამოვიდოდა, მაგრამ მწერალთა ერთგვაროვანი მტკიცე ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არსებობდა და, ალბათ, უსახსრობის გამო ეს არ მოხერხდა. პირველ ნომერში კი დაბეჭდილია ი. ასათიანის, შ. კანდელაკის, ი. ხოშტარიას, ა. მესხის, თამარ სანელისა და სხვა ახალგაზრდა პოეტების ლექსები.

ძველისა და ახლის ჭიდილი, სოციალისტური ცხოვრების საწყისების, ახალი ყოფის დამკვიდრება თავის გამოხატულებას ჰპოვებდა პრესის ფურცლებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში. 1926 წელს გამოვიდა ორი სამხატვრო-სალიტერატურო კრებული: საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების პერიოდული ორგანო „რიონი“ (№ 1, 48 გვერდი). მასში დაბეჭდილია ალ. მაშაშვილის (მირცხულავას), პ. აბრამიას, დ. რონდელის, ე. პოლუმორდვინოვის (ზედგინიძის), თამარ სანელის, ევ. ფურცელაძის, ი. ხოშტარიას და სხვ. ნაწარმოებები. მეორე იყო ახალი მწერლობის „კოლექტივის“ ლიტერატურული კვირეული „უშბა“. ეს უკანასკნელი 6 ნომერი გამოვიდა (თითოეული 24 გვერდი), რომლებშიც დაბეჭდილია „კოლექტივის“ წევრების ჯ. ჯორჯიკიას, დია ჩიანელის, შაპრუხ ჩარკვიანის, ივლიტა ჯორჯაძის, ვ. გაბესკირიას და დ. თომაშვილის ლექსები და მოთხრობები.

იმავე წლის აპრილში ხელოვნების მუშაკთა კავშირმა გამოსცა ყოველთვიური ჟურნალი „ხელოვნების მოამბე“ (№ 1, 16 გვერდი). მასში გამოქვეყნებულია ცნობილ ქართველ ხელოვანთა მინიატურები, სტატიები ხელოვნების საკითხებზე და კავშირის მუშაობის ქრონიკა.

ქუთაისის პერიოდიკის ისტორიაში 1927 წელი აღინიშნა ახალი ყოველთვიური სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალის „გრდემლის“ გამოსვლით. იგი ქუთაისის პროლეტარული მწერლობის ორგანო იყო. მისი № 1 (78 გვერდი) და № 2 (70 გვერდი) გამოვიდა იანვარში. № 3 (232 გვერდი) — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეათე წლისთავის საიუბილეო — ოქტომბერში, № 4 — 1928 წლის თებერვალში. „გრდემლის“ უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ბონდო კეშელავა, ლ. ბზვანელი, ანაზარდი (ჭ. ნიკოლეიშვილი), ვ. გაბესკირია, ანდრო არაბული, შ. ჩარკვიანი, შ. ციბელი, დ. თაქთაქიძე, თ. ჭუმბურიძე და სხვ. იმავე წელს მწერალთა ჯგუფის დახმარებით გამოვიდა ქუთაისის რკინიგზის კვანძის მუშაკთა სალიტერატურო კრებული „რკინიგზელი“ (48 გვერდი, 1000 ცალი).

საგამომცემლო სიძნელები ბევრი იყო. მაგრამ ქუთაისის პროლეტარულ მწერალთა ძლიერი ბირთვის იდეოლოგიური კრედო თანდათა-

ნობით მკვეთრად ისახებოდა. ამის დადასტურება იყო 1928 წელს გამოცემული ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" (წიგნი I). მისი შემდგომი ნომრები: 1928 წლის № 2—3 (158 გვერდი), 1929 წლის № 4—5 (100 გვერდი) და 1930 წლის № 6 (96 გვერდი) „წითელი აფრის" სახელწოდებით გამოვიდა.

ქუთაისელი მწერლები ბევრს მუშაობდნენ ახალ მშენებლობებსა და წითელი არმიის ნაწილებში. 1930 წლის 23 დეკემბერს გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილებისა და მეხუთე ქართული მსროლელი ლეგიონის ერთობლივი სალიტერატურო გაზეთი „ლიტერატურული ფურცელი" (№ 1, 4 გვერდი). მისი შინაარსია: „ჩვენი კავშირი წითელ არმიასთან", „მხატვრული ლიტერატურა დღეს" და ლექსები, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქრონიკა. 1931 წლის 7 იანვარს მას მოჰყვა ქუთაისის გარნიზონის წითელი არმიის სახლთან არსებული არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების გაზეთი „იერიში". № 10-დან ეს გაზეთი ქართული ცხენოსანი ლეგიონის ორგანოდ გადაკეთდა. იბეჭდებოდა მცირე ფორმატის ქაღალდის 4 გვერდზე 1000 ცალის რაოდენობით. მაისში 45-ე ნომერზე ამ გაზეთმა შეწყვიტა არსებობა.

1931 წლის 25 თებერვალს გამოვიდა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციისა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ერთდროული გაზეთი „10 წელი" (№ 1, 4 გვერდი, სარედაქციო კოლეგია: დ. მომცემლიძე, დია ჩიანელი, ვლ. იამანიძე და სხვ.). ეს იყო საიუბილეო ნომერი და მისი მასალები მთლიანად მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10-ე წლისთავისადმი. 18 ივლისს კი გამოვიდა მეორე გაზეთი „მწერლობის დამკვრელი" (№ 1, 8 გვერდი, 1500 ცალი). მისი შინაარსი ერთგვარად საანგარიშგებო იყო: „ქართული პროლეტარული მწერლობა 10 წლის მანძილზე", „რეზოლუცია ლიტერატურაში დამკვრელ მუშათა გაწვევის შედეგების შესახებ" და სხვა სტატიები, ლექსები, ინფორმაცია.

გარდა ამისა, 1931 წელს „სახელგამმა" გამოსცა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების კრებული „ლიტერატურულ ფრონტზე" (ოთხი ნაკვეთი — №№ 1, 2, 3—4 და 5—6).

როგორც ვხედავთ, 1931 წელი მხატვრული პერიოდიკის მხრივ მეტად ხვავიანი იყო. თუმცა არც შემდგომ წლებში შენელებულა აღებული ტემპი. ქუთაისში მხატვრულ ლიტერატურას მუდამ ჰყავდა მეცენატები და რაც არ უნდა დაბრკოლება შექმნილიყო, გამოსავალი მოინახებოდა. 1932 წელს რიონჰესის სახალხო მშენებლობაზე მივიდ-

ნენ მწერლები. მათ გულთბილად შეხვდნენ მშენებლები. დამყარდა მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა და მშენებლობამ [illegible] საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების სალიტერატურო-საინფორმაციო გაზეთის გამოცემა, რომელიც ზოგად ლიტერატურულ საკითხებთან ერთად ასახავდა გიგანტური მშენებლობის პათოსს. ამ გაზეთს ეწოდებოდა „საბჭოთა მწერალი", საშუალო ფორმატისა იყო და გამოვიდა: 1932 წელს 2, 1933 წელს — 14 და 1934 წელს — 12 ნომერი (თითოეული 4—6 გვერდი, ტირაჟი 1000—1500 ცალი). 1933 წელს მისი რედაქტორი იყო პ. ბახტურიძე, 1934 წელს— შ. რადიანი. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ: ს. თევანიძე, ვ. დარასელი, დ. თომაშვილი, დია ჩიანელი, კლ. ფანცულაია, გ. გიასელი, ილ. ხოშტარია, პ. ხმალაძე და სხვ.

1932 წლის სექტემბერში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებამ ერთდროული გაზეთიც გამოუშვა [illegible] ხელწოდებით „ჩვენი მწერლობა" (№ 1, 4 გვერდი, 2 ათასი ცალი). მასში დაიბეჭდა სევ. ისიანის, დ. თომაშვილის, პ. ბახტურიძისა და სხვა მწერლების ახალი ნაწარმოებები.

1934 წელს პერიოდიკის საერთო მოწესრიგებასთან დაკავშირებით დიდი აღმავლობით დაიწყო გამოსვლა ქუთაისელ მწერალთა ახალმა რეგულარულმა ათდღიურმა (1935 წელს ორკვირეულმა) სალიტერატურო გაზეთმა „სიტყვა და საქმემ". მისი ინიციატორი იყო კრიტიკოსი პატიკო ქიქოძე. გაზეთი იბეჭდებოდა საშუალო ფორმატის კარგი ხარისხის ქაღალდის 6—8 გვერდზე, 3500 ცალი. ცნობილია მისი 1934 წლის 9 და 1935 წლის 3 ნომერი. იმის მიხედვით, რომ „სიტყვა და საქმეს" ხელს აწერდნენ რედაქტორი ნ. ცხაკაია და რედაქციის მდივანი ნ. აგიაშვილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მაშინდელი საქალაქო გაზეთების „მუშა და კოლმეურნისა" და „სტალინელის" დამატება იყო. თუმცა ეს არც ერთ ნომერზე აღნიშნული არ არის.

1940 წლის 18 ივნისს, დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის ზეიმის დღეებში, გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების ერთდროული გაზეთი „აკაკი" (№ 1, დიდი ფორმატის ქაღალდის 8 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი). ეს გაზეთი დაბეჭდილია თბილისში, ალბათ, ქაღალდის, ბეჭდვის ხარისხისა და ფერადოვნებისათვის. მის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: გ. ჯიბლაძე, დ. კვირკველია, ვ. ლალიაშვილი, გ. სამხარაძე, ვ. გუგუშვილი. გარდა ამისა, იმავე წლის 1 ივლისს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმაც გამოსცა ერთდროული გაზეთი „ქუთაისის თეატრი" (№ 1, 6 გვერდი, 1500 ცალი, პ/მგ. რედაქტორი გ. ჯიბლაძე).

5.

ქუთაისის განათლების ფრონტის მუშაკები და სამეცნიერო საზოგადოებრიობაც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საერთო პარტიულ-პოლიტიკურ ორგანოებში, ისე საკუთარ სპეციალურ გამოცემებში. ჯერ კიდევ 1923 წლის 20 ივლისს გამოვიდა ქუთაისის სამაზრო განათლების განყოფილების ყოველკვირეული პედაგოგიური ჟურნალი „განათლების მოამბე". მას განაგებდა სარედაქციო კოლეგია. ჟურნალი აშუქებდა სასკოლო საქმის მდგომარეობას ქუთაისის მაზრაში, სახალხო განათლებისა და მასწავლებელთა კადრების მომზადების, პედაგოგიკის ზოგად საკითხებს. ჰქონდა აგრეთვე სპეციალური განყოფილება „სკოლების ქრონიკა". ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი ქუთაისელი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები ივ. გაჩეჩილაძე, ნ. ქუთათელაძე, ექიმი ეს. ლოსაბერიძე და სხვ. „მოამბის" უკანასკნელი № 7 1 დეკემბერს გამოვიდა. თითოეული ნომერი 16 გვერდს შეიცავდა.

1931 წლის მარტში გამოვიდა ქუთაისსა და მის რაიონში კულტესტაფეტის ჩამტარებელი შტაბის ერთდროული გაზეთი „კულტესტაფეტა" (№ 1, 4 გვერდი, 1500 ცალი). ხოლო 1933 წელს „ქუთაისის განათლების განყოფილების ბიულეტენი". ბიბლიოთეკებში დაცული № 1—2-ის (42 გვერდი) მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ბიულეტენი" ყოველთვიური იყო და როგორც შინაარსით, ისე თავისი ფორმით „განათლების მოამბის" გაგრძელებას წარმოადგენდა. გამოდიოდა 1934 წელსაც.

1932 წელს ქუთაისის შრომა-გასწორების ბანაკიც უშვებდა ყოველთვიურ გაზეთს „შრომა და კულტურა" (მცირე ფორმატის 4 გვერდი). მან იარსება 1933 წლის სექტემბრამდე და 6 ნომერი გამოვიდა. 1933 წლის 7 ნოემბერს იმავე ბანაკმა გამოსცა ერთდროული გაზეთი „შრომა-გასწორებისაკენ" (№ 1, 4 გვერდი, 2 ათასი ცალი). ამ სახელწოდების გაზეთის 6 ნომერი 1934 წელსაც გამოვიდა (თითოეული 4 გვერდი, 1000 ცალი).

1935 წელს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა გამოსცა გაზეთი „საბჭოთა პედაგოგი" (№ 1, 4 გვერდი, 2 ათასი ცალი). ამ გაზეთის № 2 1936 წლის 4 ოქტომბერს გამოვიდა.

ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო 1940 წელს ფუნდამენტური სამეცნიერო კრებულის „ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების" გამოსვლა. კრებულის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ:—ლ. ჭელიძე, (პ/მგ. რედაქტორი), დოც. გ. ხაჟალია, პროფ. გ. თავზიშვილი, პროფ. ა. ბოჭორიშვილი, პროფ. მ. ბექაია, დოც. გ. ჯიბლაძე,

დოც. გ. როგავა. შრომების პირველი წიგნი შეიცავდა 194 გვერდს მეორე (234 გვერდი) და მესამე (198 გვერდი) წიგნები 1941 წელს გამოვიდა. მეოთხე (244 გვერდი) — 1942 წელს. მათი საშუალო ტირაჟი შეადგენდა 250—800 ცალს. შემდეგ შეჩერდა მათი გამოცემა. განახლდა სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ და დღემდე გამოდის.

სტატიები იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე. პირველ კრებულებში გამოქვეყნებული მასალის ავტორები იყვნენ ცნობილი მეცნიერები: პროფესორები ს. ყაუხჩიშვილი, გ. თავზიშვილი, ა. ბოჭორიშვილი, ალ. ბარამიძე, ს. კაკაბაძე, მ. ბექაია, დოცენტები ი. ცინცაძე, გ. ბაქრაძე, გრ. ხავთასი, ა. გოცირიძე, გ. დევდარიანი კ. მეძველია, გ. როყვა და სხვ. ბევრი მათგანი დღესაც მოღვაწეობს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხითა და თანამდებობით.

6.

ქუთაისში დიდი ყურადღება ექცეოდა რევოლუციის მონაპოვართა დაცვას, სამხედრო საქმის პროპაგანდას და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში არ გამოსულა იმდენი სამხედრო გაზეთი თუ ჟურნალი, რამდენიც ქუთაისში.

1924—1925 წლების გაზეთების „წითელი ვარსკვლავისა" და „წითელი ცოცხის" შემდეგ, 1926 წლის იანვარ-მარტში აქ გამოდიოდა პირველი და მეორე ქართული მსროლელი დივიზიების პოლიტგანყოფილებათა ერთობლივი ყოველთვიური სამხედრო-პოლიტიკური ჟურნალი „სამხედრო აზრი" (№ 1—2, 56 გვერდი). მასში დაბეჭდილი სტატიები ეხებოდა მეთაურთა კადრების მომზადების, რევოლუციური საბრძოლო სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს და სხვ.

შემდეგ 1930—1931 წლებში გამოდიოდა ორი სამხედრო გაზეთი: მეხუთე ქართული მსროლელი ლეგიონის პარტ-ბიუროკოლექტივის დეკადური ორგანო „ოქტომბრის გზით" (გამოვიდა 85 ნომერი, ტირაჟი 3 ათასი ცალი) და მესამე ქართული მსროლელი ლეგიონის პარტ-ბიუროკოლექტივის ათდღიური ორგანო „დამკვრელი მებრძოლი" (გამოვიდა 143 ნომერი, ტირაჟი უცნობია).

გარდა ამისა, 1931 წლის 7 ნოემბერს გამოვიდა ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმიის საქალაქო საბჭოს ათდღიური გაზეთი „თავდაცვა-ავიაქიმელი" (მცირე ფორმატის ქაღალდის 2 გვერდი, ტირაჟი 2—3 ათასი ცალი). პირველი ნომერი საოქტომბრო იყო. იარსება 1933 წლის 25 თებერვლამდე და 6 ნომერი აღირიცხა. უკანასკნელი ნომერი მიძღ-

ვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეხუთე წლისთავისადმი. 1931 წლის 5 ნოემბრამდე გამოდიოდა აგრეთვე ქუთაისის გარნიზონის წითელი არმიის სახლის ტურისტული ბიუროს ყოველდღიური გაზეთი „სამხედრო ტურისტი". იბეჭდებოდა 2 გვერდზე, ფასი ცულია 3 ნომერი, ტირაჟი არ აწერია. უკანასკნელი ნომერი სექტომბრო იყო.

1932 წლის 1 აპრილს გამოვიდა ი. ბ. სტალინის სახელობის პირველი ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური გაზეთი „სტალინელი სნაიპერი" (იბეჭდებოდა მცირე ფორმატის ქაღალდის 2 გვერდზე. ტირაჟი 1000 ცალი). იარსება 21 აპრილამდე და ზუსტად 21 ნომერი გავრცელდა. იმავე წელს გამოვიდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების ქუთაისის ქართული გარნიზონის ერთდროული გაზეთი „იერიში", რომელშიც საბრძოლო-ტაქტიკური სწავლების საკითხებია გაშუქებული. ნომერი და თარიღი არ უზის. უთუოდ მანევრებთან დაკავშირებით არის გამოცემული.

1933 წლის 30 სექტემბერს, წითელი არმიის რიგებში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით, ქუთაისის რაიონის სამხედრო კომისარიატის კომუჯრედმა და გაზეთ „რიონჰესის დამკვრელის" რედაქციამ გამოუშვეს ერთობლივი ერთდროული გაზეთი „წვეულის ხმა" (№ 1, 2 გვერდი).

და ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როცა საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთები რეგულარულად აშუქებდნენ სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებს.

7.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სხვა საუწყებო გამოცემებსა და საწარმოთა მრავალტირაჟიან გაზეთებს. 1926 წელს გამოვიდა ქუთაისის მაზრის სტატისტიკური ბიუროს (1928 წლიდან სტატისტიკურ-ეკონომიკური განყოფილების) „ყოველთვიური სტატისტიკურ-ეკონომიკური კრებული". ჟურნალში იბეჭდებოდა სტატიები და ციფრობრივი მონაცემები საქართველოს, კერძოდ, ქუთაისის მაზრის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ. პირველ წელს გამოვიდა 2 ნომერი, 1927 წელს — 10 და 1928 წელს 6 ნომერი. უკანასკნელი წლის ნომრებს აწერია: „სტატისტიკურ-ეკონომიკური მოამბე".

ქუთაისს არასოდეს არ დაუკარგავს დასავლეთ საქართველოს კულტურული და საგამომცემლო ცენტრის მნიშვნელობა. 1928 წელს აქ, ძმური დახმარების წესით, გამოვიდა ზუგდიდის სამაზრო სტატისტიკური განყოფილების „სამთვიური სტატისტიკურ-ეკონომიკური მოამბე" (№ 1, იანვარ-მარტი, 44 გვერდი).

პირველი ხუთწლედის პირმშო იყო 1929 წელს გამოსული ქუთაისის რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა ორკვირეული გაზეთი „რკინიგზელი". 1931 წლის № 31-დან ეს გაზეთი გახდა ქუთაისის რკინიგზის კვანძის პარტ-ბიუროკოლექტივისა და მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული პროფკომის, ხოლო 1932 წლიდან — პარტ-ბიუროკოლექტივისა და გაერთიანებული ადგილკომის ხუთდღიური ორგანო. 1934—1935 წლებში ისევ ორკვირაში ერთხელ გამოდიოდა. იბეჭდებოდა მცირე ფორმატის ქაღალდის 2 ან 4 გვერდზე, შერეული ქართულ-რუსული ტექსტით. 1933 წლის უკანასკნელი ნომრებიდან ქართული სათაურის გვერდით გაჩნდა რუსული — „ჟელეზნოდოროჟნიკ". 7 წლის (1929—1935) მანძილზე 331 ნომერია გამოსული (საშუალო ტირაჟი 3 ათასი ცალი). გაზეთი აშუქებდა იმ დროს საბალხო-სამეურნეო ტვირთზიდვის მთავარი საშუალების — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობისა და რკინიგზელთა ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

30-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს მშრომელთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო რიონჰესის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით 1930 წლის 27 აპრილს გამოვიდა მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა გაზეთი „მშენებლის ხმა" (№ 1, 4 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი). ეს კარგი დასაწყისი აღმოჩნდა. მშენებლობის ინტერესები მოითხოვდა მუდმივ ორგანოს და 1931 წლის დამდეგიდან დაარსდა რიონჰესის პარტკომისა და გაერთიანებული მუშათა კომიტეტის ხუთდღიური მრავალტირაჟიანი გაზეთი „რიონჰესის დამკვრელი". პირველი ნომერი 8 თებერვალს გამოვიდა. 1932 წლის № 13-დან გადაკეთდა პარტკომისა და აღმშენკომის ორგანოდ. 1932—1933 წლებში ყოველდღიურად გამოდიოდა. იბეჭდებოდა მცირე ფორმატის ქაღალდის 2 ან 4 გვერდზე, 2—3 ათასი ცალი საშუალო ტირაჟით. მასალები ქართულ-რუსული იყო. გაზეთის მთავარი ამოცანა იყო ბრძოლა ჰიდროსადგურის ვადაზე და ხარისხიანად აშენებისათვის. 1934 წლის 1 მაისის № 42-დან ამ გაზეთის რედაქტორი იყო კლ. ბოკერია, მანამდე კი სარედაქციო კოლეგია განაგებდა ან საერთოდ ხელისმოწერა არ ჰქონდა. არსებობის 6 წლის მანძილზე „რიონჰესის დამკვრელი" 588 ნომერია გამოსული.

1932 წლის 1 ოქტომბერს ხანძარსაწინააღმდეგო კამპანიასთან დაკავშირებით გამოვიდა ქალაქ ქუთაისისა და მისი რაიონის სახანძრო დაცვის სამმართველოს გაზეთი „წითელი მეხანძრე" (№ 1, 4 გვერდი, ტირაჟი 500 ცალი). გამოცემა ქართულ-რუსული იყო. კლასობრივი ბრძოლის ამ მძიმე დღეებში მსგავსი ღონისძიებები ხშირად ხორციელდებოდა, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში და გაზეთები და ფურცლებიც გამოდიოდა. მაგრამ სამწუხაროდ მეტი შემთხვევა

აღრიცხული არ არის და შესაძლებლობა არა გვაქვს სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მათ ქმედითობაზე.

სოფლის მეურნეობის მასობრივი კოლექტივიზაციის წლებში დიდ როლს ასრულებდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. მაშინ ეს იყო სოფლად პირველი საწარმოები. გარკვეულ პერიოდში მათ თავიანთი მრავალტირაჟიანი გაზეთებიც ჰქონდათ. 1933 წლის 5 სექტემბერს გამოვიდა ქუთაისის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების მრავალტირაჟიან ხუთდღიურ გაზეთ „შეტევის“ პირველი ნომერი. იგი იბეჭდებოდა მცირე ფორმატის ქაღალდის 2 ან 4 გვერდზე 1500 ცალი. 1934 წლის 29 დეკემბრამდე არსება და 41 ნომერი გამოვიდა. მისი პ/მგ. რედაქტორი ლ. ძიძიგური იყო.

1934 წელს ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა გაზეთების „კომუნისტისა“ და „მუშა და კოლმეურნის“ ერთობლივი გამსვლელი რედაქცია, რომელმაც 14 თებერვალს გამოუშვა ერთდროული გაზეთი „700 ათასი ქილა კონსერვისათვის“ (№ 1, 2 გვერდი). ეს პრობლემა იმდენად აქტუალური იყო ჩვენი ქვეყნისათვის, რომ ამის შემდეგ მალე ადგილობრივად დაარსდა ქარხნის სამკუთხედის ექვსდღიური მრავალტირაჟიანი გაზეთი „ბრძოლა ხარისხისათვის“. მისი პირველი ნომერი 1935 წლის 1 ოქტომბერს გამოვიდა (მცირე ფორმატის ქაღალდის 2 ან 4 გვერდი, ტირაჟი 700—1000 ცალი). მასალები იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე. 1939 წლის 5 მაისამდე 150 ნომერი გამოვიდა. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ პ. გასაევი, ლ. გაბრიაძე, ალ. იობიძე და ივ. ჩაპიძე.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკასა და აბრეშუმის კომბინატს სამამულო ომამდე საკუთარი გაზეთები არ ჰქონიათ, მაგრამ მათ ავკარგს, სხვა საწარმოთა საქმიანობასთან ერთად, რეგულარულად აშუქებდნენ რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთები. ხშირად იქ მათი გამსვლელი რედაქციები და ბრიგადები მუშაობდნენ. გარდა ამისა, 1935 წლის 7 ნოემბერს მაუდის ფაბრიკის სამკუთხედმა გამოუშვა ერთდროული გაზეთი „წითელი ფეიქარი“ (№ 1, 4 გვერდი, ტირაჟი 700 ცალი). მართალია მისი შინაარსი ძირითადად საოქტომბროა, მაგრამ მასალებში ნათლად გამოსჭვივის ფაბრიკის კოლექტივის შრომა და ცხოვრება. ამასთან, რაკი გაზეთს ნომერი აქვს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსგავსი შემთხვევები სხვაც იყო, მაგრამ ასეთი აღრიცხული და შემონახული არ არის.

1934 წელს გამოვიდა აგრეთვე „ქუთაისის რაიკოოპკავშირის ბიულეტენი“ (3 ნომერი, თითოეული 4 გვერდი, ტირაჟი 500 ცალი), ხოლო 1936 წლის 17 იანვარს — ქუთაისის „ქალაქის კოოპერატივის ბიულეტენი“ (№ 1, 4 გვერდი, ტირაჟი 400 ცალი).

8.

დაახლოებით ასე გვესახება ქუთაისის უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი პერიოდიკის ისტორია როგორც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე,ისე მას შემდეგ — სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლისა და გამარჯვებათა პირველი 25 წლის მანძილზე. 1941—1945 წლების სამამულო ომმა, ცხადია, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, პრესაზეც იქონია თავისი უარყოფითი გავლენა და გარკვეული სიძნელეები გამოიწვია. მაგრამ ბოლშევიკურმა პრესამ, როგორც ყოველთვის, ომის წლებშიც ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა და პარტიის ხელმძღვანელობით, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამარჯვებული გამოვიდა მძიმე განსაცდელიდან.

ომის პირველი დღეებიდანვე გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი" მხარში ამოუდგა ქალაქის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ოპერატიულ ეხმარებოდა მათ მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნაში. რეგულარულად აშუქებდა ფრონტისა და ზურგის ცხოვრებას. რედაქციას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფრონტზე მყოფ ქართველ მეომრებთან. უგზავნიდა მათ ცალკეულ ნომრებს, აქვეყნებდა მათგან მიღებულ კორესპონდენციებს.

აი როგორ იგონებს იმ დღეებს საბჭოთა კავშირის გმირი კ. ტყაბაღლაძე:

„მახსოვს ის სიხარული, რასაც საქართველოდან შორს, ბრძოლის ველზე მყოფი ქართველი მებრძოლები განვიცდიდით გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის" მიღების დროს. ჩვენთვის ამ გაზეთის გამოჩენა ნამდვილი დღესასწაული იყო... სხვა საკითხებთან ერთად ძალზე მაინტერესებდა რას აკეთებდნენ ფრონტისათვის ქუთაისის მშრომელები, ზურგის მებრძოლები. 1942 წლის 2 ივლისს მშობლიურმა გაზეთმა ფრონტზე შეგვატყობინა, რომ აბრეშუმკომბინატის ხარატმა პ. ჩიქვინიძემ ერთ თვეში — მაისში შვიდი თვის გეგმა შეასრულა, ხოლო ივლისში დღიურ გეგმებს 1100-ზე მეტი პროცენტით ანაღდებდა...

ჩემი სიხარული მაშინვე გავუზიარე სხვა ქართველ მეომრებს. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მზიური საქართველოს ჭალარა ქალაქ ქუთაისში ვიყავი... გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი" ახალი საგმირო საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებდა სევასტოპოლშიც, უკრაინაშიც..."

რედაქციის მუშაკებმა, კორესპონდენტებმა და გაზეთის აქტიურმა მკითხველებმა სატანკო კოლონის—„პრესის მუშაკის" ასაგებად შეაგროვეს 93222 მანეთი ფულად, 86187 მანეთი გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციითა და 159 ათასი მანეთი სახელმწიფო სესხების ობლიგაციებით. ეს კოლონა გადაეცა იდრიცკის გვარდიულ წითელ

დროშოვან სატანკო შენაერთს, საიდანაც გაზეთმა შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„დღეს, 1945 წლის 20 მარტს, თქვენი ტანკები გადავეცით საბრძოლო ეკიპაჟებს, რომლებმაც სიამაყით ჩაიბარეს ისინი და ფიცი დასდეს გაამართლონ საბჭოთა ზურგის მუშაკთა ნდობა და მზრუნველობა. მთელი პირადი შემადგენლობის სახელით გულწრფელ მადლობას გიხდით სატანკო ნაწილებისადმი თქვენი ზრუნვისათვის“.

ჯერ კიდევ ომის წინ, „ინდუსტრიული ქუთაისის“ მუშაკები ალ. კუხიანიძე და მიხ. გველესიანი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს და ომმა მათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში მოუსწრო. სამამულო ომის დაწყებისთანავე კალამი ხიშტით შეცვალეს რედაქციის მუშაკებმა გ. ყურაშვილმა, დ. ცვარიანმა, შ. კოხოძემ, ნ. კოვზირიძემ, მ. ჩომახიძემ და დ. ეგუტიძემ. მათგან შინ აღარ დაბრუნებულან შ. კოხოძე, დ. ცვარიანი, მ. ჩომახიძე. ომში დაიღუპნენ აგრეთვე ქუთაისის გაზეთის ყოფილი მუშაკები ე. ხუციშვილი, ს. ისიანი, პ. ლომიძე და სხვ.



ნახ. 9.

რაც შეეხება ომისშემდგომ წლებს, როცა ჩვენმა კალამმაც ჭრილობები მოიშუშა, ახალ მწვერვალებს შეუტია და მალე ჟურნალისტებმა სახელოვან კოსმონავტებთან ერთად შორეულ პლანეტებს მოგვიახლოვებენ, ეს უკვე დღევანდელი ქუთათური ჩირაღდნის გაზეთ „ქუთაისის“ (რედაქტორები გ. მეფისაშვილი და ს. ქობულია), მისი მრავალრიცხოვანი თანამგზავრების (მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთები) განშტოებათა და კორესპონდენტთა შესანიშნავი კოლექტივების მოღვაწეობის პერიოდია, რომელიც გაზეთის 50 და 60 წლისთავის საიუბილეო ნუსხებში დაწვრილებით იქნა დახასიათებული და ღირსეულად შეფასებული. ეს მითუმეტეს, რომ ქუთაისის პრესის ბევრი ვეტერანი დღესაც მწყობრშია და ნაყოფიერად მოღვაწეობს.

ამის თავდებია ის მაღალი ჯილდოები, რომლებიც გაზეთ „ქუთაისს“ მიღებული აქვს თავისი არსებობის მანძილზე. ესენია: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საპატიო სიგელი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს დიპლომი, მ. ულიანოვას სახელობის 1970 წლის პრემია და სხვ.

ამჟამად გაზ. „ქუთაისის“ რედაქტორია ახალგაზრდა ნიჭიერი ჟურნალისტი ალ. შენგელია.

*
* *

ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაც კი ოდესმე ქუთაისში გამოცემულა, ჯერ კიდევ შეგროვილი, შესწავლილი, ზუსტად აღრიცხული და დაცული არ არის. ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც ჩვენი მიმოხილვაა საბოლოო და ამომწურავი. ბევრი რამ კიდევ დამტვერილ და გაუხსნელ ფონდებსა და პირად საცავებშია ჩარჩენილი და ელის მადლიერი მკვლევარის თვალსა და ხელს. დიდ საშვილიშვილო საქმეს გააკეთებენ ქუთაისელი ჟურნალისტები, თუ გამოაცხადებენ ლაშქრობას მათ მოსაძებნად და ყველა ქუთაისელს, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური ქალაქის სახელოვანი წარსული და ამ საქმესთან ხელი მიუწვდება, მოუწოდებენ:

ამხანაგებო, გულგრილად ნუ ჩაუვლით და კარგად დააკვირდით თითოეულ ქაღალდის ფურცელს, რვეულს, წიგნს, იქნებ სწორედ ის არის, რაც გვაკლია!..

ტრადიცია გზად და ხიდად...

ქალაქი სიღნაღი ძველთაგანვე ცნობილია როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო და კულტურული ცენტრი. დადასტურებულია, რომ ქიზიყის ამ მადლიან გულში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში არსებობდა სტამბა. 1892 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა მ. ნ. მ-ძე უჯარმელის (ნიკოლოზ მაღალდაძის) პოემა „გულთმისანი სარკე და ხელმწიფის ქალი ახრასია", რომლის უნიკალური ეგზემპლარები დაცულია ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში და პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში.

1899 წელს სიღნაღში გაიხსნა მეორე — ი. ტერ-დავიდოვის სტამბა „სხივი". მაშასადამე, 900-იანი წლებიდან აქ უკვე ორი სტამბა მოქმედებდა. გარდა ამისა, 1906—1907 წლებში არალეგალური სტამბა ჰქონდა რსდმპ სიღნაღის გაერთიანებულ სამაზრო კომიტეტს. ამის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ძველმა ბოლშევიკმა მოსე ვარამაშვილმა.

რუსეთის პირველი რევოლუციის დღეებში, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა სიღნაღის მაზრაში, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია თავისი აქტივისტი-პოლიგრაფისტების მეშვეობით ახერხებდა პროკლამაციებისა და მოწოდებების ბეჭდვას ლეგალურ სტამბებში. მაგრამ პოლიციამ ეჭვი აიღო და ერთ-ერთი სტამბის პატრონი დააპატიმრეს. გადაწყდა არალეგალური სტამბის მოწყობა; შეგროვილი ფულით შეიძინეს ძველი საბეჭდი დაზგა, ქართული შრიფტი და სხვა საჭირო მასალა. ყოველივე ეს ფარული გზებით გადაიტანეს მაზრის საიმედო რევოლუციურ პუნქტში — სოფელ ანაგაში და იქ, რევოლუციონერი გლეხის ი. ხიზანიშვილის (იშხანას) ეზოში, ციხის ბურჯის ნანგრევებში, პატარა კონსპირაციული სტამბა გამართეს.

ამ არალეგალურ სტამბაში, თავისუფალ დროს, მუშაობდა სიღნაღის ლეგალური სტამბის ასოთამწყობი, შემდგომში ცნობილი ბოლ-

შევიკი ნიკო აივაზოვი. მას ეხმარებოდა კარდანახელი ალექსანდრე გულაშვილი. საერთო ხელმძღვანელობას კი მ. ვარამაშვილი ახორციელებდა. ბეჭდავდნენ ფურცლებს, პროკლამაციებს, მოწოდებებს.

რეაქციის წლებში, როცა მენშევიკების გამთიშველი პოლიტიკის წყალობით რსდმპ სიღნაღის სამაზრო კომიტეტი დაიშალა და არალეგალურ სტამბას ჩავარდნის საფრთხე შეექმნა, საბეჭდი დაჩგ-



ბულთმისანი სკრეპ
და
ხეგნიფის ქალი ბხრანხია

პოემა

ვ. ნ. ბ—ძე.

შეჯრგველისა.

ვ. სიღნაღი
ბეჭდავს ხალხის სტამბა.
1892

ნახ. 10.

დაშალეს, შრიფტი და მოწყობილობა რკინის ყუთებში მოათავსეს და ვარამაშვილის მამის დუქნის გვერდით მიწაში ჩაფლეს.

სიღნაღის არალეგალური სტამბის არსებობის ფაქტს ადასტურებს აგრეთვე ცნობილი რევოლუციონერი კოტე ცინცაძე. 1915 წელს დაისვა რსდმპ კავკასიის ბიუროს ახალი არალეგალური სტამბის მოწყობის საკითხი. მუშებმა დიდი გაჭირვებით შეაგროვეს ფული და შეიძინეს ზოგიერთი მოწყობილობა (რუსული და სომხური შრიფტები), მიხა ჩოდრიშვილმა დაამზადა ხის საბეჭდი დაზგა და შრიფტკასა, მაგრამ გაუჭირდათ ქართული შრიფტის შოვნა.

„...ამ დროს სიღნაღში ცხოვრობდა მ. ვარამაშვილი, რომელიც ჩამოვიდა და გვითხრა, რომ სიღნაღში არის დარჩენილი 5—6 ფუთი შრიფტი ძველი არალეგალური სტამბისაო. ჩვენ მაშინვე დავავალეთ მას ეს შრიფტი ჩამოეტანა თბილისში. მან შეასრულა ეს დავალება[1].

საგულისხმოა, რომ სიღნაღის არალეგალური სტამბის შრიფტი ალ. ჯაფარიძის მეოხებით მალე მოხვდა განჯაში (ამჟამად კიროვაბადი) მოწყობილ რსდმპ კავკასიის ბიუროს არალეგალურ სტამბაში. შემდეგ ის, სტამბასთან ერთად, ლანჩხუთში გადაიტანეს და დიდხანს ემსახურებოდა რევოლუციის საქმეს.

1910 წელს, ექიმების კ. ტურიაშვილისა და ნ. ჯანდიერის, ნ. ბაქრაძის, კ. ჯაფარიძის, ნინო ანდრონიკაშვილისა და სხვათა თაოსნობით, ქ. სიღნაღში დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამაზრო განყოფილება, რომელმაც მოკლე დროში დიდი მუშაობა გასწია სოფლებში სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკების გასახსნელად, წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გასავრცელებლად.

1912 წლის 16 სექტემბრიდან კი ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და რედაქტორ-გამომცემელმა კოტე ტყავაძემ დაიწყო გამოცემა წვრილბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ყოველკვირეული სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთის „ხმა კახეთისა“.

მაშასადამე, იმ დროს სიღნაღი, თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და გორის შემდეგ, საქართველოს მეხუთე ქალაქი იყო, სადაც ქართული გაზეთი გამოდიოდა.

გაზეთი „ხმა კახეთისა“ უდიდესი მოვლენა იყო არა მარტო სიღნაღის მაზრის, არამედ მთელი კახეთის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. მის ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა საქართველოს ამ დიდი და მდიდარი მაზრის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება, საქართველოს ისტორიის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვ-

---

1 ჟურნალი „რევოლუციის მატიანე“, 1924, № 2—3, გვ. 236, (კ. ცინცაძის მოგონება).

ნების საკითხები. გაზეთი ილაშქრებდა სისხლისმღვრელი პირველი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის პოზიციაზე იდგა. მის პოლიტიკურ კრედოდ გვესახება 1914 წლის 23 თებერვლის ნომრის მოწოდება: „...სხვა დრო დადგა, სხვა მოთხოვნილებანი დაიბადნენ და სხვა დროის შესაფერი იარაღით უნდა ვიბრძოლოთ თუ გვინდა, რომ ჩვენც მონურად და პირუტყვულად კი არა, ადამიანურად ვიცხოვროთ".

გაზეთ „ხმა კახეთისას" გამოჩენილ ავტორთა შორის იყვნენ ამ დროის საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და კაზმული სიტყვის



ნახ. 11.

ისეთი ბუმბერაზები, როგორიც იყვნენ ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ნიკოლაძე, კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი, დ. მაჩხანელი, თ. ჟორდანია, ჰაიდარ აბაშიძე და სხვ.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია თვალი გადავავლოთ 1913 წლის 1 აგვისტოს ნომერს: გაზეთი იხსნება მოწინავე სტატიით „დიდი მგოსნის დალოცვა", რომელიც მიძღვნილია აკაკი წერეთლისა და მისი ლექსისადმი „კახელებს". რედაქცია სიხარულით აცხადებდა: „ყველაზე მეტად ჩვენ გვასულდგმულებს ის თანაგრძნობა, რომელსაც ვპოულობთ ჩვენ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს შორის, თბილისში რომ მოვისმინეთ პირადად... და ახლა, როდესაც „ხმა კახეთისა" დალოცა და საკუთარი ლექსიც უძღვნა ჩვენმა დიდმა მხცოვანმა აკაკიმ, ჩვენ ერთიასად ენერგია (ძალა) მოგვემატა და უფრო მეტის გულმოდგინებითა და თავგანწირვით ვაგრძელებთ ჩვენს საქმეს. ამ პატარა მარგალიტ წერილში, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება, ხალხის

გულთამხილავს, ჩვენს დიდ მგოსანს აკაკის უპოვია ჩვენში ის ღირსება, რაც უნდა ედვას საფუძვლად ყოველს საზოგადო საქმეს. ეს გახლავთ გულწრფელობა".

აი დიდი მგოსნის წერილიც: „ძმაო, ბატონო კოტე! დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენს გაზეთს მიგზავნით. მომწონს და ეს ლექსიც მისმა სიკარგემ დამაწერინა, გულწრფელობა უნდა ედვას ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობას საფუძვლად და ამ გაზეთში ბევრი ჩანს. გიგზავნით ლექსს, თუ გამოგადგეს, დაბეჭდეთ და თუ არა, დედანს ნუ დამიკარგავთ. თქვენი კეთილ-წარმატების მოსურნე აკაკი"[1].

ამ მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული რედაქცია უღრმესი მადლიერების გრძნობით წერს: „მკითხველებთან ერთად გითვლით ტურფა კახეთის სალამს და გისურვებთ „კახურს მრავალქამიერს" ჩვენის სამშობლოს სასიქადულოდ და დასამშვენებლად".

აკაკის ლექსი:

კ ა ხ ე ლ ე ბ ს

ორჯერ ვყოფილვარ კახეთში,
ორჯერვე ცოტა ხნობითა
და ისევ დავბრუნებულვარ
სხვაღასხვა გვარის გრძნობითა.

პირველად ვნახე კახეთი
კახელებისვე ხელშია,
უცხოს, მოსულსა ონავრად,
დანას ურჭობდნენ ყელშია.

მაშინ მე, როგორც ქართველი,
ვგრძნობდი სრულს ნეტარებასა
და საქართველოს ტკბილ კუთხეს
ვუძღვნიდი „ქებათ-ქებასა".

მეორედ ვნახე, მეოცა:
ვერ ვნახე, რაც ნახულიყო!..
ეს საქართველოს ედემი,
სხვის ხელში გადასულიყო!

თითო-ოროლა ოჯახი,
აქა-იქ დარჩენილიყო!
მემწარა მაშინ ყოველი,
რაც კი პირველად ტკბილიყო!

ვიკითხე: სადღა არიან
შვილები დიდი ოჯახის?
კახეთი მომველ პატრონად
ვისა სთვლის და ვის ეძახის?

არიან, მაგრამ სულ ცოტა,
მათ რიცხვში ჯანდიერიო,
ჯერ კიდევ კახეთს ქართველი
არ შეუცვლია ფერიო.

შეეკრთი და გულმაც ეს მითხრა:
ნეთუ არ დარჩა მეტიო?
ვერ გაამაგრებს დიდ ოჯახს
სვეტი მარტოკა ერთიო!..

კახეთის მემამულეთა,
ვერ მოიხადეს ვალიო
და გაატანეს სულ სხვებსა
თავისი მიწა წყალიო!

დღეს კი მომესმა ნეგეში
მომავლის უკეთესისა —
და ამ ტკბილ-ნეგეშს იძლევა
გაზეთი „ხმა კახეთისა".

აბა, ამგვარ შეფასებაზე უკეთესი რა შეიძლებოდა ენატრა მაშინ პროვინციულ გაზეთს!

---

1 სამწუხაროდ, აკაკის ეს წერილი მის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში, მათ შორის „წერილებშიც", შეტანილი არ არის.

გაზეთ „ხმა კახეთისას“ ლიტერატურულ ნაწილში აქტიურად თანამშრომლობდნენ აგრეთვე ი. ევდოშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, ა. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, თ. რაზიკაშვილი, ბაჩანა, მ. ნასიძე, ს. ფაშალიშვილი, ი. მოსაშვილი, გრ. ცეცხლაძე, პ. ფრანგიშვილი, ბ. ხოსიტაშვილი, ი. მჭედლიშვილი, ნიკ. დარაშვილი და სხვ. მასში საინტერესო სტატიებსა და ინფორმაციებს აქვეყნებდნენ ექიმები ივ. ქიტიაშვილი და ნ. ჯანდიერი, კ. ტურიაშვილი, სან. განიძე, ბ. ვანელი, ნინო ანდრონიკაშვილი და სხვ. სისტემატურად იბეჭდებოდა თვით კ. ი. ტყავაძის დღიურები — „მაზრის ცხოვრების სურათები“.

გარდა ამისა, გაზეთი აქვეყნებდა ქართულ-რუსულ განცხადებებს არა მარტო კახეთის, არამედ ისეთი ორგანიზაცია-საწარმოებისა, რომელთა ადგილსამყოფელი და მოქმედების სფერო საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო; თავისი სავაჭრო რეკლამებით რუსეთისა და ევროპის სამრეწველო ტრესტებსა და სააქციო საზოგადოებებს ემსახურებოდა ამ გზით „ხმა კახეთისა“, 1914 წელს, თეთრ აბრეშუმზე დაბეჭდილი სპეციალური ნომრით, პარიზის გამოფენაზე მოხვდა და, გადმოცემით, ერთ-ერთი დიპლომი დაიმსახურა. ეს ნომერი დღეს, რატომღაც, თელავის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმშია დაცული.

„ხმა კახეთისა“ იბეჭდებოდა ი. ტერ-დავიდოვის სტამბა „სსიეში“, დიდი ფორმატის ქაღალდის 4 გვერდზე. გაზეთმა იარსება 1917 წლამდე და გამოვიდა: 1912 წელს — 15, 1913 წელს — 101, 1914 წელს — 100, 1915 წელს — 34 ნომერი. 1916—1917 წლების მონაცემები კი საერთოდ არ მოიპოვება. აღრიცხულია სულ 250 ნომერი, მაგრამ სრული კომპლექტი არსად არ მოიპოვება. ყველაზე მეტი ნომრები მაინც ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაშია.

არის გადმოცემა, თითქოს პირველი მსოფლიო ომის წლებში გაზეთ „ხმა კახეთისას“ ჰქონდა დილა-საღამოს დამატება — „დეპეშები“, რომლებიც ქართულ-რუსულ ენებზე, კედელზე გასაკვრელად, ცალ გვერდზე იბეჭდებოდა. მაგრამ ისინი მოსაძებნია.

კახეთის პირველი გაზეთის დახურვა განაპირობეს პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების ვიწრო ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად შექმნილმა ქაოსმა და სამეურნეო ნგრევამ, როცა, სხვა რიგ არაფერი ვთქვათ, ქაღალდიც კი აღარ იშოვებოდა.

მენშევიკების ბატონობის წლებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, ერთიანად ჩაკვდა ერის მოჭირნახულეთა მეცადინეობით გაცხოველებული საგამომცემლო საქმიანობა; სამი წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე უფერულმა გამოცემამ იხილა მზის შუქი; 1919 წელს სამაზრო აგრონომმა დ. სამადაშვილმა გამოსცა ბროშურა „თესლი. მისი მნიშვნელობა მოსავლიანობისათვის და დამზადება“ (გარეკანის მეოთხე გვერდზე აწერია: „მზადდება ამავე ავტორის

„მწკრივად თესვა“, მაგრამ არ გამოსულა). იმავე წელს გამოვიდა ე. ყოჩიაშვილის ბროშურა „მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა სიღნაღის მაზრისა“ და „წესდება დროებით სახელმძღვანელოდ სიღნაღის მაზრაში ახლად შემოღებულ სათემო თვითმმართველობისათვის“. სამივე ბროშურა ი. ტერ-დავიდოვის სტამბა „სხივშია“ დაბეჭდილი.

ეს იყო და ეს...

მაგრამ 1919 წლის ნამდვილი მოვლენა იყო ის, რომ გამყიდველი მენშევიკური მთავრობის დასამხობად სახალხო აჯანყებისათვის მზადების დღეებში ახალგაზრდა ასოთამწყობები — „სპარტაკელი“ გიორგი (ჟორა) მირიანაშვილი, ს. სისოევი, მბეჭდავი ზარიძე და გ. სერებრიაკოვი, იმავე სტამბა „სხივში“, ბეჭდავდნენ რევოლუციურ პროკლამაციებს და მოწოდებებს, რომლებსაც თვითონვე ავრცელებდნენ ხალხში.

„სხივი“ ისე შორს და კარგად ანათებდა, რომ 1917 წლის 25 თებერვლის ღამეს სტამბის მუშებმა გაბედულად ჩამოგლიჯეს კედლიდან, დახიეს და ფეხით გათელეს ტახტიდან გადმოგდებული ჯალათი მეფის ნიკოლოზ მეორის დიდი პორტრეტი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ყორანივით დასცქეროდა მაღლიდან.

სიღნაღის სკოლებს ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეებიდან ჰქონდათ ხელნაწერი ჟურნალების გამოცემის გამოცდილება. ეს კი საუკეთესო საშუალება იყო ახალგაზრდობის სულისკვეთებისა და მისწრაფებების გამოსამჟღავნებლად, რასაც ხელს უწყობდნენ პროგრესულად განწყობილი მასწავლებლები. 1919 წელსაც გიმნაზიის მოსწავლეთა ჯგუფმა გამოუშვა ორკვირეული ხელნაწერი ჟურნალი „იმედი“ (№ 1). ეს სახელწოდება შესანიშნავად გამოხატავდა გამოცემის შინაარსსა და თავისუფლების იმ ურყევ რწმენას, რომელიც ჩაუქრობელ იმედად ღვიოდა ახალგაზრდობის გულში. 1920 წლის 15 თებერვალს „იმედის“ ერთი ნომერი სტამბურად დაბეჭდილიც გამოვიდა.

აი, ასე ძნელად მიიკვლევდა ეკლიან გზას ხალხის ბრწყინვალე მომავლის საიმედო მართალი სიტყვა, ვიდრე უსახელოდ დაამთავრებდნენ თავიანთ არსებობას მეფის ხელისუფლება და მშრომელთა ინტერესების გამყიდველი მენშევიკური მთავრობა.

...1921 წლის 19 თებერვალს სიღნაღში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. დადგა დიდი ხნის ნანატრი სიტყვის ნამდვილი თავისუფლებისა და საგამომცემლო საქმის აყვავების ხანა. სიღნაღის საბჭოთა პერიოდის პრესის ერთ-ერთი ვეტერანის ვეფხო აკობაშვილის გადმოცემით, 20 თებერვალს მან, მეთერთმეტე წითელი არმიის მეთვრამეტე ცხენოსანი დივიზიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელ მილოვთან ერთად გამოუშვა მცირე ფორმატის ორგვერდიანი რუსულ-ქართული

გაზეთი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო მასალები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ და სარდლობის განკარგულებები.

პირველი საგამომცემლო ორგანო, რომელიც მარტის პირველ რიცხვებში სამაზრო რევკომმა შექმნა, იყო „ქიზიყის გრუკავროსტა"[1]. მის ხელმძღვანელად დაინიშნა ი. ხირსელი. ეს საგანმანათლებლო ორგანიზაცია მოთავსებული იყო ქვემო მოედნის დაღმართზე „ჩონის" (საგანგებო რაზმი) შენობაში. აქ თავს იყრიდნენ ქალაქის მთელი ინტელექტუალური ძალები. სააგენტო უშვებდა რევკომის ბრძანებებს, განკარგულებებს, ლოზუნგებს, პლაკატებს, სატირულ ფურცლებს, რომლებსაც მაღაზიებისა და დაწესებულებების ფანჯრებსა და კედლებზე აკრავდნენ, ამ გამოცემების ტექსტების შედგენაში მონაწილეობდა ახალგაზრდა მთიელი პოეტი ვეფხო ფშაველა (აკობაშვილი), ხოლო მხატვრულად აფორმებდა ნიჭიერი ვაქირელი ბიჭი. შემდგომში ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტი იოსებ ქოქიაშვილი.

პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის, დღის-1 მაისისათვის „ქიზიყის გრუკავროსტამ" გამოუშვა კედელზე გასაკვრელი, ორგვერდიანი პატარა გაზეთი „ახალი გზა" (დაბეჭდილი იყო ფერად ქა-


წითელი კირკელი 1921 პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი გზა

ქ. სიღნაღი, კვირა, 1 მაისი.

№ 1 ქიზიყის გრუკავროსტას ორგანო. № 1.

ნახ. 12.

ღალდზე). მას ეწერა ყოველდღიური, მაგრამ ამ სახელწოდებით მეტი აღარ გამოსულა. მისი მასალები ძირითადად 1 მაისის დღესასწაულისადმი იყო მიძღვნილი. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეს პირველი საპირველმაისო ზეიმი იყო კახეთში.

1921 წლის 12 მაისს სააგენტომ იმავე ფორმატის 4-გვერდიანი გა-

[1] „გრუკავროსტა" — რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კავკასიის განყოფილება საქართველოში.

ზეთი „კომუნა“ გამოსცა. მას პერიოდულობა აღარ აწერია, ჰყავს პ/მგ რედაქტორი ი. ხირსელი და მითითებულია სტამბა (დაბეჭდილია მდარე ხარისხის ყვითელ ქაღალდზე). მაისშივე გამოვიდა ახალი სახელწოდების გაზეთის „ქიზიყის კომუნის“ ორი ნომერი (№ 1—19 მაისს, № 2—26 მაისს), მაგრამ ახლა ის უკვე „ს. კ. პ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევკომის ორგანო“ იყო და ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია (პერიოდულობა აღარ ეწერა).

ამ გაზეთში დაბეჭდილია საქართველოს სსრ და სიღნაღის სამაზრო რევკომების დეკრეტები, ბრძანებები, დეკლარაცია აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ და სხვადასხვა ინფორმაცია. პირველი ნომრის მეოთხე გვერდი დათმობილი აქვს „სიღნაღის სამაზრო კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელს“ (№ 1), რომელშიც, სხვა მასალებთან ერთად, დაბეჭდილია ექიმ ი. მხეიძის ლექსი „ახალგაზრდა მუშას“. გარდა ამისა, ამაზე გაზეთში არის ვეფხო ფშაველას (აკობაშვილი) ლექსები „გაქცეულ ხალხის ჯალათებს“ და „წითელ არმიელს“.

1921 წლის 7 ნოემბერს სიღნაღის მაზრის მშრომელებმა პირველად იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოთხე წლისთავი. ამ დღეს გამოვიდა „ს. კ. პ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევკომის ორგანო“, მცირე ფორმატის ოთხგვერდიანი გაზეთი „წითელი ოქტომბერი“ (№ 1 პასუხისმგებელი რედაქტორი კ. მარტაშვილი, ტირაჟი 400 ცალი, პერიოდულობა მითითებული არა აქვს). მისი მასალები მთლიანად დიადი თარიღისადმი მიძღვნილი).

ამის შემდეგ 20 ნოემბერს კვლავ გამოდის ს. კ. პ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევკომის გაზეთი „წითელი კახეთი“ (№ 1, მცირე ფორმატის 2 გვერდი, ტირაჟი 350 ცალი). მასში გაშუქებულია მაზრის პარტიული და კომკავშირული ცხოვრება, გამოქვეყნებულია ცნობა სასურსათო გაწერის ნაცვლად სასურსათო გადასახადის შემოღების შესახებ და უცხოეთის ამბები. ამ გაზეთის № 2 გამოსულია 27 ნოემბერს, ხოლო № 3 — 11 დეკემბერს. ორივე 2-გვერდიანია, ტირაჟი — 300 ცალი. მათში გაგრძელებით დაბეჭდილია „ამხ. ვ. ი. ლენინის სიტყვა, წარმოთქმული პოლიტგანათლების განყოფილებისა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე“. ვინაიდან ამ ნომრებში სიტყვა დამთავრებული არ არის და აწერია „გაგრძელება იქნებაო“, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდგომი ნომრებიც გამოვიდა. მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. გარდა ამისა, ამ გაზეთებში არის წერილები ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის, საბოტაჟთან ბრძოლის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, უცხოეთის ინფორმაცია და ვინმე მაღარაულის (ალბათ ცნობილი ლიტერატორისა და იურისტის მიხაკო ნასიძის) ლექსი „სამჭედლო“.

საბჭოური ცხოვრება თანდათანობით ფესვს იდგამდა. დღის წესრიგში დადგა მუდმივი პერიოდული ორგანოს შექმნის საკითხი. 1922 წლის დამდეგიდან გამოსვლას იწყებს „ს. კ. პ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევკომის“ (საბჭოების პირველი არჩევნების შემდეგ — აღმასკომის) ყოველკვირეული გაზეთი „სიმართლე“ (ერთხანს იგი „სიმართლე კახეთისას“ სახელწოდებით გამოდიოდა). მალე სტამბაც აღმასკომის გამგებლობაში გადავიდა და მასაც „სიმართლე“ ეწოდა.

ოფიციალური მონაცემებით, ისევე როგორც რევოლუციამდე, 20 იანი წლების დასაწყისშიც თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის შემდეგ საქართველოს სამაზრო ცენტრებიდან მუდმივი გაზეთი მხოლოდ სიღნაღში გამოდიოდა.

„სიმართლე“ პირველი ნომრებიდანვე სავსებით ამართლებდა სახელწოდებას და წარმოადგენდა რესპუბლიკის და, კერძოდ, მაზრის ცხოვრების ნათელ სარკეს. მასში ქვეყნდებოდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა ხალხთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისადმი“, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებები და სხვ. მისი ოპერატიული ინფორმაცია ასახავდა, თუ როგორ ხორციელდებოდა ადგილებზე სახალხო მეურნეობების აღდგენისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის, კულტურის, განათლების განვითარებისა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ნახ. 13.

„სიმართლე“ დიდი ფორმატის 4-გვერდიანი გაზეთი იყო. ტირაჟიც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ჰქონდა: 2200-დან 5000 ეგზემპლარამდე.

მაშინდელი წესის თანახმად, გაზეთს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია, მაგრამ დაარსებიდან 1925 წ. მაისამდე მისი ფაქტიური რედაქტორები იყვნენ ი. ხირსელი და ვ. აკობაშვილი, შემდეგ კი სიმონ ნატროშვილი. რედაქციის მდივნად დიდხანს მუშაობდა და მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებდა მ. ნასიძე. მათ გარდა, გაზეთში აქტიუ-

რად თანამშრომლობდნენ მაზრის პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მუშები, გლეხები, მასწავლებლები, ექიმები და საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები: მ. ვარამაშვილი, პ. ჩახნაშვილი, ვ. ბაბალაშვილი, ა. ჭანკიევი, ს. თავდიშვილი, ნ. გოგოლაშვილი, ს. თარხანოვი, კ. მარტაშვილი, მ. ტყავაძე, ი. მოსაშვილი, ა. ძიძაძე, გ. მათეშვილი, ვ. ხატიაშვილი, ს. ლორთქიფანიძე, გ. შავერდოვი, მ. ჭრელაშვილი აკ. კუპრეიშვილი, ვ. თათეიშვილი, ა. ნაცვლიშვილი ა. ჭოჭუა, ი. ჭოჭუა, აპ. ზალდასტანიშვილი, დავ. კარბელაშვილი, ზ. რობიტაშვილი, პ. გელაშვილი, გ. მესტიაშვილი, გ. შიხაშვილი, გ. ჯანიკაშვილი, ნ. მხეიძე, დ. ლაგაზიძე, აპ. წულაძე, ექვთ. წულაძე, ბ. ბიბილაშვილი, გ. მირიანაშვილი, ბ. გიორგაძე, გრ. მოწონელიძე, გ. ზაუტაშვილი, ნიკ. გვანცელაძე და ბევრი სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა გაიშიფროს უამრავი ინიციალები და ფსევდონიმები, რაც მაშინ მოდური იყო. ეს არაერთი საინტერესო მოღვაწის სახელს აღადგენს. გაზეთს კარგად აფორმებდა და კარიკატურებით ამკობდა „სოსიკა“ (სოსო ბეგიაშვილი). იბეჭდებოდა აგრეთვე ო. შმერლინგისა და სხვა მხატვართა ნახატები და ფოტოსურათები.

მრავალ ღირსებათა შორის „სიმართლის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო ისიც, რომ მის ფურცლებზე იბეჭდებოდა რ[illegible] გორც პროფესიონალი მწერლების, ისე ადგილობრივი მოყვარული ლიტერატორებისა და მთქმელების ლექსები, მოთხრობები, ნაწყვეტები პიესებიდან, ფელეტონები, პაროდიები, იგავები, თარგმანები, რეცენზიები თეატრალურ დადგმებსა და კინოფილმებზე, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქრონიკა.

გაზეთის ინიციატივით სიღნაღში, ჯერ კიდევ 1925 წელს, გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი და მაზრის დიდ სოფლებში არაერთი ლიტერატურული წრე მოქმედებდა. „სიმართლის“ ლიტერატურულ გვერდებს ამშვენებდა ს. შანშიაშვილის, ი. მოსაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ს. ფაშალიშვილის, ნ. ზომლეთელის, ბაჩანას, მისი შვილის ვანო რაზიკაშვილის, მუშა პოეტის გ. ხეჩუაშვილის, მიქელ დიანელის (ექიმ ე. ჭრელაშვილის), ნ. მარიამიშვილის (ხუციშვილის), მაღარაულის (მ. ნასიძის), გლეხი მთქმელების გ. კანანელის (კანაშვილის), ი. მირიანაშვილის, სოლ. ბოსტოღანაშვილის და სხვათა სპეციალურად ამ გაზეთისათვის დაწერილი ლექსები თუ მოთხრობები.

1925 წლის 7 მაისს სიღნაღში პირველად აღინიშნა პოეზიის დღე. მასში მონაწილეობდნენ შ. დადიანი, გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი და ნ. ზომლეთელი. ამ ზეიმზე გ. ქუჩიშვილმა წაიკითხა შესანიშნავი ლექსი „საყვარელ ქიზიყს“, რომელიც 10 მაისს „სიმართლეში“ გამოქვეყნდა სპეციალურ ლიტერატურულ გვერდში. მაგრამ რატომღაც შემდგომში პოეტის არცერთ კრებულში არ შესულა.

აი ეს დაეიწყებული ლექსი:

სალამი და გამარჯვება
ეხე და მდიდარ მხარეს
საოცნებო მის გარემოს,
მის მზესა და მთვარეს!
ვინც გაჰხედავს ალაზნისკენ
ველს და ხუჭუჭ ჭალებს, —
მორჩა, ველარ მოაშორებს
დაბეჟეულებელ თვალებს!
ვინც შეჰყვება სიღნაღისკენ
მობიბინე სერებს, —
უსათუოდ, უნებლიეთ
გელში დამძღერებს!
აი რისთვის ვეგებები
ასე აღტაცებით,
მონარნარე ზღაპრულ მხარეს,
ზღაპრულ სიმღერებით!

მაშ, სალამი განთქმულ ქიზიყს,
მის მინდვრებს და სერებს;
გალაკნიან მის ყლდე-ქალაქს,
მტერს რომ მხნედ იგერებს!
ქედს ვიხდი და ვესალმები
ყველა ოფლის მღვრელებს;
სიყვარულით დავეკოცნი
შრომით დამსკდარ ხელებს!
ვაშა, ვაშა გლეხკაცობას;
ვაშა მის მარჯვენას;
გაუმარჯოს მის შეგნებას,
მის მიზანს და რწმენას, —
გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ
წითელ დროშის ფრენას!!

ამ მოზღვავებულმა ლიტერატურულმა დინებამ განაპირობა ის, რომ 1926 წელს სიღნაღში გამოდიოდა სალიტერატურო-იუმორისტული გაზეთი „ქამანდა". აღრიცხულია მისი სამი ნომერი, მაგრამ ისინი ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება და აღწერილი არ არის.

1928—1930 წლებში „სიმართლე" საქართველოს კპ(ბ) სიღნაღის რაიკომისა და რაიაღმასკომის ორგანო იყო, ხოლო მის სტამბას ი. ბ. სტალინის სახელი მიეკუთვნა. ეს იყო ოლქობის პერიოდი. კახეთის ოლქს (ცენტრით გურჯაანში) თავისი გაზეთი არ ჰქონდა და „სიმართლე" მთელ კახეთს ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა, მას იმდენი ყურადღება აღარ ექცეოდა და აღარც რეგულარულად გამოდიოდა.

გაზეთმა „სიმართლემ" თითქმის 9 წელიწადს იარსება და გამოვიდა: 1922 წელს 52, 1923 წელს — 49, 1924 წელს — 50, 1925 წელს — 50, 1926 წელს — 16, 1927 წელს — 20, 1928 წელს — 20, 1929 წელს—20, 1930 წელს—4 და 1931 წელს—6 ნომერი. ამრიგად, 1931 წლის 20 თებერვლისათვის აღრიცხული იყო მისი 314 ნომერი, მაგრამ ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში მისი სრული კომპლექტი არ მოიპოვება, 1927—1928 წლების ნომრები კი საერთოდ არსაღ ჩანს.

1929—1930 წლებში სიღნაღში გამოდიოდა მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის კახეთის საოლქო განყოფილების ყოველკვირეული ორგანო „ქინა-ქინა". ეს იყო ეგრეთ წოდებული ანოფსისტოგრაფიული. ანუ კედელზე გასაკრავად ცალ გვერდზე ნაბეჭდი დიდი ფორმატის ქაღალდის ფურცლები. ისინი მეტწილად ფერად ქაღალდზე იბეჭდებოდა. ამ გამოცემის მთავარი ამოცანა იყო იმდროინდელი

1 დაწერილია სპეციალურად გაზ. „სიმართლის" რედაქციის დაკვეთით.

კახეთის უბედურების — მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა. 1930 წლის თებერვალამდე „ქინა-ქინის“ 13 ნომერი გამოვიდა (ტირაჟი 250—500 ცალი).

1930 წლის იანვარ-თებერვალში სიღნაღში გამოდიოდა აგრეთვე გაზეთ „კომუნისტის“ გამსვლელი რედაქციის კახეთის ჯგუფის გაზეთი „კოლექტივიზაციის ფრონტზე“ (2 ნომერი), გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კახეთში მომუშავე ბრიგადის გაზეთი „კომკავშირი კოლექტივიზაციის ფრონტზე“ (5 ნომერი, თითოეული 4 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი). ამ გაზეთის გამომცემელი იყო საქართველოს ალკკ კახეთის საოლქო კომიტეტი.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამ პასუხსაგებ დღეებში, როცა კლასობრივი ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა, საჭირო იყო მუდმივი ორგანო, რომელიც სწორად განმარტავდა პარტიის პოლიტიკას და იბრძოლებდა მისი განუხრელი განხორციელებისათვის. ამ მიზნით 1930 წლის 8 მარტიდან სიღნაღში გამოსვლას იწყებს საქართველოს კპ(ბ) კახეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის ხუთდღიური გაზეთი „კოლექტივიზაციის ფრონტზე“. მისი რედაქტორი იყო მ. ცქვიტინიძე, მდივან-კორექტორის მოვალეობას კი მე ვასრულებდი. გაზეთი იბეჭდებოდა საშუალო ფორმატის ექვსალდის 4 გვერდზე, ტირაჟი 5000 ცალი. იარსება 28 ივლისამდე და 21 ნომერი გამოვიდა.

შემდგომში ბევრმა ცნობილმა ჟურნალისტმა (ვ. ხატიაშვილმა, ა. კოკილაშვილმა, ი. ჭოჭუამ, არტემ დავითიანმა, დ. მჭედლიშვილმა და სხვ.) ამ გაზეთში დაიწყეს წერა.

1921 წლიდან მოყოლებული ყველა გაზეთი, მათი სახელწოდებისა და პერიოდულობის მიუხედავად, წარმოადგენდნენ სიღნაღის პერიოდიკის ერთი მთლიანი ჯაჭვის ცალკეულ რგოლებს და საფუძველს უყრიდნენ სიღნაღის რაიონის დღევანდელი „კოლმეურნის“ (რედაქტორი ნ. ყანდაშვილი) დაბადებას. ეს დროც დადგა. ყოფილ სიღნაღის მაზრას გამოეყო გურჯაანის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონები. თითოეულ მათგანს მიეცა საკუთარი გაზეთი და. ამის შესაბამისად, 1932 წ. დამლევიდან გამოდის საქართველოს კპ(ბ) სიღნაღის რაიკომისა და რაიაღმასკომის (ამჟამად საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის) ორგანო გაზეთი „კოლმეურნე“.

ახალი გაზეთის დასაარსებლად თბილისიდან მოვლინებულ იქნა გაზეთ „მუშის“ რედაქციის გამოცდილი მუშაკი ვალოდია ბურჯანაძე. თავდაპირველად „კოლმეურნე“ იბეჭდებოდა დიდი ფორმატის ექვსალდის 2 ან 4 გვერდზე (ტირაჟი 5 ათასი ცალი), იყო სამდღიური (შემდგომში მისი პერიოდულობა შეიცვალა ყოველდღიურიდან ხუთ-

დღიურამდე, ამჟამად დღეგამოშვებით გამოდის). საკმაო დროის მან-ძილზე გაზეთს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ: ს. ებრალიძე, ი. სიმონ-შვილი, ვ. ბეჟაშვილი, ა. ზურაშვილი, ვლ. მჭედლიშვილი, ზ. ბოლაშვილი, ვ. დავითაშვილი, ლ. ბეგიაშვილი და სხვ. გარდა ამისა, რედაქციაში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდნენ: დ. მჭედლიშვილი, ლ. ასტვაცატუროვი, ი. მოლოდინი, ნ. შარმიაშვილი, მ. სააკოვი, ვ. ხუ-ნაშვილი, ა. მარტიროსოვი, კ. ბეჟაშვილი, ვ. გოზალიშვილი და სხვ.

სამამულო ომის წლებში „კოლმეურნის" ფორმატი, გვერდების რაოდენობა, პერიოდულობა და ტირაჟი, მომენტის შესაბამისად იცვლებოდა. იყო დრო, როცა იგი ათდღიური გახდა, ქაღალდის ხა-რისხი გაუარესდა, მაგრამ მისი ტირაჟი მუდამ 6 ათასის ფარგლებშ-რჩებოდა (ამჟამად 9 ათასი იბეჭდება).

1945 წლის დამლევისათვის უკვე აღრიცხული იყო „კოლმეურ-ნის" 1790 ნომერი, 1981 წლის 7 მაისს კი, მის მესამოცე წლისთავზე, 7324-ე ნომერი გამოვიდა. გარდა ამისა, გამოცემულია „კოლმეურ-ნის" სპეციალური ნომრები, რომლებსაც მისი გამსვლელი რედაქ-ციები უშვებდნენ მნიშვნელოვან თარიღებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ტრადიციულად და დღესაც სიღნაღის რაიონი, ძირითადად, სა-სოფლო-სამეურნეოა. ამან განაპირობა რაიონული გაზეთის პროფი-ლი და სახელწოდებაც „კოლმეურნე". სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მემინდვრეობა, მევენახეობა და მე-ცხოველეობა.

მას შემდეგ, რაც შირაქის ნავთობის სარეწები სიღნაღის რაიონს ჩამოსცილდა, მრეწველობის ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირ-და და გაზეთის ყურადღება გადატანილ იქნა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, შინამრეწველური არტელების, თამბაქოს ფაბრიკა „ეთერის", სხვადასხვა სახელოსნოს, კოოპერაციული ვაჭრობისა და სხვათა მომსახურებაზე.

რაც შეეხება განათლებისა და კულტურის კერებს (სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრი, კლუბები, კინოთეატრები, წითელი კუთხეე-ბი და მხატვრული თვითმოქმედება, მუსიკალური და ქორეოგრაფიე-ლი საზოგადოებები, მუზეუმები და სხვ.), მუდამ მაღალ დონეზე მუ-შაობენ და კარგი საქმიანობით ბევრ საბაბს აძლევენ გაზეთს რეაგი-რებისათვის.

კოლექტივიზაციის დროს „კოლმეურნე", მისი წინამორბედები და რესპუბლიკური პრესა ხშირად წერდნენ „კახეთი კოლექტივიზა-ციის წინა ხაზიაო". ამით იგულისხმებოდა არა იმდენად სოფლის სო-ციალისტური გარდაქმნის მასობრივი ხასიათი, რამდენადაც განწირუ-

ლი კლასების გააფთრებული წინააღმდეგობა ამ პროცესისადმი — კლასობრივი ბრძოლის სიმძაფრე.

რამდენი შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ამ ბრძოლას!..

ეს წლები მძიმე გამოცდის პერიოდი იყო „კოლმეურნისათვისაც". აქ მარტო კარგი ლიტერატურული მუშაობა არ კმაროდა. გაზეთს მწვავე ბოლშევიკური კრიტიკითა და თვითკრიტიკით, მაღალი კლასობრივი შეგნების პოზიციით უნდა გაემართლებინა მშრომელებთან პარტიის დამაკავშირებელი ქმედითი ორგანოს როლი, ყოფილიყო მასების აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი. „კოლმეურნეც" ფხიზლად ადევნებდა თვალს მტრის მოქმედებას და დაუნდობლად ამხელდა მის გამოხდომებს. თითოეულ მის ანშლაგში, სათაურში, წერილში, კორესპონდენციაში, შენიშვნაში ნათლად გამოსჭვიოდა მოწოდება მხარი დაეჭირათ პარტიის პოლიტიკისათვის. თითოეული ღარიბი გლეხი, მოჯამაგირე, ყოველი პატიოსანი მშრომელი გაერთიანებულიყო არტელებში და შეერთებული ძალით შებრძოლებოდნენ მტრებს, რა ნიღაბითაც არ უნდა მოქმედებდნენ ისინი. თავდადებული მუშაობით მაგალითი მიეცათ საშუალო გლეხობისათვის, რომლებიც კულაკების ზეგავლენით მერყეობდნენ.

გაზეთი გრძნობდა ამას და, მტრის პროპაგანდის, ხრიკებისა და პროვოკაციის მხილებასთან ერთად, ფართოდ აშუქებდა მოწინავე კოლექტივების მიღწევებსა და გამოცდილებას. „კოლმეურნეს" ჰქონდა ამის კარგი საფუძველი — ზემოქედის ს. ორჯონიკიძის სახელობის კომუნის სახით, რომელსაც სათავეში ედგა საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი კობა ჩოხელი. 30-იანი წლების დასაწყისში ზემოქედელებზე დაიწერა კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები".

პარტიის მგზნებარე ლოზუნგები, პირველი ტრაქტორების გუგუნი, მოწინავე გამოცდილებისა და კოლექტიური შრომის სიკეთის პროპაგანდა „კოლმეურნის" ფურცლებიდან დიდ გავლენას ახდენდნენ—მტრის ჭორებს ფასი ეკარგებოდა, საშუალო გლეხობა თანდათან შედიოდა კოლმეურნეობებში. ყოველი ახალი თესვის კამპანია და მოსავლის აღება მორიგი გამარჯვებით აღინიშნებოდა, რაც ყველაზე თვალნათლივ გაზეთის ფურცლებიდან ჩანდა. მოგვიანებით „კოლმეურნე" წერდა: „...საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებებმა, სიძნელეების მიუხედავად, ცხადყვეს, რომ საკითხი „ვინ-ვის" სოფლად უკვე გადაწყვეტილი იყო სოციალიზმის სასარგებლოდ და ბოლშევიკური კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა".

მტერი მაინც იოლად არ თმობდა პოზიციებს. ყოველი ახალი წარ-

მატება უფრო მეტ გააფთრებას იწვევდა მასში. ამას ხელს უწყობდა კოლექტივების შექმნისა და გაძღოლის საქმეში დაშვებული შეცდომებიც. პარტიული ორგანიზაციები და გაზეთი არ მალავდნენ ასეთ ფაქტებს და იბრძოდნენ მათი გამოსწორებისათვის. „კოლმეურნე" ხშირად წერდა კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების ფაქტებზე. დაუშვებლად თვლიდა საკრედიტო ამხანაგობების ბიუროკრატიზმსა და მოუქნელობას.

საკოლმეურნეო მშენებლობის პარალელურად „კოლმეურნე" დიდ ადგილს უთმობდა საგზაო მშენებლობას, წყალმომარაგება-ირიგაციას, ალაზნის არხის გაყვანის და ალაზანჰესის მშენებლობის დამთავრების ბაზაზე სოფლების ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის საკითხებს. არხიცა და ჰესიც პირველი და მეორე სუთწლედების გეგმით იყო გათვალისწინებული. მათ აშენებდა მთელი კახეთი და ნამდვილი ინტერნაციონალურ-სახალხო მშენებლობა იყო. გაზეთი ფართოდ განმარტავდა, რომ არხი, ჰაობის ამოშრობისა და სარწყავი მიწების ახალი ფართობების ათვისების გარდა, მოსპობდა კოლერა და მძვინვარე ციებ-ცხელებას, ახალი ზვრები დაამშვენებდნენ ველებს და კოლმეურნეთა ოჯახებს. ბარაქას შემატებდა.

ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის, „კოლმეურნის" ინიციატივით, ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მშენებლობაში შრომითი მონაწილეობისათვის. რაიონი-რაიონს ეჯიბრებოდა და კოლმეურნეობა კოლმეურნეობას. მასობრივ შაბათობებში მონაწილეობდნენ წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლე-პიონერებიც. კომკავშირი ხომ მშენებლობის სული და გული იყო! რედაქცია თავის მხრივ, მუშსოფლკორთა და ფოტოკორესპონდენტების გაგზავნის გარდა, გამსვლელ რედაქციებსაც აწყობდა.

„კოლმეურნეს" თავიდანვე დაჰყვა ბოლშევიკური პრესის კარგი თვისება — მისი ყოველი გამოსვლა პარტიულობის, პრინციპულობის და აღმზრდელობითი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. გაზეთს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდა მასალის ქმედითობა-შედეგიანობაზე. ზოგჯერ მას აკლდა სიმძაფრე და გარეგნული ეფექტიანობის ელემენტები, მაგრამ შინაარსობრივად არ ღალატობდა სიმართლეს. ამიტომ მკითხველიც ბევრი ყავს და კორესპონდენტთა აქტივიც — მრავალრიცხოვანი.

თავისი არსებობის 65 წლის გრძელ გზაზე „კოლმეურნე", პარტიის ხელმძღვანელობით, ცხოვრებასთან ფეხაწყობილი მიაბიჯებდა და სოციალისტური მშენებლობის ყოველ ეტაპს მხარს უსწორებდა, თავის მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობათა ფარგლებში, უპრეტენზიოდ ასრულებდა მშრომელთა ფართო მასების კოლექტიუ-

რი ავიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის პასუხსაგებ როლს, არ თაკილობდა ნაკლზე მითითებას და ყოველგვარ შენიშვნას ითვალისწინებდა.



ნახ. 14.

ჩვენმა სასიქადულო პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა, 1956 წელს, მშობლიური ჯუგაანიდან ასეთი ლექსი უძღვნა „კოლმეურნეს“:

შენ არც თუ ისე დიდი ხარ,
სულ ახლად გადაშლილი ხარ,
კოლმეურნეთა ღარაჯი
საბჭოთა ქვეყნის შვილი ხარ!
მოძმეს არ ჩამორჩენილხარ
ხალხს ესმის შენი ძახილი;
ფხიზლობ და მუდამ მტრისთვის ხარ
ამოღებული მახვილი!
ბევრი სიძნელე გინახავს
და ბრძოლით გადაგლახავს,
გულში გიხუტებს ტრფიალით
ქიზიყის არე კლდოვანი.
შენით ამაყობს შირაქი
და ხირსა ზურმუხტოვანი,
ფართე ანი და გრძნობა გაქვს,
როგორც ალაზნის ველია.
ხარ შემოსილი სინათლით
ბატომ შენს მოსულას ელიან!
გისურვებ, დაგრჩეს სახელი!
გილოცავ სანდრო კახელი!

როცა ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, „კოლმეურნემ“ სავსებით სწორად აღიქვა პარტიის მოწოდება: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“ საჭირო იყო ყოველ უბანზე უფრო მეტი სიფხიზლე, დისციპლინა, გაათკეცებული ენერგიით მუშაობა, მეტის გაკეთება, ძალების სწორად განაწილება, მოსავლიანობის გადიდება, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა, მობილიზაციის საქმეში ჩარევა, ფრონტზე წასულებთან ურთიერთობა, მათი ოჯახებისათვის დახმარება და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ „კუთხე-კუნჭულში“ შეხედვა და წესრიგის დამყარება.

„სიფხიზლე და კიდევ სიფხიზლე, რომ არაფერი გამოგვრჩეს,

არაფერი დავამახინჯოთ, არაფერი დაგვავიწყდეს...", — წერდა „კოლ-მეურნე" 1942 წლის ერთ-ერთ ნომერში. ომის წლებში მისი ინიციატივით საჩუქრების ათამდე ეშელონი გაიგზავნა ფრონტზე. მშრომელთა ნახელავს, ნაოფლ-ნაჯაფს მიაცილებდნენ რაიონის წარჩინებული ადამიანები. მათ იქ გულითადი, გამამხნევებელი შეხვედრები ჰქონდათ სამშობლოს დამცველებთან. ხოლო უკან დაბრუნებისას მადლობის სამკუთხა ბარათები მოჰქონდათ და გაზეთის მეშვეობით ანგარიშს აბარებდნენ წარმგზავნელებს. ომის მრავალ მწარე-ტკბილ ამბებს შორის ისიც იწერებოდა „კოლმეურნეში", რომ სიღნაღის რაიონის მშრომელებმა თავიანთი შრომითი დანაზოგებიდან ასიათასობით მანეთი შეიტანეს სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში.

ბევრი საუკეთესო ვაჟკაცი წავიდა სიღნაღის რაიონიდან სამშობლოს დასაცავად და მათგან არაერთმა ისახელა თავი. ბევრმაც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. დღემდე არ მოსცილებია „კოლმეურნის" ფურცლებს ფორე მოსულიშვილისა და მის თანასოფლელთა სახელები და მათ თავგადასავალთა ფაქტები. გაზეთმა ბევრი იზრუნა იმისათვის, რომ ყოველ სოფელში ყოფილიყო შინმოუსვლელთა მემორიალები.

აი რას წერს „კოლმეურნის" ომისდროინდელი რედაქტორი ზინაიდა ბოლაშვილი:

„რა დამავიწყებს 1945 წლის 8 მარტს. ჩემი რედაქციაში მუშაობის დაწყებიდან პირველი ნომერი უნდა გამოსულიყო და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობას გავიცდიდით. ყველაფერი, ჩვენი გული და სული ქალთა დღესასწაულის დღეს, 8 მარტს ჩავქსოვეთ. გამოქვეყნდა რაიონის მოწინავე მშრომელ ქალთა საქმიანობის, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილე ქალების გმირობის ამსახველი მასალები..." („კოლმეურნე", 1981 წ. 7 მაისი).

ფრონტმა და ზურგმა გაერთიანებული ძალღონით, დიდი მსხვერპლისა და ნგრევის ფასად, თავისსავე ბუნაგში გაანადგურა ფაშისტური ურდოები. ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ ევროპის ხალხები გაათავისუფლა და იხსნა ფაშისტური მონობისაგან.

ომისშემდგომ წლებში „კოლმეურნის" კოლექტივს (რედაქტორები ვლ. მჭედლიშვილი, ვ. დავითაშვილი, ლ. ბეგიაშვილი), ისევე როგორც მთელ საბჭოთა პრესას, არანაკლები მხნეობა და გარჯა დასჭირდა ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, სიღნაღის რაიონის მთელი ცხოვრების მშვიდობიან რელსებზე გადაყვანის, სწრაფი აღდგენისა და წინსვლისათვის ბრძოლაში.

იმისათვის, რომ ეს პროცესი ნათლად წარმოვიდგინოთ, საჭიროა „კოლმეურნის" ნომრების ფურცვლა...

უკანასკნელი ხუთწლედების შედეგად სიღნაღის რაიონი გადაიქ-

ცა მრავალდარგოვან, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ, მაღალგანვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის მდიდარ და ბარაქიან რეგიონად. ჯერ კიდევ 1967 წელს „კოლმეურნემ" მთელი გვერდი დაუთმო მ. ბერეშვილის დასურათებულ ნარკვევს „ერთი სოფლის აყვავებულ კარ-მიდამოში", რომელიც ეხებოდა ოდესღაც მოვარდნილ, ქოხმახებიან, უგზო, უსინათლო და ჩამორჩენილ ძველანაგას. დღეს ეს სოფელი მტრის თვალს არ ენახვება...

ამ თემაზე ხშირად წერდა და წერს გაზ. „კოლმეურნე". 1968 წლის 14 მაისს მან სპეციალური ნომერი მიუძღვნა მეცხოველეობის მოწინავე მუშაკთა რაიონულ თათბირს ანშლაგით — „თავდადებული შრომით ვამრავლოთ წარმატებები". პირველ გვერდზე იყო: მოწინავე წერილი „მეცხოველეობა — ღირსების საქმე", ი. ჯანიაშვილის კორესპონდენცია „ბარაქალა თქვენს მარჯვენას", მოწინავე მეცხვარის ბეჟან ძამანაშვილის სურათი და მ. ნადაშვილის ინფორმაცია „კარგია, დავნერგოთ".

შიგა გაერთიანებული გვერდების ანშლაგი მოუწოდებდა: „სამშობლოს მივცეთ მეტი მატყლი და ხორცი!".

დღეს, რა თქმა უნდა, სიღნაღის რაიონის მეცხოველეობის მასშტაბები, მისი განვითარების დონე, ვალდებულებები და პერსპექტივები შეუდარებლად დიდია. ამას მოწმობს თუნდაც ალაზნის ველზე, ჭაობების ამოშრობისა და მლაშე ნიადაგის მელიორაციის ბაზაზე შექმნილი წნორის სახორცე მეცხოველეობის კომპლექსი-გიგანტი. ამ კომპლექსის მშენებლობის დაწყების შესახებ ჯერ კიდევ 1972 წლის 3 ოქტომბერს „კოლმეურნეში" დაიბეჭდა ი. ბალიაშვილის წერილი „სახეს იცვლის ალაზნის ველი". შემდგომი ცნობებიდან ნათელი გახდა, რომ მისი ნაწილის ამოქმედების შედეგად. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 380 კილოგრამი წონის 11.978 სული საქონელი.

მშენებლობის საჭირბოროტო საკითხებზე ხშირად წერს „კოლმეურნე", ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე აღინიშნა, რომ კომპლექსის მშენებლობის წარმატებით დამთავრება დიდად გაუმჯობესებს რესპუბლიკის მშრომელთა ხორცით მომარაგებას.

რესპუბლიკური პრესის ფურცლებიდან კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი წვლილი შეაქვს სიღნაღის რაიონს მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. „კოლმეურნისათვის" კი ეს საქმე ვალდებულების გარდა, პრესტიჟის საკითხიცაა, და არც ერთი ნომერი არ გამოვა ისე, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის ამ პასუხსაგებ დარგს წამყვანი ადგილი არ ეჭიროს.

განვლილ ხუთწლედებში, რესპუბლიკის საერთო წინსვლისა და

რაიონის სოფლის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიჩნეოდა მრეწველობის ცალკეული დარგების სწრაფი განვითარება. გაფართოვდა ხალიჩების წარმოება, აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამკერვალო ფაბრიკა, რომლის ნაწარმი რესპუბლიკისა და კავშირის სხვადასხვა კუთხეში გარკვეული მოწონებით სარგებლობს.

ოდესღაც დაჭაობებული დაბა წნორი რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო ქალაქი გახდა. მისი მექანიკური ქარხნის პროდუქცია საზღვარგარეთაც იგზავნება. მეღვინეობის ისეთ ცენტრში, როგორიც წნორია, სახელი გაითქვა ომის შემდეგ აგებული ლუდის ქარხნის პროდუქციამ, ხოლო ყველ-კარაქის ქარხნის ნაწარმი მოსკოვსა და ლენინგრადშიც იყიდება (კერძოდ, სულგუნი). მოქმედებაშია აგრეთვე ელევატორი და წისქვილ-კომბინატი, მუშაობს წნორი-სიღნაღის საბაგირო გზა და სხვ.

„კოლმეურნემ" 1971 წლის 2 თებერვალს წნორს საბჭოთა საქართველოს პირმშო უწოდა და დასურათებული გვერდი მიუძღვნა მ. ქვრივიშვილის ნარკვევით „ძეძვებში აღმოცენებული ქალაქი", რომელიც მოსახლეობით ბევრად აღემატება რაიონულ ცენტრს — ბებერს, მაგრამ მარად ახალგაზრდა სიღნაღს — ქალაქ-მუზეუმს.

რაიონში აღორძინებას იწყებს ღვინის კასრებისა და ქვევრების ტრადიციული წარმოება, მეჭურჭლეობა. გაზეთი დროულად ეხმაურება ახალგაზრდა საწარმოთა მოთხოვნებს და პროპაგანდას უწევს მათ ყოველ სასარგებლო წამოწყებას. როგორც გაზეთის ერთ-ერთი ყოფილი რედაქტორი ვლ. მჭედლიშვილი იგონებს: „სიღნაღის რაიონის წინსვლა-წარმატება განვლილი ხუთწლედების მანძილზე — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ხალხის კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაში, სისხლხორცეულად დაკავშირებულია გაზეთ „კოლმეურნესთან" („კოლმეურნე", 1981 წლის 7 მაისი).

1981 წლის 19 იანვარს გაზეთი „პრავდა" წერდა: „სიღნაღის რაიონის ცნობილ მეჭურჭლეობის სოფ. ბოდბისხევის კოლმეურნეობამ ააშენა აგურის ქარხანა, რომელიც წელიწადში 10 მილიონამდე აგურს გამოუშვებს".

„კოლმეურნის" ერთ-ერთი წამყვანი რუბრიკაა „პარტიულ-კომკავშირული ცხოვრება", რომელშიც შუქდება ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა. ახალგაზრდობისათვის შემოღებულია საგანგებო გვერდი — „ცისკარი" (საქ. ალკ. სიღნაღის რაიკომისა და „კოლმეურნის" ერთობლივი ფურცელი).

გაზეთში საკმაო ადგილი ეთმობა საბჭოების მუშაობას. რედაქცია საინტერესოდ ამზადებს სახალხო კონტროლის გვერდებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1981 წლის 30 მაისის ნომერში დათმო-

ბილი გვერდი. მასში მოთავსებულია სახალხო კონტროლის სიღნაღის რაიონული კომიტეტის სხდომის ანგარიში: „რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებში და კოოპკავშირის საწარმოებში წარილი საკეღლე საშენი ბლოკის გამოშვების საგეგმო დავალებათა შესრულების და რეალიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევების შესახებ“.

ამასთან უნდა აღინიშნოს „კოლმეურნის“ ფურცლებზე უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენებისა და დამახინჯებათა წინააღმდეგ. თუმცა, ზოგჯერ ეს უკანა რიცხვით ხდება და გაზეთი დროულ სიგნალებს ვერ იძლევა (მაგალითად, სოფ. ანაგის ღვინოქარხნისა და სხვა მძიმე დანაშაულებრივი მოქმედება).

„კოლმეურნის“ განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ განაგრძობს კარგ ტრადიციას და რედაქციასთან ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების ლიტერატურული გაერთიანება (თ. კრაწაშვილი, ლ. ბეგიაშვილი, ქ. ბაბაკაშვილი, გ. ქართველიშვილი, ი. კიკილაშვილი, ჟ. ბაინდურაშვილი, თ. მორჩიაული, ნ. შარმიაშვილი, შ. ანაგელი, ტ. გოდერძიშვილი და სხვ.), რომელთა ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, ჩანახატები, რეცენზიები სისტემატურად იბეჭდება გაზეთის ლიტერატურულ გვერდში. ზოგი მათგანი კი რესპუბლიკურ პრესაშიც გამოდის.

„კოლმეურნის“ ლიტერატურულ საქმიანობასთან თავის დროზე დაკავშირებული იყვნენ თანამედროვე ქართველი მწერლები: დ. პატატიშვილი, ე. მაღრაძე, ალ. ბეგაშვილი, თ. და ო. ჭილაძეები, ა. აბულაშვილი, ბ. ბერიაშვილი, თ. აბულაშვილი და სხვ. მათი პირველი ნაწარმოებები „კოლმეურნის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

საერთოდ, სიღნაღის სამაზრო თუ რაიონული გაზეთების მუშაკები მუდამ თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ კახეთის კულტურულ ცხოვრებაში. „კოლმეურნემ“ დიდი სასარგებლო საქმე გააკეთა, როცა 1940 წელს, ს. ებრალიძისა და შ. ღლონტის ინიციატივით, შეკრიბა და გამოსცა „ქიზიყის პოეტური ფოლკლორი“. რედაქციამ 1967 წელსაც გამოსცა ლიტერატურული კრებული, რომელშიც ძირითადად გაერთიანების წევრთა ლექსები და მოთხრობები შევიდა.

„კოლმეურნე“ მუდამ კარგად მუშაობდა და მუშაობს თავის კორესპონდენტებსა და მკითხველებთან.

აი როგორ იქნა შეფასებული „კოლმეურნის“ 60 წლის მოღვაწეობა 1981 წლის 7 მაისის საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებულ მილოცვებში:

„ღრმად გვჯერა, რომ გაზეთი „კოლმეურნე“ და მისი შრომისმოყვარე კოლექტივი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება პარტიის გარ-

შემო, შემოიკრებს თავის მუშაობაში კორესპონდენტთა ფართო აქტივს და კვლავაც დიდი შემართებითა და ინიციატივით დარაზმავ! რაიონის მშრომელებს... პარტიის მიერ დასახულ დიად ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის" (საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი).

„ვუსურვებთ გაზეთ „კოლმეურნეს" კვლავაც ყოფილიყოს მშრომელთა დიდი საქმეების ღირსეული კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ნიჭიერი ორგანიზატორი, მოწინავეთა გამოცდილების გამავრცელებელი, უკომპრომისო ყოველგვარი ნაკლოვანებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ" (გაზეთ „კომუნისტის" კოლექტივი).



ნახ. 15 სიღნაღის ციხე-სიმაგრის (კრემლის მთავარი თაღი).

„თქვენი გაზეთის პირველ ნომერს „ახალი გზა" ერქვა. იგი დაიბადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეებში და მახვილი კალმით, მართალი მგზნებარე სიტყვით ემსახურებოდა მშრომელს. მასები მიჰყავდა პარტიის მიერ ნაჩვენები გზით. სწორედ ამ ახალმა გზამ მიიყვანა რაიონის მშრომელები სახალხო მეურნეობისა და კულტურის საერთო აღორძინებამდე, კოლექტივიზაციის სრულ გამარჯვებამდე... გილოცავთ სახელოვან იუბილეს და გისურვებთ კვლავაც მაღლა გეჭიროდეთ საბჭოთა პრესის ლენინური დროშა..." (საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი).

ვუსურვოთ გაზეთ „კოლმეურნეს" შემდგომი წარმატებები!

გაზეთ „ქართლის“ 60 წლისთავისათვის

ქართლის გული, ქალაქი გორი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, სამეურნეო და კულტურული ცენტრია. შუაზე ამაყად ამოწვდილი ბევრის მომსწრე ჭაღარა ციხე-სიმაგრის ქონგურებიდან იგი ოდითგანვე ბედის ვარსკვლავად დაქნეული ირგვლივ შემოჯარულ ბარაქიან ბაღ-ვენახებს.

ამ მადლიან კუთხეში დაიბადა ი. ბ. სტალინი. საქართველოს ბევრი სხვა საამაყო შვილი. რევოლუციური ქარტეხილების გარიჟრაჟზე მათი თაოსნობით აქ ინთებოდა ცოდნისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის კოცონები, ვითარდებოდა მწიგნობრობა და ბეჭდვითი სიტყვა. ამ მიზნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1869 წელს გახსნილ გორის პირველ სტამბას, რომელმაც. ცარიზმის თვალთმპყრობელური პოლიტიკის მიუხედავად, შესაძლებელი გახადა ქართული წიგნებისა და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა.

როგორც საერთოდ, ისე ქართლის პერიოდიკის პირველ ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს მოწაფეთა რეფერატები და ხელნაწერი ჟურნალები. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გორის საოსტატო სემინარიაში გამოდიოდა პროგრესული ახალგაზრდობის ხელნაწერი ჟურნალი „რიჟრაჟი“. რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა და მისი ხმა თბილისამდე აღწევდა. ამ ჟურნალის ყოველ ნომერს ათ-ათ ცალად ხელით წერდა ბეჯითი და იშვიათი ხელნაწერის მოსწავლე, ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმა ნიკო რაზიკაშვილი-ბაჩანა, რისთვისაც მეგობრებმა მას „მესტამბე“ შეარქვეს. ეს ფაქტი ჯერ მხოლოდ ლიტერატურული წყაროებიდან (თედო რაზიკაშვილის მოგონებიდან) არის ცნობილი და ფაქტიური მონაცემებით დადასტურებული არ არის, თუ რამდენი ნომერი გამოვიდა „რიჟრაჟი“ და როგორი რეაქცია გამოიწვია სემინარიის ადმინისტრაციაში. ისიც მოუვანილა დასადასტურებლად. თუ რა დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა რაზიკაშვილების ნიჭიერი ოჯახი და როგორი ხსნა იყო სწავლას მოწყურებულ ბაჩანასთვის ჟურნალის თითოეული ნომრის ვადაწერაში მიღებული სამი მანეთი.

ამას მოჰყვა არალეგალური პროკლამაციები და ფურცლები, რომლებსაც დიდი რისკის ფასად ლეგალურ და არალეგალურ სტამ-

ბებში ბეჭდავდნენ. ძველი რევოლუციონერი, ი. ბ. სტალინის თანამებრძოლი გ. ელისაბედაშვილი იგონებდა, რომ 1905 წლის რევოლუციის სუსხიან დღეებში, გორში, გ. მალაჩინის მეშვეობით ა. კალანდაძის სტამბაში სოციალ-დემოკრატიული პროკლამაცია დაიბეჭდა, ხოლო რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის მძვინვარე 1905 წლის გაზაფხულზე, რსდმპ გორის გაერთიანებულმა კომიტეტმა საკუთარი არალეგალური სტამბა მოაწყო და რეგულარულად უშვებდა მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებებს.

სტამბის მოსაწყობად თბილისიდან გაიწვიეს სოციალ-დემოკრატი მუშა დ. ფერაძე. მან თან ჩაიტანა საბეჭდი დაზგა, დოლურა და შრიფტი. კონსპირაციის მიზნით ფერაძე მარტო მუშაობდა სტამბაში. მასთან დაკავშირებული იყვნენ რსდმპ გორის კომიტეტის წევრები პ. საყვარელიძე, ქ. მუნტიკოვი და პ. ეფრემიძე. ისინი ამარაგებდნენ ფერაძეს საჭირო ტექსტებითა და მასალით, შემდეგ კი მიჰქონდათ მზა პროდუქცია და ავრცელებდნენ. ყველაფერი ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა.

მაგრამ ოქტომბერში პოლიციამ ჯაშუშის მეშვეობით მიაკვლია არალეგალურ სტამბას, იგი დაარბიეს და დ. ფერაძე დააპატიმრეს. ერთი თვის შემდეგ კომიტეტიც ჩავარდა — პ. საყვარელიძე და მისი მეგობრებიც დააპატიმრეს.

ამიერიდან სიმძიმის ცენტრი ლეგალურ სტამბებში იქნა გადატანილი, სადაც ბევრი მუშა რევოლუციურად იყო განწყობილი და უკმაყოფილებას გამოთქვამდა სტამბის პატრონის მიმართ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ და წარმატებით ასრულებდნენ რსდმპ გორის კომიტეტის ახალი შემადგენლობის დავალებებს დ. მაჭავარიანის სტამბის ასოთამწყობები კ. კალანდაძე, გ. ურუშაძე და ა. მამალაძე.

თუმცა არც პოლიციას ეძინა. მისი დაგეშილი ჯაშუშები დღენიადაგ დაძრწოდნენ და თავს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ აღმოეჩინათ სტამბა და არალეგალური ფურცლების გამომშვებნი, რომლებიც მთელ ქართლში მასობრივად ვრცელდებოდა. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ერიომინი საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ 1908 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქ. გორში გაავრცელეს დ. მაჭავარიანის სტამბაში დაბეჭდილი მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდება. გორის მაზრის უფროსის აგენტურის ცნობებშიც მინიშნებული იყო, რომ გ. ურუშაძე, კ. კალანდაძე, ა. მამალაძე და მათთან მცხოვრები ა. ირემაშვილი „...დანაშაულებრივი მოწოდებების ბეჭდვასა და გავრცელებას ეწეოდნენ“.

საგანგებოდ გაჩხრიკეს დ. მაჭავარიანის სტამბა და ეჭვმიტანილი მუშების ბინები. კ. კალანდაძეს უპოვნეს: სტამბის პატრონისა-

თვის წარსადგენი 9 მუხლისაგან შემდგარი ეკონომიური მოთხოვნები, სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება მესტამბესა და მუშებს შორის ხელფასის საკითხში კონფლიქტის მოწესრიგებაზე და რევოლუციური შინაარსის ლიტერატურა; გ. ურუშაძეს — ბროშურები: „ამსტერდამის კონგრესი", „პარლამენტარიზმი და სოციალ-დემოკრატია", „ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ", „გზა სოციალიზმისაკენ" და სხვ.; ა. მამალაძის ბინიდან კი წიგნებთან ერთად წაიღეს რსდმპ გორის სამაზრო კომიტეტის პროკლამაცია „პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!". ამ პროკლამაციის ზომის სუფთა ქაღალდის ფურცლები და დ. მაჭავარიანის სტამბის გასაღები.

1908 წლის 29 დეკემბერს გორის მაზრის უფროსის განკარგულებით გაჩხრიკეს აგრეთვე მ. თაბუკაშვილის ბინა და აღმოაჩინეს რსდმპ გორის სამაზრო კომიტეტის პროკლამაცია „ამხანაგებო!" გამოირკვა, რომ ისიც ლეგალურ სტამბაში იყო დაბეჭდილი.

ყველა ეჭვმიტანილი დააპატიმრეს და დაიწყო მათი საქმის გამოძიება. მოკვლეული მასალები ცხადყოფდნენ, რომ არასამუშაო დროს მუშები თავისუფლად შედიოდნენ სტამბაში, აწყობდნენ და ბეჭდავდნენ აკრძალულ ლიტერატურას. სტამბის პატრონმა დ. მაჭავარიანმა, დაკითხვის დროს განაცხადა, რომ „...მეორე გასაღების არსებობის შესახებ არაფერი იცოდა" და იქვე წარადგინა თავისი სტამბის ნამდვილი გასაღები.

გორის სტამბის მუშების სასამართლო პროცესის ამბავი მთელ საქართველოში გახმაურდა. სასამართლომ დადასტურებულად სცნო წაყენებული ბრალდება და ა. მამალაძე, კ. კალანდაძე, გ. ურუშაძე და ა. ირემაშვილი სამ-სამი წლით გააციმბირეს.

მაგრამ არც ამის შემდეგ შეწყვეტილა გორში ერთდროული გამოცემებისა და პერიოდული ორგანოების შექმნის ცდები. პირიქით, მთავრობის რეპრესიების პასუხად რსდმპ გორის სამაზრო კომიტეტმა ლეგალური სტამბის მუშების დახმარებით ხელახლა მოაწყო არალეგალური სტამბა და ახალი ძალით შეუდგა ფურცლებისა და მოწოდებების ბეჭდვას.

როცა რევოლციური აღმავლობის წლებში გაჩნდა ლეგალური ქართული პერიოდული გამოცემის დაარსების შესაძლებლობა, გორის მოწინავე საზოგადოებრიობამ, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის შემდეგ, სხვა სამაზრო ცენტრებთან შედარებით, უფრო ადრე ისარგებლა ამ გარემოებით და ადგილობრივი გაზეთი გამოუშვა. ეს იყო 1912—1913 წლების ყოველდღიური ორგანო „ქართლი".

„ქართლი" იყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ი. თ. ცინცაძე და მ. ი. ციციშვილი. მას ჰქონდა აგრეთვე ყოველკვირეული

ლიტერატურული დამატება, რომელშიც ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, თედო რაზიკაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, კ. ყიფიანი, ს. ერთაწმინდელი, ე. ეგნატაშვილი და სხვ.

„ქართლი" დიდი ფორმატის 4-გვერდიანი გაზეთი იყო. ყოველდღიურობის მაუწყებელი. ქვესათაურის მიუხედავად, იგი კვირაში ორ-სამჯერ გამოდიოდა. იარსება 1913 წლის 24 თებერვლამდე (ზუსტად რვა თვეს) და 80 ნომერი გამოვიდა. ამ გაზეთის დახურვის მიზეზების ჩაძიება ახლა ძნელია. ერთი კი ცხადია, მეფის შავრაზმულ ცენზურასაც რომ არ შეეწუხებინა, საქველმოქმედო შეწირულებებზე დამოკიდებული გამოცემები, ფინანსური სიძნელეების გამო, ისიც მოახლოვებული იმპერიალისტური ომის პირობებში დიდხანს ვერ ბოგინობდნენ.

მაგრამ „ქართლის" დახურვის მიუხედავად, გორი დიდხანს არ დარჩენილა უგაზეთოდ. ამას თვით ომის დაწყებამაც ვერ შეუშალა ხელი. 1914 წლის 23 ოქტომბერს იგი განახლდა „ახალი ქართლის" სახელწოდებით. ესეც დიდი ფორმატის 4-გვერდიანი გაზეთი იყო და ყოველდღიური ერქვა, მაგრამ ფაქტიურად კვირაში ორჯერ გამოდიოდა.

„ახალი ქართლი" უპარტიო გაზეთად ითვლებოდა და ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობის იდეებს ქადაგებდა. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი ისტორიკოსი, ლიტერატორი და მკვლევარი დავით კარიჭაშვილი (ფსევდონიმი დ. ვედრებაშვილი). „ახალი ქართლის" უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ნ. ლომოური, თედო ჟორდანია, გ. ქიქოძე, ალ. გარსევანიშვილი, მ. რაჭველი, გ. ნამორაძე და სხვ.

ეტყობა ვერც ეს ახალი გაზეთი გადაურჩა სისხლისმღვრელი ომის დამანგრეველ გავლენას. იარსება მხოლოდ 1915 წლის 31 მაისამდე და 64 ნომერი გამოვიდა.

ეს იყო და ეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გორს საკუთარი გაზეთი აღარ ჰქონდა. 1917 წლის რევოლუციების, სამოქალაქო ომისა და მენშევიკების ბატონობის დროს, განსაკუთრებით 1919—1920 წლების სახალხო აჯანყებისათვის მზადების პერიოდში, ისევ ცალკეული პროკლამაციები, მოწოდებები და ტრადიციული მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალები თუ გამოდიოდა, მაგრამ შექმნილ ორომტრიალში მათი კვალი დაკარგულია.

დადგა ახალი ცხოვრების ხანა. სოციალიზმის იდეების პროპაგანდისა და მასების მობილიზაციისათვის საჭირო იყო ისეთი ქმედითი საშუალება, როგორიცაა პრესა. მაგრამ მემკვიდრეობად მიღებული ეკონომიკური სიძნელები იმდენად დიდი იყო, რომ პირველ ხანებში

გამოდიოდა მხოლოდ საქართველოს კპ(ბ) გორის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევკომის დადგენილებები, მოწოდებები და „გრუკავროსტას“ გორის სამაზრო განყოფილების საინფორმაციო ფურცლები და ცნობები.

მალე პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგა ახალგაზრდობამ და 1922 წლის 12 დეკემბერს გამოვიდა საქართველოს კომკავშირის გორის სამაზრო კომიტეტის ერთდროული გაზეთი „ახალგაზრდა მუშა“[1]. 1924 წლის ზაფხულში კი გამოსვლა იწყო საქართველოს კპ(ბ) გორის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო აღმასკომის ყოველკვირეულმა ორგანომ „წითელმა ქართლმა“ (დიდი ფორმატის 4 გვერდი, ტირაჟი 3 ათასი ცალი). გაზეთს სარედაქციო კოლეგია განაგებდა იბეჭდებოდა ადგილობრივი მეურნეობის სტამბაში. ამ სახელწოდებ ა 1925 წლის 19 აპრილამდე იარსება და 29 ნომერი გამოვიდა.

ამის შემდეგ გორში 1931 წლის 7 ნოემბრამდე გაზეთი აღარ გამოსულა. ამას ნაწილობრივ ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიის ხელახალმა დაარაიონებამ და 1928—1930 წლებში ოლქების შექმნამ. მაგრამ როგორც კი ეს პროცესი დამთავრდა — ოლქები დაიშალა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულებად რაიონები იქნა აღიარებული, „წითელი ქართლის“ ნაცვლად, მისი ნუმერაციის გაგრძელებით გამოვიდა საქართველოს კპ (ბ) გორის რაიკომისა და რაიაღმასკომის ხუთდღიური გაზეთი „სოციალიზმის გზით“ (№ 30). დასაწყისში ამ გაზეთსაც სარედაქციო კოლეგია განაგებდა, შემდეგ კი მისი პ/მგ. რედაქტორები იყვნენ გ. აბრამიშვილი, ა. კირცხალია და ვ. შავგულიძე.

1936 წლიდან გორის გაზეთს „სტალინელი“ ეწოდებოდა (რედაქტორები ი. გაბრიჩიძე, ა. ალიბეგაშვილი, ი. მამალაძე). ასე გრძელდებოდა სამამულო ომის დამთავრებამდე, ვიდრე გამოვიდოდა საქართველოს კომპარტიის გორის რაიონული და საქალაქო კომიტეტებისა და რაიონული და საქალაქო საბჭოების ორგანო, დღევანდელი გაზეთი „გამარჯვება“ (რედაქტორი გ. ცერაძე).

არსებობის მანძილზე გაზეთების „წითელი ქართლის“, „სოციალიზმის გზით“ და „სტალინელის“ პერიოდულობა, ფორმატი, გვერდების რაოდენობა და ტირაჟი, განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში, ბევრჯერ შეცვლილა დროისა და მატერიალურ შესაძლებლობათა შესაბამისად. სამწუხაროდ, მათი ყველა გამოსული ნომერი აღრიცხული და დაცული არ არის ბიბლიოთეკებში და შეუძლებელია ამომწურავი შეფასების მიცემა.

კარგ საქმეს გააკეთებენ „გამარჯვების“ რედაქციის მუშაკები,

---

1 დაწვრილებით იხ. ნარკვევი „მებრძოლი კომკავშირული“.

გორელი ჟურნალისტები თუ ითავებენ და მათ აღადგენენ. ამასთან საჭიროა „გამარჯვება“ 1924 წლით დათარიღდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვან თარიღებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით გორში ერთდროული გაზეთებიც გამოდიოდა. პაგალითად, 1932 წლის 5 მაისს გაზეთის „სოციალიზმის გზით“ გამსვლელმა რედაქციამ საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სოფ. მეჯვრისხევში გამოუშვა ერთდროული გაზეთი (№ 1, ტირაჟი 5 ათასი ცალი), ხოლო 1936 წლის 2 ოქტომბერს „სტალინელის“ გამსვლელმა რედაქციამ წითელი არმიის რიგებში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით, გორის გასაწვევ პუნქტში გამოუშვა გაზეთი (№ 1, მცირე ფორმატის 4 გვერდი). ამავე მიზნით ერთდროული გაზეთი გამოვიდა 1939 წლის 5 ოქტომბერსაც (№ 1, მცირე ფორმატის 2 გვერდი, ტირაჟი 250 ცალი).

ომისწინა 1940 წლის 13 აპრილსა და 3 ივნისს „სტალინელის“ გამსვლელი რედაქცია მუშაობდა სოფ. ხიდისთავის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში და გორი-ნატახტარის გზატკეცილის მშენებლობაზე, სადაც ერთდროული გაზეთები გამოუშვა (№ 1 და № 2, თითოეული 600 ცალი, პ/მგ. რედაქტორი ი. მამალაძე).

გარდა ამისა, სამამულო ომის პირველსავე წელს — 1941 წლის 17 ნოემბერს „სტალინელის“ რედაქციამ კედელზე გასაკვრელი დიდი ფორმატის ცალგვერდიანი სააგიტაციო ფურცელი გამოსცა (№ 1, პ/მგ. რედაქტორი ი. მამალაძე).

1942 წლიდან დაიწყო გორის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების გამოსვლა. მისი პირველი ტომის (206 გვერდი) რედაქტორი იყო გ. სარაული. კრებულში დაბეჭდილია პროფესორების ალ. ბარამიძისა და გ. ჯავახიშვილის, დოცენტების ერ. ბურჭულაძის, პ. ბერაძის, პ. ჯანელიძის, კ. გუგუშვილის, ალ. ღლონტის, დ. ბულეიშვილისა და სხვ. გამოკვლევები. ბევრი მათგანი დღეს უფრო მაღალი წოდებით დიდ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისში. „შრომების“ სხვა ნომრები აღრიცხული არ არის.

ცხადია, კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოიძებნოს. გორში დღესაც გაზეთ „გამარჯვების“ გარდა საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ინსტიტუტსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში გამოდის მრავალტირაჟიანი გაზეთები, სამეცნიერო შრომები, საინფორმაციო ფურცლები და სხვ., რომლებიც დიდ როლს ასრულებენ რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

„ალაზნის განთიადის“ საიუბილეოდ

თელავის რაიონული გაზეთი „ალაზნის განთიადი“ არსებობის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ამ სასიხარულო მოვლენამ ქართული პერიოდიკის ისტორიის ნარკვევებზე მუშაობის პროცესში მომისწრო და, რაკი მასალა ხელთ მქონდა, გადავწყვიტე უფრო ღრმად ჩავძიებოდი თელავის საგამომცემლო-პოლიგრაფიულ და ლიტერატურულ ამბებს, რაც ვფიქრობ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მკითხველებისა და საერთოდ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობისათვის.

ვინ იცის, თავის დროზე რამდენი სიგელ-გუჯარი და სამეფო ტრაქტატი დაწერილა თელავში. მას შემდეგ კი, ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, თელავის სტამბაში „იბეჭდებოდა არამცთუ პატარა წიგნები, არამედ ათ- და ოცფორმიანებიც“. 1906—1907 წლებში თელავში უკვე მეორე — რსდმპ გაერთიანებული სამაზრო კომიტეტის არალეგალური სტამბაც მოქმედებდა.

თელავში ჯერ კიდევ 1905 წელს უშვებდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პროკლამაციებს. ისინი როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ სტამბებში იბეჭდებოდა. 1905 წლის ივლისში თელავის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთა ოთხდღიან გაფიცვაში სტამბის მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ. 1906 წელს თელავის არალეგალურ სტამბაში პროკლამაციებს რსდმპ თელავის მაზრის ხელმძღვანელი კოლექტივის ხელმოწერით ბეჭდავდნენ. 1907 წლის 20 თებერვალს პოლიციამ მიაკვლია და დაარბია თელავის არალეგალური სტამბა. ხელში ჩაიგდეს საბეჭდი დაზგა. 4 ფუთი ქართული შრიფტი. პროკლამაციები: „ამხანაგებო!“, „საარჩევნო ბრძოლა“ და სხვ.

მიუხედავად ამისა, ბოლშევიკებს არ შეუწყვეტიათ საგამომცემლო საქმიანობა. რეაქციის მძიმე წლებშიც კი ცნობილი რევოლუციონერი ნ .აივაზოვი, რომელიც სიღნაღიდან გაექცა მეფის ჯაშუშებს და თელავის ლეგალურ სტამბაში მუშაობდა, პარტიის დავალებით მო-

ხერხებულად აწყობდა და ბეჭდავდა მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლებსა და პროკლამაციებს.

როდესაც თელაველმა მუშებმა ლენინური „პრავდის“ გამოსვლის ამბავი გაიგეს, გაზეთის სასარგებლოდ ფული შეაგროვეს და რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში წერდნენ: „თუმცა ჩვენთაგანი ძალიან ცოტა ფლობს რუსულ ენას, მაგრამ რა გაეწყობა, კოჭლ-კოჭლობით, ძლივ-ძლივობით წავიკითხავთ რუსულ ანბანს და თვით ალღო დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რას გვთავაზობს ჩვენი გაზეთი“[1].

მაშინ თელავში სხვა მნიშვნელოვანი საწარმო არ ყოფილა და, ცხადია, ამ წერილის ავტორები ძირითადად სტამბის მუშები იქნებოდნენ.

1912—1917 წლებში კახეთს, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ჰქონდა საერთო ყოველკვირეული სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთი „ხმა კახეთისა“, რომელსაც მისი რედაქტორ-გამომცემელი კოტე ტყავაძე სიღნაღში უშვებდა[2].

განსაკუთრებით გაძლიერდა არალეგალური საგამომცემლო საქმიანობა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ 1919 წლის აჯანყებისათვის მზადების დროს. 1919 წლის 25 ოქტომბერს გაზეთი „ერთობა“ წერდა: „8 ოქტომბერს ქ. თელავში მენშევიკებმა დააპატიმრეს ბოლშევიკური კომიტეტი და აღმოაჩინეს მრავალი პროკლამაცია და ბროშურა ქართულ, სომხურ, რუსულ და თურქულ ენებზე“.

მაგრამ თელავის პერიოდიკის ნამდვილი აყვავების ხანა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. პირველი გაზეთი იყო რუსეთის დეპეშათა სააგენტოს საქართველოს განყოფილების ყოველდღიური ორგანო „კავკასიის კომუნა“. იგი თელავის ადგილობრივი მრეწველობის სტამბაში იბეჭდებოდა დიდი ფორმატის ქაღალდის 2 გვერდზე, ცალი მხრიდან — კედელზე გასაკრავად, 240 ცალის რაოდენობით. იარსება 1921 წლის 13 სექტემბრამდე და 70 ნომერი გამოვიდა. მასში ქვეყნდებოდა უმთავრესად საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტები. თანამშრომლობდნენ ძირითადად საქართველოს კპ (ბ) თელავის სამაზრო კომიტეტის წევრები და თანამშრომლები.

1921 წლის 10 ივლისიდან კი გამოსვლას იწყებს საქართველოს კპ(ბ) თელავის სამაზრო კომიტეტისა და სამაზრო რევკომის კვირეული გაზეთი „წითელი მშრომელი“. მას განაგებდა სარედაქციო კოლეგია. იბეჭდებოდა 2 ან 4 გვერდზე, ტირაჟი 500 ცალი. იარსება ამ სახელწოდებით 1922 წლის 7 მაისამდე და 26 ნომერი გამოვიდა. 1923

---

1 საქართველოს სსრ ცსია, ფ. 3. 623, ფ. 15.

2 დაწვრილებით იხ. ნარკვევი „ტრადიცია გზად და ხიდად“.

წლის 1 მაისს სამაზრო კომიტეტმა და აღმასკომმა გამოუშვეს საფლეს-სასწაულო გაზეთი „მუშა და გლეხი“ (№ 1, 4 გვერდი).

„წითელი მშრომელის“ გაგრძელება იყო ყოველკვირეული გაზეთი „საბჭოთა კახეთი“. 1923 წლის 4 ნოემბრამდე მისი 12 ნომერი გამოვიდა. 1925 წლის 1 მაისიდან გამოდიოდა თელავის სამაზრო პროფსაბჭოს ყოველკვირეული ნაბეჭდი კედლის გაზეთი „ახალი კახეთი“. იარსება 17 მაისამდე და 3 ნომერი გამოვიდა. მისი პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში ნათქვამია: „კედლის გაზეთს ეუშვებთ მაზრის მასშტაბით. ჩვენს მიზანს შეადგენს პროფკავშირების მასა დაეაახლოვოთ ფართო გლეხურ მასასთან. ამ გამოცემის ინიციატორი იყო გ. ელისაბედაშვილი. არის ცნობები, რომ ამ პერიოდში გამოდიოდა „საბჭოთა კახეთის“ გაგრძელება „წითელი კახეთის“ სახელწოდებით, მაგრამ მისი ნომრები არსად აღრიცხული და დაცული არ არის.

კახეთის ოლქის დროს, 1928—1930 წლებში, თელავს საკუთარი გაზეთი არ ჰქონია. მას ემსახურებოდა საქართველოს კპ(ბ) კახეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის ხუთდღიური გაზეთი „კოლექტივიზაციის ფრონტზე“ და მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის კახეთის საოლქო განყოფილების კვირეული ცალგვერდა გაზეთი „ქინა-ქინა“, რომლებიც სიღნაღში გამოდიოდა, და ნაწილობრივ სიღნაღის გაზეთი „სიმართლე“.[1]

1930 წელს თელავის რაიონის სოფლებში — იყალთოში, ზემო ხოდაშენში, ქისტაურში, ახმეტასა[2] და მატანში მუშაობდა კულტესტაფეტის აგიტკოლონა, რომელმაც 8-დან 16 თებერვლამდე გამოსცა 5 ნომერი გაზეთი „ვაშენებთ ახალ ცხოვრებას“. იმავე წლის 25 აპრილს ტყის დღის ჩამტარებელმა კომისიამ გამოუშვა ერთდროული ოთხგვერდიანი გაზეთი „ტყის მეგობარი“.

ოლქის დაშლის შემდეგ, 1931—1945 წლებში, გამოდიოდა საქართველოს კპ(ბ) თელავის რაიკომის, რაიაღმასკომის, კოლმეურნეობა-შირისა და რაიპროფსაბჭოს ექვსდღიური (1934 წლიდან სამდღიური) გაზეთი „კოლმეურნის ხმა“, რომელსაც დღეს „ალაზნის განთიადი“ ეწოდება (რედაქტორი ო. ხუციშვილი). მისი პერიოდულობა, ფორმატი, გვერდების რაოდენობა და ტირაჟი, განსაკუთრებით სამამულო ომის დროს, იცვლებოდა დროის, სახსრებისა და ტექნიკურ საშუალებათა შესაბამისად 600-დან 5 ათასამდე. ამჟამად კი „ალაზნის განთიადის“ ტირაჟი 14 ათასამდე აღწევს.

პირველი 15 წლის მანძილზე, ესე იგი 1945 წლის 27 დეკემბრამდე, გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ 1189 ნომერი გამოვიდა. ამ რეგულა-

---

1 მათ შესახებ დაწვრილებით იხ. ნარკვევი „ტრადიცია გზად და ხიდად“.

2 მაშინ ახმეტა ჯერ კიდევ დამოუკიდებელი რაიონული ცენტრი არ იყო.

რული ორგანოს შექმნასა და განმტკიცებას, ავტორთა მრავალრიცხოვან კოლექტივთან ერთად, დიდი ღვაწლი დასდეს მისმა ყოფილმა რედაქტორებმა ა. კოკილაშვილმა, ვ. დევაძემ, ა. დავითიანმა, კ. ჩარკვიანმა, ო. მეუნაგრიამ, ა. თვალიაშვილმა, ო. გეურქოვამ, კ. ჩხიკვაძემ, ს. ქოჩლაძემ, შ. როსტომაშვილმა და სხვ.

„კოლმეურნის ხმის" რედაქცია, ძირითადი გამოცემის გარდა, გამსვლელი რედაქციების მეშვეობით ერთდროულ გაზეთებსაც უშვებდა რაიონის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სხვა ობიექტებზე. 1935 წლის 5—17 ოქტომბერს თელავის გასაწვევ პუნქტში 5 ნომერი ორგვერდიანი დასურათებული გაზეთი გამოვიდა ა. კოკილაშვილის რედაქტორობით. 1939 წლის 29 სექტემბერსა და 10 ოქტომბერს იმავე გასაწვევ პუნქტში ორი ნომერი გაზეთი გამოუშვეს (თითოეული 300 ცალი, პ/მგ. რედაქტორი კ. ჩხიკვაძე). 1940 წელს გამსვლელი რედაქცია თელავის მტს-ში, წითელი არმიის რიგებში გასაწვევ პუნქტში და სასოფლო საბჭოებში მუშაობდა და 4 ოქტომბრამდე 10 ნომერი 2 და 4-გვერდიანი გაზეთები გამოუშვა (ტირაჟი 300 ცალი, — რედაქტორი კ. ჩხიკვაძე). 1941 წლის 15 აპრილს გამსვლელი რედაქციის გაზეთი გამოვიდა სოფ. კონდოლის, ხოლო 21 აპრილს — ნაფარეულის კოლმეურნეობებში. 1942 წელს „კოლმეურნის ხმის" გამსვლელი რედაქცია კვლავ ეწვია სამანქანო-სატრაქტორო სადგურს და საგაზაფხულო თესვისათვის მზადებასთან დაკავშირებით 12 თებერვალს სპეციალური გაზეთი გამოუშვა (რედაქტორი ს. ქოჩლაძე).

1931 წელს გამოდიოდა აგრეთვე საქართველოს კპ(ბ) თელავის რაიკომის, რაიალმასკომისა და რაიკოლმეურნეკავშირის კვირეული გაზეთი „გადამწყვეტი წელი". 27 დეკემბრამდე 43 ნომერი გამოვიდა. მისი ერთი ნომერი 1932 წლის დასაწყისშიც დაიბეჭდა.

1933—1934 წლებში გამოდიოდა თელავის რაიონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების ათდღიური (1934 წელს ხუთდღიური) ორგვერდიანი გაზეთი „სტალინელი" (გამოვიდა 58 ნომერი, ტირაჟი 1400 ცალი). დასაწყისში მას სარედაქციო კოლეგია განაგებდა, 1934 წელს კი რედაქტორი კ. ჩარკვიანი იყო. 1934—1935 წლებში თელავის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის" პოლიტგანყოფილებასაც ჰქონდა დეკადური ქართულ-რუსული გაზეთი „საბჭოთა მეურნე" (2 გვერდი, ტირაჟი 400—500 ცალი), რომელიც სულ სამი ნომერი გამოვიდა.

თელავი ცნობილია როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განათლების ცენტრი. 1934—1935 წლებში აქ გამოდიოდა განათლების განყოფილებისა და განათლების მუშაკთა კავშირის ერთთვიური პედაგოგიურ-მეთოდიკური ჟურნალი „საბჭოთა მასწავლე-

ბელი". 1934 წელს დაიბეჭდა 8 ნომერი, თითოეული 24—32 გვერ-დი, 1935 წელს კი მხოლოდ ერთი ნომერი (32 გვერდი, ტირაჟი 500 ცალი). ~მავე წლებში გამოდიოდა თელავის პედტექნიკუმის ალკკ კომიტეტისა და პროფკომის კვირეული გაზეთი „წითელი პედაგოგი"

თელავში განათლების მუშაკთა ბევრი რესპუბლიკური ღონისძიება ხორციელდებოდა და მათ ერთდროული გაზეთები ეძღვნებოდა. 1934 წელს ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა რესპუბლიკური კურსების დამთავრების შემდეგ გამოვიდა ორგვერდიანი გაზეთი „კვალიფიკაციის ამაღლებისათვის". 1935 წლის 29 ივლისსა და 9 აგვისტოს ამავე სახელწოდების 4-გვერდიანი გაზეთის 2 ნომერი მიეძღვნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა, ხოლო 1936 წლის 15 ივლისს — ერთი 4-გვერდიანი გაზეთი დაწყებითი სკოლების გამგეების რესპუბლიკური კურსების მუშაობას. მას შემდეგ კი რაც თელავში დაარსდა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, მისი სამეცნიერო „შრომები" იბეჭდება.

იყო სხვა ერთდროული გამოცემებიც. მაგალითად, 1936 წლის 25 აპრილს თელავის რაიკოოპკავშირმა კოოპერატორთა მეოთხე საერაიონო კონფერენციას მიუძღვნა სპეციალური გაზეთი „საბჭოთა კულტურული ვაჭრობისათვის" (№ 1, ტირაჟი 5000 ცალი).

თელავში გამოსული მრავალტირაჟიანი და ერთდროული კომკავშირული გაზეთების შესახებ ნათქვამია ნარკვევში „მებრძოლი კომკავშირული" (იხ.). აქ კი უნდა მოვიხსენიოთ ის, რომ 1933 წლის 24 აპრილს თელავში ერთდროული გაზეთი გამოუშვა გაზეთების „წითელარმიელისა" და „კრასნი ვოინის" ერთობლივმა გამსვლელმა რედაქციამაც (№ 1, ტირაჟი 2000 ცალი).

ასეთი მრავალფეროვანი და მდიდარი იყო მუდამ თელავის პერიოდიკა. გარდა ამისა, კახეთში ბევრი სხვა საინტერესო საგამომცემლო ღონისძიებაც ხორციელდებოდა, რომლებიც თელავის მაზრისა თუ რაიონსაც მოიცავდნენ.

ნათქვამია, წინ მიმავალი უკანის ხიდიაო. თელაველ ჟურნალისტებს ახალი მწვერვალების დაპყრობის დროს ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ.

*
* *

მართალია თელავის რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის" იუბილესთან დაკავშირებით შევადგინეთ ამ უძველესი და ბარაქიანი კუთხის პერიოდიკის მოკლე მიმოხილვა. გულმოდგინე ძიებისა და მოპოვებული მასალის შეჯამების შედეგად საკმაოდ ხვავიანი სულე-

1 დაწვრილებით იხ. ნარკვევი „მებრძოლი კომკავშირული".

რი საზრდო დაგროვდა, მაგრამ სასწავლო-პედაგოგიური გამოცემების ნაწილში მაინც ერთგვარ ხარვეზს ვგრძნობდით.

ყოველივე ის, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, სამამულო ომამდელ, უკანასკნელ ათწლეულში ხდებოდა. ომის შემდგომ წლებში, როცა საბოლოოდ გამოიკვეთა რაიონული გაზეთების პროფილი და რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად ისინი რეგულარულად აშუქებენ სასკოლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი თავის „შრომებს“ უშვებს, ბუნებრივია, ზემოაღნიშნულის მსგავს გამოცემებს ადგილი აღარ დაურჩათ. მანამდე კი სასკოლო დაწესებულებათა ფართო ქსელის მქონე თელავის მაზრაში შეუძლებელია სასწავლო-პედაგოგიკური გამოცემები არ ყოფილიყო.

არსებული ბიბლიოგრაფიული წყაროებისა და ხელმისაწვდომი საბიბლიოთეკო ფონდების განმეორებითმა შესწავლამ ახალი არაფერი მოგვცა. ერთადერთი იმედიღა რჩებოდა — ადგილზე, ძველ მოღვაწეთა პირად არქივებში უნდა მოგვეძიებია.

როდესაც ჩემი მოსაზრება ძველ მეგობარს, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ალექსანდრე გვენცაძეს გავუზიარე, მას სახეზე ჯერ კიდევ სიღნაღიდან ნაცნობი მორცხვი ღიმილი აუთამაშდა და ნართაულად მითხრა:

— სხვისი რა მოგახსენო, მაგრამ ჩვენ გვაქვს მენშევიკების დროინდელი თელაველ მოსაწავლეთა გაზეთის ორი ნომერი... ისინი არც ერთ ბიბლიოგრაფიულ ცნობარში აღრიცხული არ არის.

ამის თქმა იყო და მიამიტად საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია. ქაღალდებითა და გაბერილი საქაღალდეებით სავსე ყუთში ძლივს მოძებნა თხელი ფუთა, ღია ფანჯარასთან მივიდა, მტვერი მოაცილა და გამომიწოდა:

— აჰა, რა ხანია ვინახამ და მოუცლელობის გამო თავი ვერ გამოვაბი, შენ უფრო მოუცლი და ისტორიას არ დაუკარგავ.

გაოცებულმა გამოვართვი, მადლობა მოვახსენე. რატომღაც არ მჯეროდა, რომ სინამდვილე იყო. ფრთხილად გავათავისუფლე შიგნადები მრავალფენა საფარისაგან და ხელში შემრჩა დროთა განმავლობაში ფერდაკრულ-დაფაშრული თელავის გიმნაზიის მოსწავლეთა ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო და პედაგოგიური გაზეთის „ახალგაზრდა ქართველი“ ორი ნომერი: 1919 წლის 24 მარტის № 7 და 1919 წლის 31 მარტის № 8.

ეს გაცრეცილი, ბოლოებდაძენძილი მცირე ფორმატის გაზეთები, იმის შიშით, რომ საბოლოოდ არ დაშლილიყო, ფრთხილად მოვათავ-

სე საქალალდეში და შესასწავლად თბილისში წამოვიღე ისე, რომ არ ვიცოდი რამდენად მივაგენი, რასაც ვეძებდი...

შინ დაბრუნებულს კი, გაგიხარია, შორს აღარ გადამიდია მისი ძირფესვიანად გაცნობა და შესწავლა.

მათი ტექსტი ბევრ ადგილას ძნელად იკითხება. მაგრამ გარკვევით შემორჩენია გამოცემის „წელიწადი პირველი“ და ის, რომ გაზეთი ორშაბათობით გამოდიოდა.

ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ახალგაზრდა ქართველის“ გამოცემა დაიწყო და პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 10 თებერვალს. ყველა რვა ნომრის გამოსვლაც უტყუარი ფაქტია. მხოლოდ ჯერჯერობით არაფერი ვიცით 31 მარტის შემდეგ ეს გაზეთი გამოდიოდა თუ არა, საბოლოოდ როდემდის იარსება და რამდენი ნომერი დაიბეჭდა.

გაზეთის გამომცემლის ვინაობა აღნიშნული არ არის. შინაარსის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას თელავის ვაჟთა გიმნაზიასთან შექმნილი მოწაფეთა კავშირი უშვებდა. ამას ადასტურებს მერვე ნომრის ქრონიკაში მოთავსებული განცხადება: „თელავის მოწაფეთა კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა გაიმართება სამშაბათს, 1 აპრილს 4 საათზე რედაქციის ბინაზე“.

ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ სხდომაზე გადაწყდა გაზეთის ყოფნა-არყოფნის ბედი!

„ახალგაზრდა ქართველს“ ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია, თუმცა ალ. გვენცაძის გადმოცემით, მისი ფაქტიური რედაქტორი ყოფილა ვინმე მოწაფე აბაშიძე.

სარეცენზიო ნომრებს არც ტირაჟი აწერია. მხოლოდ სათაურის ქვეშ მოთავსებული სარედაქციო განცხადება გვამცნობს, რომ ხელმოწერას აწარმოებდნენ „მხოლოდ სამი თვით“, ნომერი ღირდა 1 მანეთი და გამოწერა და განცხადების გამოქვეყნება შეიძლებოდა საქართველოს სხვა რაიონებიდანაც. გარდა ამისა, გაზეთში შუქდებოდა საერთაშორისო ამბები, საქართველოს და მისი ცალკეული რაიონების — მესხეთის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სხვა ცხოვრება.

მაშასადამე, გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“ თელავის მაზრისა და კახეთის გარეთაც ვრცელდებოდა და მისი ტირაჟი იმ დროის კვალობაზე საგრძნობი უნდა ყოფილიყო.

„ახალგაზრდა ქართველი“ იბეჭდებოდა კ. ონიკაშვილის სტამბაში, რომელიც გაზეთის სიტყვით მდებარეობდა „ქ. თელავში ბულვრის პირდაპირ“ (?!).

გაზეთის უახლოესი თანამშრომლები ყოფილან ლ. ძეძამიძე, გ. ნაიბი, სევდია, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივ. როსტომაშვილი, გ. სუხიტაშვილი. დ. ა-ძე, მიხ. ელიზბარაშვილი, გ. ს-ძე

და სხვ. ფსევდონიმები და ინიციალები გასაშიფრია. საერთოდ შესასწავლი და დასადგენია „ახალგაზრდა ქართველისა" და მის გარშემო შემოკრებილ ავტორთა მოღვაწეობა და მათი როლი ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებასა და თელავის კულტურულ-ცხოვრებაში.

მართალია გაზეთს ეროვნული ელფერი გადაკრავს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი მენშევიკების ბატონობის დროს გამოდიოდა და პროგრესულ მოღვაწეთა ინიციალებსა და ფსევდონიმებს ამოფარება ეგების სავსებით კანონზომიერი იყოს. თვით გაზეთის გამოცემის შეწყვეტაც, ალბათ, არსებულ უმკაცრეს რეჟიმთანაა დაკავშირებული.

ჩვენს ხელთ არსებული ნომრების მასალებიდან აღსანიშნავია: ივ. როსტომაშვილის ფელეტონი „შუქურ-ვარსკვლავის სხივები ახალს პედაგოგიკაში: ოცი მცნება საბავშვო ბაღისა", რომელიც ეტყობა რამდენიმე ნომერში გაგრძელებით იბეჭდებოდა; მისივე „ბურთი და ბავშვი" და „ფიზიკური სამუშაოების მოწყობა თელავში" (ლაპარაკია ღარიბ მოსწავლეთა სამუშაოთი უზრუნველყოფაზე); დ. ა-ძის „ინტერლეკანის სკოლა"; გ. ს-ძის „სკოლა ჩვენ სახელმწიფოში" და სხვ.

დაბეჭდილია აგრეთვე ლექსები, ნაკვესები, მაგალითად, „ახალგაზრდა ქართველს": „პატარა ხარ, რა კარგი ხარ, გაიზრდები რა იქნები" (№ 8), ყოფაცხოვრებითი ქრონიკა, თვიური კალენდარი და განცხადებები.

„ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ“ ᲡᲠᲣᲚᲘᲐ..

დასავლეთ საქართველოს დიდ გზაჯვარედინზე, რკინიგზის მნიშვნელოვან საკვანძო პუნქტს სამტრედიას, სახელოვან რევოლუციურ წარსულთან ერთად, საინტერესო კულტურულ-ლიტერატურული, კერძოდ, საგამომცემლო ტრადიციები აქვს. შორეულ წარსულზე ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ვიტყვით. არსებობს მხოლოდ მოკლე ცნობა, რომ სამტრედიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დროს ჰქონია არალეგალური სტამბა. რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის დღეებში — 1906 წლის სექტემბერში ეს სტამბა დაბა სამტრედიიდან გადაუტანიათ ჯერ სოფ. კულაშში, შემდეგ კი დიდ ჯიხაიშში. ამ სტამბაში ბეჭდავდნენ პროკლამაციებს, ფურცლებს, მოწოდებებს. აქ უკვე იკარგება ამ სტამბისა და მისი საქმიანობის კვალი.

გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე აქ უკვე ლეგალურად გამოდიოდა ბიულეტენები და სხვადასხვა ნაბეჭდი პროდუქცია. დიდი ხანი არ არის რაც ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს საცავად ითვლება, ქართულ გაზეთ „შრომის“ (ქუთაისი) 1914 წლის კომპლექტში აღმოაჩინეს ამ გაზეთის დამატება „დეპეშებთან“ ერთად შეცდომით აკინძული დაბა სამტრედიის „დეპეშების“ 1914 წლის 16 და 17 სექტემბრის ნომრები.

მაშასადამე, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს სამტრედიაში დღეში ორჯერ — დილით და საღამოთი ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა 35×26 ან 55×33 სმ ფორმატის ქაღალდის ცალ გვერდზე ნაბეჭდი ბიულეტენი „დეპეშები“. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ბ. ფარცვანია. „დეპეშები“ იბეჭდებოდა ვ. ხარებავას და ს. ნიკურაძის სტამბაში.

უცნობია მისი ტირაჟი და ის, თუ როდის დაიწყო და შეწყდა „დეპეშების“ გამოცემა, ან რამდენი ნომერი გამოვიდა. ჩვენს ბიბლიოგრაფიულ ცნობარებში ისინი სრულებით არ არის აღრიცხული,

არც ბიბლიოთეკებს აქვთ დაცული. მაგრამ შეუძლებელია თვით რაიონში არ იყოს ვინმე მათი მომსწრე, ან რომელიმე ოჯახში არ აღმოჩნდეს შემთხვევით შემორჩენილი ცალკეული ნომრები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამტრედიაში კიდევ იყო ერთი ბეჭდვითი ორგანო — „დროგამოშვებითი სამტრედიელთა გასაშოლტი", 16-გვერდიანი იუმორისტული ჟურნალი „სამტრედიის შოლტი". იგი გამოდიოდა ორკვირაში ერთხელ და ქუთაისში ნ. ფერაძისა და ამხანაგობის სტამბაში იბეჭდებოდა.

„სამტრედიის შოლტის" პირველი ნომერი 1920 წლის 8 ივლისს გამოვიდა. მესამე ნომრიდან (10 ოქტომბერი) მას მხოლოდ „შოლტი" ეწოდებოდა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ჭანგელი ბზიკი (ნესტორ შენგელია), ს-ა-მ-ი, სხვა მრავალი მხიარული კალმის ოსტატები.

„სამტრედიის შოლტის" პირველი ორი ნომერი დაცული იყო ყოფილ რევოლუციის მუზეუმში, რომლის ფონდები გადაეცა საქართველოს კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტს, ხოლო მესამე (ესე იგი „შოლტი") დაცულია ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამ ჟურნალის ავკარგსაც გაგება უნდა, ნომრებს კი მოძებნა, აღწერა და დაცვა.

შემდეგ სამტრედიის ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში იწყება საბჭოთა პერიოდი და მისი სწრაფი აღმავლობა. 1930 წ. 5 ნოემბერს გამოვიდა რაიონულ გაზეთ „სოციალისტური შეტევის" I ნომერი, რომლის 40 წლისთავი 1970 წ. 20 ნოემბერს საზეიმოდ აღინიშნა.

ეს იყო სამტრედიის დღევანდელი რაიონული გაზეთის „წინსვლის" (რედაქტორი ა. გრიგოლია) წინამორბედი. პირველ ხანებში „სოციალისტური შეტევა" საქართველოს კპ(ბ) სამტრედიის რაიკომის, რაიღმასკომის, რაიპროფსაბჭოს, ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი რაიონის პოლიტგანყოფილების და სხვა ორგანიზაციების ერთობლივ ორგანოდ ითვლებოდა. დაარსების წელს სულ 4 ნომერი გამოვიდა, 1931 წ. — 15, 1932 წ. — 55, 1933 წ. — 66 ნომერი და ა. შ.

ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, ვინაიდან „წინსვლის" განვითარების გზა უფრო ცნობილია, ამასთან საიუბილეო თარიღს სპეციალური მოხსენება, არაერთი სიტყვა-მოგონება მიეძღვნა და სპეციალური ნომერიც გამოვიდა. მხოლოდ მოვიხსენიებთ სხვა გაზეთებსა და ერთდროულ გამოცემებს, რომლებიც სამტრედიაში გამოდიოდა და დღევანდელი მკითხველისათვის ნაკლებად არის ცნობილი.

1932—1935 წლებში აქ გამოდიოდა ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი საექსპლოატაციო რაიონის პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ყოველკვირეული გაზეთი „დამკვრელი რკინიგზელი". გამოვიდა 248 ნომერი (2 ან 4 გვერდი, ტირაჟი 3000 ცალი). 1933—1934 წლებში თავისი გაზეთი — „კოლმეურნის ბრძოლა" ჰქონდა სამტრედიის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის

პოლიტგანყოფილებასაც. მისი პირველი ნომერი 1933 წლის 4 დეკემბერს გამოვიდა. გაზეთი ძირითადად 2-გვერდიანი იყო. დასადგენია მისი გამოსული ნომრების საერთო რაოდენობა და ტირაჟი.


პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ნინოწმენდა

ნაჯარიოველთა კომპარტიის სამტრედიის რაიონის და ხიზანთა დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

Орган Самтредского Райкома КП Грузии и районного депутатов

ЦИНСВЛА

22

სექტემბერი შაბათი

1979

ფასი 2 კაპ.

ბაზარზე გამოდის 1929 წლის 8 ნოემბრიდან № 113 (6145)

ნახ. 16.

ჩვენი მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ არაფერს ვიტყვით იმ სპეციალურ ნომრებსა და ერთდროულ გამოცემებზე, რომლებსაც „სოციალისტური შეტევა" დამატებითი ნომრების სახით რაიონში განხორციელებულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებს უძღვნიდა. ეს უმთავრესად ეხება ომისწინა და ომის წლებს, როცა გაზეთს ხელმძღვანელობდა გ. სიხარულიძე. ამ პერიოდში სამტრედიის გაზეთებში მუშაობდა ქართული პერიოდიკის ერთ-ერთი ვეტერანი, იუმორისტი-მწერალი გენო ქელბაქიანი და დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივ ახალგაზრდა ჟურნალისტებს.

1940 წლის 27 მარტს გაზეთ „სოციალისტური შეტევის" გამსვლელმა რედაქციამ 2-გვერდიანი გაზეთი გამოუშვა სოფ. დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" (ტირაჟი 500 ცალი). 6 აგვისტოს სპეციალური (დამატებითი) ნომერი მიეძღვნა ფაშისტური გერმანიის საომარ მზადებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. იმავე წლის 23 ოქტომბერსა და 19 ნოემბერს გამსვლელი რედაქციის ორი გაზეთი გამოვიდა (2000 და 1400 ცალი) მდინარე ცხენისწყლის სანაპიროთა გამაგრების სამუშაოებზე. 26 ნოემბერს კი ერთი ნომერი რაიონის ნაპირების გამაგრების სამუშაოებზე (ტირაჟი 500 ცალი).

1941 წლის დასაწყისიდან გამსვლელი რედაქციები უფრო ოპერატიულად მუშაობდნენ. მოკლე დროში ექვსი 2 გვერდიანი გაზეთი გამოვიდა რაიონის კოლმეურნეობებში, რკინიგზის კვანძზე და მდინარე ცხენისწყლის სანაპიროთა გამაგრების სამუშაოებზე.

როდესაც ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, გაზეთ „სოციალისტური შეტევის“ რედაქციამ 1941 წლის 22 და 24 ივლისს 2-გვერდიანი სპეციალური ნომრები გამოუშვა (თითოეული 2500 ცალი). სამი სპეციალური ნომერია გამოსული 1942 წლის 21 იანვარს, 16 აპრილს, 16 დეკემბერს და სამიც 1943 წლის 22 და 23 აპრილსა და 25 აგვისტოს. გარდა ამისა, 1941 წელს გამოცემულია ცალგვერდზე ნაბეჭდი 5 სააგიტაციო ფურცელი და 1942 წელს — 9 ასეთივე ფურცელი, მიძღვნილი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საომარი ღონისძიებებისა და სამტრედიის რაიონის მშრომელთა თავდადებული შრომისადმი. 1942 წელს გამოცემულია აგრეთვე ცალ გვერდზე ნაბეჭდი 4 სასწრაფო გამოშვება (თითოეული 200—300 ცალი) საომარი მდგომარეობის შესახებ.

თითოეული ეს გაზეთი თუ კედელზე გასაკვრელი ფურცელი დამოუკიდებელ ნაბეჭდ პროდუქციად ითვლება და უაღრესად დიდ როლს ასრულებდნენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის უაღრესად მძიმე განსაცდელის დღეებში. ისინი ჩვენი კულტურის ისტორიისათვის დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ფონდებსა და რესპუბლიკის დიდ ბიბლიოთეკებში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გაზეთ „სოციალისტურ შეტევას“ სათავეში ჩაუდგა ჟურნალისტი ვ. შავგულიძე და ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა ომის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშებისა და დროებით შეწყვეტილ დიად მშენებლობათა განახლებისათვის. ახალ ვითარებაში გაზეთს სახელწოდებაც შეეცვალა და დღეს მას სიმბოლურად „წინსვლა“ აწერია. საკმაოდ დიდხანს მისი რედაქტორი იყო ვ. ნიკოლეიშვილი.

ყველა ზემოაღნიშნულმა გამოცემამ თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონის — სამტრედიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. მათი შინაარსი ცხადყოფს რაიონის მოსახლეობის ინტელექტუალურ დონესა და მაღალ მორალურ სიმტკიცეს.

1972 წლის 18 მაისს გამოვიდა გაზეთ „წინსვლის“ მეხუთეათასე ნომერი და სპეციალურ ნომერსა და რაიონის პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირული აქტივის, გაზეთის მკითხველთა ხალხმრავალ საზეიმო კრებაზე შეჯამებულ იქნა ერთობლივი ძალით გადალახულ სიძნელეთა და გამარჯვებათა განვლილი 42 წლის მუშაობა.

ამ მოვლენის დევიზი იყო: „წინსვლა“ — მებრძოლი, რაიონის მშრომელთა მეგობარი, მრჩეველი, დამხმარე და აღმზრდელი.

ამ მაღალ შეფასებას რაღა შეიძლება დაემატოს გაზეთის სადიდებლად?!

მხოლოდ კეთილი სურვილი: „წინსვლა“ სრული!..

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲓᲔᲙᲐᲑᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებსა და მათ თანამოაზრეთა შორის ბევრი ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი იყო — ძმები ა. პ. და ნ. ბესტუჟევები, ა. კორნილოვიჩი, ე. ლაჩინოვი, ვ. სუხორუკოვი, ი. ბურცოვი, ა. ვედენიაპინი, ვ. ზუბოვი, ლაშკევიჩი, ს. კრივცოვი, ნ. ორეიცკი, მ. პუშჩინი, ნ. ცებრიკოვი, ა. განგებლოვი, ვ. ანდრეევი და სხვ.

ყველა ისინი, მძიმე პირობების მიუხედავად, „ტიფლისკიე ვედომოსტის“ მოლიბერალო რედაქტორის პ. სანკოვსკისა და მისი მოადგილის ვ. სუხორუკოვის მეშვეობით დაკავშირებული იყვნენ თბილისის პირველი რუსული გაზეთის რედაქციასთან და ფსევდონიმებითა და ინიციალებით თანამშრომლობდნენ მასში.

ა. პუშკინს მიაჩნდა, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტი“ მაშინ „...ერთადერთი რუსული გაზეთი იყო, რომელსაც თავისი სახე ჰქონდა“.

ამდენად, დეკაბრისტები თითქოს ყველაფრის კურსში იყვნენ. მაგრამ მკაცრ რეჟიმში მყოფ წოდებააყრილ, დამცირებულ და ჯარისკაცის უნუგეშო მდგომარეობამდე დაყვანილ განათლებულ ადამიანებს რას დააკმაყოფილებდა ეს. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც კავკასიის კორპუსის ზოგიერთი მეთაური (გენერალი პასკევიჩი, პოლკოვნიკი ნ. რაევსკი და სხვ.) დაასმინეს მეფესთან დეკაბრისტებისადმი „ლმობიერი“ მოპყრობისათვის და ხელახლა დარბეულები თბილისიდან და მის ახლო დაბანაკებული პოლკებიდან შორეულ გარნიზონებში გახიზნეს.

ერთ სამხედრო შენაერთში გაერთიანებულ მეოცნებე ჭაბუკებში ვერც ამან ჩაკლა ლიტერატურული მოღვაწეობისა და ჟურნალისტური შრომის ჟინი. ისინი შეუნელებლად ეძებდნენ სულ მცირე შესაძლებ-

ლობასაც კი შემოქმედებითი ძალების უკეთ გამოყენებისათვის. ცნობილია ყარაღაჯში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ლიტერატურული საღამოები, დრაგუნთა სკოლის რეფერატები, სპექტაკლები, რომლებსაც თბილისიდან ჩასული სტუმრები და კახეთის მოწინავე საზოგადოებრიობა ესწრებოდა. პოლკის შტაბ-ბინასა და დედოფლის წყაროს გარნიზონში ხელიდან ხელში გადადიოდა წოდებაყრილი ახალგაზრდა ნიჟიერი იუნკრების ჯებურისა და პავლოვის კარიკატურები გარითმული წარწერებით.

პოლკის პროგრესული მეთაურები სტალი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ რაევსკი და სხვ. ამას ხელს არ უშლიდნენ.

ყველა პოლკში საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მოქმედებდნენ. მაგალითად, ახალციხის გარნიზონში პ. ბესტუჟევმა, კაპიტანმა ლაშკევიჩმა, ვ. ზუბოვმა და სხვ. გადაწყვიტეს ესარგებლათ გენერალ დ. ბებუთოვის დიდსულოვნებით და ხელნაწერი გაზეთი „ახალციხსკი მერკური" გამოეშვათ.

ამ წამოწყების ერთ-ერთი მონაწილე, კავკასიის ომის ვეტერანი ... ანდრეევი იგონებდა, რომ ახალციხეში მყოფ დეკაბრისტთაგან გაიგო და დაუმეგობრდა ლაშკევიჩს. ერთხელ იგი მივიდა ანდრეევთან და უთხრა, ხომ არ იკისრებდა შუამდგომლობა გაეწია გარნიზონის უფროსის გენერალ ბებუთოვის წინაშე, რომ მას ნება დაერთო გამოეცათ რაღაც გაზეთის მაგვარი, რომელიც მას, პ. ბესტუჟევს, ზუბოვსა და სხვებს სურდათ შეედგინათ და ხელნაწერ ფურცლებად უფასოდ დაერიგებინათ გარნიზონში, რათა მოსაწყენ ცხოვრებაში თვითონაც გართობილიყვნენ და სხვებიც გაემხიარულებინათ.

ანდრეევი ხალისით დათანხმდა და, როგორც ფაშალიკის მდივანმა, მოხერხებულ მომენტში თავადს მოახსენა.

— რაო, ისინი რაიმე სისულელეს ხომ არ მოათავსებენ მასში?— იკითხა კეთილმა მოხუცმა.

შუამავალმა დაარწმუნა, რომ მათი განზრახვა ყოვლად უვნებელი იყო, უნდოდათ საქმე გაეჩინათ და სხვებიც აეყოლიებინათ.

— კარგი, ჩემს წინაშე შენ იქნები პასუხისმგებელი მათი საქციელისათვის; ამ პირობით ნებას ვიძლევი, მხოლოდ ყოველი ნომერი წინასწარ უნდა მომიტანო ცენზურისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ ანდრეევმა მიუტანა „ახალციხსკი მერკური", № 1 — წვრილად ნაწერი ქაღალდის დიდი ფურცელი. ბებუთოვი კმაყოფილი დარჩა. მასში მოთავსებული იყო რამდენიმე ცნობა, ანეგდოტი, განვლილი ბრძოლების ამსახველი ნარკვევები, გარნიზონის ცხოვრების სურათები და სხვ.

ერთი კვირის შემდეგ ლაშკევიჩმა მიიტანა „ახალციხსკი მერკუ-

რის“ № 2 და ნაღვლიანად უთხრა ანდრეევს „ეს უკანასკნელი ნომერიაო“.

— რატომ, რა მოხდა?! — შეეკითხა განცვიფრებული ანდრეევი.

— აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ თითქოს ეს „წოდებააყრილებმა იმისთვის წამოიწყეს, რომ თავის გამოჩენა უნდათო“. შუამავლობისათვის შენც გაგკრეს კბილი. ამიტომ, გაუგებრობა რომ არ მოხდეს, გადავწყვიტეთ შევწყვიტოთ მერკურის გამოცემა, — და აი გამოსათხოვარი ნომერი.

უკანასკნელი ნომერიც იმავე გეგმით იყო შედგენილი, მხოლოდ ბოლოში, ოპონენტების საყურადღებოდ ირონიულად მიწერილი ჰქონდა, რომ „გამოცემა შეწყვეტილია“.

ბებუთოვმა „ახალციხსკი მერკურის“ № 2-იც მოიწონა, ანდრეევის განმარტება გამოცემის შეწყვეტის შესახებ უკმაყოფილო სახით მოისმინა და უთხრა:

— ჩემო კარგო, მათ როგორც სურთ ისე მოიქცნენ, მე კი აქ ცუდს ვერაფერს ვხედავ...

ეს იყო ახალციხეზე ახმედ-ბეკ აჭარელის თავდასხმის ერთი კვირის წინ, რაც ა. პუშკინის საქართველოში ჩამოსვლამდე სამი თვით ადრე, ესე იგი 1829 წლის 20 თებერვალს მოხდა.

სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით მეტი არაფერი ვიცით საქართველოში მყოფ დეკაბრისტთა ჟურნალისტურ თვითმოქმედებაზე.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
ხმა იატაკქვეშეთიდან 3
საქართველოს რევკომის ბეჭდვითი ორგანოები 16
მებრძოლი კომკავშირელი 20
„ახალგაზრდა კომუნისტი“ კახეთში 35
„სოფლის ცხოვრების“ წინამორბედები 48
ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები 58
ქუთათური ჩირაღდნები 66
ტრადიცია გზად და ხიდად 107
გაზეთ „ქართლის“ 60 წლისთავისათვის 129
„ალაზნის განთიადის“ საიუბილეოდ 135
„წინსვლა“ სრული! 143

რედაქტორი ქ. ჯიმშელაძე
სამხატვრო რედაქტორი თ. გელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. დოგუზაშვილი
უფროსი კორექტორი ი. დონაძე
კორექტორი ლ. მეავია
გამომშვები ქ. ნიკოლაშვილი

ИБ № 3219

გადაეცა ასაწყობად 25.01.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.07.88.
ქაღალდის ზომა 60×90. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა.
ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 9,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 8,73.
უე 08492. ტირაჟი 1 300 შეკვ. № 32

ფასი 65 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

1988

380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ., მედქალაქი,
II სასწ. კორ., საქ. სსრ გამსახლობის № 4 სტამბა.

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.

Яралов Григорий Богданович

ОЧЕРКИ К ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ПЕРИОДИКИ

(На грузинском языке)